

ნუგზარ ერგემლიძე

# არმაგუდონის მათწასი

თბილისი  
2012

რედაქტორი:  
მხატვარი:  
დამკაბადონებელი:

ანდრო ბუაჩიძე  
ნუგზარ ერგემლიძე  
თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-0-4653-7

## არმაგედონის მათრახი

ახალი, 2011 წელი მოდიოდა. ფეხით მივუყვებოდი საახალწლოდ მორთულ რუსთაველის პროსპექტს, იმიტომ კი არა, რომ ფეხით სიარული სასარგებლოა, არა, უბრალოდ, მანქანა არ მყავდა და არც ის ვიცოდი, მეყოლებოდა თუ არა ოდესმე — თუნდაც სუყველაზე პატარა. ალბათ, არც იციან თუ რა ბედნიერია ის ხალხი, ვინც მანქანის თბილი სალონიდან გვათვალიერებს გათოშილ ფეხით მოსიარულეთ.

იმ დღეს რეპეტიცია მქონდა, უფრო ზუსტად კი, სულ რაღაც ნახევარ საათში. როკ-კლუბი, სადაც საახალწლო საღამოს ამზადებდნენ — რუსთაველზეა, და მეც, მხარზე გადაკიდებული გიტარით, იქით მივიჩქაროდი.

მე 24 წლისა ვარ და ჩემი სახელია ნიკა; მყავს მშობლები და ის სამიოდე მეგობარი, რომლებიც კლუბში მელოდებიან, იმიტომ, რომ სამივენი ჩემი ჯგუფის წევრები არიან.

„ღმერთო, — ვფიქრობდი, — რა მოხდება, სპონსორი გამოგვიჩნდეს, ჩვენი დისკი გამოუშვას, კლიპი გადაგვიღოს“. ამ დროს ხათუნა შემხვდა, მაღალი, ლამაზი და არაჩვეულებრივი ფერის თვალების მქონე ხათუნა!

დიდი ხნის ნაცნობივით გადამეხვია, მე ლოყაზე ნაზად ვაკოცე. „ცხვირი წითელი მექნება!“ — გავიფიქრე და ხელები დავიორთქლე:

## ახმაგეღონის მათხახი

— როგორა ხარ, გოგონი?

— ვარ, რა... შენ? სად მიდიხარ შენი გიტარით?

მე ავუხსენი, სადაც მივდიოდი და შევთავაზე, თუ დრო გაქვს, შენც წამოდი-მეთქი.

— თუ კაი „პონტია“, დრო კი მაქვს ცოტა... წამოვალ!

მე კი ფული მქონდა ცოტა — სულ 10 ლარი, მაგრამ უკან აღარ დავიხიე...

— ლუდი დავლიოთ, — წინასწარ შევუთანხმდი.

— შენთან რას არ დავლევ, — ეს ისე თქვა, თითქოს ძალიან ახლობელი ყოფილიყო. არადა, რამდენჯერმე შევხვედრივართ მხოლოდ.

— „ფეის ბუკში“ დამამატე მეგობრად, — მითხრა გზადაგზა. — იცი, რა მაგარი ფრენდები მყავს? — გამომცდელად გამომხედა.

— გეყოლება! — შევჩერდი, შევათვალიერე და ისე ვუთხარი.

— არა... მარტო ბიჭები კი არა, სერიოზული ხალხიც დამიმეგობრდა...

— ძალიან კარგი! — ეს ისე ვთქვი, სხვათა შორის. სინამდვილეში სხვა რამეზე ვფიქრობდი; ვნატრობდი, რა კარგი იქნებოდა, ცოტა მეტი ფული მქონდეს, „მარტინის“ დავალევინებდი-მეთქი. შეიძლება, ეს ბოლომდე არც მიფიქრია, ფიქრის ნაწილი იყო მხოლოდ — წამზე ბევრად ნაკლები. შეიძლება სურათი წარმომესახა: ის „მარტინის“ სვამს, მე კი ვუკრავ და ვმღერი და, რაც მთავარია, მიმტანის არ მეშინია!

ცოტათი წინ გაფუშვი, ზურგიდან შევათვალიერე — მაგარი ტანი აქვს! „ეჰ, ასეთ ქალთან ვინ მიგომეგებს?“ ამასობაში კლუბში ჩავვედით, საფეხურები ჩავიარეთ და დამხვდურთ მივესალმეთ.

— ჰაი! — ხელი ავუწიეთ ერთმანეთს.

— ეს ხათუნაა! გაიცანით!

ბიჭები მოვიდნენ, მხრებზე ხელი მოუთათუნეს.

— კარგი გოგოა! — თვალი ჩამიკრა თემომ.

კმაყოფილებას ვერ ვმაღავდი (ამას წინათ ერთმა უფროსმა კაცმა მითხრა „კმაყოფილი“ „ყმა ყოფილი“-დან წარმოს-

დგებაო, ანუ ვილაცა იყო ყმა და, რომ გაათავისუფლეს, ყმა აღარ იყოო და... ხომ გასაგებია? მიყვარს ეგეთი რალაცები — ტვინს ავარჯიშებს!)

— აქ დაჯექი! — „საპატიო“ ადგილას დავსვი ხათუნა. ქერა თმა გაისწორა და რალაც არტისტულად დაჯდა, კი არ დაეხეთქა ზოგიერთებივით — ოღონდ რამე რომ ჩაისხან...

— ლუდი, ხომ? — ვკითხე მე.

თემომ გაიგონა და შემეპასუხა:

— გოგონას სხვა რამ უფრო შეეფერება.

თვალეები დავუბრიალე.

— ნუ გეშინია, ნიკა! აქ ვარ! — ჩუმად მითხრა, მეგობრულად.

შვებით ამოვისუნთქე! აი, ეს არის მეგობრობა! ისე კი არა — შენ რამდენს დადებ და მე რამდენს? — ასეთი კაცი საჭიროა ჯგუფში!

— ხათუ, იქნებ, „მარტინი“ გირჩევნია?

ხათუნამ თავი ღიმილით დამიქნია. მიმტანს ხმადაბლა ვუთხარი:

— მარტინი ერთი პორცია და... ერთი ნამცხვარი! — თან თემოს გადავხედე. თემომ თვალეებით მანიშნა, არ არის პრობლემაო.

— ნიკა, როდის დაუკრავთ? — მკითხა სალამოს ორგანიზატორმა ქალმა.

— აი, უკვე ვინყებთ! — სცენაზე ავედი. პატარაა, მაგრამ... ყველა ასე იწყებდა. დრამერმა მიმოაბრაზუნა დოლები, მიუჭირ-მოუჭირა რალაცებს; ჩვენ გიტარების აწყობა დავინწყეთ. სულ ერთხელ ვარ ნამყოფი ოპერაში. — ბავშვობაში სკოლიდან წაგვიყვანეს. ჰოდა, ახლა ჩვენც დაახლოებით ისეთი კა-კაფონია დავაყენეთ, იქ რომ სპექტაკლის წინ „ენყობიან“ როგორც იქნა, მოვრჩით. ერთი ჩემი სიმღერა „დავცხეთ“. რალაც რიტმენბლუზის და როკ-ენ-როლის ნაზავია, ინგლისურად ვმღერით: „როგორ მინდა იმ დროში ცხოვრება, როცა ელვისი, მერილინ მონრო და ბითლზები იყვნენ“. კარგად მიიღეს ეს „ნანარმოები“. რამდენიმე ქათინაურიც დავიმსახურე ორგანიზატორთაგან. ერთი ნახევარი საათი ვუკრავდით, მერე ხათუნასთან ჩამოვჯექი.

## ახმაგეღონის მათხახი

— ძან მაგარი იყო! — გამიცინა.

— სენე! — სასხვათაშორისოდ ვუთხარი, სინამდვილეში ძან მესიამოვნა. თემო, გოჩა და ზურაც შემოგვიერთდნენ.

— მე ათი ლარი მაქვს! — ჩავულაპარაკე თემოს.

— ტაქსით წაიყვანე, — გამიცინა თემომ (ეს თემო ღმერთმა გამომიგზავნა!)

— ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს! — ვთქვი მე და ლუდი მოვსვი. ძალიან ცივი იყო და უკან დავდგი.

— ერთი კარგი პროდიუსერი გინდათ! — სერიოზული ხმით გვითხრა ხათუნამ.

— ჰო, — ყველანი ჩავფიქრდით.

— არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება!

წამოვდექით.

— მე ჩემით წავალ! — თქვა ხათუნამ.

— არა, გაგაცილებ. — უკან გავყევი.

გარეთ რომ გამოვედით, ტელეფონის ნომერი ვთხოვე.

— შენი მომეცი. მე თვითონ დაგირეკავ! — მიპასუხა მან.

ეს, ცოტა არ იყოს, მეუცნაურა, მაგრამ, რა გაენწყობოდა, მივეცი.

— გაგაცილებ, — კიდევ ერთხელ ვუთხარი და მოახლოებული ტაქსისკენ გავინიე.

— არა, აქვე მივდივარ დაქალთან, დიდი ხანია მიცდის. შენ რომ შემხვდი, ცოტა გეგმებს გადავუხვიე. ამაღამ მასთან უნდა დავრჩე! — უცბად მაკოცა, შეტრიალდა, მალლა მიმავალ ქუჩაზე შეუხვია და გაუჩინარდა. „ოქროს ქალთევზას ჰგავს“, — გავიფიქრე. ისე „შეცურდა“ მოსახვევში — ოქროს თევზი გამახსენდა. ეჰ, მართლა რომ დამეჭირა ეს ოქროს თევზი?! პირობითად ვამბობ, რა თქმა უნდა, თორემ სათევზაოდ მე არ დავდივარ და არაფერი! ნატურისთვის იყოს თუ გნებავთ! ან, რაც გინდათ, ის! ოღონდ ჩემი ოცნება ამიხდეს! ჩემი ოცნება კი... ოოო, რა რთული ასახდენია! ლონდონში მინდა დავუკრა! არადა, ყველამ იცით, რა ძნელად მისაღწევია ეს! ფული თუ არა გაქვს, ვიზასაც ვერ მიიღებ. ერთი ანეკდოტი

გამახსენდა: ტიპი მივიდა მეზორნესთან და ეუბნება, იმ ნაპირზე გადამიყვანეო. ფული გაქვსო? ჰკითხა მეზორნემ. არაო, ამან. აბა, ბიძია, ფული თუ არა გაქვს, ან ამ ნაპირზე რა გინდა, ან იმ ნაპირზე ვის სჭირდებაო! აი, ასეა ჩემი საქმე.

ამასობაში ბიჭებიც ამოვიდნენ.

— ზეგ მაგრად შევუბეროთ! — მითხრა თემომ.

— დიდი მადლობა, ძმაო... — ჩავილულლულე მე.

ერთმანეთს დავშორდით. „ფეხით გავივლი, რომ დავიღლები, ტაქსის მერე გავაჩერებ, ნაკლები დამიჯდება!“ „მარშუტკითაც“ წავიდოდი, მაგრამ ამ გიტარით... სავსე ტრანსპორტში გამიჭირდება.

სხვადასხვანაირად ჩაცმული ხალხი მიდი-მოდის, ზოგს უფრო თბილად და ძვირფასად აცვია, ზოგს ნაკლებად. მაგრამ... მიდის ცხოვრება. ფუსფუსებს ხალხი, ერთი კი მიკვირს, ფულს სად შოულობენ ეს ჯიპიანი ძიები და დეიდები, ჩემი ტოლა გოგონები? დავიჯერო, ყველას ასეთი მაღალი ხელფასი აქვს? არა! აქედან როგორმე უნდა წავიდე! თანაც აქ ლამის დოლ-გარმონზე გადავიდა მთელი ესტრადა! როკი ძალიან ცოტას აღელვებს. ელიტაში თუ არავინ გყავს, მაკარტნიც რომ იყო, ახლოს არ მიგიკარებენ! ელიტა კი ფონოგრამისტებით არის სავსე! „მარკო პოლოს“ კარებთან ორი პატარა პირდაპირ ქვაფენილზე წევს. სძინავთ სანწყლებს. ამ სიცივეში! წინ ქუდი უდევთ, შიგ რამდენიმე მონეტა გდია. მეც მოვიქევე ჯიბეები, ოცთეთრიანი აღმოვაჩინე და ქუდში ჩავუგდე. ღმერთო, უშველე ყველა გაჭირვებულს! გზა გავაგრძელე, უკვე საკმაოდ აცივდა, დავიღალე... სანამ მეორე მხარეს გადავიდოდი, კუთხეში მესაათის ჯიხური შევნიშნე, თეთრად შეღებილი. უცნაურმა წარწერამ მიიქცია ჩემი ყურადღება: „ოცნებათა ასრულება“, ფასი 1 ლარი. „ფილმია, ალბათ“ გავიფიქრე. „ძველი დისკი აქვს და იაფად ყიდის, მიყვარს ასეთი ფილმები. ვიყიდი“.

ჯიხურში თავი შევყავი. ჭალარა კაცი ჩანთაში რალაცებს აწყობდა.

— ვიკეტებით, — მითხრა.  
— თუ კარგი ფილმია, შევიძენ, — ვუპასუხე.  
— არავითარი ფილმი მე არა მაქვს — ოცნებათა ასრულება რეალურია!

— როგორ თუ რეალური? ერთ ლარად? დღეს პირველი აპრილი არაა, ბიძაჩემო... კარგი, კარგი, გილოცავ ახალ წელს! — შემოვტრიალდი, წამოსვლა დავაპირე.

— ახალგაზრდავ, თუ ერთი ლარი გენანება შენი ოცნების ასრულებაში — მიჩუქნია! წესიერ ბიჭს ჰგავხარ და ისე დაგეხმარები!

შევჩერდი. — არ ვიცოდი, რა მექნა.

უცებ გადავწყვიტე:

— კარგი! დამეხმარეთ!

— „მარკო პოლო“ ხომ იცი? კაფეა აქვე — რუსთაველზე.

— ჰო, ვიცი, ახლახან გამოვიარე იქ.

— იქ შედი. ჰოლში, პირველ სართულზე, აკვარიუმთან დაჯექი. იქ რაზეც ილაპარაკებ, ყველაფერი აგისრულდება!

— ეს ვითომ რატომ? — გავოცე მე.

— ოქროს თევზია შიგნით და იმიტომ — გამიცინა მან.

— კარგი ზღაპარი მოგიგონიათ. უკაცრავად, თქვენს გვარი შემთხვევით გრიმი ან ანდერსენი ხომ არ არის? — გადავწყვიტე, „მელადავა“ ამ უცნაურ კაცთან.

— ხომ გითხარი, შენი ლარიც არ მინდა-მეთქი. წადი იქ რამდენიმე კაცთან ან შენს გოგონასთან ერთად, თუ გინდა, მარტო, მაგრამ მარტო როგორ უნდა ელაპარაკო ოქროს თევზს? ვილაცას გიჟი ეგონები!

— კარგი, კარგი! აჰა, აიღეთ თქვენ ლარი! — რატომღაც მეგონა, როგორც წიგნებშია — მეტყოდა, როცა ოცნება აგისრულდება, წილში ჩამსვიო. გამომართვა და ცხრა ლარი ხურდა მომცა. „ცხრა კარგი ციფრია“, გავიფიქრე მე. „ათიც არ იყო ცუდი“ შემეპასუხა ჩემივე ფიქრის ფიქრი.

— მილიონად გექცეს. — გამიცინა მესაათემ. „ან ეს მესაათე აქ ასე გვიან საიდან გაიჩინა?“ გამიელვა გონებაში.



- დღეს ცოტა ხნით შემაგვიანდა! — ფიქრს მიმიხვდა მესაათე.
  - კარგი! დამდეგ ახალ წელს გილოცავ! თუ მომატყუე, ღმერთმა შეგარგოს! მიყვარს ნიჭიერი ხალხი. ბოლოს და ბოლოს — მეც სპონსორს ვეძებ!
  - ჰოდა, მიდი „მარკო პოლოში“.
  - ახლა ფული არა მაქვს, ხვალ წავალ!
  - ჰო, წინასაახალწლოდ ჯობია!
  - ვიცი, — რატომღაც დავეთანხმე.
- ეს ამბავი რომ ვინმეს მოვუყვე, იტყვიან, გიჟიარო. არადა, ახლახანს არ ვფიქრობდი ოქროს თევზზე?



სახლში რომ მივედი, კომპიუტერს მივუჯექი. უცებ ამომიგდო: „თქვენ ხართ მემილიონე ვიზიტორი! დაკლიკეთ აქ“. ვაი, თქვენ პატრონს — სწორედ რომ ვირუსებს შემოგაყვანინებთ ჩემს კომპიუტერში! მაგ ჭკუაზე ვარ! შევედი „ფეისბუქში“. „სად არის ხათუნა?“ აი, უკვე შესაძლო მეგობრებშია. დავეთანხმე მის შემოთავაზებას და მივწერე: „ძილის ნებისა, ზღაპრულ პრინცესავ, ხვალამდე“. რატომღაც არ მინდოდა დღეს მასთან კავშირი. ალბათ, დღევანდელი განცდების გაუბრალოებას ვარიდებდი თავს. ავდექი და ჩავრთე მრავალსერიანი ფილმის „ბითლზის ანთოლოგიის“ ის ნაწილი, რომელიც მათ პირველ ნაბიჯებს ეძღვნება. მართლაც რომ ფანტასტიკური ისტორიაა — მიმიქარავს კონკია და სხვა ზღაპრები! ჯონი გვიყვება: მე ჯგუფი მყავდა, „ქვორიმენი“. ბანჯოზე და გიტარაზე ვუკრავდი, სხვები კი ყველაფერზე უჩხაკუნებდნენ. — სარეცხ დაფაზე, უნიტაზის თავსახურზეც კი!.. ერთმა ჩემა ამხანაგმა პოლი მომიყვანა... ჩემზე უმცროსი იყო, რაღაცები მიმღერა. მე არ ვიცოდი ყველა სიმღერის ტექსტი თავიდან ბოლომდე, მან კი იცოდა. ასე დავმეგობრდით... და ა.შ. და ა.შ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იქ ნუთუ სხვა ნიჭიერი ადამიანები არ იყვნენ? როგორ

არა, გატენილია ინტერნეტი იმდროინდელი ჯგუფების ვიდეოებით: ეს მაინც გამორჩეულია! ესე იგი, ბედიც გინდა და ნიჭიც! არც ერთი კმარა მარტო და არც მეორე! „სკაიპი“ ახმიანდა, ვილაცა კონტაქტს ითხოვს! ნაცნობი გოგონაა, მაკა.

— ჰო, როგორა ხარ?

— მოვიდე შენთან?

— არა, დღეს არ შემიძლია, — უხალისოდ ვუთხარი მე.

— სტუმარი გყავს?

— ჰო, — ვიცრუე; აბა, იმდღევანდელ ისტორიას ხომ არ მოფუყვებოდი?

— გინდა, ხვალ სადმე წავიდე? — მკითხა მოულოდნელად.

— არ ვიცი, ვნახოთ, ვერ შეგპირდები, რალაც ვარიანტებია და... ჯერ ვერაფერს გეტყვი...

— რა ხასიათზე ხარ? უარის თქმა რომ არ იცოდი?

— უარი არ მითქვამს, — გავღიზიანდი მე. „რატომ იცის ამ ხალხმა ნათქვამში სხვა რამის ძებნა?“. — კარგი, დაგირეკავ! ახლა მეძინება, დაღლილი ვარ, — ცივად ვუთხარი და კავშირი გავწყვიტე. ღამით ქალთევზა დამესიზმრა. ჩემთან მოცურდა და მითხრა:

— მე დაგირეკავ ხვალ.

საოცარი ის იყო, რომ წყალში სუნთქვა შემეძლო! და ისე თავისუფლად, ბავშვობის მერე რომ არ მისუნთქავს! რა კარგია, რომ არსებობს სიზმრების სამყარო. ძან მაგარი გამოგონებაა! გმადლობ, ღმერთო!



შუადღემდე მეძინა. მერე თემო მოვიდა. რალაც ახალი სიმღერა მომასმენინა.

— ბიჭო, იცი, რა მინდა? — ვკითხე, როცა სიმღერა დაასრულა.

— რა, არ მოგეწონა? — ცოტა არ იყოს, ინყინა თემომ.

— ეგ კარგია, მაგრამ დღეს თავში სხვა რალაც მიტრიალებს.

— ხათუნა! გამოვიცანი?

— ჰო, ხათუნა, მაგრამ...

- რატომ, კარგი გოგოა! — გამამხნევა მეგობარმა.
- ეგ ჰო... რალაც კიდევ არის... აი, პროდიუსერიო, რომ თქვა, გახსოვს?
- მახსოვს... რა მერე? ეგ მეც გითხარი და შენც ამბობ და, საერთოდ, ყველასთვის ცნობილი ამბავია, რომ...
- არა! გაჩუმდი! ეგ სხვანაირად დამესიზმრა! მოკლედ, „მარკო პოლოში“ უნდა წავიდეთ დღეს!
- რეპეტიცია? დღეს ხომ იქვე შეგვიძლია შევუკვეთოთ რალაცები. თუ გინდა, ხათუნაც იქ მივიყვანოთ, მაკაც.
- მაკამ დამირეკა გუშინ. ეგ არ გვინდა.
- ხომ გითხარი, ხათუნა ჩაგვარდნია გულში.
- ნომერი არ ვიცი, ეგრეც რომ იყოს.
- მოკლედ, ასეთი გეგმა დავსახოთ: წავიდეთ რეპეტიცი-აზე და მერე ვესტუმროთ „მარკო პოლოს“. რა დაგვიჯდება? უხერხულად შევიშმუშნე.
- ოც ლარს გამოვართმევ ჩემებს.
- თემო ჩაფიქრდა:
- გააჩნია, რამდენი ვიქნებით. მოდი, მარტო მე და შენ წავიდეთ, რადგან ასე გინდა. მეც ვერა ვარ ფულის საკითხში მთლად კარგად!
- აი, ეს სიტყვა მომეწონა: „მთლად!“ მაგ სიტყვას თუ ამოვიღებთ, საკმაოდ ნორმალურად ხარ, არა? — წამოვიძახე მე.
- ჰო, დაახლოებით ასეა, — გაიცინა თემომ, თავისი ჰოლივუდური კბილები გამოაჩინა. — თანაც, რა უნდა ვჭამოთ და დავლიოთ მე და შენ ისეთი, რომ მაგან დაგვაქციოს!
- რეპეტიციის შემდეგ „მარკო პოლოს“ მივადექით. გარედან ბევრჯერ მაქვს ნანახი ეს ევროპული ნაგებობა, მაგრამ შიგნით არასდროს ვყოფილვარ.
- აქ ჩემი ხნის ხალხი არ დადის ან, თუ დადის, იშვიათად. უფრო ბიზნესმენები ხვდებიან ერთმანეთს — ქუჩიდან ასე ჩანს. თვალი მოვაველე მდიდრულ ინტერიერს და აკვარიუმი დავინახე, მაგიდას მივუახლოვდით და შევცბი: „დაკავებულია“ — ეწერა ფირფიტაზე.

მოგვიახლოვდა ლამაზი გოგონა.

— შეიძლება აქ დავსხდეთ? — ვეკითხები.

— თუ დიდხანს არ იქნებით...

თემომ თვალი ჩამიკრა:

— არა, დიდხანს არ ვიქნებით! — სწრაფად მიუგო და ადგილი დაიკავა.

— ბიჭო, აკვარიუმთან მე დამსვი. — ვთხოვე მე.

— კი, ბატონო! — ჩაინია და აკვარიუმს მივუჯექი.

— თევზები გიყვარს? მეც მიყვარს, მაგრამ აქედან უკეთ ჩანს. — თემომ აკვარიუმი შეათვალიერა.

— ერთსაიდუმლოს გეტყვი. არ გაიცინო. ხომიცი, ყველაფერი უნდა მოსინჯო, რაც მიზნის მიღწევას შეუწყობ ხელს.

— გარდა ერთისა! — გაიცინა თემომ.

— რა თქმა უნდა! — დაუფიქრებლად დავეთანხმე. — მომისმინე, გუშინ ერთმა მესაათემ ერთ ლარად მირჩია აქ მოსვლა: ოქროს თევზია აკვარიუმში და, რასაც თხოვ, ყველაფერს შეგისრულებსო!

თემომ გაიცინა.

— ამ თევზზე თქვა?

— ჰო, ალბათ. ეს უნდა იყოს. დიდია და ყველაზე ოქროსფერი!

— მაშ, თხოვნა პირველი! ეს პურ-მარილი ვილაცამ გადაგვიხადოს!

— მოიცა რა! — შევედავე. — ეგ რა ოცნებაა? მოდი, ლონდონში წასვლა ვთხოვოთ!

ამასობაში მოგვიტანეს არაყი, ხილი და მსუბუქი ვახშამი.

— იცი რა, ნიკა? ოცნებასაც დაზუსტება უნდა. ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, უფროსია ჩემზე, მილიონი ვთხოვე ღმერთს და მომცაო, ოღონდ კუპონებითო! არადა, მილიონი ერთი დოლარის ტოლი იყო მაშინ!

— ესე იგი, დავაზუსტოთ! ოქროს თევზო! გაგვიშვი ლონდონში, რათა მუსიკით თავი გამოვიჩინოთ და თავიც ვირჩინოთ!

— ეჰ, ოცნებაც არ შეუძლია ქართველ კაცს!

— ოქროს თევზო, ვარსკვლავებად გვაქციე, მსოფლიო ვარსკვლავებად! გაიგე? სულერთია, რომელ დარგში — მუსიკა იქნება, კინო თუ ტელევიზია!

— აი, კუდიც გაგვიქნია, რაც თანხმობის ნიშანია!

ასეთ საუბარში ვართ, რომ კარი გაიღო და ხათუნა ვიღაც გამხდარ, მდიდრულად ჩაცმულ, გრძელპალტოიან ქალარა კაცს შემოჰყვა.

მე ცივმა ოფლმა დამასხა: „საყვარელია!“ გამიელვა უცებ.

ხათუნა შორიდან მომესალმა. ქუჩის მხარეს, ვიტრინის ქვეშ მდგარ მაგიდას მიუსხდნენ.

— ესეც შენი ოქროს თევზი. — დამცინავად მითხრა თემომ.

— შოკში ვარ, — ჩავჩურჩულე მე.

— ნახე, ბიჭო, ვინ ჩაიარა? — უცებ ვიტრინისკენ მიმახედა თანამესუფრემ.

— ვინ?

— ვინ და ბიძაჩემმა, ახლავე შემოვიყვან! — თემო გარეთ გავარდა. ცოტა ხანში 45-იოდე წლის მამაკაცთან ერთად შემოვიდა.

— გაიცანი, დათო ბიძია, ეს ჩემი ძმაკაცია, ნიჭიერი მუსიკოსი, მომღერალი ნიკა!

— ოო, სასიამოვნოა; ბიჭებო, აქ რა გინდათ? ნავიდეთ, ერთი ტაშხოშიანად ვიქეიფოთ... შინდისში ან ტაბახმელაში...

— არა... არა, გმადლობთ, აქ ვიქნებით, — უხალისოდ ვუთხარი მე.

— კარგი, მაშინ მეც აქ დავჯდები! რა შევუკვეთოთ?

— გენაცვალე, — დაუძახა მიმტანს, — ერთი, მოგვხედე!

ლამაზი გოგონა მოგვიახლოვდა.

— კაი მწვადების მაგვარი რამეები გაქვთ?

— კი! სტეიკი გვაქვს იტალიურად შემწვარი. ხორცი გვაქვს თავისი გარნირით.

დათო ბიძიამ თვალეები მოწკურა და ისე გადმომხედა:

— რომელი ჯობია?

მე რა ვიცოდი, მაგრამ მაინც ვუთხარი:

— სტეიკი იყოს!

მან კი ყველაფერი მოატანინა — ხაჭაპურები, თევზბუცი... მოკლედ — ქეიფი გაჩაღდა.

თემო ჩემკენ გადმოიხარა და ეშმაკურად მითხრა:

— მგონი, ოქროს თევზმა პირველი სურვილი აგვისრულა  
— ბიძაჩემი გადაიხდის ყველაფერს!

— მართლა? — რალაც მძიმე ლოდი მომეხსნა. არ ვიცი, ის გამიხარდა, რომ ჩვენ არ ვიხდიდით, თუ ის, რომ ოქროს თევზმა პირველი სურვილი აგვისრულა და თავი არ შეირცხვინა.

— ბიჭო, კაი ჯიპი ხომ არ ვთხოვოთ? — გაიცინა თემომ.

— ჯიპს ვერ შეგპირდები, ძმისშვილო, მაგრამ ერთი კაი მანქანა, ასე ათი წლისა, ჩემზე იყოს ამ ახალ წელს! — ხელი დაარტყა დათო ძიამ მხარზე.

სულ გავვიყუდი!

— ბიძაჩემი სიტყვის კაცია. მოდი, მოვუყვებთ ოქროს თევზის ამბავი!

ისეთ კარგ გუნებაზე ვიყავი, ვუთხარი, აგე, აქ ოქროს თევზი გყავს-მეთქი. ისიც დავძინე, თემურმა სუფრის გადამხდელი ინატრა და ეგ რა არის — უკვე მანქანაც დაირტყა-მეთქი.

დათო ბიძიამ ორთავეს გადმოგვხედა:

— შეიძლება, მეც ვთხოვო?

— რა თქმა უნდა, — გავთამამდი მე.

— ოქროს თევზო! იმდენი მომეცი, რომ ყველას გამოვადგე.

— აბა, შენ იცი! — თითი დაუქნია თემომ ოქროს თევზს.

— რა მაგის პასუხია და ჯეკპოტი, მე მგონი, ახალ წელს გათამაშდება! ასე მგონია!

— ეგ „ჩანყობილი“ იქნება...

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს, — ხატოვნად ვთქვი მე. — ჩვენ უკვე „ჩავანყვეთ“ ოქროს თევზთან.

ხათუნა და მისი თანმხლები მამაკაცი წამოდგნენ. ხათუნამ თავი დამიკრა და გარეთ გავიდნენ. მიმტანმა კარებამდე მიაცილა წყვილი. „ანგელოზი და მოხუცი!“ — გავიფიქრე. ცინიკურად განვეწყე:

— აი, ვისაც ფული აქვს, იმათთან დადიან ასეთი მშვენიერი გოგონები! ამის დედა ვატირე!

ლამის ცრემლიც მომადგა...

— ერთი მაგისიც... დაიკიდე!.. მოდი, იმ მაკას დავურეკოთ, მოვიდეს.

ნომრის აკრეფა დავინყე, ისე, უგულოდ, სად მაკა და სად ის... ხათუნა! ამ კაცის ნახვამ სულ დაამსხვრია ჩემი ოცნება: სად მე — სად ის!

— გოგონებიც, დაქალებიც წამოაყვანივე, — ჩამძახოდა დათო ბიძია, თვალები სურვილისგან უელავდა.

— მაკა, გამარჯობა. ნიკა ვარ! ჰო... აი ახლა მოვიცალე და „მარკო პოლოში“ გეპატიჟები! ჰო, ორი დაქალიც გამოაყოლე!

— სპონსორი იშოვეთ? — მკითხა მაკამ.

თემოს თვალი ჩავუკარი:

— ჰო, სპონსორი ვიშოვეთ.

ვიღაც სამი მამაკაცი შემოვიდა. მოშორებით დასხდნენ, ყავა მოითხოვეს და ჩუმი საუბარი წამოიწყეს. დათო ძიას არ შეუნიშნავს.

— მოდი, ახლა ქალები რომ მოვლენ, სხვაგან წავიდეთ!

— კი, ბატონო! — უკვე საკმაოდ მომეკიდა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი.

— ბიჭო, თავი სიზმარში მგონია, — მითხრა თემომ.

— მართლა გიყიდის მანქანას? — ჩავეკითხე.

— ასპროცენტებიანი! — დამიდასტურა დათო ბიძიამ.

— მე მინდა, მესაათის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ.

— მესაათე კი არა, ჯადოქარი ყოფილა, — მითხრა თემომ.

— რომელ მესაათეზე ლაპარაკობთ? — გაიკვირვა დავითმა.

— ეს უკვე საიდუმლოა. ეს ჩვენ ვიცით, ბატონო დავით, მხოლოდ ერთს გეტყვით, ოქროს თევზის ამბავი მან მითხრა, ახლა — ვინ არის და სად მუშაობს, ნუ მკითხავთ! — გაფუცინე დათო ძიას.

— ბიჭებო, თქვენ ვინც კარგად მოგექცევათ, ყველას გაუმარჯოს, გინდ მესაათე იყოს, გინდ მექისე, გინდ პარიკმახერი!

— მეთევზე არ დაგავინყდეს, ძია, მეთევზე! — შეუძახა თემომ.

— აბა, მეთევზის გარეშე საქართველო, თბილისი, ფიროსმანი, ღვინო, ღუდუკი, ქალები ვის გაუგია?... „ქალები“ თქვა თუ არა, სამი გოგონა შემოვიდა კაფეში, აქედან ერთი მაკა იყო.

— ნახე, ბიჭო, სიტყვა არ დამიმთავრებია და ეს ნატვრაც არ ამიხდა? მოდი, გოგონებო, თქვენ გენაცვალეთ! — გაიხარა თემოს ბიძამ.

— აბა, გაიცანით! ეს მაკაა, ეს... — წამოიწყო ძმისშვილმა.

— თაკო და თიკო! — დაასრულა მაკამ.

— თქვენ გენაცვალეთ! — აღტაცებით გაიძახოდა დავითი.

— თაკო, თიკო, მაკა... იაპონურ პოეზიას ვკითხულობ ნაღდად!

გოგონები მოკალათდნენ, რალაცები შეუკვეთეს. იმ მაგიდისკენ გავიხედე, სადაც სამნი ისხდნენ. აღარავინ იყო — წასულან.

— რას დალევთ, გოგონებო, შამპანურს? — ხელები გაშალა დავითმა.

— აუ, ახლა ვფიქრობდი, ნეტა, შამპანურს თუ დამალევილებენ-მეთქი! — შეჰკვივლა თიკომ თუ თაკომ, ჯერ ვერ დავიმახსოვრე.

— ესე იგი, ფიქრებსაც ასრულებს? — გაცებით გადმომხედა თემომ. — თევზი კი არა, ჯინი ყოფილა!

— ოქროს თევზზე ერთი ანეკდოტია, უფრო სწორად, მთელი ციკლია, მამაჩემმა მიაბო. — წამოვიწყე მე: საბჭოთა რუსმა დაიჭირა ოქროს თევზი. თევზმა უთხრა, ვანია, ნუ მომკლავ და სამ სურვილს შეგისრულებო. აბა, ერთი კასრი ლუდი გააჩინეო, უთხრა ვანიამ. თქმა არ იყო და კასრი ლუდი გაჩნდა. მეორე სურვილი რა იქნებო, — იკითხა საცოდავმა თევზმა. რუსმა შეხედა თევზს, მერე ლუდს, მოკიდა თევზს ხელი და თავის რტყმევილება დაუწყო...

დათო ბიძიამ გაიცინა, სხვები ვერ მიხვდნენ.

— რატომ? — მკითხა მაკამ.

— იმიტომ, რომ მეორე სურვილი თევზი ჰქონდა ლუდზე — თევზი! გასაგებია?

— ააა... მერე ვერ ჩაუთქვა? — გაიკვირვა თიკომ.

— თქვენც მაგრები ხართ, რა. ანეკდოტია, — წამომეშველა თემო.

— ჩათქმასაც ნიჭი რომ უნდა, მაგაშია საქმე!

— მოდი, ჩვენი ნატვრების ასრულება იყოს!



აღმოჩნდა, რომ ყველას ბევრი ფული და ჯანმრთელობა უნდოდა და კარგი ბედი.

რა თქმა უნდა.

— თქვენი თხოვნები მიღებულია! — განვაცხადა მე.

— ახლა კი აქედან წავიდეთ, — თქვა დათო ძიამ. — სად წავიდეთ? — ყველას მოგვმართა.

— კაზინოში! — თქვა თიკომ თუ თაკომ.

— წავედით!

დაღლილი ვიყავი, მაგრამ რა გაენყოზოდა, გასასვლელისკენ დავიძარით. დათო ძია ბარმენტან მივიდა, უცებ გამობრუნდა და თემოს რაღაც ჩაულაპარაკა. გარეთ გამოვედით, „ლენდ კრუიზებით“ აღმოჩნდა დავითი. ყველანი ჩავეტიეთ, ის კი არადა, ერთი-ორი კაცი კიდევ ჩაეტეოდა. თემოს ვკითხე:

— რა გითხრა გასასვლელში? ძალიან ძვირი უთხრეს?

— გაგიჟდები! ფული არ გადაახდევინეს — თქვენი გადახდილიაო, ასე უთხრეს.

— ააა, მივხვდი! მის ზურგს უკან სამი კაცი იჯდა, ერთერთმა იცნო, ალბათ.

— მეც ასე ვიფიქრე! ხედავ, რა კარგია, კარგი ძმაკაცები რომ გყავს? — მრავალმნიშვნელოვნად მითხრა თემომ.

— ოქროს თევზს წყალში ჩაუყარე ხომ პატივისცემა?

— ეჰ, ნეტა, მართლა იყოს! — ნალვლიანად თქვა თემომ.



კაზინოში შესვლა ერთი პრობლემა აღმოჩნდა. ისე არ გვეცვა, როგორც აქაურობას შეეფერებოდა, არც სანდო კლიენტებს ვგავდით. ბოლოს, როგორც იქნა, დავითმა დაარწმუნა ფეისკონტროლის ხალხი, რომ მას ფული აქვს, ბიზნესმენია და ჩვენ, უბრალოდ, გვეპატიჟება. სადმე კუთხეში დასხდებიანო, უთხრა.

როგორც იქნა, შევედით. საკმაოდ მომხიბვლელი გოგონები იყვნენ კრუიზები. ხან ერთისკენ გამექცა თვალი, ხან მეორისკენ, მაგრამ ხათუნას მაინც არც ერთი ჯობდა! მაკამ ჩამილაპარაკა:

— „ფიშკები“ გამოართვი მაგ ბიძას! მაყუთიანი კაცი ჩანს!

— მე როგორ ვუთხრა, თუ თვითონ არ შემომთავაზა? — სიტყვა დამთავრებული არ მიქონდა, თემომ ხუთ-ხუთი „ფიშკა“ დაგვირიგა, თითო — ხუთლარიანი.

გოგონები ანკვიტინდნენ და რულეტისკენ გაიქცნენ. დათო ძია და თემო პოკერის მაგიდისკენ წავიდნენ, მე, პოკერის უცოდინარი, ქალებს გავყევი.

აქ კრუპიე კაცი იყო. ოსტატურად დაატრიალა ბურთულა და ფსონების დადება შემოგვთავაზა. მე ავიღე და ხუთივე ჟეტონი ჩემი დაბადების რიცხვზე — ერთიანზე დავდე. დიდხანს იტრიალა თუ ცოტა ხანს, ბურთულა ბოლოს 1-იანზე დადგა! ჩემი ჟეტონები დამიბრუნეს და ზედაც მოგებული დაამატეს — 40 ჟეტონი უკვე 200 ლარია! ხუთჯერ — 1000! მოვკიდე ხელი ამ ჟეტონებს და სალაროსკენ გავემართე.

— რას შვრები? — დამეტაკა მაკა — მაგით რამდენს მოიგებ, იცი?

— ერთიანი მეტი არ მოვა და სხვა მნიშვნელოვანი რიცხვი არ ვიცი... — მრავალმნიშვნელოვნად ვუთხარი მე.

— მაინც რა რიცხვია ასეთი? — გამომაჯავრა მაკამ.

— უბრალოდ, ჩემი დაბადების დღეა.

— მაშ, მეც ასე ვიზამ! — მაკა რულეტისკენ შეტრიალდა. როგორც მოსალოდნელი იყო, არც ერთხელ არ მოვიდა მისი დაბადების დღის რიცხვი.

— მოდი, კიდევ მომეცი, რა? — შემეხვეწა უიღბლო მოთამაშე გოგონა.

— იცი, რა? გიტარა მაქვს საყიდელი და ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებ!

— გიტარას მე გიყიდი, ოღონდ ახლა მომეცი „ფიშკები“.

— არა! ეს იქნება ჩემი მხრიდან გაუაზრებელი სულელური ნაბიჯი! — დიდი კაცით, მამაჩემით ავლაპარაკდი (არადა, ვიცი რომ წააგებს და მერე ეგ რისი გიტარის მყიდველია — ერთი „ფიშკის“ ფული არა აქვს ჯიბეში).

— არა, ხომ?

— არა!

— მაშინ შენ რომ გინდა, მე იმაზე გეტყვი უარს!

— ძალიან კარგი! — ვუთხარი მე. — ისედაც არ ვარ გუნებაზე. კარგად იყავით!

წამოვედი.

— სულელი ხარ! — მომაცხა ხმამაღლა. ყველამ ჩვენ გამოგვხედა. თემოსთან მივედი.

— თემო, ამათ თქვენ მიხედეთ, რა. 1000 ლარი მოვიგე და ხომ იცი, გიტარა რომ მჭირდება... შენს სახელზე ვიყიდი.

— ვაა, ყოჩაღ, ჯიგარო. ესე იგი, შენც მოარტყი, არა?

— ჰო, წავალ და ხვალისთვის მოვემზადები. ხვალ 31 დეკემბერია და კარგად უნდა დავუკრათ. შენც მალე წადი.

— რა ვიცი, როდის წამოვა ეს და ესენიც... კარგი, კარგი, წადი!

— გმადლობთ, თემო. ცოტას წავუძინებ...

— კაი ბიჭია, — გავიგონე დათო ძიას ბოხი ხმა. ალბათ, ჩემი მისამართით თქვა. „ღმერთმა გაგახაროს, დათო ძია“, გავიფიქრე მე.

ტაქსით წავედი სახლში. რა კარგია, როცა არ ფიქრობ, ტაქსისტმა იმდენი არ მომთხოვოს, რომ გადახდა არ შემეძლოსო. „იმ გოგონებმა რატომ ვერ მოიგეს?“ „ალბათ, მარტო გათხოვებაზე ლაპარაკობდნენ“ ვუპასუხე ჩემივე შეკითხვას.



ამდენი ფული სიცოცხლეში არ მქონია. კარგ გიტარას ვიყიდი. „ოვეშენს“ ან „ფენდერს“.. ისე, რამდენიმე „ფიშკა“ კი უნდა დამეტოვებინა მათთვის. რაღაც უსიამოვნო შეგრძნება მაქვს, ალბათ, სინდისს რომ ეძახიან, ის მანუხებს. შემეშინდა, არ ჩავეთრიე ამ მოგებას და სულ არ წამეგო. როგორმე გამოვასწორებ ამ უსიამოვნო შემთხვევას: რაღაც საჩუქარს ვუყიდი! ჰო, შევალ „ვულე ვუმი“ და სუნამოს ვუყიდი მაკას. გაუხარდება, ალბათ! ასე ვეტყვი: მთვრალი ვიყავი და შევშინდი-მეთქი. ის მეტყვის, სიმთვრალეში უფრო რისკიანია ხალხიო, მე ვეტყვი... რას ვეტყვი? მე ვეტყვი, არც ისე მთვრალი ვიყავი-მეთქი, იმი-

ტომ, რომ დღეს უმნიშვნელოვანესი გამოსვლა გვაქვს და ხმას ვუფრთხილდებოდი, ცოტას ვსვამდი-მეთქი და მართალიც ვიქნები, სხვა შემთხვევაში იქიდან ასე ადვილად ვერ წამოვიდოდი! აი, ახლა ავდგები, დილის ტუალეტს მოვრჩები (უკვე 12 საათია!), „ვულე-ვუში“ წავალ, მერე „მი ფა სიში“ ან პირიქით (ჯერ თავო და თავოო!), გიტარას ვიყიდი, მერე დავურეკავ მაკას, ბოდიშს მოვუხდი და დავასაჩუქრებ. მშვენიერი ახალი წელია! ბონ ანე! ჰეპი ნიუ იარ! და, თუ გინდათ, სწოვინ გოდომ! ამაზე გამახსენდა: წელს პირველად არ გაუშვეს „სლიოხკიმ პარომ“. მთელი ბავშვობა ყველა არხზე მაგას უშვებდნენ. „ასეა, ომიც უნდათ მოგვიგონ, „დაგვანმორონ“ და „სლიოხკიმ პარომსაც“ ვუყუროთ! გაუმარჯოს „მარტოს სახლში!“ მგონი, მეც მარტო ვარ, არავისი ხმა არ მესმის!“ აბაზანაში შევედი თუ არა, მობილური ანკრიალდა. უფრო სწორად, „ამღერდა“ გამოვედი და აპარატი ავიღე.

— ჰაი!

— როგორა ხარ? — თემო იყო.

— კარგად, კარგად! ფანტასტიკური ღამე იყო. რა გიტარას დავირტყამ? ახლა მალე გავალ, თუ გინდა, შენც გამოგივლი და ერთად წავიდეთ. — სხაპასხუპით მივაყარე!

— გუშინ, იცი, რა მოხდა?

— არ ვიცი, დიდხანს გააგრძელებ?

— თითომ თითო მანქანის ფული მოვიგეთ!

გავშრი.

— რას ღადაობ?

— ჰო, ზოგმა შვიდი, ზოგმა 10, დათო ძია არ მოეშვა და 50 000 ლარი მოიგო!

საწოლზე დავეშვი. მე მგონი, შოკში ჩავვარდი, ხმას ვერ ვიღებდი კარგა ხანს.

— ნიკა, ნიკა!

— ჰო, მომილოცავს, თუ არ ღადაობ!

— ვღადაობ კი არა, დღეს დათო — ბიძაჩემი, კლუბში გვეწვევა და მოგვისმენს, გაიგე?

წარმოუდგენელი იყო!

— გოგონებს, ფიშკები რომ აღარ ჰქონდათ?

— დათო ძია ეხმარებოდა. ხან აგებდნენ, ხან იგებდნენ, ბოლო-ბოლო გათენებისას მოიგეს! — გული დამწყდა არ ჰქვია ამას — ისეთი საშინელი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რაღაც ჩამწყდა: ესე იგი, დებილი ვარ! ოქროს თევზმა ყველა სურვილი შეასრულა და მე ვერ გავრისკე! ერთხელ მომეცა შანსი და მაშინ ვერ გავრისკე! თფუ! მაგის დედაც!..

— ნიკა, მომისმინე! შენ რომ არ იყავი, არაფერს ნიშნავს, გაიგე?

— როგორ? — ავლელდი მე.

— დათო ძიამ თქვა დისკს გაგიკეთებთ, კლიპს გადაგიღებთ და მოგხედავთო, ვობშემ!

ძალები მომემატა, ეს მაგარი ინფორმაცია მივიღე!

— დაგლიჯა, ბიჭო! აუუ, რა მაგარია! ბიჭო, ხომ მართლა ვიყავით კაზინოში, ხომ არ მესიზმრა?

თან შარვლის ჯიბეები მოვქექე. კი! აქ დევს 1000 ლარი! აუუ...

— ახლა მომისმინე, მე გამოგივლი და გიტარა ერთად შევარჩიოთ, მეც ვიყიდი ერთს ჩემთვის და ბასიც გამოვცვალოთ, მოკლედ — ბიჭებიც გავახაროთ!

— მაგარი კაცი ხარ! მაგარი! — მთელი ხმით ვყვიროდი.

— ბიჭო, მაგარი მე კი არა, შენ ხარ, შენ არ მიგვასწავლე ის ოქროს თევზი?

უცებ დავსერიოზულდი:

— ჰო, ეგ პონტი მე ავაგდე! ესე იგი, ეს ამბავი მართალია!

— გადაჭრით ვთქვი მე.

— მართალია და დათომ, იცი, რა თქვა? აწი ყოველთვის „მარკო პოლოში“ ვივლიო!

გამეცინა. „მეც ასე ვიზამ“ — გავიფიქრე. კომპიუტერს მივუჯექი. ეზოთერული, იდუმალი რაღაცები მიზიდავს. არც ისე მარტივად უნდა იყოს ყველაფერი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს! მაგალითად, აი, ეს მიკროსკოპულად შესწავლილი წყლის წვეთი, რომელიც წყაროს წყლის ნაწილაკია, როგორ იცვ-

ლის ფერს, მიმოხრას, კონფიგურაციას იმისდა მიხედვით, თუ რა ხმები ესმის! ფლეიტის ხმაზე ნელი, ნარნარი მოძრაობით ფიფქის ფორმას იღებს; ხმამალალი ლაპარაკისას, როგორც კუ შეყოფს ბაკნის ქვეშ თავს და კიდურებს, ისე იკუმშება, თითქოს თავის დაცვას ცდილობს; ბეთჰოვენის მუსიკაზე რალაც ენერგიულ ბრუნს აკეთებს, თითქოს ცეკვავს, ხოლო სიტყვაზე „ჰიტლერი“ საშინლად შავდება და მახინჯ, აწენილ ფორმას იღებს! აი, რა არის საოცრება! იმ დღეს მამაჩემმა მითხრა — ქართულ ენაში რომ ყველა საიდუმლო ინახება, იმითაც დასტურდება, რომ ჩვენ ღმერთს „შენყალებას“ ვთხოვთ და მიუსაფარს, გაჭირვებულს „საწყალს“ ვეძახით. ოდითგანვე იცოდა ჩვენმა წინაპარმა, რომ წყლისგან ვართ შექმნილი! ახლა ეგ ნამეტანია, მაგრამ რა იცის ამ წყლის წვეთმა, ვინ იყო ჰიტლერი? და, თუ ჩვენ წყლისგან ვართ, ანუ უმეტესი წილი ჩვენი სხეულისა წყალია, ალბათ, იმიტომ არ გვსიამოვნებს ჩვენს მიმართ გამოსროლილი ცუდი სიტყვები! უცებ ოქროს თევზი გამახსენდა: რომ ვლაპარაკობდით კაი-კაი რალაცებს, წყალი დაგვეხმარა? არა! უკვე შევტოპე! იქ იმდენი ხალხი ჯდება და სხვაგანაც... წყაროებთან ქეიფობენ, ზღვისპირას, ჩანჩქერთან... ყველას ხომ არ უსრულდება სურვილები? მოიცა... მოიცა... ღვინო? ღვინო ხომ იგივე წყალია? ოოო... რა იდეა მომივიდა! გაგიჟდება მსოფლიო! ქართველები რომ სადღეგრძელოს ამბობენ, ერთმანეთს სიკეთეს უსურვებენ, მერე ეს სიკეთით დამუხტული სითხე სხეულში ჩაედინება და უკან უბრუნდებათ თავიანთი კეთილი სურვილები! ბიჭოს, წერა ვიცოდე და მეცნიერი ვიყო! რა მინდოდა თეატრალურში, მთელი საქართველო რეჟისორი და არტისტი ხომ არ იქნება? წამოვდექი. „მამას ვეტყვი“, გავიფიქრე. ალბათ, ასე წამოდგა ჯორდანო ბრუნო, როცა დარწმუნდა, რომ დედამინა ბრუნავდა! მე მასავით წამდვილად არ დამწვავენ, უბრალოდ, გაიცინებენ, ამ ღლაპს ეს რა სისულელე მოსვლია თავშიო! ჯორდანო ბრუნოზე ერთი ანექლოტი გამახსენდა, უფრო სწორად, ფილოსოფიური გამონათქვამი:

ჯორდანო ბრუნოს ძმამაც იცოდა, რომ დედამინა მრგვალი იყო და ბრუნავდა, მაგრამ მას ცოლ-შვილი ჰყავდაო. სასაცილოც არის და დამაფიქრებელიც. ანუ, კაცმა მანამ უნდა „გარეკო“ — ყველაფერი მოასწრო, სანამ დაცოლშვილდები, თორემ მერე... პასუხისმგებლობა და სხვა მოსაწყენი რამეები იწყება! დედაჩემი შემოვიდა:

— კარგი ამბავი გითხრა? — რაღაც ისე მიღიმის, უბრალო ამბავი არ უნდა იყოს.

— ჰო, — მხოლოდ ეს გავიმეტე.

— სოსოს და მანანას ნათესავი ქალი ინგლისში ცხოვრობს...

— მერე? — ვითომ უხალისოდ გავანწყვეტინე.

— ამათთან ყოფილან ჩამოსულები ეს ქალი და მისი მეუღლე, მოკლედ, მთელი ოჯახი, ერთხელაც შენზე უამბნიათ, რომ კარგი მუსიკოსი ხარ და ინგლისში გინდა წასვლა!

— მერე? — ველარ ვითმენ, ისე მინდა გავიგო, რა მოხდა მერე.

— ამ დილით დამირეკა იმ ქალმა ინგლისიდან და ასე მითხრა, მოვისმინე ჩანაწერები და ძალიან მომეწონაო! აი! მე რომ არ გყავდე... ხომ ხედავ, როგორი პროდიუსერი ვარ? — ნაიკეკლუცა დედამ. რა ქნას დედაჩემმა, ძველი თაობაა: არსად წასვლა არ უნდოდა, არავითარი რისკი. გაჰყვა მამაჩემს და გვივლის ყველას! თუმცა, ფორმაში რომ ჩადგეს, ბევრს აჯობებს!

— ეს არ ჰყოფნის, — ნაწყენი კილოთი ვუთხარი მე.

— ვიცი, იმ ქალმა თქვა, რომ მაგარ მუსიკოსს იცნობს, რომელსაც მალე მოასმენინებს ამ ჩანაწერებს...

— კარგი, კარგი, რომ მოასმენინებს, მერე ვილაპარაკოთ!

დედა გაბრუნდა, არაფერი თქვა. სამზარეულოდან მისი გაურკვეველი ბუზლუნი მესმოდა. „რატომ ვარ ასეთი?“ გავიფიქრე. არადა, ნამდვილად სასიამოვნო ამბავი იყო, ვინ იცის, იქნებ იმ კაცმა მიმიწვიოს ლონდონში... უცებ ელდა მეცა: „ლონდონში?“ „ლონ...“ „ოქროს თევზი!“ გამიელვა აზრმა: მგონი ოქროს თევზი „ამუშავდა!“ აბა, სად გაგონილა, სუფრაზე ნათქვამი ერთი თვის მერე ვინმეს გახსენებოდეს, ინტერნეტში შესულიყოს, სიმღერები მოესმინოს და, რაც მთავარია, დაერეკოს! თავისი ფული დაეხარჯოს! ღმერთო! ეს რა საოცრებაა!

თემოსთან ერთად მუსიკალურ მაღაზიაში წავედი. იქ ნაცნობები მუშაობენ, კი არ მუშაობენ, მათი მაღაზიაა. ძმები არიან, დიასამიძეები. ერთი მათგანი — ზურა, მუსიკოსია და მულტიფილმებს იღებს, მეორე — დათო ბიზნესმენია. არაჩვეულებრივი მაღაზია აქვთ. მამას იცნობენ და ყოველთვის კარგად მხვდებიან. ახლაც ასე დაგვხვდნენ — ყველა მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეები გაგვაცნეს და რჩევაც მომცეს, ჩემთვის რომელი აჯობებდა. ბონგიც ვიყიდეთ, ბასგიტარაც ჯგუფის ბიჭებისთვის.

— დღეს მაგრად უნდა დავუკრათ, — მითხრა თემომ, გარეთ რომ გამოვედით.

— ჰო, ახალი წელია და კარგი კონცერტი უნდა დაგვებდოს!

— იმედია! ნეტავ, ბევრი ხალხი იქნებოდეს!

— დათო ძია ხომ მოგყავს? — ვკითხე თემოს.

— აბა, ამ საღამოს სხვაგან სად წავა. როკზე არ გიჟდება მაინცდამაინც, მაგრამ ჩვენი ხათრით...

— გამაგიჟებს ეს ხალხი! — შევანყვეტინე მე. — რა სიამოვნებას იღებენ ამ ზურნა-დუდუკების და დოლ-გარმონის ჭყვიტინში. სუფთა სტამბოლია, რა... მე რატომ არა ვარ ასეთი? — მოულოდნელად ვკითხე მეგობარს.

— რა ვიცი! არც მე არა ვარ! არა, ისე ჩვენში რომ დარჩეს, ერთი ორი სიმღერის მოსმენა შემიძლია, მაგრამ მერე...

— წინათ თურმე როკისტების გიჟდებოდნენ თბილისში, — ნამოვინყე ყურმოკრული ამბავი. — აი, ეს ქოჩაროვი როა, ნიკა —

— ჰო, რა მერე?

— მამამისი თურმე დარბაზებს ჭედავდა, რა ერქვა? გამახსენდა: ვალერი, ვალერი ქოჩაროვი.

— და ის კიდევ... ბაჩი! ქიტიაშვილი! — შემახსენა თემომ.

— რა მოხდა მერე ასეთი... დამოუკიდებლები გავხდით და მაგან ჩამოგვარჩინა?

— პოლიტიკა რა შუაშია! წავიდა მოდა! ხალხს ქეიფი უყვარს! დათოს, ბიძაჩემსაც და ყველა მის ძმაკაცს, ერთი კაი შალახო ურჩევნია მთელ როკენ-როლს! თუმცა, არც ისეთი



ჩამორჩენილი ტიპია, „ლედ ცეპელის“ უსმენდა ადრე, „ჩიკაგოს“ „ქვინს“, მაგრამ მერე, წლები რომ მოემატა, მოუშვა ღიპი და მორჩა! ანუ, ქართულ მამაპაპურ რელსებზე შედგა.

— საშინელებაა, აქედან უნდა წავიდეთ! იცი, რა შანსი ირითება? — გამახსენდა უცებ დილის ამბავი.

— რა? — თვალები გაუფართოვდა თემოს.

— რა და დარეკეს ინგლისიდან! ჩვენი სიმღერები მოუსმენია ერთ ქართველ ქალბატონს და ახლა პროდიუსერს უნდა მოასმენინოს!

— ვაუ! ღმერთით, ეგება გამოვიდეს, ბიჭო! აუ, რას დაგლიჯავს...

— „ის“, ხათუნა აღარ გინახავს? — შემომამპარა კოლეგამ.

— ერთი მაგის... აღარც მაინტერესებს — ერთი ეს საქმე გამოვიდოდეს, მილიონს ვიშოვი და მერე ნახავს ეგ ბოზანდარა!

— კაი რა! არ გინდა ეგეთი მწარეები! რა იცი, ვინ იყო ის კაცი? — პრინციპში მართალი იყო, არ ვიცი, ვინ იყო ის კაცი, მაგრამ რაღაც არ „დამევასა“.

— ვინ იყო და მაყუთიანი იობარი! ვინ იქნებოდა? — წამოვიღრინე მე.

— ისე, ჩვენში დარჩეს, არ ჰგავს ეგეთ გოგოს: ძან განათლებულია, არტისტული, მაგარი ჯიშის ფინიაა — ასე არ გაბანძდებოდა! ჩემი აზრით, რა თქმა უნდა.

გამომცდელი მზერა მომაპყრო.

— მერე, ის კაცი ბებერი იყო თუ არა... ჯიშისანი ნამდვილად იყო! მაღალი, სიმპათიური, პლუს — ფულიანი! მეტი რა უნდათ მაგნაირ სულით ბოზებს!

უკვე ვყვიროდი, გამვლელები უკან იხედებოდნენ — მათვალთვლებდნენ, როგორც რომელიმე ექსპონატს, თითქოს თვითონ არ ყვიროდნენ ასე და ვითომ ეს ქუჩა დროებით მიყუჩებული საგიჟეთი არ იყო!

— კარგი, კარგი, ნუ ყვირი! იოგები დაგიზიანდება! — გამაფრთხილა თემომ.

ამ სიტყვებმა გამაჩუმა. ნამდვილი პროფესიონალი ვარ — სული ყვიროდა, მაგრამ ხმა აღარ ამომიღია, რადგან ზუსტად მაგნაირების ჯინაზე უნდა ვიმღერო მაგრად!



11 საათზე კლუბი თითქმის სავსე იყო. ძირითადად ნაც-ნობები, ანუ ისინი, ვინც ხშირად გვსტუმრობდნენ სხვადასხვა დროს, დღეს კი ყველანი ერთად მოვიდნენ. დათო ძია მეუღლესთან, სიმპათიურ დეიდასთან ერთად მობრძანდა. ყველაზე კარგ ადგილას დავსვით.

— აქედან უკეთ ჩანს, — მოეფერა თემო.

სალამოს წამყვანმა ცოტა ილაპარაკა იმაზე თუ რა ბედნიერებაა, რომ ახალ წელს ამ კლუბში ვხვდებით ყველანი და აი, ნახავთ, თუ სხვა გასართობ ადგილებზე უკეთესი სალამო ჩვენთან არ იყოსო!

საწინააღმდეგო არავის არაფერი ჰქონდა და კანტიკუნტად ტაშიც გაისმა. შემდეგ ჩვენ გამოგვაცხადა. მე ლენონის სიმღერით დავიწყე — „ქრისმას“. ეს მელოდიური და კარგი სიმღერაა, თანაც საახალწლო... დიდი ყურადღებით გვისმენდნენ, ბიჭები „ბექებ“ მღეროდნენ. თვალეში პროჟექტორი მანათებდა და თითქმის ვერავის ვხედავდი, ისინი კი წამდვილად კარგად გვხედავდნენ — მაყურებლები. უცებ ამ ნახევრად ბრმა მდგომარეობაში ნაცნობი წყვილი დავლანდე!: ხათუნა და ის კაცი ფეხაკრეფით დადიოდნენ, ადგილს ეძებდნენ. არ ვიცი, რა გრძნობა ჰქვია იმას, რომელიც დამეუფლა: სიამაყის თუ საკუთარი თავის მნიშვნელობის შეგრძნების, მაგრამ ის კი ვიგრძენი, რომ მესიამოვნა! „რატომ მოვიდა“? სიმღერაზე აღარ ვფიქრობდი, ისე, სასხვათაშორისოდ დავამთავრეთ! ძალიან ცხელი ტაში კი იყო!

— ახლა მინდა, ჩვენს ქერათმიან გოგონებს ვუძღვნა ეს სიმღერა, — ვთქვი მე ინგლისურად.

— ხათუნა დაინახე? — ჩამჩურჩულა თემომ. თვალეებით ვანიშნე, კი-მეთქი. — „ლავ მი თენდერ“ — ხმადაბლა ჩავულაპარაკე ბიჭებს. მიყვარს ელვისის ეს სიმღერა, არ ვიცი, რამეს მაგონებს თუ მომავლის სურათებს მიხატავს. გიტარის სიმებს ოდნავ ვეხებოდი, ძალიან ჩუმად, თითქმის ჩურჩულით დავიწყე. ვხედავ, ჭალარამ ხათუნა გამოიცეკვა. შემდეგ „შევი-

ყვანეთ“. ყველანი აცეკვდნენ. ისე მსიამოვნებს, ჟრუანტელი მივლის. თან ვმღეროდი და თან წარმოსახვით ხათუნასთან ვცეკვავდი... არ მინდოდა ამ სიამოვნების შეწყვეტა და თავიდან დავინწყე. ისე, რომ იცოდეთ, სიმღერა ძალიან ჰგავს სექსს! დათო ძიაც წამოდგა, მეუღლეს ეცეკვებოდა, ტრიალით მოგვიახლოვდებოდა და ხელს აგვინევდა — ეტყობოდა, ბედნიერი იყო! მეც რალაცნაირი თბილი გრძნობა დამეუფლა. ისე კარგად ვიყავი, თითქოს ლონდონის „პალადიუმში“ გამოვდიოდი.

...როცა პოლმა სიმღერა დაასრულა, ჯონმა „პალადიუმის“ მაყურებელს მიმართა, იმ დღეს დედოფალი ელისაბედ II იქ ბრძანდებოდა.

— ახლა კი შეგისრულებთ „ტვისტ-ენდ შაუტს“. ვისაც ფული არა გაქვთ, ტაში დაგვიკარით, თქვენ კი — მდიდრების და ლორდების მხარეს გაიხედა — ბრილიანტების სამაჯურები ააჩხრიალეთ! ხალხი გადაირია, ასეთი რამის თქმა მაშინდელ ინგლისის ელიტაში თითქმის თვითმკვლელობა იყო... იგი მაინც მოკლეს, ოღონდ სხვაგან და სხვა ვითარებაში... მსუბუქ როკ-ენ-როლებზე გადავედით: „გოუ ჯანი გოუ თუ გოუ“ — ეს სიმღერა ჩაქ ბერიმ დანერა და ამით როკ-ენ-როლს ჩაჰბერა სული! ლექსივით გამომივიდა! ყველანი იცინოდნენ და ისე ცეკვავდნენ, თითქოს რალაც ძალიან საყვარელს და ახლობელს იხსენებდნენ — ალბათ, ახალგაზრდობა რომ ჰქვია, იმას! ჩვენი გამოსვლის პირველი ნაწილი დასრულდა. „ნამყვანმა“ (საერთოდ, რა უბედურებაა ეს სიტყვა — „ნამყვანი?“ უფრო „გამხურებელი“ ან „შემყვანი“ უნდა ერქვას, ალბათ!) ლაპარაკი დაიწყო, აცინებდა კიდევ დამსწრე საზოგადოებას!

ჩვენ ძია დათოს მაგიდას მივუსხედით, ფაქტობრივად, ორორი ვისხედით თითო სკამზე.

— ძალიან მაგარია, ბიჭებო! ძალიან მაგარი! — ქოშინებდა დავითი და თან „ვისკის“ გვისხამდა.

— მართლა მოგეწონათ? — დავითის მეუღლეს გადავხედე. ქალის აზრი მაინც უფრო მნიშვნელოვანია ჩვენს საქმეში, რომელსაც შოუ-ბიზნესს ეძახიან!

— ძალიან კარგები ხართ! იცით, რა? ახალგაზრდობა დამიბრუნეთ! — აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ქალბატონი ნათელა.

— ახლა ამ საქმის ბიზნესნაწილი მაინტერესებს, — არწივივით დაატრიალა თვალები დათო ძიამ. რაღაც ყოვლისშემძლის სხივი უკრთოდა თვალებში.

— ანუ რამდენს გვიხდიან? — გავბედე მე.

— ჰო, რამდენს გვიხდიან! — დააზუსტა დავითმა.

— ას-ას დოლარს... დღეს. საერთოდ, აი, რამდენი ბილეთ-იც გაიყიდება, იქიდან ვიღებთ პროცენტებს, ზოგჯერ ათ-ათი ლარიც გვხვდება. აქვე ვხარჯავთ, ლუდში, და მივდივართ!

— მაშ, რატომ უკრავთ? — მიამიტურად იკითხა დათო ძიამ.

— იმიტომ, რომ ამის გარეშე არ შემიძლია, — ჩუმად, თითქმის ჩემთვის ვთქვი მე.

დავითი წამოდგა, ჯიბიდან რაღაც პაკეტი ამოიღო, ირგვლივ მიმოიხედა და დემონსტრაციულად გამოგვიცხადა:

— აჰა, თქვენ ათას-ათასი დოლარი და, რაშიც გინდათ, მოიხმარეთ! ღმერთმა შეგარგოთ! კლიპს ცალკე დაგიფინანსებთ! — მე არ ვიცოდი, რა მექნა. თემო მივარდა ბიძამისს და ყელში აკოცა. თვალებზე ცრემლი მომადგა. ღმერთო, რა ბედნიერი ვარ დღეს და რა მოხდებოდა, ხათუნა ჩემთან ერთად ყოფილიყო! ეს ფიქრი კიდევ გაგრძელდებოდა, რომ მხარზე ვილაცის ნაზი შეხება არ მეგრძნო.

მოვიხედე — ხათუნა იყო:

— შეიძლება გეცეკვოთ?

არ მინდოდა წამოდგომა, რაღაც საზიზლარი მინდოდა მეტქვა, მაგრამ ისეთი ძალით მოქმედებდა მისი გარეგნობა ჩემზე, ამ ძალამ მაიძულა, წამოვმდგარიყავი.

— იცი, რა? მალე ახალი წელი მოვა და... ბიჭებთან ერთად მინდა შევხვდე, — რაღაც სისულელე მოვჩმახე:

— კარგი, მერე ვიცეკვოთ! გილოცავ დამდეგს!

გაბრუნდა, ნავიდა. ნავიდა და ის კაცი წამოაყენა. იმ კაცმა ჩემკენ გამოიხედა, შემდეგ წინ გაატარა ხათუნა და ორივენი გასასვლელისკენ გაემართნენ... გული, რა თქმა უნდა, ჩამწ-

ყდა... ისე ვიყავი, თითქოს ყველაფერი გაქრა, დაიკარგა, ირ-გვლივ შენელებული არსებები დაბორიანებდნენ...

ასე ვიდექი კარგა ხანს. უცებ ვილაცა მეტაკა და მაკოცა:

— გილოცავ ახალ წელს!

ჩვენი დრამერი იყო, ძალიან ბედნიერი ჩანდა...



სიზმარი ვნახე გამთენიისას, 2011 წლის პირველი სიზმარი: სადღაც ირლანდიაში თუ შოტლანდიაში, მთებს შორის მოქცეულ ტბაში, რომელსაც ძირი არ უჩანდა, ნავს ვმართავდი, ხოლო თეთრებში გამოწყობილი ხათუნა ნაწყენი თვალებით მიცქერდა. ასე ჩუმად მივაპობდით უზარმაზარ ტბას... მე მინდოდა, რაღაც მეთქვა, მაგრამ ვერ ვამბობდი. უცებ ეს ნავი შეჩერდა. ვუსვამდი, რაც ძალი და ღონე მქონდა ნიჩბებს, მაგრამ ძვრა ვერ ვუყავი — ნავი გაჩერდა... ხათუნა წყალში გადაეშვა და ფსკერისკენ გაცურდა. დიდხანს ვხედავდი მის თეთრ კაბას გამჭვირვალე წყალში...

მთელი დღე მეძინა...



დადგა ბედობის დღე. ამ დღეს, 2 იანვარს, ყველა ცდილობს, რაღაც კარგი დაიბედოს. ათასი დოლარი + 100 მაქვს! ავიღებ და პირველად ფულს შევეხები, რომ დამეხედოს! ავდექი, მიგდებული ჯინსის წინა ჯიბიდან „მწვანეები“ ამოვიღე და თავზე სამჯერ შემოვიტარე. ბებიაჩემი აკეთებს ასე. მართალია, ეს ძალიან სასაცილოდაც კი მოგეჩვენებათ, მაგრამ ამას წინათ ვნახე ფილმი, რომელიც ინტერნეტმა გაავრცელა: „როგორ გავხდეთ ბედნიერი?“ ვილაც „ბაბოჩკიანი“ ტიპი გვიხსნის:

— იცით, რატომ იყვნენ ყველა დროში და სისტემაში მდიდრები და ღარიბები? იმიტომ, რომ ღარიბებმა არ იცოდნენ ერთი სახის მიზიდულობის ძალის შესახებ!

ახლა კარგად გამოწყობილი ქალბატონი ენაცვლება ამ ვაჟბატონს.

— ყველაზე ძლიერი წარმოსახვის ძალაა ამქვეყნად. წარმოიდგინეთ, როგორ სახლში გინდათ ცხოვრება, დახატეთ ან სურათი დაიკიდეთ ისეთი სახლის და ნახავთ, თუ რა მოულოდნელად, ყოველგვარი ჯაფის გარეშე მიიღებთ ასეთ სახლს!

მერე ახალგაზრდა, სიმპათიური კაცი გემოძღვრავს:

— ძალიან მინდოდა, ეს ნახევარმილიონიანი ავტო მყოლოდა. ვიჯექი სკამზე და წარმოსახვით მის საჭეს ვატრიალებდი. ისე ძლიერ მინდოდა, რომ ლატარიაში მოვიგე! და აი ახლა მე ამ ავტოთი დავდივარ!

ესე იგი, ამათ თუ დავუჯერებთ, მსოფლიოს უმეტეს ნაწილს მხოლოდ წარმოსახვის პრობლემა აქვს! ჰოდა, მეც უნდა წარმოვიდგინო, რომ მილიონები მაქვს ბანკში და იახტით მთელ მსოფლიოს ვუვლი. ეჰ, თქვე უნიჭო ღარიბებო, ლუკმაპურის გარდა არაფრის წარმოსახვის უნარი რომ არა გაქვთ! ამ ფიქრებში ავიღე ერთდოლარიანი და 6 ნული მივუნერე! გამოვიდა 1 მილიონი. ავდექი და ეს კუპიურა კედელზე „სკოჩით“ გავაკარი. აი, ასე! მე ყველაფერს ვაკეთებ, რასაც მირჩევენ! მეტი რა ვქნა?

მამაჩემი შემოვიდა.

— გილოცავ ბედობას, — მითხრა არც ისე საზეიმოდ. — კარგი დრო გაატარე?

— ათასი დოლარი ვიშოვე! — ნავიტრაბახე მე.

— ყოჩაღ, აი, ეს მესმის! არ გაანიავო, ფულის ყადრი იცოდე!

— შენ იცოდე? — ისე, სხვათა შორის ვკითხე, საჩხუბრად კი არა.

— მე სხვა დროში ვცხოვრობდი! — მერამდენედ მიხსნის.

— ღარიბები და მდიდრები ყველა დროში ცხოვრობდნენ. რატომ უმართლებდა მხოლოდ მცირე ნაწილს, იცი?

დაინტერესდა. ყურადღებით შემომხედა.

— იმიტომ, რომ, ვისაც ძლიერი წარმოსახვის უნარი ჰქონდა, ისინი იზიდავდნენ თავისკენ ბედნიერ ცხოვრებას!

— ეგ ვინ ვითხრა? — გაიცინა მამამ. — მაგაში არის რაღაც მარცვალი... მაგრამ, დავიჯერო, სხვა ყველა მაგ უნარის გარეშე იყო? მოდილიანი, მაგალითად!

— ეგ ერთია! პიკასო? პიკასო ხომ იყო მილიონერი? ესე იგი, წარმოსახვის ძლიერი ენერგია ჰქონდა. ლეონარდო და ვინჩი, რა, ღარიბი იყო?

— აგინყვია საქმე! გიპოვია ოქროს თევზი და ეგ არის! — მეტი არაფერი მითხრა, შებრუნდა და გასვლა დააპირა, მე კი მივაძახე:

— დიახაც, ვიპოვე ოქროს თევზი და ახლა ვხვდები, რატომ. იმიტომ, რომ წარმოსახვის ძლიერი ენერგია მაქვს!

მამამ ხელი ჩაიქნია და გავიდა.

არადა, ბებიაჩემი ამბობს: შეძახილმა ხე გაახმოო!

რა არის შეძახილი? სიტყვები! ანუ ენერგია! ის ენერგია ან აყვავებს ხეს, ან გაახმოებს! აი, ახლა მივხვდი ყველაფერს! აქაც წყალთან გვაქვს საქმე! ჰოი, საოცრება! ხე ხომ წყლით იკვებება? წყალი ხომ ცოცხალი არსებაა, რომელზეც ავი თუ კარგი სიტყვები მოქმედებს? ესე იგი, დასკვნა ასეთია: ხეში ჩამდგარი წყალი ცუდი ენერგიით იმუხტება ბოროტი შეძახილის დროს და ხეც ხმება — იმიტომ, რომ ვეღარ იკვებება ჯანსაღი საკვებით! ახლა კი გავაფრენ! ფული მქონდეს — ფილმს გადავიღებდი, ისეთ ფილმს, რომელიც ამათ გააგებინებდა, რომ წარმოსახვა კი არა, სიტყვა ყოფილა მთავარი! მამ, რატომ ვტკენტ ერთმანეთს გულს? რას ვერჩოდი ხათუნას? არ ვიცი... ასეთი ხასიათი მაქვს! უცებ „სიტყვაზე“ გამახსენდა: „პირველად იყო სიტყვა“. ავიღე ბიბლია და გადავშალე: მარცხენა ფურცელზე გაკრული ხელით წერია: „სახსოვრად ანის და ნუგზარს, შეჰქმენით ჭეშმარიტი ქრისტიანული ოჯახი! ღმერთი გფარავდეთ! ილია II. 1985 წ.“ ბიჭოს, ეს რა მაგარი რელიკვია გვექონია სახლში! პატრიარქი ჩემს დედ-მამას ლოცავს! 1987-ში მე გავჩნდი! ესე იგი, დალოცვილი ვყოფილვარ! საოცარია, ბიბლია რუსულ ენაზეა რატომღაც. ნეტავ, პატრიარქს ქართული ბიბლია არ ჰქონდა? ამას აუცილებლად დავაზუსტებ! პირველ გვერდზე წერია „დაბადება“ „1. თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ არა, ეს არ არის „პირველად იყო სიტყვა“. ესე იგი, სახარებაშია! მივედი იოანეს სახარებამდე, რომელიც ასეთი სიტყვებით იწყება:



„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“. რალაც-რალაცები მომივიდა თავში, უცებ დავიყვირე!

— მამა!

შემოვიდა მამაჩემი.

— რა იყო, ბიჭო, რა გაყვირებს? — გაოცებულმა მკითხა.

— იცი, რა აღმოჩენა გავაკეთე? — აღფრთოვანებული ვიყავი იმ წამს. — აი, შენ რომ ამბობდი: „შემინყალე“ „წყალობა“ „საწყალი“ წყლიდან მოდისო, მართალია!

— მეც ვიცი, რომ მართალია. ეგ აღმოაჩინე?

— არა! მე მაგას დავეყრდენი... თუმცა, მოდი, ეს პატარა ფილმი განახო — წყლის კრისტალების შესახებ არის. — სასწრაფოდ მოვძებნე ის საიტი, სადაც ფილმი იყო დადებული.

— საოცარია! საოცარია! — მხოლოდ ამას იძახდა. „ჰიტლერზე“ სულ გაგიჟდა.

— ახლა მომისმინე! სიტყვაა აქ მთავარი, სიტყვა მოქმედებს წყალზე, ანუ, მუსიკაც, რა თქმა უნდა!.. აი, აქ ინდოელი მუსიკოსი, კრიშნაიტი შრი ჩინ მოი ამბობს მუსიკა ღმერთის ენააო!

მამა ჩაფიქრდა.

— ახლალა მივხვდი, რატომ მოინათლა მაცხოვარი წყლით!

— ყოჩაღ, ბიჭო! — რალაცნაირად ამალღებულად მითხრა, მომეჩვენა, ცოტათი მხრებშიც კი გაიმართა.

მამა გავიდა. მე ბედნიერი ვიყავი! მაგრამ უეცრად დარდი მომანვა: რა ვუყო ამ ყველაფერს? ვის რაში სჭირდება? ვინ დამიჯერებს? იქნებ... მამას ვუთხრა, დაწეროს... მაინც არაფერი საქმე არა აქვს, მოჰყავს მასავით ჭაღარა ძმაკაცები და ყოველდღე სვამენ არაყს და ლუდს! არ ჯობს, ასეთი რამეები წეროს? ჭაღარა კაცს უფრო დაეჯერება! გამახსენდა, რომ ბეღობის დღეა, შევედი მამას ოთახში და ამაყად ვუთხარი:

— გინდა, შეკვეთას მოგცემ!

— რას მიკვეთავ, შვილო? — სათვალის ქვემოდან ამომხედა.

— ეგეთი რალაცები დაწერე და მე წიგნს გამოგაცემინებ, — აი, ახლა კი კაცად ვიგრძენი თავი!



— მასალებს თუ მაჩვენებ, არ არის ცუდი წინადადება — მაინც არაფერს ვაკეთებ! ერთი რამ კი მაფიქრებს... ბიჭო, კაზინოში ხომ არ მოგიგია ეს ფული?

„კაზინოს“ გაგონებაზე რალაც რომ დამემართა, მამას არ გამოეპარა!

— შვილო, კაზინომ ბევრი ადამიანი და ოჯახი დალუპა! ძალიან გთხოვ, უკვე დიდი ბიჭი ხარ — იქ არ შეაბიჯო! „როგორ შემატყო, რომ კაზინოში ვიყავი“, — კი გავიფიქრე, მაგრამ ასეთი რამ ვუთხარი:

— არა, ეს ფული კაზინოში მოიგო ჩემი ჯგუფის წევრის ბიძამ და ახალ წელს დაგვასაჩუქრა! — ეტყობა, ეს ნახევრად ტყუილიც დამეხატა სახეზე.

— შენ არ ყოფილხარ? — თვალებით გამბურღა მამაჩემმა

— ჰო... — გამოვტყდი. — ერთხელ ვიყავი, ათასი ლარი მოვიგე და ეგრევე წამოვედი! იმ ფულით გიტარა ვიყიდე... მეტი არაფერი!

— მამა! (ასე მომმართავს ხოლმე), შენი საქმე თამაში არ არის! შენი საქმე მუსიკაა! აკეთე შენი საქმე! მითუმეტეს, თუ მუსიკა ღმერთის ენაა, როგორც ის ინდოელი ამბობს. მაგათ სხვაც ბევრი რამ დაეჯერებათ, ძველი ხალხია... სამყაროს გაჩენასთან ახლოს იყვნენ!



მართალი გითხრათ, გამიხარდა, მაკამ რომ დარეკა. მე ხომ ჯერ ბიჭი ვარ! ფილოსოფიამ დამღალა! არა, კი მიყვარს ეგეთი რალაცებები, მაგრამ... დღეს ბედობაა, ფული მაქვს, აგერ — გოგომ დამირეკა. უკეთესი რა უნდა დაებედოს კაცს?

— სადაც გინდა, იქ წავიდე, — ვუთხარი მაკას მას შემდეგ, რაც ახალი წლის მილოცვები გავცვალეთ.

— გინდა, იქ წავიდე... მაშინ რომ ვიყავით... „მარკო პოლოში... აკვარიუმთან დავსხდეთ, ყავა დავლიოთ, შამპანური, — შემომთავაზა მაკამ.

— გენიალური იდეაა! და მერე... რალაც-რალაცებიც ხომ უნდა დავიბედოთ! „ქორთიარდ მარიოტში“ ავიღებ ნომერს.

— ვაუ! — წამოიძახა მაკამ. — რომელზე გამომივლი?

„უკვე შემიძლია, ტაქსით გავუარო. საჭირო აღარ არის ქუჩაში ლოდინი“.

— შვიდზე, არა? შვიდი რიცხვი მომწონს რატომღაც.

— მეც! აბა, რვა რა არის? — გაიცინა მაკამ.

მომეწონა ეს ნათქვამი. „ნიჭიერი გოგოა! ივარგებს!“ გავიფიქრე. ამასობაში მეზობლები ამოვიდნენ, მამას მეგობრები, დამიძახეს, ერთი ნახევარი საათი მლოცეს. „საქმე არა აქვს ამ ხალხს?“ ძლივს გავთავისუფლდი. მერე მამა სადღაც წაიყვანეს. როგორც იქნა, ექვსი საათი დადგა. ქურთუკი ჩავიცვი და ქუჩაში გამოვედი. ტაქსი ავიყვანე და მაკას დათქმულ ადგილზე დაველოდე. ტაქსისტს რადიო ჰქონდა ჩართული, რომელიც გაჰყვიროდა: „მოკლე კაბა და მოკლე კაბა...“ „არა, აქედან უნდა წავიდე. აქ მეც ამისი მღერა მომიწევს“. უფრო განმიმტკიცდა აზრი ლონდონში წასვლის აუცილებლობის შესახებ. მაინც არაფერს ვაკეთებდი, ავდექი და „ნარმოსახვის ენერჯია“ ჩავრთე. აი, ლონდონში ვარ, სცენაზე. „ფენდერის“ თუ „ჰოფენერის“ გიტარა მიჭირავს, პროჟექტორები ჩემს გიტარას ანათებენ, გიტარა კი ირეკლავს ამ სხივებს და უამრავ თაყვანისმცემელ გოგონას თვალებს სჭრის... მაკა მანქანაში ჩაჯდა.

— ჰეპი ნიუ იარ! — შოკოლადი მომანოდა. არა უშავს რა, კარგი გოგოა, ხათუნა არ არის, მაგრამ...

— „მარკო პოლოსთან“, რუსთაველზე! — ვუთხარი ტექსის მძღოლს.

— „მარკო პოლოს“ სხვა რესტორანი არ ჯობია? — ღიმილით შემომხედა მძღოლმა.

— არ ჯობია! იმიტომ, რომ ეგეთი სიმღერებით არ გამიბურღავენ ტვინს! —

ტაქსისტმა გაცეცებით შემომხედა.

— ისე გითხარი, შვილო, არ გენყინოს. სადაც გინდათ, იქ წავიყვანთ!



„მარკო პოლოში“ ადგილი არ იყო! არა მარტო ჩვენს მაგიდაზე, აკვარიუმთან, არამედ, სამივე სართულზე არსად იყო თავისუფალი მაგიდა. სხვას ხომ არ მივუჯდებოდით?

— სხვაგან ნავიდეთ, — ვუთხარი მაკას.

— არადა, რა კარგი იყო ამ აკვარიუმთან!

— გულდასაწყვეტია, — ვთქვი მე. — მოიცა, მე მგონი ჩვენი მაგიდა თავისუფლდება!

ვინმეს რომ არ დაესწრო, სასწრაფოდ მივეჭერი მაგიდას.

— მიბრძანდებით?

— დიახ, — მითხრა ჩასუქებულმა კაცმა, რომელიც ძლივს წამოიმართა მაგიდიდან.

— გილოცავთ ახალ წელს! — გავუცინე მე. — ყველაფერი კარგი დაგბეძობდეთ!

— გილოცავთ, ახალგაზრდავ, ჩვენ წლები გვაკლდება, თქვენ გემატებათ! ასეთია ეს ცხოვრება!

საკმაოდ ნაღვლიანი საუბარი გამოგვივიდა, რაღაც დამამშვიდებელი მინდოდა მეთქვა:

— რაც ჩაიფიქრეთ, ყველაფერი აგიხდებათ წელს!

— გმადლობთ, თქვენც კარგი წელი გქონდეთ! — მეგობრებთან ერთად წელი ნაბიჯით გავიდა შენობიდან.

მაკა უკვე აკვარიუმის ქვეშ მოკალათებულიყო. მეც გვერდით მივუჯექი. ნაცნობი გოგონა მოგვიახლოვდა.

— გილოცავთ, მრავალს დაესწართ! რას ინებებთ? აი, მენიუ გადაათვალიერეთ!

მაკამ ხელიდან გამოსტაცა მენიუ და ისეთი ინტერესით ჩააცქერდა, თითქოს რაღაც ბესტსელერს კითხულობდა.

— ხიზილალა შეიძლება? დამებედოს მინდა! — მორიდებით მკითხა მან.

— კარგი, დაგვებედოს ხიზილალა! — ოქროს თევზს გავხედე. — კიდევ თევზეული დავიბედოთ, ასორტი!

— და შამპანური! აბა, არაყს ისედაც ვსვამ, ჩვეულებრივ დღეებში.

— ხიზილალა, თევზის ასორტი და შამპანური მოგვიტანეთ, — შევეუკვეთე გოგონას, რომელსაც მკერდზე თავისი სახელი ეწერა — „ლენა“.

— ეტყობა, რუსია... — ჩავულაპარაკე მაკას.

— არააა... ძაან შავია... ისე დაირქმევდა, მოდაზე.

თევზი და ხიზილალა მოიტანეს.

— აუ, ამ დილით რა ვნახე, იცი, ტელევიზორში?

— რა ნახე ისეთი, შენ რომ არ გინახავს? — ვიანგლე მე.

— იაპონელმა ილუზიონისტმა თევზები მოათვინიერა! ნითელი და შავი თევზები მწყობრში დგანან, სინქრონულად მიცურავენ. ილუზიონისტი ტაშს შემოცხებს და ყველანი ერთდროულად მარჯვნივ წავლენ, კიდევ შემოკრავს და ახლა მარცხნისკენ მოუსვამენ ფარფლებს. სასწაულია, არა?

— სასწაულია! — ჩავფიქრდი. — ესე იგი, რაღაც ინტელექტი მაგათაც აქვთ, აბა, როგორ ხვდებიან, როდის მარცხნივ უნდა გაცურონ და როდის მარჯვნივ?

— ან იმ იაპონელმა რა ენაზე გააგებინა ეს ყველაფერი?

— რაც არ ვიცი, არ ვიცი! ვნახავ დღეს ინტერნეტში, რომელ არხზე იყო?

— არ მახსოვს, 12-იანზე იყო, „ნიუსში“.

— ძალიან გემრიელია, რა თევზია ეს? — მკითხა მაკამ.

— ნეტავ, ამას არ წყინს, თევზს რომ ვჭამთ? — ოქროს თევზზე მივუთითე.

— რომ არ ეწყინოს, მისი სადღეგრძელო ვთქვათ. პატარა მანქანას ვყიდულობ მაგის წყალობით!

— ჰოო? ტარება იცი?

— კი, მართვის მოწმობა მაქვს, მაგრამ პრაქტიკა მაკლია.

— მე გავარჯიშებ!

— სხვა რამეშიც მავარჯიშებ? — გაიცინა მაკამ.

— ვივარჯიშოთ ერთად! შენი სადღეგრძელო მომეწონა — ჩვენს ოქროს თევზს გაუმარჯოს, დიდხანს აესრულებინოს სურვილები.

— რა ცოდოა, არა? სხვებს სურვილებს უსრულებს და თვითონ აკვარიუმშია გამომწყვდეული!

— არადა, მისთვის სხვაგან, სხვა გარემოში მოხვედრა დამლუპველი იქნება! — ვთქვი მე.

— ვითომ რატომ? — გაიკვირვა მაკამ, თან ორაგულის ნაჭერს ჩანგალი ჩაარჭო.

— ეგ თბილ წყალში ცხოვრებას არის მიჩვეული, თავისი მიკროსამყარო აქვს. საჭმელს უყრიან, თვითონ არაფერზე ზრუნავს. ბუნებრივ პირობებში გაუჭირდება... ბოლო-ბოლო, დიდი თევზი შეჭამს! — დავასკვენი მე.

— რალაც კარგი ალეგორიაა... აი, ხალხი რომ საზღვარგარეთ მიდის! — ჩაფიქრებულმა მაკამ შამპანური მოსვა.

— რა თქმა უნდა, ძნელია. იმიტომ არის უფროსი თაობისთვის დღევანდელობასთან შეგუება ძნელი — ლამაზ აკვარიუმში ცხოვრობდნენ, საბჭოთა კავშირი რომ ერქვა. ყველას რალაც საქმე ჰქონდა, ახლა კი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, არ იციან, რა აკეთონ: რუსული იციან — არავის სჭირდება, ბიზნესი არ გამოსდით, ჩვევაში არა აქვთ. მათ ადგილს ახალგაზრდები იჭერენ — ჩვენ უფრო ავუღეთ ალღო ამ ცხოვრებას, თუმცა ჩვენც გვიჭირს — როგორც მთელ ქვეყანას!

— ეგეთები საიდან იცი?

— მამაჩემს და მის ძმაკაცებს ვაკვირდები, ველარ ქაჩავენ.

— კარგი, მოდი, ჩვენ გაგვიმარჯოს! ბედობას გილოცავ! — გამხიარულდა მაკა.

მაკა უფრო ლამაზი მომეჩვენა, ვიდრე აქ მოსვლამდე.

— ვინ მოიგონა ახლა ეს ბედობა? — ამ კითხვას შამპანური მივაყოლე.

— რა ვიცი, შენ გეცოდინება, შენ ყველაფერი გცოდნია.

— ყველაფერი არავინ იცის... აი, საზღვარგარეთ წასულე-ბი რომ ახსენე, იცი, რისთვის მიდიან იქ? ბედის საძებნელად! სადღაც უნდა წახვიდე, უცხო ხალხი ნახო, შენი თავი გააცნო... აი, ეს, მარკო პოლო, იცი, ვინ იყო? — კარგი მაგალითი გამახსენდა.

— ვინ იყო? — დაინტერესდა მაკა. მოსასმენად მოემზადა.

— მარკო პოლო იტალიელი იყო. ერთ მშვენიერ დღეს გადანი-ყვიტა, რომ უნდა ემოგზაურა. ჩინეთისკენ დაიძრა. გზად საქა-

რთველოზეც გაიარა; მერე ნანახ-განცდილი თავის ნიგნში აღ-  
ნერა და გახდა საქვეყნოდ ცნობილი! სახლში რომ მჯდარიყო,  
ახლა მისი სახელობის რესტორანში ვისხდებოდით აქ, თბილი-  
სის გულში? თანაც, როდის? ოცდამეერთე საუკუნეში!

— რა კარგად ლაპარაკობ! ძალიან ნიჭიერი ხარ! მოდი,  
შენს გეგმებს გაუმარჯოს! — მაკამ ორთომელი მომიჭახუნა.

— მადლობა! — გაფუცინე მე.

— გააგრძელე, რა? მიყვარს ეგეთი რამეები!

— ესე იგი, ყველა გოგოს არ ჰგავხარ, არა?

— ჰო, ზოგიერთს ასეთ რამეებზე დაეძინებოდა!

— სასმელს დავლევ თუ არა, ასე „ავჭიკჭიკდება“ ხოლმე! —  
ვუთხარი. — საერთოდ, დიდი გემები დიდ წყალში დაცურავენ...

— საქართველო პატარაა, აქ ძნელია დიდი საქმეების  
კეთება, არა? — მაკამ თავისი მოსაზრება მეტად ორიგინალ-  
ურად გამოხატა.

— რა ვიცი... ქრისტემაც თქვა: არ არიან წინასწარმეტყველნი  
საკუთარ სამშობლოშიო... ანუ, სხვაგან უნდა იქადაგო, რომ წი-  
ნასწარმეტყველად გალიარონ, მოდი, წავიდეთ, მერე ნომერს ვე-  
ლარ ვიშოვით, მთელი თბილისი დღეს სექსით დაკავდება!

მაკამ გულიანად გაიცინა:

— მაგარი გადასვლა იყო! ცოტა გიჟი ხარ, ხომ იცი? კაი  
ტიპი ხარ!

ის იყო, გასვლას ვაპირებდით, დათო ძია შემოვიდა ორ  
ძმაკაცთან ერთად.

— ოო, მაგრად გაგვიმართლა! — უთხრა მეგობრებს.  
— აკვარიუმთან ჩვენები სხედან! გილოცავთ! გილოცავთ,  
თქვენი ჭირიმე! — ორივე გადაგვკოცნა.

— მივდიოდით უკვე!..

— არსადაც არ მიდიხართ! ეს რა ადგილი დაგიჯავშნავთ!  
გუშინაც ვიყავი და დაკავებული იყო. დიდი ტაციაობაა აქ  
დაჯდომაზე! — თვალი ჩამიკრა დათო ძიამ.

— ჰო, ჩვენც შემთხვევით გაგვიმართლა. — თან მაკას ჩა-  
ვულაპარაკე: — დღესაც გაგვათავისუფლა ოქროს თევზმა  
გადახდისგან.

მაკამ თვალი ჩამიკრა.

ყველანი დასხდნენ. ვისაც რა უნდოდა — შეუკვეთეს, ვისკი მოითხოვეს, „პახმელიაზე“ ვართო და ადვილად „გახსნისო“, თქვეს.

— მამაჩემი არაყს სვამს, — ამ „საქმის“ მცოდნეობა გამოვამჟღავნე.

— გაკეთებულია ყველა არაყი, ეს ჯობია! — მითხრა ერთმა თანამესუფრემ.

— ვისკის ფული მამაჩემს არა აქვს და...

— ეჰ, გაჭირდა ცხოვრება, — ამოიოხრა მეორემ.

— აბა, ახლა ეგეთები არ იყოს — ოქროს თევზს დადებითი მუხტი უყვარს, ოპტიმისტური საუბრები! თანაც, დღეს ბედობაა და ნუნუნს ნუ დავიბედებთ! აბა, გილოცავთ ახალი, 2011 წლის დადგომას. — ასი გრამი ერთბაშად გადაკრა დავითმა.

— იცით, ჩვენ წავალთ! — ვუთხარი დათო ძიას, თან ყურში ჩავჩურჩულე: — ნომერში მინდა წავიდეთ... ბედობაა....

დათო ძიამ უცებ გამიგო. მობილურზე ნომერი აკრიფა:

— გივი! ერთი ნომერი დამიჯავშნე! ჩემი ნათესავი მოვა გოგოსთან ერთად... მთელი ლამით?! — თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— აი, სავიზიტო ბარათი სასტუმროში. ძველ თბილისშია. მანდ მისამართიც წერია, რეცეპშენში მოგცემენ გასაღებს. ჩემს სახელზეა! ფულს არ გადაგახდევინებენ!

— აბა, კარგად ბრძანდებოდეთ! — არ ვიცოდი, მადლიერება როგორ გამომეხატა. სუფთა ჰაერზე გამოვედით. სმის დროს სიმთვრალეს ვერ ვგრძნობდი, მაგრამ გარეთ გრადუსმა თავისი ქნა:

— ჩემო ლამაზო! — ჩავჩურჩულე მაკას და ტურჩებში ვაკოცე.

— წავიდეთ, გვიყურებენ! — ტაქსის ხელი დაუქნია ჩემმა დღევანდელმა დედოფალმა.



რაც შეეხება სექსს, „ბჰაგავატგიტა“ — ეს უძველესი სწავლება, მას ადამიანისთვის ყველაზე დამანგრეველ ქმედებად მიიჩნევს. სული არ იწვის, არ იყინება, მაგრამ ზედმეტი სექ-

სუალურობის შემთხვევაში სული ისჯება! ასეთი ქალი, მაგალითად, მომავალ ცხოვრებაში ლამაზ ხედ გადაიქცევა, მამაკაცი კი ცხენად ან ვირად (უფრო ვირად, ალბათ!). ესე იგი, ამ თეორიით ტყეები ყოფილი ბოზებისგან არის გაშენებული! („ნაბოზარი“ ჰქვია ასეთ არსებებს ჩვენში!), ხოლო ასეთი მამაკაცები, ვირის ამპლუაში მოვლენილები, მიათრევენ თავიანთ მძიმე ჭაპანს და, თუ რომელიმე პატრონს არ დამორჩილდა, მათრახიც არ დაიგვიანებს! მე, რა თქმა უნდა, არ მომნონს ყოველივე ეს და უფრო „კამასუტრასკენ“ ვიხრები — სხვათა შორის, ასევე ინდოეთში აღმოცენებული სწავლებისკენ. ჰოდა, ვატრიალე მაკა სხვადასხვა პოზაში ერთი-ორი საათი, ალბათ... ისე დავლაღე, სანყალმა ამოიგმინა!

— მომტყდა კისერი!

გამეცინა. მეც ძლივს ვსუნთქავდი. ავდექი, შამპანური დავისხი და დავლიე.

— კაზინოში წავიდეთ? — სიგარეტს მოუკიდა მაკამ.

— არა! არ მინდა!

— ჯერ ხომ ბედობაა? 12-ის ნახევარია, მოგება დავგვებდება!

— ნაგება რომ დავგვებდოს? არა, ამას ნამდვილად ვერ გავრისკავ, თან მე კაზინოებში ფულის მოგება არ მითხოვია ოქროს თევზისთვის, ლონდონში წასვლა ვთხოვე... არა, ვერ გავრისკავ!

— მე რომ ვითამაშო? შენ ნუ ითამაშებ, რასაც მოვიგებ, — გაგიყოფ!

— ოოო... შენსაც მაინც არ იშლი! მე ბედობაზე გიტარა უნდა მეჭიროს ხელში და არა ფიშკები, — გავუძალიანდი.

— კარგი, მე დამტოვე კაზინოსთან და შენ წადი, გიტარას ჩაეხუტე!

— ნუ გწყინს, მე ჩემი ოფოფები მაქვს, შენ — შენი!

— ფული არ გინდა? — გაოცებულმა შემომხედა. უცებ მოვტყდი.

— კარგი, ჯანდაბას შენი თავი! იცოდე, ეს ბოლოა. მეტი არ მომთხოვო!

მივედით ჩვენს ნაცნობ კაზინოში. „ფეისკონტროლმა“ აგვათვალაიერ-ჩაგვათვალაიერა. ერთმანეთში საეჭვო ჩურჩული



დაიწყეს. შემდეგ კარგა ხანს კომპიუტერში იქექებოდნენ, ბოლოს რალაცაზე შეთანხმდნენ და გამოგვიცხადეს:

— თქვენ არასასურველი სტუმრები ხართ!

— რატომ? — ვითომ მენყინა, ისე ვიკითხე.

— ამის პასუხი ჩვენ არა გვაქვს — კომპიუტერში ასეა აღნიშნული, ვერაფრით დაგეხმარებით!

მაკა აღშფოთდა.

— ხალხი ჩვენზე მეტს იგებს და იმათ უშვებთ, ჩვენ რალაც კაპიკები მოვიგეთ და არ გვათამაშებთ?

მხრები აიჩეჩეს.

— ეს მარტო წაგება-მოგებაზე არ არის დამოკიდებული, ეტიკეტზე, ასაკზე, თამაშის ხარისხზე... ანუ, ეჭვი არ უნდა გაჩნდეს... და, უბრალოდ — არ დაიშვებით და მორჩა, ეს კაზინოს პრეროგატივაა!

— არ ვევალებით, გაიგე? — კახურად მოვუქციე.

— კარგი, სხვაგან წავალთ! — „გული დაწყვიტა“ მაკამ „ფეისკონტროლს“.

იმათ გულგრილი ღიმილით უპასუხეს, რომელიც „გვკიდია“-ს ნიშნავდა უთუოდ!

გამოსასვლელში მაკას გაცინება მომინდა:

— ერთი კახელი, ვანო, ქორწილიდან თავისი „06“-ით წამოვიდა. წინ მისი ძმაკაცი მიხო „მერსედესით“ მიჰქროდა. უცებ საავარიო სიტუაცია შეიქმნა, მიხო გაუსხლტა, ვანო კი შეეჯახა შემხვედრ მანქანას! გადმოვიდა, ცაში აიხედა და თქვა: „ღმერთო! სკოლა იყო და სამებზე ძლივს დავამთავრე, მიხომ ოქროს მედალი აიღო; მაყვალა იყო და მე მიყვარდა და მაგას გაჰყვა ცოლად; მე „გეპეი“\* ძლივს დავამთავრე, მაგან „მიმო“ დაამთავრა მოსკოვში! მე „06“-ით დავდივარ, ეგ „მერსედესით.“ ახლაც ეგ გადარჩა და მაინცდამაინც ეს ჩემი საცოდავი „06“ დაიმტვრა?! ეგ არი შენი სამართალი?

\* გეპეი (რუს.) — საქართველოს პოლიტიქნიკური ინსტიტუტი.

\*\* მიმო (რუს.) — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი.

ღმერთმა გადასწია ღრუბლები და ვანოს კახურ კილოზე უთხრა:

— არ მევასები, ვანო, ვერ გაიგე?!

თვითონ გამეცინა!

— არ ვევასებით ამ კაზინოს, ვერ გაიგე, მაკა? ნავიდეო, ნავიდეო, ნუ ჯავრობ — ეს ეშმაკის სახლია!

— გიტარა ხომ იყიდე ეშმაკის სახლში მოგებული ფულით,  
— ნიშნი მომიგო ქალიშვილმა.

რა უნდა მეთქვა!

— ეგეც მართალია! — ცალყბად გავუცინე.



სახლში ყველამ დაიძინა. „ფეის ბუკში“ შევედი. ვილაც უცნობი მეგობრობას მთავაზობს. ხელი მექანიკურად მივაჭირე „თანხმობას“. მერელა დავინტერესდი: ვინ არიან ჩვენი საერთო მეგობრები? სამნი არიან: ერთი თემოა და ერთიც... ხათუნა! მესამეს არ ვიცნობდი — სხვა საერთო მეგობრებისგან დამიმეგობრდა! საოცარი ქსელია! შენი მეგობრის მეგობრები, იმათი მეგობრების მეგობრები, იმათი... იმათი... მოკლედ, თითქმის მთელი ცივილიზებული სამყაროა აქ ჩართული. ყოველ შემთხვევაში — ის ნაწილი, რომელსაც კომპიუტერი აქვს! ხათუნას გვერდზე გადავედი! ჩვენი სიმღერა დაუდია! მოზილურით გადაუღია და დაუღია. წესიერად არ ისმის. კომენტარი დავუნერე, „გახმოვანება არ ვარგა! ასე, რომ თუ შეიძლება, მოხსენით თქვენი გვერდიდან“. სხვა მეგობრის გვერდზე გადავედი. ამას „ობლა-დი-ობლადა“ დაუღია! მაკა ბოცვაძე წერს: „ჩემს ბავშვობას მაგონებს!“ მე რომელი სიმღერა მაგონებს ჩემს ბავშვობას? „ესთუდეი!“ ჰო, „ესთუდეის“ ვმღეროდი რვა წლის ასაკში! კიდევ ამას:

*თოვლი ნება-ნება*

*თმებზე მეფერება...*

*მივიწყებულ ზღაპარს ჰყვება,*

*შენ სადა ხარ, ნეტავ?*

ტელევიზიითაც კი გამოვსულვარ... მართლაც, რა კარგი იქნებოდა ეს მოგონებები, თან რომ არ ახლდეს ნავთის სუნი, ლამპის ჭვარტლი, სიბნელე, სიცივე, ქუჩაში სროლები, მკვლელობები, ომი და ჯანდაბა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ბოროტება? ეს სიმღერაც ნამდვილად გაჰიტდებოდა, ხალხს ტელევიზორის ყურების საშუალება რომ ჰქონოდა. ვბრაზობ ხანდახან — ახლა არც მეცხრე ბლოკი ფეთქდება და არც მეათე! მოკლედ, ნაგვართვეს: მე — ბავშვობა და ჩემს მშობლებს — ახალგაზრდობა! ამიტომ ყველა პოლიტიკოსი, რომელიც ძალიან „უბერავს“, იმ მყვირალა, წვერიან ტიპებს მაგონებს, რომელთა ფორიაქს ცეცხლი და დოზანა მოჰყვამ! რატომ აყვავდა ჩინეთი? იმიტომ, რომ ჭიანჭველებივით შრომობენ და ასეთი ანდაზა აქვთ: „ყველაზე სახელოვან ომს უსახელო მშვიდობა სჯობსო!“ რა მოუტანეს სახელოვანმა მეომრებმა — მაკედონელმა, ნაპოლეონმა, ჰიტლერმა, სტალინმა მსოფლიოს? — ნგრევა და ხალხის ვაება — მეტი არაფერი! რა მოუტანა მსოფლიოს ხელოვანმა და მეცნიერმა ხალხმა? სულიერი და მატერიალური კეთილდღეობა! საუბედუროდ, იმათ უფრო აღმერთებენ! საფრანგეთში ნაპოლეონს დღესაც აფასებენ! ჩავიდა ეგვიპტეში და მამელუქებს ეომა: „მამლუქი“ გამახსენდა — ქართული ფილმი. ერთი მამლუქი ამბობს: „რა უნდა ტანმომცრო ფაშათ-ფაშას ჩვენგან? სად ჩვენ და სად საფრანგეთი?“

მეორე პასუხობს:

„რა უნდა უნდოდეს, ბიჭი ვარ და მოვდივარო, გვეუბნება, ბიჭები ხართ და დამხვდითო!“ აი, მთელი ფილოსოფია! მთელი ლუვრი ნაპოლეონის ნაძარცვი შედეგრებით არის თურმე გამოჭედილი! მაგრამ რას იზამ, სე ლა ვი! ხათუნამ მომწერა: „ყველას მოსწონს, მაგრამ შენ თუ ძალიან გინდა, წავშლი!“

რა მექნა, არ ვიცოდი, ბოლოს გადავწყვიტე: „ნაშაღე“ მივწერე. ახლა თემო შემოვიდა: „დათოს შეხვედრიხარ, ბიძაჩემს“. „ჰო, კიდევ დამპატიჟა, მაგარი კაცია“. „მიამბო ყველაფერი. სადაც იყავი, ისიც გავიგე. იცი, რა მითხრა? ეგვიპტეში გვეპატიჟება!“

საოცარია! ახლა არ ვფიქრობდი ეგვიპტეზე?  
ეგვიპტე... პირამიდები... ნამოვნიქი და ფიქრებში  
ჩავიძირე... გამახსენდა, რომ ნაპოლეონთან ვილაც თბილისე-  
ლი მსახურობდა... როგორ მოხვდა მასთან?

„სად წაიყვან სადაურსა!“  
ჩამეძინა...



...ნაპოლეონი ეგვიპტელი მეომრების ცხედრებს ათვა-  
ლიერებს, წესად აქვს: თუ ვინმე ცოცხალია, ლაზარეთში გა-  
დაყვანის ბრძანებას გასცემს. ხმლით ამონმებს, ვინწამოიკვნე-  
სებს და ვინ — ველარასოდეს. ერთ შავგვრემან, არა არაბული  
სახის მამლუქს დაადგა თავს... უცნაური კვნესა შემოესმა —  
სიმღერის მსგავსი! ნაპოლეონმა ჰკითხა: „ჩემი გესმის?“ მამ-  
ლუქი ყურადღებით დააკვირდა სამკუთხაქუდიანს. როცა  
მიხვდა, ვინც იყო, უფრო ხმამაღლა დაიწყო სიმღერა, რამდე-  
ნადაც შეეძლო, ისე. ნაპოლეონი შეცბუნდა. მღელვარება დაე-  
ტყო. დაიხარა, ყურს ხელის მტევანი მიაშველა ნიჟარასავით,  
რათა უკეთ გაეგო, რა ენაზე მღეროდა ეს მამლუქი. „რა ხდება,  
გენერალო?“ ჰკითხეს აქეთ-იქიდან „კორსიკულ სიმღერას  
ჰგავს“ უპასუხა 27 წლის მომავალმა იმპერატორმა.

„შეუძლებელია“, მიუგეს მას.

„თუ შეიძლება, მითხარით, სადაურ სიმღერას მღერით?  
ძალიან ჰგავს ჩემს მშობლიურ, კორსიკულ სიმღერას“.

მამლუქმასიმღერა უფრო მონდომებით გააგრძელა, როცა  
დაასრულა, თქვა: „ეს ქართული სიმღერაა. მე თბილისელი ვარ,  
როსტომ რაზმაძე“. „საოცარია“ — ჩაილაპარაკა გენერალმა.  
„ეს საქართველო სად არის?“ „კავკასიაში, რუსეთის გენერლის,  
ბაგრატიონის სამშობლოა“, — განუმარტეს ფრანგებმა.

„ჰოო? ბაგრატიონი ვიცი... გამიგია. სუვოროვთან ერთად  
ალპებზე გადავიდა... ისეთ სახიფათო ბენვის ხიდზე გაატარა  
მთელი ჯარი, რომ ნამდვილად დაუჯერებელი რამ იყო. აქ  
როგორ მოხვდი?“

„ბავშვობაში მომიტაცეს, სტამბოლის ბაზარზე გამყიდეს, მამლუქად აღმზარდეს... ჩვენს ჯარში ბევრი ქართველი მეომარია... ძალიან ბევრი სარდალია, მთლად უფროსი ფაშაც ქართველია!“

„ესე იგი, ქართველებს ვეომე? კარგი ბრძოლა კი გცოდნიათ! სიმღერაც...“

რუსტამ რაზამ გაიღიმა. „ვკვდები“ — თქვა მშვიდად.

„ახლა ლაზარეთში გადაგიყვანენ. საუკეთესო ფრანგი ექიმები თან მახლავს, ნუ გეშინია, მოგარჩენენ. ლაზარეთში გინახულე“. ნაპოლეონი გაეცალა როსტომს და სხვა მეომრების დათვალეირება განაგრძო. „ეს სიმღერა კორსიკულია“, ჩაულაპარაკა ნეის, მასზე ერთი თავით მაღალ გენერალს.

„არ ვიცი, კორსიკაზე ნამყოფი არა ვარ“.

„აქ რაღაც საიდუმლოა და მე ის უნდა ამოვხსნა!“

„რას გულისხმობ, ბონაპარტ?“ ჩაეძია მეგობარი.

„კულტურის მოძრაობის თეორიას“.

„ეგ რას ნიშნავს?“

„აი, ჩვენ რომ ძველი ბერძნული ქანდაკებები პარიზში ჩავზიდეთ, დაახლოებით, იმას...“

„ვერ გავიგე კარგად... თუ შეგიძლია, უფრო დანვრილებით ამიხსენი“, სთხოვა ნეიმ.

„ორი ტიპის ჯარი არსებობს: ერთი — კეისრის, მეორე — ატილა-ჩინგისხანური. პირველში, ძველრომაულში, თავისუფალი, კულტურული მოქალაქეები ქმნიან ჯარს, ხოლო მეორეში მომთაბარე, განუვითარებელი მონები. მონები დიდი აგრესიულობით გამოირჩევიან. იმის გამო, რომ თავად ჩაგრულები არიან, მხოლოდ სხვისი დაჩაგვრა ანიჭებთ სიამოვნებას. ხოლო თავისუფალ მეომრებს კულტურა „გადაგვაქვს“ ერთი ქვეყნიდან მეორეში. იმიტომ წამოვიყვანე მთელი გემი გეოგრაფები, ისტორიკოსები, მხატვრები, რათა უძველესი კულტურა შეისწავლონ“.

„ესე იგი, შენ ამბობ, რომ ჩვენ კეისრის ტიპის არმია ვართ?“

„რა თქმა უნდა! მეტიც! მე დაჭრილ მტერს ვმკურნალობ! ასე რომ არ მექნა, ამ ქართველს ხომ ვერ გადავანყებოდი, ხომ ვერ გავიგებდი, რომ მათი სიმღერა ჩვენსას — კორსიკულს ჰგავს?“

„ჰუმანურია“, თქვა ჩაფიქრებულმა ნეიმ.

„მე ყველას ბალისტიკის და ზარბაზნის სპეციალისტად მივაჩნევარ, არადა, მაგით კი არა ვარ დიდი, არამედ ჩემი კულტურული მისიით, რომელიც განგებამ დამაკისრა. შენ ხომ იცი, რომ მოთხრობებს ვწერ? წიგნიც მაქვს: „ვახშამი ბოკერში“. როცა სამხედრო სასწავლებელი დავამთავრე, ძალიან მიჭირდა და ბევრს ვწერდი. „ტრაქტატი ბალისტიკის შესახებ“ მაშინ დავწერე, მერე, ხომ იცი, რაც მოხდა: კონვენტს ჩემი ზარბაზნები დასჭირდა...“

„ჰო, ვიცი, უნდოდათ, რომ პარიზში ერთი ფანჯარაც არ ჩამტვრეულიყო, ისე დაგეშალა მემამბოხენი!“

„ამიტომაც მკითხეს, შემეძლო თუ არა ეს? მეც შევპირდი და გავაკეთე კიდეც! ჩემი ყუმბარები სახლებს გადაუფრენდნენ და ზუსტად იმ მოედანზე ხვდებოდნენ, სადაც აჯანყებულები იდგნენ — არც ერთი ფანჯარა არ ჩამტვრეულა. ესეც ცოცხალია — ლაზარეთში გადაიყვანეთ! მოკლედ, ასეა, „კულტურის მოძრაობის თეორიასაც“ მალე დავწერ. ერთი, ეს ქართველი გამოჯანმრთელდეს...“

გამომეღვიძა. „ეს რასიზმარი ვნახე?“ გამახსენდა, მამაჩემმა მთხოვა — კორსიკული სიმღერები მომიძებნე ინტერნეტშიო, რატომღაც დააინტერესა ამ თემამ. ავკრიფე „კორსიკიან სონგს“. თქვენ წარმოიდგინეთ, მართლაც ძალიან ჰგავს მათი სიმღერები ქართულ ხალხურ სიმღერებს! „რატომ ვნახე ეს სიზმარი?“ დავიწყე ამაზე ფიქრი. იქნებ, ლონდონში წასვლა ჩემი კულტურული მისიაა? რა უნდა ნავილო იქ? საინტერესოა, ძალიან საინტერესოა! მაგრამ ლონდონამდე ეგვიპტეში მივდივარ, იქნებ, იქ არის წარმატების გასაღები?!



— დედა, ეგვიპტეში მივდივარ, — საუზმის დროს ვუთხარი დედაჩემს.

— მარტო მიდიხარ? — გაიკვირვა მან.

— არა, მთელი ჯგუფი და თემოს ბიძა.

— ეგ ძალიან კარგად მოგიფიქრებიათ. სადღაც უნდა ნახვიდე, რაღაც უნდა ნახო, უკვე დროა.

— ჰო, თან ზაფხული ყოფილა ახლა იქ. ამ სიცივეს მოვშორდები ცოტა ხნით.

— რამდენი დღით მიდიხართ?

— თორმეტი დღით. იცი, რა მაგარი ტურია? საჭმელ-სასმელი — უფასო, ყველაფერი საგზურის ფასში შედის! მოკლედ, ვინც ნამყოფია, ყველა ამბობს, სამოთხეში გვეგონა თავიო!

— ჰო, მეც გამიგია. მანანა დეიდა მიამბობდა, შარმ ელ შეიხში ისვენებდა. მამაშენს ეუბნებოდა — გატენილია იქაურობა საშენო ასაკის რუსი ქალებითო!

— მერე, ვერ წავიდა?

— ფული ვერ იშოვა. საგზური კი ღირს იაფი, მაგრამ ჩვენც ხომ გვჭირდება ფული, რამდენი გადასახადი გვაქვს ზამთარში! სად გვცალია დასვენებისთვის!

— ეგეც მართალია. — საუზმეს მოვრჩი, წამოვდექი.

— როდის მიდიხართ? — მკითხა დედამ.

— იანვრის შუა რიცხვებში.

მამაჩემი შემოვიდა სამზარეულოში.

— ეგვიპტეში მიდიხარ? თქვენს ლაპარაკს მოვკარი ყური. მეც ნამყოფი ვარ, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთერთი ეგვიპტის პირამიდებია, ხომ იცი?

— ვიცი. ეგ ყველამ იცის!

— აბა, შენ თუ იცი, სფინქსს რატომ აქვს ცხვირი ჩამომტვრეული? — გამომცდელად მკითხა მამამ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ნაპოლეონმა მიაყენა ზარბაზანი და ესროლა! უნდოდა, თავისი კვალი დაემჩნია მისთვის, უფრო სწორად — მარადისობისთვის!

— შენ თუ იცი, — ახლა მე დავაპირე, ჩამეჭრა. — რატომ აიყვანა ნაპოლეონმა რუსტამ რაზა სამსახურში?

— არ ვიცი...

— იმიტომ, რომ დაჭრილი ეგდო ბრძოლის ველზე და ქართულად მღეროდა. ნაპოლეონმა გაიგონა მისი სიმღერა და კორსიკულს მიამსგავსა...



— არადა, მართლა ძლიერ ჰგავს ჩვენი სიმღერები ერთმანეთს. ძაან მეგობრობდნენ მათი მომღერლები ჩვენს ბიჭებთან, „ქართულ ხმებთან“. გოგი დოლიძე რომ გარდაიცვალა, საფლავთან დიდხანს იდგა მისი კორსიკელი მეგობარი, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა დასაფლავებაზე! ისე, შენ რა იცი, რატომ დაიყენა გვერდით ნაპოლეონმა რუსტამ რაზა?

— სიზმარში ვნახე, — ვუთხარი ალაღად.

— რა საოცარი სიზმარი გინახავს. არ არის გამორიცხული, რომ ეგ სიმართლე იყოს! აბა, რაღა რაზმაძე აიყვანა მსახურად? სხვა არავინ იყო? ისე ენდობოდა, კართან ეწვა, რათა მიძინარეს ვინმე არ დასხმოდა თავს. ესე იგი, სიმღერა, არა?

— ჰო, სიმღერამ დაახლოვა ერთმანეთთან. სიმღერას დიდი ძალა აქვს! თანაც როგორ ქართულად უღერს ზოგიერთი კორსიკული სიმღერა! აი, მაგალითად, „ქართული ხმები“ რომ მღერიან! რესტორანში მოვისმინე პირველად. ტექსტი მეუცნაურა, თორემ დარწმუნებული ვიყავი, კახურ სიმღერას ვუსმენდი! — ემოციები ვერ დავმალე მე.

— შენ კიდევ, „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო“, ისე მოგდის! ხომ ხედავ, არავის უნდა ეგ შენი როკი?

— ეგ ჩემი მისიაა! კულტურის მოძრაობის გამოსახულებაა. ქეთი მეღუა, რა, ქართველი არ არის?

— ეგ კარგი არგუმენტი გაქვს! არა, მე კი არ გიშლი, შვილო. ღმერთმა ქნას და გაგიმართლოს... მაგას რა ჯობს? სხვათა შორის, რას ამბობდა თურმე ნაპოლეონი როსტომ რაზმაძეზე, იცი?

— რაო, რას ამბობდა?

— გაზეთში წავიკითხე ამ ათიოდე წლის წინათ, ქართველი ისტორიკოსი წერდა. გვარი არ მახსოვს, მაგრამ, თუ დამჭირდა, გავიგებ. ნაპოლეონი ამბობდა, ამათ (ფრანგებს) ფულისა და დიდებისთვის ვჭირდები, ხოლო ამ კაცს შორეული საქართველოდან, ალალი სიყვარულით ფუყვარვარო! აი, ასე ასახელა კაი ბიჭობით რუსტამ რაზამ თავისი თბილისი!

— ამიტომ უნდა წახვიდე კაცი სადმე. — დავასკვენი მე. — თუ შესაძლებლობა გაქვს, რა თქმა უნდა!



— ვინ გიშვებს მერე? იმდენი ფული უნდა ამ ყველაფერს, რომ... ეჰ, კომუნისტები იყვნენ და არსად არ გვიშვებდნენ. თუ სადმე წახვიდოდი, იმდენ კაგებეშნიკს აგადევნებდნენ, ისევ ტყვეობაში იყავი. ახლა ვითომ გახსნილია გზები და ვითომ ყველა პატივს გცემს, მაგრამ არავის აძლევენ ვიზას... ან — თითქმის არავის!

— ქურდობენ საზღვარგარეთ და, ალბათ, იმიტომ: ის ლექსი ხომ გახსოვს, მგონი, „ქართველები ევროპაში“ ერქვა:

როს დავტოვეთ, ძმებო, ვენა,  
დამშვიდდა და დაისვენა!

— კარგია... მაგრამ წესიერ ხალხს არ აძლევენ ვიზას და ამ ბაცაცებს რატომ აძლევენ, ნეტავ?

— ამბობენ, ხელოვანი ხალხისთვის გასვლა გამარტივდებაო...

— იმედია! ყოველ შემთხვევაში, მომწონს შემართული რომ ხარ ასაფრენად. აბა, შენ იცი!

კომპიუტერს მიუფუჯე. მართლაც, არაჩვეულებრივი სასტუმროს ფოტოები ვნახე შარმ ელ შეიხში! ოცნებებში წავედი... იქ დავუკრავთ. ცეკვები, გოგონები... შეიძლება ვინმე პროდიუსერიც დაგვესწროს და კიდევ, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს! ეგვიპტეში დაკვრას და დარჩენას მაინც არ ვაპირებ... ისევ ის გამახსენდა — რუსტამ რაზა! ავდექი და მისი სახელი და გვარი ავკრიფე... „რუსტამ რაზა (რაზმაძე). დაიბადა თბილისში 17... წარმოშობით სომეხიო. რაო? აკი ქართველიაო?! ან რაზმაძე რატომღა იყო? მამას დავუძახე.

— მოდი, რა გაჩვენო!

შემოვიდა და წაიკითხა, რაც ეწერა.

— მდაა... მე რეზო თაბუკაშვილის ფილმიც მაქვს ნანახი, სადაც ნათლად არის ნათქვამი, რომ ქართველი იყო...

— მოიცა, მოიცა. აბა, ერთი, ქართული შრიფტით დაწერე: „რუსტამ რაზა“. — ავკრიფე. გიორგი მახარაძის სტატიაა მოცემული. მამამ სათვალე გაიკეთა და სწრაფად გადაიკითხა მთელი სტატია, აღმოჩნდა, რომ სომეხი მეცნიერები მის სომხობას ამტკიცებენ, ხოლო ფრანგი ისტორიკოსი დერიბერე

წერს: „ნაპოლეონმა ეგვიპტიდან წამოიყვანა ქართველი ჭაბუკი რუსტამი და საფრანგეთში შექმნა მამლუქთა კორპუსი“.

— ასეც ვიცოდი! აი, ნახე, აქ რა წერია: „ალიაში“ გამოქვეყნდა ბ. გეგეშიძის წერილი „ნაპოლეონის მეგობარი ქართველი“, რომელშიც კიდევ ერთი წყაროა მოხსენიებული. — ნაპოლეონის 25-ტომად გამოცემული მემუარები! „მე გარშემორტყმული ვარ ფრანგებით, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების გამო გვეხმარებიან. ეს კაცი კი, ქართველი, შორეული საქართველოდან, გულწრფელად არის ჩემზე მონდობილი და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს!“ აი, ეს ბოლო სიტყვებია მთავარი! მაშინდელი ქართველობა სამარცხვინოდ მიიჩნევდა ყოველგვარ აღებ-მიცემობას, ვაჭრობას! რაიმე გამორჩენისთვის არ კადრულობდნენ არც ომს, არც გარჯას! წარმოშობით სომეხიც რომ ყოფილიყო, მენტალურად თბილისელი ბიჭი იყო, ქართულად აზროვნებდა, რა თქმა უნდა... და...

— ქართულადაც მღეროდა! — დავასრულე მე მამაჩემის დაწყებული აზრი.

— ჰო! აი შენ, მაგალითად, ქართველი ხარ, მაგრამ მენტალურად ლონდონური აზროვნება გაქვს. სულიერად „იქ“ ხარ, იმათი ხარ! ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ გადამწყვეტი არა! თუმცა შეიძლება კიდევ ბევრი რამ შეიცვალოს შენში! — მამა ოთახიდან გავიდა. „აი, სად „მომიბრუნდა“ ეს თემა!“ გავიფიქრე. „მე მართლაც ლონდონში ვცხოვრობ: იქაური მუსიკალური სტილი მაქვს, ინგლისურს ისე ვფლობ, ყველას იქ ჩაწერილი დისკი ჰგონია, ანუ შესაძლებელია, სისხლით სხვა იყო და მენტალურად სხვა... აბა, სისხლის ყვილი რაღა?“



ტურისტულ ფირმაში ნავედით ყველანი: დავითი, თემო, გოჩა, ზურა და მე... ... 1967 წელს ჯონი, ჯორჯი, პოლი, რინგო და მიკ ჯაგერი გურუსთან ერთად ინდოეთში გაემგზავრნენ. ინდოეთში მის ლექციებს თუ ქადაგებას ისმენდნენ, მაშინ ეს მოდური იყო. საბოლოოდ ჯორჯ ჰარისონი კრიშნაიტი გახდა,

მაკარტნიმ კი დაწერა რალაც სიმღერა ამ თემაზე, მაგრამ ძალიან ბრიტანელია და მეტი აღარ შეუტოპავს... ლენონი კი... ლენონს თვითონ უნდოდა, გურუ ყოფილიყო და დიდხანს ვერ აიტანდა სხვის დარიგებებს! მიკ ჯაგერი კი ახლაც ისეთივეა, როგორც მაშინ — ისევე დახტის სცენაზე, სასწაულია! ამ ხნის კაცია და რა ენერგია აქვს. ჩვენ კი ეგვიპტეში მივდივართ და, როგორც ვატყობ, — ჩვენი „გურუ“ მიგვეყვება: დათო ბიძია, კაი კაცი! „რას გაიხარებს რუსის ქალებში?“ ამბობენ, ძალიან ბევრი რუსი ტურისტები ჩადის ეგვიპტეშიო. ჰო, იმ სიზმრის შესახებ დედაჩემს ვკითხე, რას ნიშნავს-მეთქი და ასე მიპასუხა: დიდი კაცის დასიზმრება კარგის მომასწავებელიაო. პირამიდებზე უნდა წავიკითხო რალაცები ინტერნეტში, მომზადებული რომ ვიყო! შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი როა, ნამდვილად ვიცი: სკოლაში ვისწავლეთ და მახსოვს...

როცა ძია დათოს ჯიპით ტურისტული ფირმისკენ მივდიოდით, თემოს ვკითხე:

— გახსოვს, რა და რაა მსოფლიოს შვიდი საოცრება?

— პირამიდები, მავზოლეუმი ჰალიკარნასში... სემირამიდას ბალები... მეტი არ მახსოვს! რაში გჭირდება?

— რა ვიცი, ისე გკითხე — არც მე მახსოვს.

ამასობაში ჩვენი ჯიპი ტურისტულ ფირმასთან გაჩერდა.

— ყველანი გადმოვიდეთ? — იკითხა გოჩამ.

— გადმოდით. პასპორტები არ დაგავინყდეთ! — შეგვახსენა დათო ძიამ.

კიდევ კარგი, ეს პასპორტი შარშან მაისში ავიღე, თორემ ახლა 200 ლარი დამიჯდებოდა.

— თურმე ზაფხულია ახლა იქ, შარმ ელ შეიხში! — ოცნებებში წავიდა თემო. — პალტოებს და ქურთუკებს თბილისში დავტოვებთ და სამ საათში შორტებით და „ფლოსტებით“ ვივლით, ფანტასტიკაა, არა?

ოფისში შევედით თუ არა, რამდენიმე მომხიბვლელი გოგონა მოგვიახლოვა:

— რით შეგვიძლია გემსახუროთ?

— რა ღირს საგზური? — შემხვედრი კითხვა შევაგებე მე.  
— 400 ევრო! გვაქვს სამასიანიც... ეგვიპტის საგზურები გაინტერესებთ, არა?

დათო ძია ჩაერია საუბარში:

— ამ საგზურებს მე გჩუქნით. თქვენ ის დოლარები ჯიბეში ჩაიდეთ. — კაი-კაი რაღაცები იყიდება იქ ძალიან იაფად, ოქროა ასე! — ყელთან მიიღო ხელი.

— ნამყოფი ხართ?

— კი, შარშან ამ დროს! მაგრა „ვიგულავეთ“. ჩემი ნაცნობი ქალები ჩამოდიან, — თვალი ჩამიკრა. — შარშან გავიცანი!

— მერე და ემახსოვრებით? — გავიკვირვე გულწრფელად.

— „ოდნოკლასნიკებში“ ვეკონტაქტები რეგულარულად, არ „ვაციებ კერიას“, — გადაიხარხარა.

თემომაც მოსწრებულად თქვა:

— ოქროს თევზის წყალობით სვიდანიასზე ეგვიპტეში დადის კაცი, ხომ ხედავ?

— აბა, რუსეთში მე არ მიშვებენ და...

— მე კი რუსული არ ვიცი კარგად... — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— ინგლისური ყველა რუსის ქალმა იცის, მითუმეტეს, ბიზნესმენებმა.

— ბიზნესვუმენებმა — შევუსწორე მე. — ეგ მართალია! ინგლისურის გარეშე ახლა ბიზნესს ვერ გააკეთებ.

— რომელი რიცხვისთვის ნაბრძანდებით? გვაქვს 15 იანვრისათვის; ერთი კვირის შემდეგ, 22 რიცხვისთვის. ყოველ კვირაშია რეისი ეგვიპტისკენ. — გვითხრა გოგონამ.

— 15-ში წავიდეთ, ბედობაა! — თქვა ზურამ.

— ბედობა ორში იყო! — ვუპასუხე ჩვენს ბას-გიტარისტს.

— ძველი სტილით 2-15-შია! — გაიცინა დათო ძიამ.

— გადამრევთ ეს ქართველები! — ვითომ გავბრაზდი. — ორი შობა, ორი ახალი წელი, სამი-ბედობა; 1-ლი 17 დეკემბერს, ბარბარობაზე, მე-2-2 იანვარს და მე-3 15 იანვარს!?

— იმიტომაც ვართ ბედნიერი! — დაასკვნა თემომ.

— ეგ, „ბედნი“ ლარიბს ნიშნავს, ხომ? — გამოვიცანი მე.

— გინდათ, მაგარი ისტორია მოგიყვით, თანაც ნამდვილი?  
— მის ღიმილს ღიმილი შევაგებეთ თანხმობის ნიშნად.

— ერთი ძმაკაცი მყავს, პაატა კალანდაძე — მაგარი ღადავისტია! ჰოდა, ერთხელაც ისრაელის რომელიღაც ორგანიზაციაში მოენყო სამუშაოდ, მგონი სავაჭრო პალატაში. იციკ მოშე იყო დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ეს იციკა კულაშიდან წაუყვანიათ ისრაელში პატარაობისას. საზღვრები რომ გაიხსნა, გულმა აქეთ გამოუწია. არეული დრო იყო და ეს პაატა გვერდით დაიყენა, მთელ თბილისს იცნობდა და იმიტომ. საქმის პარალელურად, იციკას ხარჯზე ხშირად დადიოდნენ საქეიფოდ. თავიდან, სიამოვნებდა ეს ისრაელის მოქალაქეს, მერე დაიღალა. 31 დეკემბერს რესტორანში იქეიფეს ერთად, მერე ბედობაზე, მერე იციკამ შობა გამოტოვა. მაგრამ პაატამ თავი გაინთავისუფლა, დღეს შობააო. 13 იანვარს კი იციკ მოშე დავალებას აძლევს პაატას, ღამით დელეგაცია ჩამოდის და უნდა დააბინაო. პაატამ შეიცხადა: დღეს ახალი წელია და რა მედელეგაციებო! ბიჭო, ახალი წელი ამასწინათ არ იყო, ხომ აღვნიშნეთო, გაუკვირდა იციკას. ახლა — ძველით ახალი წელია და რა ვიცი მე, რომელია უფრო ნამდვილიო! იციკას უთქვამს: ის ერი, რომელსაც ორი ახალი წელი აქვს, ვერაფერს ვერ მიაღწევსო!..

— უკაცრავად, თქვენი საგზურები მზადაა! გთხოვთ, გადაიხადოთ — ტურისტული ფირმის წარმომადგენელმა გოგონამ სალაროსკენ მიგვითითა. სიმართლე გითხრათ, არ მივცვენილვართ სალაროს — არა, მე გადავიხდი, არა, მეო! მარტო დავითი დაიძრა სალაროსკენ, მერე ქვითრები იმ გოგონას გადასცა და მათ სანაცვლოდ ხუთი საგზური აიღო თავისი თვითმფრინავის ბილეთებიანად. საგზურების ჩამორიგების შემდეგ დავითი გვეუბნება მე და თემოს:

— იცით, კიდე ვიყავი კაზინოში და კიდევ მოვიგე, იმდენი არა, მაგრამ ეგვიპტეში თავზესაყრელი ფული გვექნება!

— მაშინ — წამოვიწყე გაუბედავად, — ერთი ოპერატორიც ხომ არ წაგვეყვანა, ბარემ კლიპს იქ გადავიღებდით!

თემომ გაბრწყინებული თვალებით შემომხედა:

— გენიალური აზრია! ვის გულისხმობ, ვინ უნდა წამოიყვანო? დათო ძიამ დამასწრო:

— მთავარია, ძალიან ძვირი არ დაჯდეს! მაინც რამდენად წამოვა?

— მაგას გავარკვევ! თავისი კამერა უნდა ჰქონდეს აუცილებლად, თორემ ქირით ძვირი დაჯდება!

— ალია-ბალია (რა სასაცილო სიტყვა თქვა დავითმა!) რა დაჯდება ეგ კლიპი?

— ალია, ბალია — გავიმეორე მე — თუ დავასვენებთ, თან ვაგულავებთ, სამი ათასი ეყოფა.

— საგზურის ჩათვლით?

— ჰო, საგზურის ჩათვლით!

— მოსულა! ესე იგი, კლიპიც გექნებათ — როგორც შეგპირდით! ხომ ვარ სიტყვის კაცი?!

— აი, რა ბიძა მყავს! ეს ხომ არ აგვეყვანა პროდიუსერად?

— ჩვენი პროდიუსერი აკვარიუმშია! ეს აღმასრულებელი მენეჯერია, — გავიცინე მე.

— წინა პროდიუსერი ჭურში იყო! — არ ჩამომრჩა ძია დათოს ძმისშვილი.

— ჩემს ახალგაზრდობაში ასე ამბობდნენ, „ტყემალზე ზის და მაროჟნის კურკებს ყრისო!“ — ეს დათო ძიამ თქვა. ასეთ მხიარულ ტალღაზე დავშორდით ერთმანეთს.



ლამით ისევ ინტერნეტში შევედი. საერთო სურათები გადავათვალიერე, „გუგლი-ზე“, „იუთუბ-ზე“. რამდენიმე სიახლე ვნახე, რიანას ახალი კლიპი, მაგალითად. ისეთი სექსუალური და ეროტიკული — რამდენიმე ქვეყნის ტელევიზიებს აუკრძალავთ კიდევ! „ლედი გაგა ის მენ“ — ლედი გაგა კაცი არისო, აქ წერია. „დავკლიკე“ ფოტოზე და გადიდებული დავათვალიერე. ბიჭოს, მართლაც რალაც უცნაურად აქვს გამობერილი წინ ამ ქალბატონს, თან რამდენიმე ფოტოა სხვადასხვა რაკურსით

გადაღებული... ყველგან — საექვო ამოზნექილობა. ახლა ისეთი დროა, ესეც არავის უკვირს. შარშან ტელევიზიით „სიმართლის დროში“ ტრანსვესისტი გამოიყვანეს, ქართველი. ყველას გოიმებს ეძახდა, ვისაც ეს საქმეები არ „ევასება“. ასე რომ, ლედი გაგას, ნესით, არაფრის უნდა ერიდებოდეს. ცივილიზაციას ეგეთი რამეები თან მოაქვს. აბა, მამაჩემის დროს კინოებში ამოჭრილ-დასახიჩრებულ ფილმებს უშვებდნენ თურმე! რა იყო იქ ამოსაჭრელი? არც არაფერი, მაგრამ... მაინც! აი, საინტერესო სათაური: „მეცნიერების სენსაციური სიახლენი“ აქ შესვლა მიყვარს — ვფიქრობ წარსულზე, მომავალზე და ჯანმრთელობაზე, რა თქმა უნდა! ამ სტატიას ფარაონის ფოტო ერთვის. უფრო სწორად, მისი ქანდაკების, რომელსაც ხელში გრაგნილი უჭირავს. რა თქმა უნდა, ეგვიპტეში წასვლის წინ ამ თემამ დამაინტერესა და დავაჭირე „მაუსის“ ლილაკს. თურმე ეს გრაგნილი კი არა, ფარაონის „ცილინდრები“ ყოფილა, სამკურნალო, მეტალის ცილინდრები!

1976 წელს ფიზიკოსებს დობროვოლსკის და კოვტუნს ამიერკავკასიაში (!) ძველთაძველი, ეზოთერული ხელნაწერი აღმოუჩენიათ, რომლის სათაური „სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლო“ ყოფილა! „ბიჭოს! — გავიფიქრე. — ეს რაღაც მნიშვნელოვანს ნავენყდი!“ ხელნაწერში აღწერილია მთვარისა და მზის ცილინდრები, რომლებიც სპილენძისა და თუთიისგან მზადდებოდა. უცნობი ავტორი განმარტავდა, რომ ამას ფარაონები და ქურუმები სასიცოცხლო ძალების გაძლიერებისა და ღმერთებთან კონტაქტისთვის იყენებდნენ! რამაც ყველაზე მეტად გამაოცა, ის იყო, რომ ამ უძველეს ხელნაწერს ქვესათაურად დართული ჰქონდა: „ეგვიპტე — ინდოეთი — კავკასია“. „აჰა! ესეც ცივილიზაციის მარშრუტი. ესე იგი, — გავაგრძელე მსჯელობა, — კავკასია ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანია! მესამეა ეგვიპტის და ინდოეთის შემდეგ!“ გამახსენდა „უფალო შემინყალო!“ „შე სანყალო“ „მინყალობეთ“. აქ ინფორმაცია არ დამთავრდა, გადავედი შემდეგ გვერდზე: 1920 წელს პოლონელი კონტ ვა-



ლევსკი ჩავიდა კავკასიაში, სადაც ეზიარა საიდუმლო ეზოთ-ერული საზოგადოების სწავლებას(!) თან ფიცი დადო, რომ ამ საიდუმლოს არსად გაამხელდა, მაგრამ 1955 წელს ფიცი გატეხა და ამერიკაში გამოაქვეყნა ნაშრომი „კავკასიური იოგის სისტემა“ აი, რას წერს „ფარაონის ცილინდრების“ შესახებ: ენერჯის ნაკადის სხეულში მოძრაობის გამძლიერებელი, ცილინდრზე ხელის ძლიერად მოჭერით, თავისუფლდება სხეულის შიდა ენერჯია, რომელიც მოქმედებს ძვლის ტვინის სითხეზე. ასე ხდებოდა სასიცოცხლო ძალების შენარჩუნება 24 საათის განმავლობაში! ამისთვის იყენებდნენ ორ ცილინდრს: მარცხენა ხელში — მთვარისას, მარჯვენაში კი მზისას! (მთვარე თუთიაა, მზე — სპილენძი.) ესენი კი, ხელის კანთან კონტაქტში (რომელიც სავსეა წყლით და რომელიც ელექტრონის საუკეთესო გამტარია) ქმნიან სუსტ ელექტრონულ ველს! აი, როგორი რამეები იცოდა უძველესი ცივილიზაციის ხალხმა! მათ შორის კავკასიელებმა.

ისევ ვინანე, ფიზიკას რომ ვაცდენდი სკოლაში და, თუ ვესწრებოდი, „სხვაგან რომ ჰქროდა ჩემი გონება“: ის სცენას, გიტარას და სინთეზატორებს უტრიალებდა! თერთმეტი წლის ასაკში უკვე რეჟარხიან დ-20-ზე არანაწიერებებს ვაკეთებდი! ეტყობა, ასე ვიყავი „დაპროგრამებული“. ახლა ის პროგნოზი მინდა ვიპოვო, რომელიც გვამცნობს თუ რა მოელის კაცობრიობას 2012 წელს! დიდი აწიოტაჟი იყო ატეხილი 2010 წელს, კომეტა გვიახლოვდებაო. ასტრონომიაში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ იმდენი კი ვიცი, რომ, თუ 2012 წელს რამე უნდა ჩამოვარდეს, ახლა ცაზე მინიმუმ მზის ტოლა უცხო სხეული უნდა ჩანდეს, ამის მსგავსი კი არაფერი ხდება! ესე იგი, ბლეფია! ეს ცილინდრებიც სენსაციათა რიგს ხომ არ განეკუთვნება? პრინციპში, ბევრი ტყუილ-მართალია ინტერნეტში განთავსებული, მაგრამ ძალიან საინტერესოა! ყველა ბიბლიოთეკაზე მეტ ინფორმაციას იტევს! აი, თუნდაც ეს ინფორმაცია — მეტალის ცილინდრების შესახებ! ტყუილიც რომ იყოს, გონებისთვის, მისი ვარჯიშისთვის (ვარჯიში საო-



ცარი სიტყვაა: ვარ ჯიში, ჯიშისთვის საუკეთესო საშუალება ვარო!) ძალიან სასარგებლოა. „ფეის ბუკზე“ გადავერთე.

„იპოვე ოპერატორი?“ მწერდა თემო.

„ერთი ბიჭი ვიცი, ფოტოაპარატი აქვს, იმით გადავიღებთ, ხვალ დაფურეკავ“, — ვპასუხობ მეგობარს.

„ფოტო თუ ვიდეოკამერა?“

„ისეთი კამერაა, ვიდეოსაც იღებს. მაღალი ხარისხია, კინოს გადაღებაც შეიძლება“

„ძალიან კარგი. საინტერესოა, რა აპარატია ეგეთი...“



გავიღვიძებ თუ არა, პირველი, რასაც ვხედავ, ერთდოლ-არინია, რომელიც კედელზე მაქვს ჭიკარტით მიმაგრებული. „ჩარჩოში ხომ არ ჩამესვა?“ — გავიფიქრე. ყურადღებით დავაკვირდი ერთიანის გასწვრივ ჩემგანვე ფლომასტერით მინერილ ნულებს „დავიჯერე“, რომ მილიონიანი ბანკნოტი მაქვს... „რაში დავხარჯავ?“ „ეჰ, ფული იყოს და დახარჯვას რა უნდა“. „არა, მაინც რაში უნდა დავხარჯო?“ „სახლს ვიყიდი აუზით; სტუდიას მოვანყო; ისეთ დინამიკებს შევიძენ, რომ, როცა დავუკრავ, ხმა მთელს უბანს ესმოდეს“. „გიჩივლებენ!“ „ეს ისე ვთქვი, ხატოვნად, თორემ ვიცი, რომ მიჩივლებენ! ევროპაში — განსაკუთრებით! ვინ მოითმენს შენს მუსიკას?“ — „მოითმენს“ ცოტა ალოგიკურად მეჩვენა, ალბათ, ასე უნდა მეთქვა: „ვინ მოისმენს შენს მუსიკას?“ ისევ წარმოსახვის ენერჯიას მივმართე, მთელი სიცხადით წარმოვიდგინე; სავსე სტადიონი მღერის ჩემთან ერთად! მზერა ისევ ერთდოლ-არინანზე შევაჩერე... აქაც პირამიდაა, რომლის ზედა ნაწილი ნაკვეთილია რატომღაც და იმ ნაკვეთილი სამკუთხედიდან თვალი გიცქერის. ასეთი თვალი — სამკუთხედში — ეკლესიაში მინახავს! საინტერესოა, რა კავშირში უნდა იყოს ესენი ერთმანეთთან? „მამაჩემს ვკითხავ“, გავიფიქრე.

— მე მგონი, ეს მასონების სიმბოლოა, — მითხრა მამამ.

— ეკლესიაში რა უნდა მასონების სიმბოლოს? — გავიკვირვე.

— იქ სხვა კონტექსტშია, აქ — სხვაში.

— ვერ გავიგე, სამკუთხედში თვალი იქაც არის და ფულზეც. რა განსხვავებაა?

— ეკლესიაში ეს თვალი ღმერთისაა, რომელიც გვაკვირდება, ფულზე კი სხვა დატვირთვა აქვს! აქ პირამიდა მთლიანად ცვლის აზრს. მასონი ქვის მთელს ნიშნავს. ამბობენ, ებრაელთა მეფე სოლომონმა გააერთიანა ის ქვისმთლელები, რომელთაც თალის გაკეთების საიდუმლო იცოდნენო...

— თალი რა შუაშია? — შევანყვეტინე მამას.

— ყველაფერი რალაცით იწყება და მერე სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენს. თალს ყველა ვერ აკეთებდა — მაშინ არ იყო არმატურა, ცემენტი; თალის შეკვრა ყველას არ შეეძლო. ვისაც ეს ცოდნა ჰქონდა, პრივილეგირებული აღმოჩნდა უბრალო ხელოსნებთან შედარებით! ჰოდა, შეიკრა საიდუმლო კავშირი!

— პირამიდის გამოსახულება რას უნდა ნიშნავდეს?

— პირამიდა სიმბოლოა საიდუმლოების. აი, იქ როცა ჩახვალ, დააკვირდი, ქვა ქვაზე ისე მჭიდროდ არის მიბჯენილი, საპარსის პირი არ შეეტევა! საერთოდ, იდუმალებით მოცული რამ არის ეს პირამიდები: როგორ ააშენეს, რა ხელსაწყოები იხმარეს, როგორ მიზიდეს ამდენი ლოდი? რაც მთავარია, მისი გეომეტრიული პროპორციები, რალაცნაირად უკავშირდება დედამიწიდან მზემდე მისალწვე მანძილს. ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ ამ ოციოდე წლის წინათ ვილჰელმ კოპალეიშვილის წიგნი წავიკითხე — „ძველი მსოფლიოს მათემატიკა“. იქ არის ეს ვერსია დასაბუთებული! რაც მთავარია, პირამიდა იერარქიას გამოხატავს, მსოფლიო მმართველობის საფეხურებს, რომლის წვერზე მმართველთა საიდუმლო კლანი დგას.

— ანუ ეს მასონები? ქვის თლა რა შუაშია მსოფლიო მმართველობასთან? — ბოლომდე ჩავეძიე.

— ქვის თლაც სიმბოლოა: ჩვენ ვთლით ქვებს და ვაგებთ იმ საიდუმლო პირამიდას, რომლის სათავეშიც მხოლოდ ამ ორგანიზაციის გასაიდუმლოებული წევრები მოექცევიან.

— ესე იგი... ფულიც მასონების დამზადებულია?

ჩემს გონებაში რალაცამ შემოანათა:

— მოიცა, მოიცა! ის ფილმი რომ ამტკიცებს, ვისაც წარმოსახვის უნარი არ ჰქონდა, ყველა ღარიბი იყო და, ვისაც წარმოსახვით სასურველი რალაცების მიზიდულობის ძალა ჰქონდა, გამდიდრდაო, ტყუილია და მხოლოდ იმაშია საქმე, რომ საიდუმლო ორგანიზაციის წევრებს აქვთ ფული და მმართველობა?

— ჰოდა, ეგ ფილმიც მასონურია! — გადაჭრით მიპასუხა მამამ. — თუმცა, წარმოსახვის ნაწილში ბევრი რამ არის დამაფიქრებელი.

— მაგალითად?

— მაგალითად, ის, რომ ოცნება წარმოსახვაა, ყველა ოცნებობს, ისახავს გეგმებს. ეს ოცნება ზოგს უსრულდება და ზოგს არა! ვისაც უსრულდება, ის იტყვის: მე ყველაფერი გულდასმით წარმოვიდგინე და ამიტომ ამისრულდაო, მაგრამ... მთავარი ბედია! — დაასკვნა მამაჩემმა.

— კი მაგრამ... ჭკუა? ჩვენი მცდელობები? სწავლა, ბოლოს და ბოლოს! სრულიად არაფერს ნიშნავს?

— თუ ბედი გაქვს, ჭკვიანი დაიბადები, შესახედავი, ნიჭიერი, თუ არადა... მოგინევს მხოლოდ სტატისტიკისთვის საინტერესო არსებად ყოფნა... მეტიც, თუ ბედი გაქვს, შეუხედავიც რომ იყო და ნაკლებ განათლებული, მაინც მიაღწევ შენსას! ასე რომ — მასონებსაც თავისი სადარდებელი აქვთ!

— რას გულისხმობ?

— ბედს! ბედს ვერ აკონტროლებენ! მიწისძვრებს, წყალდიდობებს, უბედურ შემთხვევებს, ავადმყოფობებს და, რაც მთავარია, ისინიც კვდებიან.

— ყველა კვდება! — პათეტიკურად გამომივიდა.

— იცი, რა? მთელი ამქვეყნიური სიამე შენი როა და ადრე კვდები, გაცილებით გულდასაწყვეტია, ვიდრე მაშინ, ლატაკი როცა ხარ. ანუ სამყაროში ყველაფერი დაბალანსებულია, ყველაფერი კომპენსირდება და ყოველივე ამას განაგებს ის, — ვისიც თვალის სამკუთხედშია გამოსახული ეკლესიის კედელზე! ესე იგი, ღმერთი!

— გამოდის, ჩვენი სურვილებით მას უნდა მივმართოთ! ანუ ვილოცოთ?

— მიხვედი განვითარების რაღაც დონემდე, კაცობრიობის განვითარებას ვგულისხმობ. იმ დონემდე, რომელზეც ადამიანები მიხვდნენ, რომ ლოცვა ყველაზე დიდი ძალაა! და რა არის ლოცვა?

— ლოცვა არის... სიტყვა!

— და სიტყვა იგი იყო ღმერთთან... ხომ გახსოვს? სახარებაში წერია, ყველაფერზე არ უნდა შეაწუხო ღმერთი, მან ისედაც იცის, რომ შენ კვება გჭირდება, ჩაცმა, მეგობარი, ოჯახი, შვილები და ა.შ. იშრომე, „ანუ გაანძრიე ხელი და ფეხი და გადასცურავ მღელვარე ზღვას“. სხვათა შორის, ზღვა ცხოვრების სიმბოლოა!

— რამაგარია! — აღმომხდა მე, 24 წლის მუსიკოსს, რომელსაც ძალიან უნდოდა გაეგო, თუ როგორ მიაღწიოს თავის მიზანს და რომელსაც... გამოუჩნდა დამხმარე — ოქროს თევზი!

— ეს ოქროს თევზის ზღაპარი საიდან მოდის? — შევაპარე მე.

— ადამიანის ოცნებაა, ვილაცამ მისი ოცნებები შეასრულოს! თევზიც ეზოთერული არსებაა, ძალიან დიდი სიმბოლოა. სხვათა შორის, მაცხოვარი თევზის ათასწლეულში მოვევლინა დედამიწას. თევზი ქრისტიანული სიმბოლოა.

— თანაც, თევზი წყალშია, წყალზე კი ადამიანის სიტყვები მოქმედებს! ხომ ვნახეთ იმ დოკუმენტურ ფილმში!

— კარგი ახლა, თავი მეტკინა, „პახმელიაზე“ ვარ... იმდენი გელაპარაკე, ასეთ ლექციაში ათას ლარს გადამიხდიდნენ, მაგრამ შენ შვილი ხარ — უფასოდ გერგება! — გამეცინა, იუმორი ნამდვილად აქვს მამაჩემს. რომ არ სვამდეს, მეტს მიაღწევდა!

— რაც შეეხება თაღს, — მითხრა მამამ. — აჭარაში, მახუნცეთში, თამარის ხიდია, თაღისებური. იმ ხიდზე შამპანური მაქვს დალეული, დავილოცეთ მე და ჩემმა მეგობრებმა... ქვით და კირითაა ნაგები... ჩვენშიაც იცოდნენ თაღის კეთების საიდუმლო! ჩადით ერთხელ და ნახეთ, რა საოცარია თამარის ხიდი!

სავარძელში ჩავჯექი. ფიქრები მომეძალა — თამარ მეფეზე დავინყე ფიქრი...

თამარ მეფემ ქვისმთლელები მიიღო. დიდი პატივი იყო ეს ხელოსნებისთვის... კარის ხუროთმოძღვარს ჰკითხა წინა კვირას თამარმა:

— ხომ არ ხელგეწიფებათ ქვისგან ისეთი ხიდის აგება, რკალისებურად რომ ადგას თავს მდინარეს?

ხუროთმოძღვარი დაფიქრდა. წარმოიდგინა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ასეთი ხიდი! ქვა-ქვაზე გადამჯდარი, ორივე ნაპირიდან ერთმანეთისკენ უნდა მიინევიდნენ ასე დანყობილი ქვები...

— შესაძლებელია, ოღონდ დიდ დროს მოითხოვს!

— რატომ? — დაინტერესდა მეფე ივერიელთა, დავითის და სოლომონის შთამომავალი, როგორც თავადვე მოიხსენიებდნენ ბაგრატიოვანნი საკუთარ გვარს.

— განსაკუთრებული კირის დამზადება იქნება საჭირო ძლიერი ჩაჭიდებისთვის; ყოველ ქვას თავისი სამაგრი უნდა, დროც დიდია საჭირო კირის კარგად გამოშრობისთვის, სამჯერ მეტი დრო, ვიდრე კედლის აგებას სჭირდება.

— დრო გვაქვს, — თქვა თამარმა.

— ხიდი — წამოიწყო ხუროთმოძღვარმა — სოფელს სოფელთან დააკავშირებს, ადამიანს — ადამიანთან... დიდებული აზრი გწვევიათ, მეფეო!

— მთელს სამეფოში უნდა გავდოთ ასეთი ხიდები, ტრაპიზონამდე... — თამარი სასახლის სარკმლიდან სივრცეს გაჰყურებდა...

— ძალიან ბევრი ხელოსანი დაგვჭირდება, ბევრი კირი, ბევრი ღორღი და ქვა.

— ჯერ ნიმუში წარმომიდგინეთ. ყველაფერი გათვალეთ, მცირე ზომის ასლი დაამზადეთ და მერე ვისაუბროთ. ჩემი განზრახვის დედააზრს ხომ ჩანვდით?

— დიახ... სამარადისოდ უნდა დარჩეს თქვენი სახელი... ასეც იქნება, ქართველთ დედაო! — თავი დაუკრა ხუროთმოძღვარმა მეფეს... ახლა კი, ხელოსნებითურთ ხვდება დიდ თამარს: ქალს, რომელმაც პაპის დანატოვარ სამეფოს არათურამ მოაკლო, არამედ უმატა და გააძლიერა! ახლა ეს ხიდებიც

ხომ წინსვლის საწინდარია? თამარმა მოიწონა ხისგან დამზადებული მაკეტი; ხელოსნებს მიმართა:

— შეძლებთ კი ქვების ისე დანყობას, როგორც ეს ხუროთ-მოდღვარმა ჩაიფიქრა?

— შევძლებთ, მამა-პაპისგან მოგვდევს თალის კეთების ხელობა. თქვენს სასახლეშიც ჩვენი ნახელავი თაღებია...

— ხიდი უბრალო თალი არ არის, — თქვა თამარ მეფემ. — დიდ სიმძიმეს უნდა გაუძლოს, როდესაც ცხენოსანი ჯარი გაივლის — ტრაპიზონისკენ მიმავალი. მან არა მარტო ამ სიმძიმეს უნდა გაუძლოს, არამედ ყველაზე დიდს და მძიმეს — დროთა მსვლელობას. გაუძლებს?

— გაუძლებს! უყოყმანოდ! — უპასუხა დიდ თამარს ხუროთმოდღვარმა.



ტელეფონის ზარმა დამაბრუნა ჩვენს დროში. თემო რეკავდა:

— ჰაი!

— ჰაი! როგორა ხარ?

— კარგად. შენ? იპოვე ოპერატორი?

— დღეს უნდა დავურეკო, პრინციპში, ახლავე დავურეკავ და შეეუთანხმდები, მერე სადმე ჩავუსხდეთ და მოვილაპარაკოთ. — ვუთხარი მე.

— კარგი, ველოდები შენს ზარს.

მობილურის მენიუში შევედი, დავინწყე კოტეს ნომრის ძე-ბნა... საკმაოდ მალე ვიპოვე და დავურეკე.

მოკითხვის შემდეგ საქმეზე გადავედი:

— ეგვიპტეში წამოხვალ?

— როდის? — დაინტერესდა კოტე. — რა ღირს?

— არც არაფერი არ ღირს, ჩვენ წაგიყვანთ. 15-ში მივფრინავთ შარმ ელ შეიხში. გცალია? შენი კამერით თუ ფოტოაპარატით — გვჭირდება!

— ვიღებთ?

— ჰო, კლიპი გვინდა გავაკეთოთ!

— ჰონორარით? — „საქმეზე“ გადავიდა კოტე.

— ჰო, ჰონორარით! დეტალებზე მერე ვილაპარაკოთ, შეხვედრისას.

— მე ერთი საქმე მაქვს 15-ში და, თუ თქვენი წინადადება უკეთესი იქნება...

„გააძვირა“, — გამიელვა გონებაში.

— მოკლედ, ერთ საათში შარდენზე შევხვდეთ და მოვილაპარაკოთ. მოსულა?

— მოსულა! — დამეთანხმა კოტე.

მერე თემოს შევატყობინე ეს ამბავი, ვისაუბრე, მოვწესრიგდი და შეხვედრის დროც მოვიდა.

მე და თემო ადრე მივედით დათქმულ კაფეში. ყავა შევუკვეთეთ. კოტეც მალე შემოგვიერთდა. შარფი არტისტულად ჰქონდა მხარზე გადაგდებული.

— აბა, რა ხდება, ბიჭებო? — ჩამოჯდა თუ არა, იკითხა ოპერატორმა.

— ეგვიპტეში სიმღერებს წამოვიღებთ და რომელიმეზე კლიპი გავაკეთოთ.

— იცით, მთავარია, რას ვიღებთ, რამდენად რთულია, როგორი მონტაჟი და ეფექტებია საჭირო. აქედან გამომდინარეობს ფასი.

— ეგვიპტის საგზურს გიყიდით, გაქეიფებთ და 1000 დოლარს ჯიბეში ჩაგიდებთ, — ვუთხარი მე. თემომ ისე გადმომხედა, ამაზე არ შევთანხმებულვართო, მაგრძნობინა.

— ცუდი სიტყვა არაა, მაგრამ მონტაჟი, რეჟისურა — საერთოდ?

— მაგას მე მივხედავ, — დავამშვიდე კოტე. — მე თვითონ დავამონტაჟებ. შენი მხოლოდ გადაღება იქნება.

— სიამოვნებით. ესე იგი, რა ვქნათ ახლა?

— ახლა დავითს დავურეკოთ, — თემოს მივუბრუნდი, — ის სამი ათასი დოლარი მოგვცეს, მერე წავიდეთ ოფისში და კოტესთვის საგზური ვიყიდოთ. მერე... მერე, თუ გინდა, სადმე „კულტურულ ღონისძიებაზე წავიდეთ!“

— მოკლედ, შენს თავსაც უშოვე, ხომ, სამუშაო? — გაიცინა თემომ.

— და ჰონორარიც! რა, მონტაჟში ფული არ მეკუთვნის? სხვისთვის ხომ უნდა მიგეცათ? ესე იგი, ტყუილად არ მისწავლია თეატრალურში კლიპების და რეკლამების სარეჟისოროზე! თანაც, ვინ მასწავლიდა, იცი?

— ვინ? — მკითხა კოტემ.

— თავად ბასა ფოცხიშვილი. აბა, რა გეგონათ?

— აგინყვია ცხოვრება! — რეზიუმე გააკეთა თემომ.

— ცხოვრება ვინც აგვინყო, იცი... შენ! ერთი ოქროსფერი არსებაა! — კოტესთვის გაუგებარ თემაზე ავლაპარაკდი.

— ჰო, ეგ სულ დამავინყდა, — გაიხსენა თემომ ჩვენი ამბის ცენტრალური გმირი.

— ვინ არის ოქროსფერი არსება? — დაიბნა კოტე.

— ჩვენი სპონსორია, — მოკლედ მოვუჭერი მე. — თემო, აბა, დარეკე ბიძაშენთან, მერე შეიძლება საგზურებიც არ იყოს...

თემომ ნომერი აკრიფა...

— გამარჯობა. სადა ხარ, დათო? „მარკო პოლოში?“ სადილობ? ჩვენ პატარა საქმე გვაქვს, აი, კლიპის ფული გვინდა... სამი ათასი... რომ შეგვპირდი... კარგი, მოვალთ!

— მოდითო!

— ამ დილაზე რა დროს „მარკო პოლოა?“ პახმელიაზეა?

— არა, — მითხრა თემომ. — ხშირად დადის და ადგილს იკავებს საღამომდე.

— კი, მაგრამ სამუშაო არა აქვს? — გავიკვირვე მე.

— დაჯდება აკვარიუმთან და ყველა საქმეზე იქიდან რეკავს, ის — ჩვენ რომ ვიცით, ხომ უსმენს და ყველაფერი გამოსდის! ბიზნესი აენყო — გაკეთდა კაცი!.. აწი შენ გამოაგდებ იქიდან? რესტორანიც გადაჭედლია. ეტყობა, „გაბაზრდა“ ეს ამბავი და, სხვამ რომ არ დაასწროს, თვითონ იკავებს ადგილს იმ მაგიდასთან, სადაც აკვარიუმი.

— რას ლაპარაკობთ, ვერაფერი გავიგე, — თქვა კოტემ.

— წავიდეთ, წავიდეთ, საგზურები არ გათავდეს!



— ხომ ხედავ, ყველა ეგვიპტეში გარბის. არადა, მაგათ რომ ჰკითხო, უჭირთ. — „მარკო პოლოში“ შევედით. თავისუფალი მაგიდა არსად იყო. დათო ძიამ პლასტიკური ბარათი გადასცა თავის ძმისშვილს და კოდიც უთხრა. წამოვედით, ფული ავიღეთ და საგზურის ასაღებად გავეშურეთ. ბედად, საგზურები კიდევ იყო. კოტეს საგზური „ჩავახუტეთ“ და ფულიც მივეცით. ნაწილი, რა თქმა უნდა, მეორე ნაწილს სამუშაოს შესრულების შემდეგ შევპირდით.

— დღეს თამამებია და მოდით, ტოტალიზატორში წავიდეთ, თან ფეხბურთს ვნახავთ დიდ ეკრანზე, თან ლუდს დავლევთ! — შემოგვთავაზა თემომ.

ფეხბურთზე მაინცდამაინც არ ვგიჟდები, მაგრამ დავეთანხმე, არც კოტეს უთქვამს უარი.

— კაცი მოგზაურობამდე უნდა გაიცნო, — მითხრა თემომ. ტოტალიზატორ „კრისტალთან“ მიგვიყვანა, ვაჟა-ფშაველაზე. დარბაზში ტევა არ იყო. ყველა რაღაცას წერდა, ერთმანეთში საქმიანად საუბრობდნენ და რაღაც ბლანკებს ავსებდნენ.

— ესენი პროფესიონალები არიან, — აგვიხსნა თემომ.

— ჰო, მამაჩემიც თამაშობს, — კვერი დაუკრა კოტემ. — იგებს ხოლმე ცოტ-ცოტას.

— ჩათრევა იცის ასეთმა რამეებმა, — დამრიგებლურად ვთქვი მე.

— მოდით, ლუდი და რაღაცები ავიღოთ და თან ეს ბარათები შევავსოთ.

ბარათებს დავხედე, ვერაფერი გავიგე — ერთიანები, იქსები, ორიანები და რაღაც ასეთები ეწერა.

მეორე დარბაზში სათამაშო აპარატები დავინახე — ასეთზე კი მითამაშია. გულმა უფრო იქით გამინია.

— იქ ვითამაშებ, — ვუთხარი ბიჭებს.

— მოდი, დალიე და მერე წადი.

დავეყვიმათნებას, ცოტალუდიდავლიე, წავიხემსე, მაგრამ, ისე იყვნენ ფეხბურთში ჩართულები, ვერ დაველაპარაკე.

— გავალ ცოტა ხნით, ვითამაშებ. — გავედი. ჯერ სხვებს დავაკვირდი, როგორ თამაშობდნენ, მერე ერთ-ერთ აპარატ-

თან მაღალ სკამზე შემოვჯექი. ეკრანზე ღუმელთან მჯდარი დედაბერი და შავი, ყვითელთვალა კატა იყვნენ გამოსახული.

— ეს რას ნიშნავს? — ვკითხე ოციოდე წლის ბიჭს, რომელიც ჩემს გვერდით თამაშობდა.

— სამი, ოთხი ან ხუთი კატა თუ მოგივიდა, დიდ მოგებას მიიღებ, სამ ღუმელზე კი სათითაოდ უნდა გახსნა. მთავარია, კვამლი არ ამოვიდეს.

— საინტერესოა, — ჩემთვის ჩავილაპარაკე და ღილაკს დავაჭირე. სამი ღუმელი ამოვიდა! შემდეგ დედაბერი წამოდგა, მე ერთ-ერთი ღუმელის შესატყვის ღილაკს დავანექი. დედაბერმა ღუმელის კარი გამოაღო და შიგნით თევზი გამოჩნდა.

— კარგია. — მითხრა გვერდზე მჯდომმა. — ახლა სხვა კარი გააღებინე, მთავარია, კვამლი არ ამოვიდეს.

„გავაღე“ მეორე კარი, ტორტი ამოვიდა, მესამეში ისევ თევზი იყო, მეოთხეში — ნამცხვარი, მეხუთეში — ჯამში რალაც თუხთუხებდა. მოკლედ, ყველა კარი გავხსენი!

— ყოჩაღ! — მითხრა ბიჭმა. — ეს იშვიათად ხდება!

— რამდენი მოვიგე? — ქულები დავთვალე: ათი ლარიანი ჩავუშვი აპარატში და 1000 ქულა დამინერა! ესე იგი, 10 ლარია — ოთხმოცდაათი მოვიგე! — ერთი მითხარი, სამი ან ოთხი კატა ამაზე მეტს იგებს?

— კი, — მიპასუხა, — მაგ ას ლარს თუ ჩაუშვებ, სამ კატაზე ერთი ხუთი ათასს მოიგებ! მაგრამ ძაან იშვიათად მოდის!

„ოო, ეს სერიოზული თანხაა“, გავიფიქრე. „ეგვიპტეში გამომადგება!“

ჩავუშვი ასი ლარი, მომცა ათასი ქულა. „სტარტს“ დავაჭირე და ჩუმად ვთქვი: „სამი კატა“ „სამი კატა“. რალაც სხვა კომბინაცია მოვიდა, „გავადავე“ და წავაგე — ვალეტზე ვეთამაშე და 10-იანი გადმომიტრიალა.

— ვალეტზე არ ითამაშო, — მირჩია მეზობელმა. — დაბალი კარტები „გაადავე“: ორიანი, სამიანი და ასე შემდეგ...

კიდევ „დავასტარტე“, კიდევ ვეძახი კატებს: „სამი კატა! სამი კატა!“. ისევ სამი ღუმელი! არც ეს არის ცუდი, როგორც ჩემი „გამოცდილებით“. ვიცი. გავხსენი პირველი ღუმელი და კვამლი ამოვიდა!

— ოხ, შენი! — აღმომხდა მე.

— არა უშავს, კიდევ მოვა, — შემაგულიანა ჩემმა მრჩეველმა.

კიდევ დავასტარტე: „შავი კატა! სამი კატა!“ ჩემებურად „ვაპროგრამებ“ აპარატს. უეცრად გავიაზრე თუ რას ვაკეთებდი.

მე ვცდილობდი, აპარატი ჩემი სიტყვის ენერგიით დამემუხტა და დამემორჩილებინა! „კი, მაგრამ ეს ხომ რკინაა და არა წყალი?“ „სამაგიეროდ, კარგი გამტარია, და იმ ეგვიპტური გრაგნილების არ იყოს... მეც ვიმუხტები და ელექტრონულ ველს წარმოვქმნი ამ რკინასთან კონტაქტში“. უფრო ენერგიულად წარმოვთქვი: „სამი კატა“ „სამი კატა“, თან, ეტყობა, ისე ხმამაღლა გამომივიდა, ჩემს უკან ცნობისმოყვარენი მოგროვდნენ.

აჰა, სამი კატაც ამოვიდა!

— სამი კატა! — შევძახე მე.

— არა, ერთ რიგზე უნდა იდგნენ, აქ კი შუაში ქოთანია, ორი ცალკეა და მესამე ცალკე — ეს განლაგება ვერაფერს იგებს. — ამიხსნა კონსულტანტმა ბიჭმა.

— კარგი, მაინც გამოვიძახებ სამ კატას! — აპარატს ხელი ენერგიულად გავუსვი, „დავმუხტე“ ჩემი ჭკუით. „დავასტარტე“, დოლაბი დატრიალდა, ეკრანი აჭრელდა...

— სამი კატა! სამი კატა! სამი კატა! — ფუბრძანე აპარატს. ისევ სამი ღუმელი. ისევ წამოდგა დედაბერი, ისევ გავაღებინე ღუმელის კარი და ისევ კვამლი და დოზანა ამოვიდა! ასივე ლარი წავაგე! არ გაჭრა ჩემმა წარმოსახვითი ენერგიის ძაბვამ! „იქნებ, ძალიან კარგად ვერ წარმოვიდგინე, როგორ ვიდებ ჯიბეში მოგებულ ხუთიათას ლარს?“ უცებ საშინელმა აზრმა გამიელვა: „ოქროს თევზმა მიღალატა! წავაგე!“ სასწრაფოდ წამოვდექი და ბიჭებისკენ გავემართე.

— რაჰქენი, მოიგე? — ისეთი გამომეტყველებით მკითხა თემომ, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ მოვიგებდი.

— წავაგე! ასი ლარი წავაგე! — ლუდი მივაყოლე ამ სიტყვებს.

— რაა? — თვალეები გადმოკარკლა თემომ.

— ჰო, „სამ კატაზე“ ვთამაშობდი და წავაგე!

— სამ კატაზე? ეგ რას ნიშნავს? — მკითხა კოტემ.

ავუხსენი, რასაც ნიშნავდა, თან ისიც ვუამბე თუ როგორ მოვუხმობდი „კატებს“.

— ბიჭო, ისიც კი ვუთხარი, კატებო, თუ ამოხვალთ, სახლში კატას მოვიყვან-მეთქი! შენც არ მომიკვდე!

— სულ არ მოვიდა? — იცინოდა თემო.

— მოდიოდნენ, მაგრამ მწყობრად არა. ერთხელ ოთხიც კი ამოვიდა, მაგრამ ორი მალლა და ორიც ქვედა რიგში!

— მერე გეტყვი მაგის პასუხს! — უცებ მომიჭრა თემომ. გავჩუმდი. სენდვიჩი გადმოვიღე. ეკრანს შევხედე.

— ვინ თამაშობს? — ცალყბად ვიკითხე.

— პრემიერლიგაა — „ჩელსი“ და „ლივერპული“, — მიპასუხა კოტემ

— „ჩელსი“ მოიგებს, — ვთქვი მე.

— ალბათ, — დამეთანხმა თემო.

— საერთოდ, რა ხდება ფეხბურთში ახალი? — დავინტერესდი ამ საკითხით.

— ჩვენს ფეხბურთს თუ გულისხმობ, რვა თამაშიდან არც ერთი წაგება არ გვაქვს, მსოფლიოში კი ახალი ჩემპიონია — ესპანეთი! ევროპის ჩემპიონთა ლიგაც...

კოტე ჩაერია საუბარში:

— მაგარი რამე გითხრათ? მესის უთქვამს, მე ფეხბურთის ღმერთის გამოგზავნილი ვარო!

— ბიჭო! მართალია, ხომ იცი! — დაასკვნა თემომ.

— მოიცა, მოიცა! — გააგრძელა კოტემ. — ეს გაუგია კრიშტიანუ რონალდოს და ასე უპასუხნია: მე არავინ გამომიგზავნია ჯერჯერობითო!.

ამაზე გულით გამეცინა! — წაგებაც კი დამავინყდა! მაგარი ხალხია ეს ვარსკვლავები, მაგრად უბერავენ!..

...1964 წელს ოთხეული ამერიკაში ჩაფრინდა. წვიმდა. ზღვა ხალხი ელოდა „ბითლზის“ თვითმფრინავის ტრაპზე გამოჩენას. პირველი-ლენონი გამოჩნდა, მან შავი ქოლგების მთელი ჯარი დაინახა, მერე რინგომ გამოჰყო თავი და ბიჭებს უთხრა: ალბათ, ამერიკის პრეზიდენტს ხვდებიანო!

ხალხი კი სკანდირებდა:

„ბიი-ტლზ!“

იქვე, აეროპორტში, პირველი პრესკონფერენცია გაიმართა:

— პოლ, შენზე ამბობენ, ხმა არა აქვსო!

პოლ მაკარტნი: მართალია, მაგრამ რა ვქნა, ფული ხომ საჭიროა?

კორესპონდენტი: ჯონ, როგორ მოგწონთ ელა ფიცჯერალდი?

ჯონი: რალაცას მღერის ერთი ბებრუხანა, იმღეროს, ვის რას უშლის?

კორესპონდენტი: რინგო, ბეთჰოვენი მოგწონთ?

რინგო სთარი: ძალიან მომწონს, განსაკუთრებით — მისი ლექსები და პოემები!..

— გოოლ! — აყვირდნენ თემო და კოტე. ამ ყვირილმა გამომიყვანა ფიქრებიდან.

— რას მეუბნებოდი, მერე გეტყვიო? — თემოს ისე ჩავუღლაპარაკე, რომ კოტეს არ გაეგო.

— ბიჭო, იცი, რატომ წააგე? — ასევე ხმადაბლა მკითხა. — კატებს ხომ ეძახდი?

— ჰო! მერე რა?

— მერე ის, რომ... ოქროს თევზს „კატა“ „კატა“ ძახილი არ ესიამოვნებოდა მაინცდამაინც: კატა თევზის მტერია! აკვარიუმთან არ მიიშვება... იქიდანაც კი ამოჰყავს თევზი! „ეს როგორ ვერ გავითვალისწინე? მერედა, მეც რომ კატის წელს ვარ დაბადებული? ესე იგი, არ გამიმართლებს?“

საშინელი განწყობა დამეუფლა:

— წავიდეთ, გვიანია, — ვუთხარი ბიჭებს.



სახლში მივედი თუ არა, მამას შევეკითხე:

— მიშა ცაგარელს იცნობ? აი, იმას, ცნობილი ასტროლოგი რომ არის?

— ვიცნობ, როგორ არა, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. რაში გჭირდება?

— კონსულტაცია მინდა მისგან მივიღო...

— კერძოდ, რა თემა გაინტერესებს? — სათვალის ქვემო-დან შემათვალღერა მამაჩემმა, (სათვალეს იკეთებს, როცა კითხულობს).

— მე ხომ კატის წელს ვარ დაბადებული. ჰოდა, მაინტერესებს, მაგალითად, თევზებთან როგორი ურთღერობა მაქვს და, საერთოდ, როგორი წელი მექნება!

— კარგი, დავურეკავ! ეგ ბლოკნოტი მომანოდე!

თაროდან ბლოკნოტი ავიღე და მივანოდე. ეს ბლოკნოტი ბავშვობიდან მახსოვს, გაცვეთიღია უკვე.

ნომერი იპოვა და ზარი გაუშვა.

— გამარჯობა, მიშა... ნუგზარი ვარ... ჰო... კარგად, შენ როგორ გიკითხო? საქმე მაქვს პატარა... უფრო სწორად, ჩემს ნიკას აქვს... შენთან შეხვედრა უნდა ასტროლოღიურ საკითხებზე... ხვალ, მცხეთაში? კარგი, ვეტყვი. ჩვენში დარჩეს — ჰურ-მარიღი დავგიძვეღდა! ნავიღეთ და საღობიეშიც შევიაროთ, გავიხსენოთ ჯეეღობა!

— საღობიეში რა გინდა? — გავიკვირვე მე.

— მოკლეღ, თანახმაა, შეგვხვეღეს! ხვალ, 12 საათზე, მცხეთაში მიღის და შემოგვთავაზა, მასთან ერთად სვეტიცხოვეღს ვენვიოთ. ხომ ნავიღეთ?

— ნავიღეთ, ძალიან მაინტერესებს მაგ კაცის გაცნობა.

— არც ცღები, იმღენ რაღაცას გეტყვის და ისეთს, რომ... გააფრენ! სულ სხვა თვალღთ შეხეღავ სამყაროს!

— მე უკვე სხვა თვალღთ ვუცქერი.

— გეტყობა! — გაიცინა მამაჩემმა.

ღიღითადრეავღდექი, ვარჯიშზე ნასასვღელად მოვემზადე, მაგრამ მერე გადავიფიქრე. სხვა განწყობა მქონდა, სრულიად სხვა, რომელიც ფიზიკურის ნაცვღად სულიერ დატვირთვას ითხოვღდა...

ბატონმა მიშამ თავად დარეკა და მამას უთხრა, 12-ის ნახევარზე მზად იყავოთ, გამოგივღითო. საშინღად გაინღელადრო! რა საოცარია, როცა რაღაც კარგს, საინტერესოს მოე-

ლი, დრო ნელა გადის; როცა რაღაც ვალდებულებას ასრულებ, მაშინ სწრაფად! არადა, ის ხომ ყოველთვის ერთნაირად, ზუსტად მიედინება?

— საქმე ჩვენს აღქმაშია, — განმიმარტა მამამ. — დრო ისე ნავა, როგორც ჩვენ მოვისურვებთ...

— ეს როგორ? — დავინტერესდი.

— აი, მაგალითად, ხელფასი რომ მქონდა ასაღები, ის რიცხვი ნელა ახლოვდებოდა, ხოლო, კრედიტი რომ მქონდა დასაფარი, ის რიცხვი ძალიან მალე დგებოდა.

— კარგი მაგალითია, — გამეცინა. — მაგას მეც დავაკვირდი, ხომ იცი! მერედა, როგორ უნდა ვმართოთ დრო?

— არ უნდა იჩქარო! ბევრი ქეიფები არაა საჭირო, ფაციფუცი, დღეში ათ საქმეს ნუ გააკეთებ და... ნელა გავა.

— ქეიფი რა შუაშია?

— როცა სვამ, ლაღობ, კარგ გუნებაზე ხარ, დრო მალე გადის. როცა შრომობ, — ნელა! არ დაკვირვებხარ?

— მაგას არ დავკვირვებოვარ, მაგრამ ამ წუთას, ბატონი მიმას მოლოდინში, დრო ნელა გადის!

— მხატვრები შედარებით დიდხანს ცოცხლობენ, თუ დააკვირდი. ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ჩვენი ზურაბ ნიჭარაძე, ედმუნდ კალანდაძე აიღე თუ გინდა, ზურაბ წერეთელი...

— ეგ ვითომ რატომ? — მაინცდამაინც დამაჯერებლად არ მომეჩვენა ეს მსჯელობა.

— იმიტომ, რომ სულ შრომობენ, თითოეული ნახატის შექმნას ბევრი დრო მიაქვს და ისინიც დროს ქვეცნობიერის დონეზე ანაწილებენ. მხატვრებს მეტი დრო სჭირდებათ, ვიდრე პოეტებს!

— მომღერლებს?

— მომღერლებს გააჩნია! თუ ლხინში მღერი, როგორც გითხარი, დრო მალე გადის და, თუ წვალობ, რაღაცას ეძებ, ვერ მიგიგნია, შედარებით ნელა...

— თუმცა მოცარტი ძალიან ახალგაზრდა წავიდა! — შევახსენე მე.

— ჰო, მოცარტი სტიქია იყო, როგორც ქარიშხალი, წვიმა, თოვლი... — თქვა ფიქრებში წასულმა მამამ.

— ჰოდა, ალბათ, მაგაშია საქმე! დროის რა მონაკვეთში ვინ რას ასწრებს!

— ჰო, მართალი ხარ! ამიტომაც დრო ყველასთვის ინდივიდუალურია!

მობილური ანკრიალდა.

— კი. მზად ვართ, მიშა! ჩავედით! უკვე მოსულა, აი, ხომ ხედავ, საინტერესო ამბებზე საუბარში დრო რა მალე გავიდა.

„იმიტომაც არის, ალბათ, რომ უინტერესო წიგნების კითხვას დიდი დრო სჭირდება“, გავიფიქრე მე.

კიბე ჩავირობინეთ და, იცით, ვინ დამხვდა? ვერ გამოიცნობთ — მიშა და... ხათუნა!

— გაიცანით ერთმანეთი, — თქვა მამამ. — ბატონი მიშა (სახეზე ვიცნობდი, ტელევიზიით ბევრჯერ მყავს ნანახი).

— ვიცანი, — ვთქვი მე. — მე ნიკა ვარ...

— გამოვიცანი! — გაიცინა მიშა ცაგარელმა, — ეს კი ჩემი ნათესავი ხათუნაა!

— ვიცნობ, — ვთქვი მე.

— გამარჯობა, — ჩაილაპარაკა თავისთვის ხათუნამ.

მე და მამა უკან დავსხედით, საჭესთან — ბატონი მიშა, გვერდით — ხათუნა, რომელიც არაჩვეულებრივ ფორმაში იყო! რალაცნაირი, ამალღებული განწყობა დამეუფლა, ალბათ, მცხეთისკენ რომ მივდიოდით, იმიტომ! თბილისიდან რომ გავედით, მიშა ცაგარელმა სარკიდან შემომხედა:

— ესე იგი, რა გაინტერესებთ, ახალგაზრდავ?

— აი, როგორია ეს წელი საერთოდ...

— თქვენი ზოდიაქოს ნიშანი?

— კუროა, — ჩაერთო მამა.

— ჩემი კი — თევზები, — გაიცინა ხათუნამ.

„აჰა, იმიტომაც მივამგვანე ოქროს თევზს“, — გავიფიქრე მე.

— პასიური ენერჯის, „ინ“-ის წელია, თეთრი კატის, კუროთათვის საინტერესო წელი. 20 ივნისის შემდეგ გამარ-



ჯვების პლანეტა იუპიტერი შედის კუროს ეტლში და ეს პერიოდი გრძელდება მთელი წელი! თეთრი კატის, სხვანაირად კურდღლის ნიშნის მოთხოვნებია: ინტუიციის გამახვილება; არ უყვარს აგრესია. კურო ნარმატებული იქნება პოეზიის, ლიტერატურის და ხელოვნების სხვა დარგებში.

ეს განსაკუთრებით მომეწონა და შევანწყვეტინე:

— მუსიკას ეხება?

— აუცილებლად, მუსიკა ხომ ხელოვნების საოცარი დარგია, რომელიც არა მარტო ადამიანებზე, არამედ ცხოველებზე და მცენარეებზეც კი მოქმედებს.

— მუსიკას გააჩნია! — ღიმილით თქვა მამამ.

— ჰო, მართალი ხარ! ცხოველებზე — (მაიმუნების გარდა!)

— უფრო კლასიკური მუსიკა მოქმედებს დადებითად.

— როკი მაიმუნებს მოსწონთ? — წყენის ნოტები გამეპარა ხმაში.

— ერთხელ ჟურნალ „ამერიკაში“ წავიკითხე, რომ შიმპანზეს რამდენიმე ღილაკი დაუმონტაჟეს. ყველა ღილაკის უკან სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოები იყო განთავსებული. შიმპანზე ყოველთვის იმ ღილაკს აჭერდა, სადაც „როლინგ სტოუნზი“ და მსგავსი ჯგუფები იყო!

— იმიტომაც არის შიმპანზე განვითარებული არსება სხვა ცხოველებთან შედარებით. აბა, ვირი როკს რას გაუგებს?

ზედმეტი რომ მომივიდა, მე თვითონ ვიგრძენი!

— შეიძლება ასეც იყოს! — დამეთანხმა ბატონი მიშა.

ავტომობილში ცოტა ხნით სიჩუმემ დაისადგურა.

— კიდევ რა ინტერესები აქვს, იცით, კატას?

— რძე უყვარს და თევზი, — მიშას შეკითხვას სიცილით გამოეპასუხა ხათუნა.

რალაც მენიშნა ხათუნას ამ სიტყვებში და ორაზროვნად წარმოვთქვი:

— თევზი ნამდვილად უყვარს...

— სხვათა შორის, კუროსა და თევზის ნიშნებს დიდი მიზიდულობა აქვთ ერთმანეთისადმი.

## ახმაგედონის მათხახი

— ვითომ? — ირონიულად გამომხედა ხათუნამ.

— რატომ არის მაცხოვრის სიმბოლო თევზი? — სარკეში ვკითხე საჭესთან მჯდომს.

— მაცხოვარი ქვეყანას მოევიღინა 2000 წლის წინათ, ვერძის ეპოქის დასასრულს და თევზის ეპოქის დასაწყისში. ეპოქები ყოველ 2000 წელიწადში იცვლება. ამიტომაც მას ორი სიმბოლო აქვს: კრავის და თევზის. ყოველ ორი ათასი წლის მიწურულს იმართება კოსმიური ბრძოლა თეთრ და შავ ძალებს შორის. მაცხოვარმა თავისი ჯვარცმით ადამიანთა შეცდომები გამოისყიდა და ამით დაამარცხა შავი ძალები, კონკრეტულად — არმაგედონი — ეშმაკის პირველი მოციქული.

— ახლა, ახლა რატომ ხდება ასეთი ცუდი ამბები? კრიზისი, ომები, რევულუციები, მიწისძვრები? — შეეკითხა მამაჩემი ბატონ მიშას.

— ახლაც ახალი ეპოქის, მერწყულის დასაწყისში გაიმართა ეს ბრძოლა. შავი ძალები დამარცხდნენ, მაგრამ არმაგედონს მიეცა უფლება, კიდევ 12 წელი იქნოს თავისი მათრახი! ამ პერიოდს „არმაგედონის მათრახს“ უწოდებენ. ის 1999 წელს დაიწყო და 2012 წლის 21 დეკემბრამდე გაგრძელდება.

— რაო? — წამოვიძახე. — ეს ხომ დიდი კატასტროფის თარიღია!

— დამშვიდდი, ნიკა! შავი ძალები დამარცხდნენ! 22 დეკემბრიდან იწყება წინსვლა. მაგრამ მანამდე, ხომ ხედავთ, როგორი კრიზისია, სიფრთხილე გვმართებს!

— ძალიან საინტერესოა, — თქვა ხათუნამ. — ეს არ ვიცოდი!

— არ უყურებ ჩემს გადაცემებს და იმიტომ, — გაიცინა ბატონმა მიშამ. — თუმცა, მარტო შენ კი არა, სხვებიც არ აქცევენ ჩემს რჩევებს ყურადღებას, რაც დასანანია.

— მე გავითვალისწინებ, — ჩემს თავს ვუთხარი მათ გასაგონად.

ამასობაში სვეტიცხოველს მივადექით. შესასვლელში ხათუნამ მითხრა:

— სად დაიკარგე?

— რა ვიცი. შენ სად წახვედი იმ ღამით?  
— ჩვენ „მარკო პოლოში“ შევხვდით ახალ წელს!  
— ჰოო? — გამიკვირდა. „რალა მაინცდამაინც მარკო პოლოში?“

— ნიკა! — დამიძახა მამამ. — მოდით აქ!

ეკლესიაში შევედით, კარებში პირფვარი გადავისახეთ.

— აი, აქეთ მოინით! — კედლისკენ მიგვითითა მიმა ცაგარელმა. — ეს არის ზოდიაქოთა რკალი, რომელიც გამოსახეს მე-17 საუკუნეში, უფრო სწორად, ტაძრის აგებისას, მე-11 საუკუნეში, ხოლო მას შემდეგ, რაც ტაძარი მიწისძვრამ დაანგრია, იმავე სახით აღადგინეს. ცნობისთვის: კალისტრატე ცინცაძე თავის წიგნში — „ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესია თბილისში,“ რომელიც 1930 წელს დაწერა, 23-ე გვერდზე აღწერს ასეთივე ზოდიაქოთა რკალს, რომელიც შემდეგ გადაღებეს. თორმეტი სარკმლის ქვეშ დახატული იყო თორმეტი მოციქული მათი შესატყვისი ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით ისე, როგორც აქ არის:

1. ვერძი — ფილიპე
  2. კურო — მათე
  3. ტყუპები — თომა
  4. კირჩხიბი — ბართლომე
  5. ლომი — იაკობ ზებედესი
  6. ქალწული — იოანე ღვთისმეტყველი
  7. სასწორი — პეტრე
  8. მორიელი — პავლე
  9. მშვილდოსანი — ანდრია
  10. თხის რქა — იაკობ, ძმა უფლისა.
  11. მერწყული — თადეოზი
  12. სიმერონი...
- მანამ კი იუდა — თევზები

— საოცრება! — აღმომხდა მე. — ესე იგი, ისინი ერთ მთლიან რკალს წარმოადგენენ...

— საქმეც ეგ არის! ყველა მათგანს თავისი თვისებები და ხასიათი ჰქონდა ვარსკვლავებისგან მინიჭებული.

ტაძრიდან გამოვედით.

— სალობიეში შევიაროთ, — შემოგვთავაზა ბატონმა მიშამ.

— ოცი წელია, მანდ არ ვყოფილვარ, — თქვა მამამ.

— მე კი საერთოდ არ ვყოფილვარ, — გაიცინა ხათუნამ.

— მამა, მე გაჯობე! ოცდაოთხი წელია, რაც მანდ არ ვყოფილვარ.

— ამიტომაც სალობიეს მივაშუროთ. ხომ ხედავთ, რა მნიშვნელოვანია ის ჩვენი თაობისთვის, — მიშა ცაგარელმა მანქანა დაძრა.

— ამ ადგილას სამი ტაძარი, — წამოიწყო მამამ, — სვეტიცხოველი, სამთავრო და ჯვარი ქმნის სამკუთხედს. აქ აუცილებლად უნდა გადავინეროთ პირჯვარი, ეს წმინდა სამკუთხედი!

— მოიცა, მოიცა! ღმერთის თვალი? სამკუთხედში ხომ ღმერთის თვალია?

— ღმერთი ყველგან არის! — მიპასუხა ბატონმა მიშამ. — მაგრამ, ალბათ, არის დედამიწაზე მისი გამორჩეულ ადგილები. მაგალითად, იერუსალიმი... მცხეთაც ასეთი ადგილია უთუოდ!..

...სალობიეში სიხალვათე იყო.

— აქ ადგილს ვერ იპოვიდი ჩემს ჯეელობაში, — მითხრა მამამ.

— გაზაფხულიდან მეტი ხალხი ესტუმრება მცხეთას. თუმცა, ახლა იმდენი რესტორანია, აქ იმდენი სტუმარი მაინც ვეღარ იქნება. ჩვენს ახალგაზდრობაში ხომ ეს ერთადერთი სალობიე იყო... — აგვიხსნა ბატონმა მიშამ.

ქოთნებით მოგვართვეს ლობიო; ყველი, მწვანილი, მჟავე და, რა თქმა უნდა, ღვინო. ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად გაჩნდა სუფრაზე, რაც ძალიან მომეწონა. სხვაგან შიმშილით ამოგხდიან სულს, სანამ რამეს მოგიტანენ!

— ჯერ ცოტა წავიხემსოთ, მერე დავლიოთ, — გვირჩია მამამ.

— მე ვერ დავლევ! — თქვა მიშა ცაგარელმა. — შენ ითამადე!

— ცოტა მოსვი!

— ცოტა და ბევრი პატრულმა არ იცის! ძმრიანი სალათაც რომ ჭამო — ანთებს!

— ამბობენ, გერმანიაში ერთი კათხა ლუდი დასაშვებიაო...

— ჩავერიე საუბარში.

— იცი... მე ლონდონში მივდივარ სასწავლებლად, — დაბალ ხმაზე მითხრა ხათუნამ.

— ჰოო?... „არადა, ლონდონში მე მინდოდა წასვლა!“

— უფლის დიდება ვთქვათ! — მამამ ჭიქა ასწია და ფეხზე წამოდგა. ყველანი წამოვდექით. „ამას რომ ვამბობთ, ღვინოც ღვთის სადიდებელი მადლით ივსება!“ გავიფიქრე მე.

— სხვაგან თუ არის, ნეტავ, ასეთი ფრესკა? — იკითხა ხათუნამ.

— სხვაგან მე არ მსმენია, მაგრამ ქაშუეთში რომ იყო, ამას ლიტერატურული წყაროები ადასტურებენ. შემდეგ წაუშლიათ.

— მერე გუდიაშვილმა მოხატა ქაშუეთის ტაძრის ერთი მხარე და ამისთვის კინალამ გადაასახლეს, — თქვა მამამ.

— ოოო, მაშინ დიდი გმირობა იყო არა მარტო ტაძრის მოხატვა, არამედ საეკლესიო თემაზე რაიმე ნაწარმოების შექმნა!

— მაშ, ჩემო მიშა, მოდი ჩვენს გმირ ნინაპრებს გაუმარჯოთ, რომელთაც ხშირად საკუთარი სამშობლოში ვერ უგებდნენ. ბატონი ლადო პარიზიდან რომ არ დაბრუნებულყო, პიკასოს და მოდილიანის გვერდით მოიხსენიებდნენ, აქ კი კინალამ დახვრიტეს!

— გაუმარჯოს, — თქვა ბატონმა მიშამ — ტოტალიტარიზმი პირველ რიგში მოაზროვნეებს და თავისუფალ ადამიანებს ებრძვის — სწორედ იქ ხედავს საშიშროებას!

მერე ახალგაზრდები დაგვლოცეს. მიშა ცაგარელმა სილამაზე და ჭკუა შეუქო ხათუნას, მერე მე მადლეგრძელა და დასასრულს თქვა:

— სხვათა შორის, მშვენიერი წყვილი გამოვიდოდა ამათგან!

ამ სიტყვებზე უხერხულად ვიგრძენი თავი, რაღაც უაზროდ ჩავილულულე.

უკვე შებინდებულყო. ბატონმა მიშამ დანახარჯი გადაიხადა და გარეთ გამოვედით. მცხეთის ჰაერი ღრმად ჩავი-

სუნთქე. რალაცნაირად თავისუფლად და ბედნიერად ვიგრძენი თავი... მე და ხათუნამ თავები ერთმანეთს მივადეთ, გვარიანად მომკიდებოდა ღვინო...



— სანამ მამალი სამჯერ იყივლებს, სამჯერ უარმყოფ, პეტრე, — თქვა იესომ მშვიდად.

ასეთ სიტყვებს მასწავლებლისგან არც ერთი მათგანი არ ელოდა, მითუმეტეს, პეტრე.

— მე არასოდეს უარგყოფ, რაბი! — აღმოხდა მოციქულს, პეტრედ ნოდებულს, რაც „კლდეს“ ნიშნავს, კლდეს, რომელზეც ქრისტეს ეკლესია აიგო. სხვებიც გაოცებით შეაცქერდნენ მასწავლებელს.

— შენ კი, იუდა! წადი და აღასრულე შენი ჩანაფიქრი. — იუდამ კარგად იცოდა იესოს შესაძლებლობანი, მაგრამ ამას ნამდვილად არ ელოდა: „საიდან იცის ჩემი განზრახვის შესახებ?“

— რაბი, სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამ, რალაც მინდა გითხრა.

მასწავლებელი მიუახლოვდა, თვალებით ანიშნა, ილაპარაკეო.

— შენ ყველაფერი შეგიძლია! მოგვეცი იარაღი და დავგამარცხებინე რომაელები!

— რომი თვითონ დამარცხდება, იარაღით კი მას კიდევ უფრო გავაძლიერებთ! — იყო მაცხოვრის პასუხი.

— ეს როგორ? — გულწრფელად გაიკვირვა იუდამ, ისკარიოტელმა.

— ახლა თეთრი და შავი ძალების ბრძოლაა, ეს ბრძოლა კი ტერიტორიული ან სხვა ნიშნით არ წარმოებს. განა თქვენს შორის ყველა წმინდა და მართალია? განა რომაელთა შორის არ არიან სულით მაღალნი და კეთილშობილნი? ბრძოლის ხაზი გულებზე და სინდისზე გადის.

— აბა, დავიკრიფოთ გულხელი და ველოდოთ, როდის გავთავისუფლდებით? — სხვებს რომ არ გაეგოთ, ჩურჩულით იკითხა ურჩმა მოსწავლემ.

— თუ მოითმენ, სასუფეველს იხილავ, — მშვიდად მიუგო მასწავლებელმა. — ბევრი დრო არ გავა ჩემი აღდგომის შემდეგ, მთელი რომი წარმართობას დათმობს და ჭეშმარიტ ღმერთს ირწმუნებს. ამისთვის მომავლინა მამამ.

— კი, მაგრამ... რატომ გგონია, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ, დაგიჯეროთ? მამა-პაპა ხომ სხვას გვასწავლის?

— შენ გეკონდა არჩევანი! შენი ზოდიაქო თევზებია. აქერთი თევზი მაღლა, ზეცისკენ არის მიმართული, ხოლო მეორე ქვესკნელისკენ, შენ შეგეძლო სწორი არჩევანის გაკეთება მაგრამ ქვესკნელი აირჩიე...

— ზოდიაქო რა შუაშია? — გაიკვირვა იუდამ.

— მე თქვენ ხელობით ასაკით ან სხვა ნიშნით არ შემიძრევ-იხართ. არამედ, ზოდიაქოს ნიშნების მეშვეობით კოსმოსური რკალი შევკარი! ამით სრულყოფილების მიღწევა მინდოდა, მაგრამ შენ გადიხარ ამ ჰარმონიიდან... წადი, იუდა! აღასრულე შენი ჩანაფიქრი!

იუდამ ჩქარი ნაბიჯით მიატოვა საიდუმლო სერობა...

...კარგა ხანს ვერ გავიგე — სად ვიყავი, ბოლოს, როცა რე-ალობის შეგრძნება დამიბრუნდა, გავაცნობიერე, რომ ღამით მაცხოვარი დამესიზმრა! თემოსთან დავრეკე:

— ეკლესიაში წამყევი, რა?

— როდის?

— ერთ საათში გამოგივლი.

— მე გამოგივლი, — მხიარულად მითხრა თემომ. — ჩემი მანქანით!

— ოოო, მომილოცავს! სიტყვის კაცია დავითი! მოკლედ, რალაცები უნდა გიამბო!

ერთ საათში თემოს მანქანა ჩემს სადარბაზოსთან იდგა.



მივედით წმინდა გიორგის ხატთან და დავანთეთ სანთლები.

— წმინდაო გიორგი! გამარჯვების გზებით გვატარე! — შევევედრე წმინდანს.

— შენ ხომ იცი, წმინდა გიორგი რომაელთა ათასისთავი რომ იყო? — მკითხა თემომ.

— არა, არ ვიცოდი... — ჩავფიქრდი. — ესე იგი, მაცხოვარი მას გულისხმობდა, როცა იუდას უთხრა: რომაელთა შორისაც არიან წმინდანებიო!

— ეგ სად წერია? — გაუკვირდა ჩემს მეგობარს.

— სიზმარში ვნახე წუხელ.

სიზმარი ვუამბე. თემომ პირფვარი გადაინერა.

— ხედავ, რა ხდება? უფალო, დაილოცოს შენი სახელი!

— ამ ბოლო დროს რაზეც ვფიქრობ — ის მესიზმრება! ნაპოლეონიც კი დამესიზმრა ამასწინათ!

— ნაპოლეონი როგორ დაგესიზმრა? რა გითხრა? — გაიოცა თემომ.

ეს სიზმარიც ვუამბე, ცაგარელთან შეხვედრაც გავიხსენე, წყლის ამბებიც და, საერთოდ, „ჩავერთე“ და მივაყარე ყველაფერი, რაც იმ დღეებში მოხდა.

— საოცარია! საოცარია! — ბუტბუტებდა ჩემი კოლეგა.

— მაგ საოცარზე, იცი, რა მითხრა მამაჩემმა?

— რა უნდა ეთქვა? როცა რაიმე გაგიკვირდება, საოცარ-იო ამბობენ და მეც ძალიან მაოცებს ეს ამბები.

— გაოცებს, ხომ? ჰოდა, მამაჩემმა მითხრა, უხსოვარი დროიდან მოდის ეს გამოთქმაო. ოცი მაშინ ყოფილა ყველაფრის მომცველი რიცხვი, ყველაზე მეტი. ამიტომ გვაქვს ქართველებს ოცობითი თვლაო!, სა-ოც-არი! ოც-ნება. ლ-ოც-ვა... და, კიდეც, ამ-ოც-ანა! არ გაგიყდები კაცი? აჰა, ეს ლექსიც მომცა:

რიცხვი „ოცი“ ჩვენს ენაში

სა-ოც-არი რიცხვია,

ნახეთ, თუ რა თეორია,

მასზე გამომიცხვია!

„ოცი“ არის სრულყოფილი

და ყველაფრის მომცველი...

დამარხული საიდუმლოს

გასაღების მომცემი!..



„ოცი“ კარგად შეფარული  
ძვეს სიტყვაში „მაკ-ოც-ე“,  
ისე კარგად ინიღბება,  
გეფიცებით, მა-ოც-ებს!  
კოცნა, ლოცვა, გაოცება  
საოცრებაც ოცია,  
როცა ოცის შესრულები,  
მართლაც მოსალოცია!  
როცა სიჭაბუკე მოვა,  
აგიტაცებს როს ვნება,  
სიყვარულიც გეახლება,  
აგიხდება ოც-ნება!  
გისურვებენ ხუთჯერ ოც წელს,  
განა საკვირველია?  
ხუთი ბ-ოც-ა რქანითელი  
ლხინში დასაღვია!  
მე ამ ლექსში ცოტას ვხუმრობ  
და სიმართლეს ვამბობ თანაც.  
გაარჩიოთ, სად რა არის,  
აი, თქვენი ამ-ოც-ანა!

— გაიგე?  
— რამდენი საიდუმლოა ჩვენს ენაში დამარხული! — თქვა  
ფიქრებში ჩაძირულმა თემომ — ახალგაზრდა მუსიკოს-  
მა, რომელსაც, ერთი შეხედვით, ეგეთი რამეები არ უნდა  
აღელვებდეს!  
— მე მგონი, ნელ-ნელა ეზოთერისტი ვხდები. ამ ოქროს  
თევზმა სულ გადამრია! თან ეგვიპტეში წასვლას ვაპირებთ  
— საოცრებათა ქვეყანაში!  
— მოიცა, მოიცა! ნახე, რა კარგ რაღაცას ჩავავლე? „ვა-  
პირებთ“, ანუ პირიდან ვუშვებთ ინფორმაციასო! აუ, მეც  
გადმომედო შენი ავადმყოფობა. ხომ კარგად გავშიფრე? —  
თემო გახარებული იყო.

— ანუ „ვაპირებთ“, იგივეა რაც „სიტყვა ვთქვით!“ ჰოდა, შევასრულოთ ეგ სიტყვა. ოქროს თევზს ხომ ვთხოვეთ?

— ვთხოვეთ!

— მერე, იმას რომ არაფერი უთქვამს? — გაიცინა თემომ.

— დუმილი თანხმობის ნიშანია! აი, სად ამართლებს ეს ანდაზა: შენ სურვილებს უთქვამ, ოქროს თევზი კი დუმს, ესე იგი — გეთანხმება! ამის დასტურია თუნდაც შენი მანქანა...

— ჩვენი გიტარები, ფული, რომლითაც კლიპი უნდა გადავიღოთ...

— კარგი, არ გავთვალთ! — შევაჩერე. — ასე იცის ბები-აჩემმა, თვალი მუშაობსო, მეუბნება. ხანდახან შემომხედავს და მეტყვის, ჯვარი გწერია ჩემი თვალისგან და რა კარგად გამოიყურებიო!

— ჰოდა, ჯვარი გწერია და ნავედით ეგვიპტეში!

— ნავედით! ნავედით!



როგორც იქნა, 15 რიცხვიც დადგა, ბედობის კიდევ ერთი დღე, ანუ — ბედობა 2. „ძველით ბედობა“. კარგია, ალბათ, მოგზაურობის დაბედება. მთავარია, რაიმე ხიფათი არ შეგვემთხვეს იქ — ცაში. „კარგ რამეებზე ვიფიქროთ!“ შევუძახე ჩემსავე თავს. აეროპორტში ყველანი ერთად მივედით, დათო ძიამ მანქანა 12 დღით ავტოსადგომზე გააჩერა — ფული აქვს (ღმერთმა მისცეს ასეთ ადამიანს!); ბარგი არა გვაქვს, თბილი ტანსაცმელი მანქანაშივე დავტოვეთ (ჩვენი გურუს იდეა იყო). საკმაოდ ხალვათად ჩაცმულები შევედით აეროპორტის ჰოლში.

— ტრუსები მაინც გვეყიდა! — თქვა კოტემ.

— „ტრუსიკები“ „მაიკები“ და „შლოპანცებითა“ გადატენილი ეგვიპტე. კონა ათი შაური ღირს! — უპასუხა დავითმა.

— ეგ გამოთქმა სხვა რამეზე გამიგია! — გავიცინე მე.

— ეგეც არის! სრულიად უფასოდ! შენ რომ შეგხედავენ, შეიძლება იქით გადაგიხადონ!

— შენც ხომ არ გიხდიან, ბიძაჩემო? — საუბარში ჩაერთო თემო.

— არა, ჩვენ ერთ „ვაზრასტნოი“ ჯგუფში ვართ. თქვენ იუნიონებში გადიხართ, თქვენზე მეტი მოთხოვნა ექნებათ დეიდებს.

— პატარები არ ჩამოდიან? — იკითხა კოტემ.

— ყველანაირები ჩამოდიან და მიდიან. ყოველდღე ახალ-ახალ ხალხს ნახავთ, თვალები აგიჭრელდებათ.

— პირამიდები აუცილებლად უნდა ვნახოთ! — ვთქვი მე.

— ნინაზე რომ ვიყავი, ვერ მოვახერხე მაგ პირამიდების ნახვა, სულ „პახმელიაზე“ ვიყავი! — გაგვიმხილა დათო ძიამ.

— ესე იგი, გიდად არ გამოდგები? — ჰკითხა ძმისშვილმა.

— გიდებს მიაქვთ იქაურობა, ყველა „პაპირას“\* ყიდის და ყველა გიდა; — ტურისტული ბიზნესია! გატენილია ეგვიპტე ტურისტებით, მაგრამ... მაინც გაჭირვებულები არიან!

— საინტერესოა, — შევეხმიანე „გურუს“, თან ბილეთები მივანოდე რეგისტრატორ გოგონას. ჯიბეებში ხელებჩანყო-ბილები ავედით ტრაპზე, დავიკავეთ ჩვენ-ჩვენი ადგილები და თვითმფრინავიც გაუყვა ასაფრენ ბილიკს.

აფრენისას ყურები დამეცო, არავის ხმა აღარ მესმოდა, რალაცა ვთქვი — ჩემიც ვერ გავიგონე წესიერად.

— აი, ეს დალიე, — ჭიქა მომანოდა დათო ძიამ.

მუნჯურად, ჟესტებით ვკითხე: „რა არის ეს?“

— ვისკი! — მითხრა და ჟესტითვე მაჩვენა, თუ როგორ უნდა „მეხუხა“.

მეც „ვხუხე“ თუ „ვხიე“ თუ „ვგლიჯე“, უფრო კი „გადავკარი“, ალბათ; ცოტათი გამეხსნა სმენადობა. „კიდევ ერთი!“ მანიშნა გურუმ.

— შველის? — ვიყვირე მე. არ ვიცოდი, რომ ვყვიროდი, მეგონა, ხმადაბლა ვუთხარი.

დათო ძიამ გაიცინა.

— რა გაყვირებს! დალიე და ყველაფერს დაარეგულირებს, რაც მთავარია, შიში მოგეხსნება!

რა იცოდა, რომ მეშინოდა? რალაც შინაგანი შიში მქონდა: „ავფრინდებით?“ „ჩავფრინდებით?“ ნუთუ ამათ არა აქვთ ეს

---

\* პაპირა — პაპირუსის ქალღმერთზე შესრულებული ნახატები. ძვ. ეგვიპტური სიუჟეტები.

შიში? სალონს გავხედე, ყველა სვამდა. ჩემს გვერდით სიმპათიური, სათვალისანი, ჭალარა მამაკაცი — ისიც სვამდა, არადა, რომ ამოვიდა — პროფესორი მეგონა! ჩემსავე ფიქრზე გამეცინა: რა, პროფესორები არ სვამენ?

— თქვენც გეშინიათ თვითმფრინავის? — უცერემონიოდ გავესაუბრე მას.

— ცოტათი კი... — გამომიტყდა პროფესორი.

— თქვენ პროფესორი ბრძანდებით, არა? — უკვე თავში „დამიკაკუნეს“ სტუმრებმა.

— დიახ, როგორ გამოიცანით? — გაიოცა მეზობელმა.

— ნოსტრადამუსი ვარ.

— სასიამოვნოა! — გამიცინა პროფესორმა. — მე გურამ მშვენიერაძე გახლავართ, ეგვიპტოლოგი.

— ოოო, კოლეგები ვყოფილვართ. მეც ამ ბოლო დროს ძირითადად ეგვიპტით ვარ დაკავებული.

— ამიტომ მიემგზავრებით? — ყურადღებით შემათვალიერა პროფესორმა მშვენიერაძემ.

— არა, კლიპის გადასაღებად მივდივართ. ეს ბიჭები ჩემი ჯგუფის წევრები არიან, ის კი ჩვენი გურუა! იცით... ალბათ... რასაც ნიშნავს გურუ.

— არა მარტო ვიცი, იმასაც კი გეტყვით, ახალგაზრდავ, რომ ეს სიტყვა ეგვიპტიდან მოდის: „ქურუმ“ „ქუ-რუ“, ანუ მოძღვარი! ყველაფერი იცოდნენ ქურუმებმა: ასტრონომია, მედიცინა, თეოლოგია ხომ საერთოდ იქ წარმოიშვა — ერთი ღმერთის აღმოჩენით დასრულებული!

— ქართველები? — მისთვის მოულოდნელად შევეკითხე.

— ქართველები ხომ დიდ როლს თამაშობდნენ ეგვიპტეში?

— ძალიან დიდ როლს, სხვათა შორის. ახლა ჩემი მეგობრის, პოეტიასერ კატამიშის მონვევით მივდივარ, რომელიც იმ მუჰამედ კატამიშის შთამომავალია, რომელიც ნაპოლეონს ებრძოდა.

— ნაპოლეონმა რუსტამ რაზას უთხრა, „ესე იგი ქართველებს ვებრძოდით!“ — ჩემი სიზმრის ფრაგმენტი გავაცანი ბატონ გურამს — პროფესორს.

— სად წაიკითხეთ ასეთი რამ? — სათვალე მოიხსნა და ისე შემათვალეირა მშვენიერადემ. ხომ არ ვეცყოდი, დამესიზმრა-მეთქი, ვინ დამიჯერებდა! ჰოდა, ვიცრუე — ინტერნეტში წავაწყდი სადღაც-მეთქი.

— ინტერნეტში ათას სისულელეს წერენ, — თქვა პროფესორმა. — თუმცა ეგ სავსებით შესაძლებელია. იცით, მეგობარო, უძველესი აკვანი ცივილიზაციისა რომელია? — თავადვე გააგრძელა — შუამდინარეთი. იქ დაინერა „გილგამეში“, პირველი წიგნი დედამინაზე. იცით, ეს „გილგამეში“ ლაზურად რას ნიშნავს?

— მე ლაზური არ ვიცი, ინგლისური ვიცი... — ჩავილულულე მე.

მივხვდი, უკვე მთვრალი ვიყავი.

— მგელკამეჩს! ასე რომ, კიდევ გასარკვევია, ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ!

— წყალზე რას იტყვით? აი, „შემიწყალე“ „მინყალობე“, მონყალე, უმონყალო...

— შუამდინარეთიდან უნდა იყოს. „ნუ გამინყალე“; იქ ბევრი წყალი იყო, და ცეცხლის გაჩაღება-შენარჩუნება ჭირდა. აქედან მოდის გამოთქმა „ცეცხლის ფასი“ აქვს. არ გაგიგიათ, „ყველაფერს ცეცხლი უკიდია“, როცა უნდათ, თქვან — ძვირიაო. ეს შუამდინარეთის პერიოდიდან გვაქვს შემორჩენილი, ხოლო „მინყალობე“, „სანყალი“ იქ უნდა შემოსულიყო ცნობიერებაში, სადაც უდაბნო იყო, წყლის მოპოვება, შენახვა იყო პრობლემა. ასე ინახება ენაში ერის წარსული.

— შეიძლება თუ არა, რომ ერი არსად წასულიყოს და მხოლოდ ერთ ან ორ კაცს შემოეტანა ეს მცნებები ჩვენში?

პროფესორი ჩაფიქრდა.

— საინტერესო შეკითხვაა! აბო თბილელი ხომ ჩვენთან გაქრისტიანდა, მას და მის მსგავსებს შეეძლოთ ჩვენში შემოეტანათ ასეთი მცნებები.

— ანუ ექადაგათ, არა? თავისებურად, რა თქმა უნდა!

— ნიჭიერი ახალგაზრდა ყოფილხართ! არ დაგიმაღავთ და მე თქვენთან მეგობრობა მომიხდა, ჩემი ასაკის მიუხედავად!

მესიამოვნა, არაფერი ვთქვი.

— იცით, ბუდას აქვს ასეთი გამონათქვამი: წადი, უცხო ქვეყანაში ქვაზე დაჯექი და ხალხს ელაპარაკეო!

— მუსიკის ენითაც ხომ შეიძლება ეს ლაპარაკი? — მიამიტურად ვკითხე დამსახურებულ ადამიანს.

— მუსიკა ყველაზე საოცარი ენაა, ცხოველებზეც კი მოქმედებს!

— „საოცარი“, იცით, საიდან მოდის? — თავის გამოჩენა მომინდა.

— საიდან?

— რიცხვი ოციდან! „ოც-ნება“, „ამ-ოც-ანა“, „სა-ოც-რე-ბა“. როცა ოცს მიაღწევდი, ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი რამ იყო!

— საინტერესო მოსაზრებაა, აქამდე არ გამიგია!

— სამოთხე, იცით, რას ნიშნავს? სამის და ოთხის ჯამს, ანუ შვიდს. აქედანაა — „მშვიდობა!“.

— ყოჩაღ, ყმანვილო! ვინ გასწავლით ასეთ რამეებს?

— მამასთან „ვვარჯიშობ“, — გავიცინე მე და ის ჭიქაც „ვზუხე“, დათო ძიამ რომ მომანოდა — რიგით მესამე 50 გრამიანი ვისკი.

შარმ ელ შეიხში „გახეული“ მთვრალეები ჩამოვედით.

— მე ქაიროსკენ უნდა გავყვე ავტობუსს, — დაგვემშვიდობა პროფესორი.

— დაგვირეკეთ, ბატონო გურამ, როუმინგი მაქვს ჩართული! ჩემი ნომერი დავუნერე.

— ეს კი ჩემი სავიზიტო ბარათია. ქაიროში რომ იქნებით, დამირეკეთ, საინტერესო მეგზურობას გაგიწევთ!

— ძალიან კარგი, ესე იგი, მესმის საგანი, არა? — წავიტრაბახე მე, თან ბიჭებს გადავხედე.

— კი, გესმის! — გაიცინა პროფესორმა. — მაგრამ ცოდნა უძირო ჭაა... არასოდეს ამოივსება!

— აუცილებლად დაგირეკავთ! — ვუთხარი მე და ბიჭები-სკენ წამოვედი. ისინი უკვე ავტობუსში მელოდნენ...

არაჩვეულებრივ სასტუმროს მივადექით, თავისი აუზით, პალმებით, ყვავილებით. „რეჯენსი პლაზა“ — ენერა ფერადი შუქებით. „რეცეპშენში“ ხალხმრავლობა იყო. რუსული ლაპარაკი ისმოდა ძირითადად. ჩვენი რიგი რომ დადგა, პასპორტების სანაცვლოდ პლასტიკური ბარათები მივიღეთ.

მე 421-ე ნომერი ავიღე. სხვა ვარიანტებს ეს ვამჯობინე, რადგან  $4+2+1=7$ , შვიდი კი ჯადოსნური, ბედნიერი რიცხვია! რა თქმა უნდა, არავის გავუმხილე თუ რატომ ავიღე ეს ნომერი. ყველანი ჩვენ-ჩვენი ოთახებისკენ წავედით, ერთ საათში კი დაბლა, ეზოში შეკრება დავთქვი.

პლასტიკური ბარათი, როგორც იქნა, მოვარგე კარს და ოთახში შევედი. იგივე ბარათით „დენი მოვიყვანე“ და ტელევიზორი ჩავრთე. არაბული მუსიკის ფონზე, აბაზანაში შევედი, მხაპი მივიღე და ლოგინზე წამოვწეი. ყველა არხი დავათვალიერე, არაბულთან ერთად უმეტესად ფრანგული არხებია. ტყუილად არ ჩაუვლია ნაპოლეონის ლაშქრობას — ეგვიპტე საფრანგეთის კოლონიად იქცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი როკ-ენ-როლმა ინგლისური ენა შეიტანა ყველგან! მაგალითად, გერმანიაში! სწორედ როკ-ენ-როლის პოპულარობის გამო მიიწვიეს „ბითლზი“ ჰამბურგში რომელიღაც კლუბში დასაკრავად. მაშინ ხუთნი იყვნენ და „სილვერ ბითლზი“ ერქვათ. 8 საათს უკრავდნენ ყოველდღე და ასე აენიათ საშემსრულებლო ხელოვნება. ყველაფერს უნდა ეს ოხერი შრომა! არადა, რატომ ვშრომობთ? რომ წარმატებას მივალნიოთ, ფული ვიშოვოთ და მერე დავისვენოთ! წამოვწვეთ სადმე ზღვისპირას, არაფერზე ვიფიქროთ და დავისვენოთ! ერთი ანეკდოტი გამახსენდა: შვილი ფულს სთხოვს მამას, ხუთი ათასს. რად გინდაო, ეკითხება მამა. დასასვენებლად უნდა წავიდეო, შვილმა. 10-ს მოგცემ, ოღონდ ერთი ის გამაგებინე, სად დაილალო! მართლაც, საინტერესოა, დასვენება გვინდა ადამიანებს თუ უსაქმურობა? მე, მაგალითად, უკვე შემიძლია ოქროს თევზს ვთხოვო რაღაცები და ამისრულებს, ფული ყოველთვის მექნება! მაშ, რატომ მინდა კლიპის გადაღება?

ამის პასუხსაც მივაგენი: უბრალოდ ფულიანი კი არ მინდა ვიყო, არამედ — გამოჩენილი ადამიანი + ფული! ამიტომ არის, ალბათ, ფულიანების შვილები კლიპებს რომ იღებენ და ტელევიზორში ეტენებიან! მაგრამ ნიჭი მაინცდამაინც ფულის შესატყვისი არა აქვთ. რატომ? აი, ყველაზე რთული საკითხი, რომლის პასუხი მე არა მაქვს. ალბათ, მონდომება თუ აკლიათ იმის გამო, რომ „თავი ქუდში აქვთ!“ აქედან რა დასკვნა უნდა გავაკეთო? ის, რომ, თუ ვიზარმაცე, ვერც ვერაფერს მივალწევ! არადა, რა კარგია ეს ოხერი სიზარმაცე. ვწევარ ახლა ეგვიპტის სასტუმროში, ფული მაქვს და საერთოდ არ მინდა რეპეტიცია! ასეთ ფიქრებში ვიყავი, ნომრის ტელეფონი რომ ანკრიალდა. თემო იყო:

— დაბლა ჩამოდი, ვახშამია!

ჩავედი. სასადილო ფერად-ფერადი ხალხით იყო სავსე, უფრო — ქერათმიანი, ლურჯთვალა ქალებით. მე რაღაც-ნაირად უხერხულად ვიგრძენი თავი ჩემი „თბილისური“ ჩაცმულობის გამო. შევედი იქვე მყოფ მარკეტში და აქლემიანი მაისური შევიძინე თავისი პირამიდებით, ზედაც ნითელი შორტები და მწვანე „შლოპანცები“ მივაყოლე. ისევ ავედი ნომერში, გამოვიცვალე და ეგვიპტურად გამონყობილი შევუერთდი უდარდელ დამსვენებლებს.

— რა მაგარი რამეები გიყიდა! — მითხრეს აქეთ-იქიდან. რაც შეეხება ძია დათოს, იმას ჩემსავით ეცვა.

— მეც ასეთები უნდა ვიყიდო! — თქვა თემომ. — შავი სათვალე იყო?

— სათვალის მეტი რა არის; ფასს და ხარისხს გააჩნია, — უპასუხა კოტემ.

— აქ გავსუქდებით! — სხვა თემაზე გადავიტანე საუბარი. — მაგარი საჭმელებია!

— ვისკი მიაყოლე და ცხიმებს დანვავეს, — სავსე ჭიქა მონანოდა დავითმა.

— ძლივს გამომივიდა თავიდან ეგ ვისკი. — ჭიქა გვერდზე გავწიე. — თქვენი ქალები არ ჩამოსულან?



— დღეს ჩამოდიან! თქვენობით აღარ მომმართო — მე რა, თქვენი ჭკუისა არ ვარ?

მხრები ავიჩიჩე.

— ერთი რამ იცოდეთ: კაცი რომ ქალებში იწყებს სიარულს, იმ ასაკიდან, — სანამ არ შეეშვება — ყველას ტოლია, გასაგებია?

— ანუ, კოლეგა? — მივუხვდი, რასაც გულისხმობდა დათო.

— ჰო, ამ დარგში... კოლეგა! ასე რომ, კოლეგებო, ჩვენს საერთო მიზნებს გაუმარჯოს ქალების შებმის რთულ და საპატიო საქმიანობაში! — ვისკი გადაჰკრა.

— არ დათვრე ახლა... ჯერ ადრეა! — დაარიგა თემომ.

— როდის იყო, ერთი ბოთლი მათრობდა... ვაა, ირაჩკა! სპრიუზდომ! — წამოხტა სკამიდან. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, ძლივს გავიაზრეთ და იმ მხარეს გავიხედეთ, საითკენაც ძია დათო გაიქცა. „ირაჩკა!“ ყვიროდა გახარებული დათო. პატარა ბიჭივით გადაეხვია საკმაოდ სიმპათიურ, ასე, 35-40 წლის ქალბატონს. ირამ თავისი მეგობარი ქალები წარუდგინა და ყველანი ჩვენკენ გამოემართნენ.

— გაიცანით, გაიცანით, — რუსულად ლაპარაკობდნენ.

— ია... ნიკა! — საერთო ღიმილი შევაგებე სტუმრებს. დათო ეპატიჟებოდა ჩვენს მაგიდასთან, მაგრამ ქალბატონებმა იუარეს, ჯერ ვივანშმებთ, მოვემზადებით და სალამოს სადმე დავსხდეთო.

„ძალიან კარგი! ასე სჯობს“, გავიფიქრე მე. ასეთი ასაკის ქალებთან ჯერ „საქმე“ არ მქონია! საინტერესოა!

„ა სტობოი ხაროშიე მალჩიკი“, თვალი ჩაუკრა ირამ დათოს!..



ეს „ხაროშიე მალჩიკები“ ბართან მოვკალათდით, სასმელი ავიღეთ, დავითმა წითელი ღვინო შეარჩია — ჩემს გოგონებს უყვართო.

— მოდით, გავცუროთ, — ვთქვი მე. — კოტე! შენ კამერა მოიმარჯვე და გადავიღოთ ყველაფერი — რასაც გავაკეთებთ!

— ო კეი! — დამეთანხმა კოტე და ლიფტისკენ გაემართა.

ლიფტიდან უჩვეულოდ ლამაზი ქალბატონი გამოვიდა, კოტემ გზა დაუთმო, მერე ჩვენკენ გამოიხედა და ცერა თითის აწვეით გვანიშნა — მაგარი ქალიაო!

ქალს ცისფერი ჯინსის შორტები ეცვა, ძალიან მოკლე, ისეთი მოკლე, რომ ბიკინიც კი მოუჩანდა — წითელი ფერის. ზედა — მოკლე თეთრი ფერის მაისური და... ზღვისფერი თვალები! კინოვარსკვლავს ჰგავდა! აუზთან ჩამოჯდა. არაბი მიმტანი მიუახლოვდა და ინგლისური საუბარი გააბეს.

ჩვენი ბიჭები რალაცაზე ლაპარაკობდნენ. მე „გამოვრთე“ ამათი ხმები და ქალბატონის და მიმტანის ხმები „ჩავრთე“. დიახ, ნამდვილად აქვს ასეთი უნარი ადამიანს — დიდ სივრცეში, ვისაც უნდა, იმას მოუსმინოს! ყოველ შემთხვევაში — მე მაქვს ამის უნარი. დავძაბე სმენა და თითქმის ყველაფერი გავიგონე!

— რას ინებებთ? — ჰკითხა მიმტანმა.

— ფორთოხლის წვენს, — უპასუხა ქალბატონმა.

— კიდევ ხომ არაფერს ინებებთ? ვისკი არ გნებავთ?

— არა, მარტო არ ვსვამ! — გაუცინა ლედიმ; აშკარად ჩანდა, რომ უბრალო ჩიტი არ იყო!

დათო ძია მიხვდა, იმ ქალს რომ ვუსმენდი:

— რაო, რა შეუკვეთა?

— წვენი, ვისკიზე უთხრა, მარტო არ ვსვამო! — ისე ვუპასუხე, ქალბატონისთვის თვალი არ მომიშორებია. ჩემზე დიდია, ეტყობა... თან საქმიანი!

— ალბათ, ფულიანიც, — დაასკვნა დავითმა. — თუ მოგნონს, მე გაგაცნობ!

— არა, უხერხულია! რას იფიქრებს?

— რა უნდა იფიქროს? ვისკის მივუტან და გავეცნობი!

თქმა და გაკეთება ერთი იყო, ბოთლს ხელი დაავლო და ქერათმიან ქალბატონს მიუცუცქადა.

— აი ფრომ ჯორჯია! მაი ნეიმ დევიდ! — გაეცნო ქალს.

— საქართველოდან ხარ? — რუსულად ჰკითხა ლედიმ.

— ჰო, ქართველები ვართ, — ჩვენკენ გამოახედა დავითმა, უკვე დევიდად ქცეულმა. — რა კარგია, რუსული რომ იცით!

— უკრაინელი ვარ! ინა მქვია! — გაუცინა დევიდს.

„ინა, ინა! სექსმაშინა“ გამახსენდა მერაბ სეფიაშვილის რუსული სიმღერა. ეს რომ ვუმღერო, ინყენს, ალბათ! არადა, მართლაც, რომ სექსმაშინაა!

დევიდმა ვისკი ჩამოასხა, ყინული ჩაუყარა და სადღე-გრძელოც წარმოთქვა:

— ზა ნაშე ზნაკომსტვა! — რუსული კარგად არ ვიცი, მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ დათო ძია გოიმურ რუსულს „უბერავდა!“

ინამ მოსვა. მე წყლისკენ გავემართე, ჩავუარე ინას და ნდომით სავსე თვალები თვალებში „გავუყარე“. იქიდან რალაც იმპულსები წამოვიდა, მე შევტრიალდი და წყალში გადავეშვი... თან ისე გადავხტი, რომ ეფექტი მომეხდინა ინაზე... დიდხანს არ ამოვყვინთე, მინდოდა, მომეხიბლა ჩემი შესაძლებლობებით. ასეთი საქციელი, ალბათ, ყველა მამრს ახასიათებს. ამოვყვინთე და დგაფადგუფი დავუყენე წყალს. გავცურე და გამოვცურე... მერე ჩვენი ბიჭებიც ჩამოხტნენ. კოტე გვიღებდა და გვიღებდა. ჩვენ ქართულად გავყვიროდით, ისიც რალაც ბრძანებებს გვაძლევდა. ბოლოს, როცა დავიღალე, წყლიდან ამოვედი. ისევ იმავე ბილიკით ჩამოვუარე ინას...

— ნიკა! მე მინდა ქალბატონი ინა გაგაცნო!

ამას არ ველოდი, დაბნეულმა გავუღიმე.

— იმედი მაქვს, თქვენს მუსიკას მომასმენინებთ. დავითი გაქებთ ძალიან!

— ნოუ ფრობლემ! — ვუთხარი მე და ჩემს მაგიდას დავუბრუნდი.

— ანი კლიპ სნიმაიუტ, ა ია პროდიუსერ! — „ვაჟნი“ დაიჭირა დევიდ-დათო ძიამ.

— ძალიან სასიამოვნოა! მე მგონი, დავთვერი კიდეც, — გადაიკისკისა ინამ.

გამოვიცვალეთ და ისევ ჩვენს მაგიდასთან დავბრუნდით. უკვე ჩამოხნულდა. ირა და მისი ორი მეგობარი ქალი საღამოს კაბებში გამოწყობილნი მიუახლოვდნენ დათოს.

— ინა, გაიცანით, ეს ირაა! რუსეთიდან არიან!

— სასიამოვნოა, — ცივად თქვა ირამ. დათო ძიამ იგრძნო, რომ ირას მაინცდამაინც გულზე არ დაეხატა მასზე ლამაზი ქალის დანახვა, თანაც დათოსთან ერთად.

ამას მივხვდი და მაშინვე მათთან გავჩნდი.

— ქალბატონო, — ინას მივმართე, — იქნებ, გვეცეკვა?

— საპლიაჟოდ ვარ ჩაცმული, გადავიცვამ და...

— რა საჭიროა, ასე უფრო გიხდებათ, თანაც ცხელა!

— კარგი, რადგან თქვენ მოგნონთ...

ამ ჩემმა ჩარევამ ორი კარგი საქმე გააკეთა: ერთი ის, რომ ირა დამშვიდდა და, მეორე (რაც მთავარია!), საბაბი მომეცა, ინას დავახლოვებოდი.

— მაგარი ქალია! — მითხრა კოტემ. — ადექით, თქვენც იცეკვეთ, კაი კადრები გამოვა! ეს ქალი საერთოდ დახატავს ამ კლიპს. — მოუწოდა ბიჭებს.

— ფული თუ არ მოითხოვა! — გავიცინე მე.

— შეიძლება გადაგიღოთ? — ინას მიმართა კოტემ.

— გააჩნია, რას აკეთებთ!

— კლიპს ვიღებთ, — უპასუხა კოტემ.

— ეგ ვიცი, დევიდმა მითხრა, მაგრამ... ახლა არც მაკიაჟი მაქვს... არც ისე მაცვია...

— არ ინერვიულოთ, მსხვილი პლანები არ მექნება, ისე, შორიდან: „ახალგაზრდები ცეკვავენ!“

— არც ისე ახალგაზრდა ვარ... — ნაღვლიანად თქვა ინამ, თან შემომხედა, შეამოწმა — რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვებმა ჩემზე.

— თქვენ... ძალიან ლამაზი ხართ! — ძლივს ამოვღერლე მე.

ასეთ სიტყვებს სხვა შემთხვევაში უშურველად ვაფრქვევ, ახლა კი გამიჭირდა.

— მაღლობა, კომპლიმენტისთვის! — გამიცინა ინამ.

რალაც არაბულ როკვაზე შევედით ღამის ბარში. ინაც უცებ აჰყვა ამ მუსიკას, შიშველი მუცელი ისე შეათამაშა, ჭკუიდან კინალამ გადავედი! მე რა უნდა მექნა? ადგილზე ვბტუნავდი იდიოტივით! მერე გარშემო შემომიარა, ისე ახლოს მოვიდა,

ლამის იქვე ვეტაკე... უცებ გავბედე და ტურებში ვაკოცე, გაჩერდა და ამყვა...

— წამოდი, გავიდეთ, — ჩამჩურჩულა ვნებიანად.

გავედით.

— რომელ ნომერში ხარ?

— 421-ეში.

— ადი და მოვალ!

— ახლავე წამოდი! — მოუთმენლად ვუთხარი მე.

— ადი და ათ წუთში ამოვალ. რომ არ დამინახონ, ისე მოვალ! გამშორდა და აუზისკენ წავიდა. კოტე გამოვიდა ჩემთან.

— რატომ წამოხვედი? მაგარი კადრები იყო!

— კადრები ახლა უნდა ნახო შენ! აუ, რა მაგარი ლამეა!

— შეაბი? — გამომცდელად მკითხა კოტემ.

— მე მგონი. ახლა არ მცალია! მერე გნახავთ... — ვუპასუხე და ლიფტში შევედი. მე-4 სართულის ლილაკს მივაჭირე... წამში ჩემს ნომერთან ვიდექი: „421-მა გაამართლა“ გავიფიქრე. შხაპი მივიღე, ხალათი მოვისხი და ლოგინზე წამოვწექი. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ინამ კარზე დააკაკუნა და თავი შემოჰყო...

— შეიძლება? სტუმრებს იღებთ?

— მობრძანდით... — ვბუტბუტებდი მე.

პირდაპირ ლოგინზე შემოხტა. თან მკოცნიდა, თან იხდიდა. მისი ძუძუები ეგვიპტური მთვარის შუქზე პირამიდებს ჰგავდნენ, თვითონ კი რომელიღაც ქალღმერთს მაგონებდა.

ეს იყო ენით აუნერელი, ფანტასტიკური წუთები, ბედნიერების ოკეანე, სიამოვნების ზღვა...

— ჩემო კლეოპატრა, — ჩავჩურჩულე მე.

— გმადლობთ კომპლიმენტისთვის. კლეოპატრა მაგარი ქალი იყო!

— შენზე მაგარი ვერ იქნებოდა!

— რამდენი წლის ხარ? — მკითხა მოულოდნელად.

— 24-ის. შენ?

— ქალებს ასაკს არ ეკითხებიან. მე ერთი საქმიანი ქალი ვარ... კარგად შენახული!

— ში ის ბიზნესვუმენ! — წავიმღერე მე, რომელიღაც ნაც-ნობ მელოდის მოვარგე ეს ტექსტი.

— აი ემ დიპლომატვუმენ!

— დიპლომატი ხართ? — გავიკვირვე მე.

— დიპლომატის ცოლი ვარ, ინგლისელის. ეგვიპტეში საელჩოში ვმუშაობთ ორივე.

— აქ რატომ მოხვედი?

— დავდივარ ხოლმე შარმ ელ შეიხში, როცა მომწყინდება! ქმარზე არაფერი ვკითხე.

— ჩემი ქმარი არ ეჭვიანობს, მაგრამ მაინც ვერიდები. ხომ იცი, საელჩოს თანამშრომელზე მეტი თვალთა მიჩენილი, შენ კი წესიერი ბიჭუნა ხარ — შენზე არავინ იეჭვიანებს!

ეს ამბავი მაინცდამაინც არ მომეწონა, რაღაც ჩავიბურ-დღუნე.

— როდის მიდიხარ?

— ვიქნები რამდენიმე დღე. ნომერი მაქვს. თუ წინააღმდეგი არ იქნები, ვიმეგობროთ!

ნაზად ვაკოცე.

— წავედი, ცოტას ვიცეკვებ... ჩამოხვალ?

— ჰო, ცოტა აზრზე მოვალ და ჩამოვალ, — ვუთხარი.

ინა კარებში გაუჩინარდა.

რატომღაც „ოტელ კალიფორნია-ს“ შინაარსი გამახსენდა:

„მე დაღლილი მივაბიჯებდი გზაზე,  
მარიხუანას მოვუკიდე და გავაბოლე,

სალამოს ბინდში ქალი დავინახე,

რომელიც განათებული ოტელის კარებთან იდგა.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ოტელ

„კალიფორნიაში“ აქ მრავალი თავისუფალი ნომერია...“

ღვინო მოვითხოვე, მიმტანმა მითხრა: 1969 წლის შემდეგ არ გვექონია...“

რას უნდა ნიშნავდეს ეს რიცხვი? ჰო, გამახსენდა: დასაწყისში ამბობს: არ ვიცი, სამოთხე იყო თუ ჯოჯოხეთიო. 666-ის ვარიანტი ხომ არ არის? ბოლოს ამბობს: „დარაჯს ვკითხე — როგორ გავსულიყავი ოტელიდან, მან კი მიპასუხა: აქ ბევრი

თავისუფალი ნომერია, მაგრამ აქედან გასვლა შეუძლებელია!“  
გაგიჟდები კაცი, რაზე არ მღერიან უცხოელები... ჩვენთან კი —  
მომენატრე, დამესიზმრე, სად ხარ ამდენი ხანი? და ასე გაუთავებ-  
ბლად. რაღაც ასეთი — ეზოთერული უნდა დავწერო! თემაც  
ხომ მაქვს: „ოტელ „რეჯენსი პლაზაში“ დღეს კლეოპატრა მესტ-  
უმრა. არ ვიცი, ბედი მილიმის; არ ვიცი, ბედი მეხუმრა...“

ეს სახელი სასაცილო ასოციაციას ინვევს ჩემში: კლეო  
პატრა, ანუ პატარა აქვსო! D: (ეს სიცილის ნიშანია ინტერ-  
ნეტში!) არა! ინა კლეოპატრა არ არის. ის უკრაინელია, ჩვენი  
მეგობარი ხალხის შვილი! ულამაზესი შვილი! „მე მგონი, მი-  
ყვარს“ დავასკვენი, რადგანაც ვიგრძენი, რომ უკვე მენატრე-  
ბოდა! ნომრის კარი გამოვიხურე და წავიმღერე: „ნამბა ფორ  
ჰანდრი თვენთი ვან!“ მართლაც ბედნიერი რიცხვია შვიდი.



ძია დათოს ბიჭებთან და ქალებთან ერთად პურ-მარილი  
გაეშალა. ინაც მათთან იჯდა. დათომ რომ დამინახა, ერთი  
ამბავი ატეხა:

— ოო, სიძე ბიჭი მოვიდა, სიძე ბიჭი!

— კარგი, დავით, სირცხვილია. მიხვდება, რასაც ამბობ, —  
ვუთხარი „ჯგუფის ხელმძღვანელს“, რუსულად კი ასე ვთქვი:

— მოჟნა ს ვამი პასიდეტ?

ინამ სკამზე მიმანიშნა: აქ ჩამოჯექიო. ინას გვერდით  
დავჯექი. ამ ქალთან დაახლოებამ რაღაც სხვანაირი გამხადა.

— დავით, ჩემზე და ამ ქალზე ნუ ილადავებ, ძალიან  
გთხოვ!

ვუთხარი ქართულად, რათა ქალებს არ გაეგოთ.

— კარგი. მოდით ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს, — ფეხზე  
წამოდგა დავითი. თემო ერთ ქალბატონთან იჯდა, კოტე —  
მეორესთან. სადღეგრძელოზე ჯერ ჭიქები მიუჭახუნეს ერთ-  
მანეთს, მერე „ვახტანგურად“ დალიეს და სამჯერადი კოც-  
ნაც მოაყოლეს.

— ამათ აუნყვიათ ცხოვრება, — თქვა ზურამ.

— თქვენც დაგანყვილებთ ხვალ, — იცინოდა ჩვენი თამადა, დათო ძია.

— ხვალ როგორი განრიგი გაქვთ? — მკითხა ინამ.

— რალაცები უნდა გადავიღოთ, მერე თავისუფლები ვართ. ხომ გადაიღებ ჩვენთან ერთად?

— რატომაც არა? თქვენთან გაუშვებენ, არა?

— ჯერჯერობით ჰო, მერე არ ვიცი...

— ინგლისში სულ სხვა დონეზე იღებენ... ამ კამერით გადაღებულს, ალბათ, არ გაუშვებენ, — ვისკი მოსვა ინამ.

— ისედაც არ გაუშვენებ, თუ ფული არ ჩაიდო.

— მარტო ფული არ კმარა, ნაცნობიც საჭიროა შოუბიზნესის სფეროში. გინდა, ლონდონში წაგიყვანო?

ამ შეკითხვას არ ველოდი, ლუკმა სასულეში გადამცდა. ხველება ამივარდა. ტუალეტისკენ გავიქეცი, ველარ ვსუნთქავდი! კიდევ კარგი — განვთავისუფლდი. „ნუთითაა ყველაფერი“. პირი დავიბანე, თმა მოვიწესრიგე და ჩემს ადგილს დავუბრუნდი.

— კინალამ გავიგუდე! ჭამის დროს ლაპარაკი არ შეიძლება.

— ჰო, ჯერ ლუკმა უნდა გადაყლაპო! — მზრუნველურად გადამისვა თავზე ხელი ინამ.

— როდის უნდა წავიდეთ ლონდონში? — ვითომ სხვათა შორის ვკითხე მე.

— ერთ კვირაში წავიდეთ. მე მაინც მივდივარ!

— მე ვინ გამიშვებს საქართველოს პასპორტით! — დაღონებულმა ვუთხარი ჩემს ახალ მეგობარს.

— მაგ პრობლემას მე მოვუვლი, — გამიღიმა ინამ.

— მერედა... ქმარი? ქმარი არ იეჭვიანებს?

— არა! თანაც ჩვენ დიდი ხანია ინტელექტუალური ურთიერთობა გვაქვს.

— ეგ როგორ?

— სულიერი მეგობრები ვართ, სექსში ისიც თავისუფალია და მეც.

— ასეთი რამ კი გამიგია, მაგრამ არავის ვიცნობ ასეთს, პირველი შენ ხარ — ვთქვი გულწრფელად. — გინდა, დღეს ჩემთან დარჩი!



— არა, — მითხრა ინამ. — დღეს საკმარისია. ხვალ ხომ სამუშაო გვაქვს!

— მართლა წამიყვან ლონდონში? — არ მჯეროდა ეს ამბავი.

— აი, ხვალ თქვენს სიმღერას მოვუსმენ და...

ეტყობა, ისეთი სახე მივიღე, რომ გაეცინა:

— წაგიყვან, სიტყვა სიტყვაა!

ბიჭებმა „წინწყარო“ წამოიწყეს. მეც ავყევი. ბანს ვამბობდი. ხანდახან მეორეზე და პირველზე ავდიოდი და უკან ვბრუნდებოდი. „შესანიშნავია“, იძახდნენ ქალები.

— კარგად მღერით, — თქვა ინამ.

— მოდით, სიმღერას გაუმარჯოს, — ჭიქა შეივსო თამადამ. — განსაკუთრებით, ქართულ სიმღერას. — ეს ზედმეტად მომეჩვენა ამ უცხო ქალებთან და დავამატე!

— ყველა კარგ სიმღერას გაუმარჯოს! სიმღერა ღმერთის ენაა! ყოველ ადამიანზე მოქმედებს. რა თქმა უნდა, თუ ის კარგია, თან, — ჩავჩურჩულე ინას, — შენსავით კარგი.

— ბიუტიფულ ბოი! — ინამ ოდნავ შემახო ტურები.

— რომელ ნომერში ხარ, ამოვალ!

— არა! აქ ყველგან თვალია. ჩემი ქმარი არაფერ შუაშია, ეტიკეტს და იმიჯს ვუფრთხილდები!

ამ სიტყვებმა დამარწმუნებლად იმოქმედა ჩემზე!

— გიტარა არავის აქვს? — წამოვიძახე. — ერთი ჩვენებური შევუბეროთ!

— მოდი, ამ მიმტანს ვუთხრათ. კარგი აზრია!

არაბმა მოისმინა ჩვენი თხოვნა და ცოტა ხანში გირატიტ დაბრუნდა.

გავაჩაღეთ სიმღერა. რა არ ვიმღერეთ, მექსიკურებსაც კი გადავწვდით! რალაც გამოგონილ სიტყვებს ვამბობდით და ვიცინოდით. რომ დავიღალეთ, თემოს ვუთხარი:

— ინამ ლონდონში მიმინვია!

— რას ამბობ? მართლა? — გაკვირვებისგან თვალები გადმოკარკლა თემომ.

— ჰო, ხმამაღლა არ თქვა! ჯერ მეც არ მჯერა... ვნახოთ, რას იზამს. იქნებ, სიმთვრალის ვარიანტია. ხომ იცი, ჩვენშიაც იციან სიმთვრალეში შეპირებები, სიფხიზლეში კი ავინყდებათ.

— თუ მართლა დაგპატიჟა, ეს, იცი, რას ნიშნავს?

— რას ნიშნავს და... უნდა მიგატოვოთ ცოტა ხნით — დამ-  
ნაშავის ხმით ვთქვი მე...

— ეგ ნიშნავს იმას, რომ ოქროს თევზმა შენი სურვილი  
შეასრულა! გაიგე?

ამაზე არ მიფიქრია. სულ გადამავინწყდა ოქროს თევზი!

— ეგ სულ დამავინწყდა... იცი, რა? ჯერ არც კი ვიცი, ნა-  
ვალ თუ არა, სახლშიც უნდა ვკითხო... ჩასაცმელიც არაფერი  
მაქვს. ლონდონში თოვს... თუ მაინც წავედი, ლალატში არ  
ჩამითვალოთ, ყველანაირად ვეცდები, თქვენც ჩაგიყვანოთ.  
— თემო ჩაფიქრდა.

— რამდენი სირთულეა გადასალახი ამქვეყნად! მართლაც,  
ასე მოუშზადებელი როგორ ნახვალ!? ვინ არის ეს ქალი ისიც არ  
იცი. სადმე არ გაგყიდოს, ტრეფიკინგთან არ გვექონდეს საქმე.

— ცოტა არ იყოს, შემაშინე, — ვუთხარი მე. — მით უფრო  
არ უნდა შეგშურდეთ. მე გავრისკავ! რა ვიცი, ისეთი ქალი  
ჩანს... მოკლედ, ბედს და ოქროს თევზს მივენდობი!

ნელ-ნელა ავიშალეთ.

— ხვალამდე! — დავემშვიდობე და ჩემი ნომრისკენ წავედი.



რა არ მესიზმრა იმ ღამით, მთავარი კი, რაც დამამახსოვრ-  
და — იყო მღელვარე ზღვა... მისი ტალღები სულ უფრო  
მატულობდნენ და შთანთქვით მემუქრებოდნენ... ხმელეთის  
სიღრმისკენ გამოვიქეცი, მაგრამ იქაც ზღვა ბობოქრობდა...  
ვიდექი ასე ორ ზღვასშუა... პირჯვარი გადავინერე... გა-  
მომელვიძა... „გადავრჩი!“ გავიფიქრე მე... თავი მისკდებო-  
და ნუხანდელი სიმთვრალის გამო... „აღარ უნდა დავლიო“.  
ძლივს წამოვწიე თავი, შხაპის ქვეშ დავდექი. გრილი წყლის  
ნაკადმა ცოტათი მომამჯობინა. ის იყო, ჩაცმა დავინყე, მო-  
ბილური ანკრიალდა. დედაჩემი იყო.

— რატომ არ დაგვირეკე, — მისაყვედურა მან.

- ახლა ვაპირებდი დარეკვას... კარგად ვიმგზავრეთ.
- ხომ კარგად ხარ? რალაც შენი ხმა არ მომწონს, — დედას ვერაფერს გამოაპარებ.
- ჰო, ცოტა დავლიეთ გუშინ... ჩამოსვლა აღვნიშნეთ, საჭმელი და სასმელი თავზესაყრელია და ვერ მოვზომეთ...
- არ დალიო, იცოდე. ხმა დაგიზიანდება...
- ჰო, კარგი, ნუ ნერვიულობ! იცი, შეიძლება აქედან ლონდონში გავფრინდე... — გავუმხილე ჩემი განზრახვა დედას.
- როგორ? ვის მიყვები?
- ერთმა ქალბატონმა მიმიპატიჟა საელჩოდან... კარგი ქალია...
- მოიცა, მამაშენს ელაპარაკე!
- აი, ეს კი ნამდვილად არ მინდოდა! დედაჩემისგან უფრო იოლად მივიღებდი თანხმობას.
- რა საქმეზე გინვეს ის ქალბატონი? — მკითხა მამამ.
- დასასვენებლად... სიტუაციის დასაზვერად... სტუდენტებში მივალ, თავს გამოვცდი; იქნებ, რაიმე კონტრაქტიც კი გავაფორმო.
- მერედა, მეგობრებს რას უშვები? ტოვებ და მიდიხარ? ეგრე არ შეიძლება! ჯერ ერთი, ეს ქალი ვინ აღმოჩნდება, კაცმა არ იცის! ვინმე აგენტი არ იყოს და შარში არ გაგხვიოს!
- აი, ასე იცის ყველაფრის გართულება! გაღიზიანებულმა ვუთხარი:
- ყველაფერს მივხვდები ჩემით! თავი მახია, თქვენ არ შეგიძლიათ ჩემი გაშვება და რა ვქნა, ამ შანსზე უარი ვთქვა?
- ისევე დედამ გამოართვა ყურმილი.
- ჩასაცმელიც კი არა გაქვს შესაფერისი. ახლა ნუ წახვალ, შვილო, მაგ ბიჭებსაც ანგარიში გაუწიე, კლიპი ხომ უნდა დაუმონტაჟო? შენი იმედი აქვთ. მაგ ქალს კი სთხოვე, რომ ვინა გამოგიგზავნოს და მომზადებული წადი, დამიჯერე... მე არ შევცდები, იცოდე...
- კარგი, კარგი... მოვიფიქრებ... — ტელეფონი გავთიშე... ეჭვები მომეძალა: „მართლაც რა უცებ მიმიწვია ლონდონში?“

რამე ცუდი განზრახვა არ ჰქონდეს“ ამ ფიქრებში ვიყავი, კარი რომ გამოვიხურე და ჰოლში ჩავედი, არავინ იყო... მარტოკა შევედი სასაუზმეში, ცოტა წავიხემსე და გარეთ გავედი... აუზთანაც ნაცნობი ვერავინ შევნიშნე... პლაჟისკენ გავიხედე... სილუეტებში ჩვენები შევიცანი: ქალბატონებთან ერთად არიან. რატომღაც ნაპირზე გასულან! მეც იქით გავეშურე... ჩემს დანახვაზე კოტე შეზღონგიდან წამოხტა.

— ნიკა მოვიდა! გადაღებას ვინყებთ!

არაფრის თავი არ მქონდა, მაგრამ ხმა არ ამოვიღე — ისინი ყოჩაღად გამოიყურებოდნენ და არ მინდოდა, დაეცინათ. ინაც აქ იყო.

— დილა მშვიდობისა, — მივესალმე ყველას. — რატომ არ გამაღვიძეთ?

— ახლახანს ჩამოვედით ჩვენც... — მითხრა თემომ — აბა, რა გავაკეთოთ?

— მოდი, ეს კატერი დავიქირაოთ და იქ გადავიღოთ, თან ჩვენ გამოვჩნდებით, თან სანაპიროს პანორამას დავაფიქსირებთ. ძაან ლამაზი პეიზაჟია, კლიპს მოუხდება.

კოტე დამეთანხმა.

— ჰო, მოძრაობაში იქნება ყველაფერი, თქვენს სიმღერას მოუხდება.

— გზადაგზა გეტყვი ყველაფერს... იქ, ზღვაში... — უცებ წუხანდელი სიზმარი გამახსენდა, ორზღვასშუა რომ ვიყავი მოქცეული. „რამე ცუდი არ მოხდეს“ გავიფიქრე, მაგრამ, ცას რომ თვალი მოვავლე, ღრუბლის ნასახიც ვერსად შევამჩნიე — ზღვის აღელვება გამორიცხული იყო. ინას მოკლედ ვუთარგმნე, რაზეც ვსაუბრობდით.

— სცენარი არ გაქვთ? — გაიკვირვა მან.

— ჯერ გადავიღებთ და მასალის მიხედვით გამოვძიერწავთ რალაცას. ხომ იცი, ნაპოლეონმა რა თქვა?

— ბევრი რამე თქვა, შენ რომელს გულისხმობ?

— მთავარია, ჩაება ომში და საქმე იქ გამოჩნდებო... შევიდეთ ზღვაში ამ კატერით, ჩავრთოთ კამერა და მერე მომივა

თავში რალაცები! ერთი კი ვიცი, შენ სხვადასხვა რაკურსით უნდა გადაგილო — ხალხი უნდა გადავრიო თბილისში!

ინამ შორტები გაიხადა. ისე ეცვა, სულ რომ გაეხადა — ნაკლებ ყურადღებას მიიქცევდა. კოტემ თავისი აპარატის „თვალი“ უმალ მიაპყრო ინას მკვრივ, გარუჯულ ღუნდულებს, მსხვილი პლანით აილო, ალბათ! წარმოვიდგინე მთელ ეკრანზე დიდი, არაჩვეულებრივი სილამაზის უკანალი, ზღვის წვეთებით დანიწნულული... რა თქმა უნდა, ეს ქალი დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევს „მუსიკის“ მოყვარულებში!..

— წყალში გადახტი! ლამაზად გადაეშვი, ამ კადრს შევანელებ და გადასარევი იქნება, — ვუთხარი ინას და მერე კოტეს მივუბრუნდი: — კოტე! მერე ყველანი ჩავხტებით წყალში. აბა, შენ იცი, კარგი მომენტები არ გამოგეპაროს!

კოტეს ნიშანზე ინა ჩიტივით გადაფრინდა წყალში.

ჩვენ ჩავვხეთქეთ, ქალებიც მოგვყვნენ.

უცებ კოტემ განწირული ხმით დაიყვირა!

— ზვიგენი!

პანიკა ატყდა. ყველანი კატერისკენ გავეშურეთ. ზვიგენს ვერ ვხედავდი — ეტყობა, კატერის მეორე მხარეს იყო... ფართხაფურთხით ავედით კატერზე. ასვლისას მუხლიც მივარტყი — ისე მეტკინა, უკან ჩავვარდი წყალში!

კოტემ გადაიხარხა:

— კარგი კადრი გამოვიდა! გაგაშაყირეთ!

— ეს რა ხუმრობაა? — დავიბოლმე მე. — გოგოებო, ჩამოხტით, ჩამოხტით, იხუმრა ამ იდიოტმა, — ნელ-ნელა წყენამ გადამიარა. „საქმისთვის იქნებ ასე სჯობს“ დავიმშვიდე თავი. ქალები ჩამოხტნენ, ინა ჩემთან ყვინთვით მოვიდა... პირდაპირ ფეხებშუა გამიძვრა, მერე უკან დაბრუნდა და ჩემს სახეტან ამოყვინთა!

— დელფინივით ცურავ! — გავუცინე და ვაკოცე, თან ხელი ჩავუყავი ტაგაში... ან რა იყო ხელის შემშლელი!

კოტე კიდევ აყვირდა:

— ზვიგენია! ფრთხილად! მართლა ზვიგენია! — კამერა საითაც მიუშვირა, იქით გავიხედეთ ყველამ: წყლიდან ზვიგენის ზურგის ფარფლი ამოშვერილიყო!

— ზვიგენი! — ავყვირდი მეც.

— ეს ზვიგენი ადამიანებს თავს არ ესხმის, ნუ გეშინია! — მითხრა ინამ და კატერისკენ გაცურა, მეც მძლავრად მოვუსვი ხელები. „შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო,“ მართალი გამონათქვამი აღმოჩნდა! წამში კატერზე ამოვყავი თავი! ინას ხელი გავუნოდე... მაგრად მოვზიდე ჩემკენ. თევზივით ამოხტა წყლიდან, ამოვიდა და უცებ კვილი მორთო!

— უკბინა! უკბინა!

გავიხედე და რას ვხედავ: ზვიგენს ირას მეგობრის ფეხი მოუქცევია ბასრ, საშინელ კბილებში და აქეთ-იქით ახეთქებს მსხვერპლს. მერე მას შეეშვა და ირას დაეტაკა... პირდაპირ მუცელში! წითლად შეიღება ზღვა... წითელი ზღვა... მე ვლრიალებდი... უძლურება მალრიალებდა იმ წამს, შემდეგ ნავზე მიგდებულ რკინის ნიჩაბს დავწვდი და ზვიგენს თავში ჩავარტყი... ზვიგენი ქალს მოსცილდა... მეორე ნავისკენ გაეშურა. ნავი, რომელზეც რამდენიმე კაცი ღრეობდა, ოციოდე მეტრით იყო ჩვენგან დაშორებული... ზვიგენი ცხვირით დაეჯახა ნავს... მოქეიფეთაგან ერთ-ერთი გადმოვარდა და ზვიგენს ზედ თავზე დაეცა... უფრო სწორად, თავზე მოაჯდა, ხელში არყის ბოთლი შერჩენოდა, ჩასცხო და ჩასცხო ეს ბოთლი ზვიგენს... ზვიგენი ამოყირავდა... მკვლელი ზვიგენი, რომელიც ყველა წესით აქ არ უნდა ყოფილიყო!

— მოკვდა! — დაიძახა დათო ძიამ და წყალში ტანსაცმლიანად გადაეშვა — ის ხომ მხოლოდ უცქერდა ჩვენს გადაღებას!

დათო ძიამ ჩვენკენ მოაცურა ირას გაფატრული სხეული, რომელიც, საუბედუროდ უკვე გვამი იყო! კატერის იატაკზე დავანვინეთ საცოდავი ქალი, მერე მისი მეგობარი ამოვიყვანეთ, ჩემი მაისური დავხიე და ფეხი გადავუხვიე. სისხლდენა არ ჩერდებოდა... ბიჭებმა შემოიხიეს ყველაფერი, რაც ჰქონდათ და, როგორც იქნა, შევაჩერეთ სისხლისგან დაცლის პროცესი... კოტე ყველაფერს იღებდა ან თითქმის ყველაფერს. მძლოლმა კატერი ნაპირისკენ გააქანა.

— საშინელება! — ცახცახებდა ინა. — საშინელებაა... აქ არასოდეს იყო მკვლელი ზვიგენი... მე ასეთი რამ არ მახსოვს...

„აი ჩემი სიზმარი“, გავიფიქრე მე. „რა საშინელებაა, რა უბედურებაა“, ირაც და მისი მეგობარიც სასწრაფოთი წაიყვანეს... ჩვენ კი ხმის ამოუღებლად ვსვამდით ჯავრიან გულზე! ორ საათში დედამ დამირეკა:

— ზღვაში არ შეხვიდე, მანდ ზვიგენები ყოფილა. თავს გაუფრთხილდი!

— ვიცი, — მძიმედ ვუპასუხე. — ტელევიზიამ გადმოსცა?

— ჰო, ერთი ქალია გარდაცვლილი. ზღვას არ გაეკარო!

— რა იცოდა დედაჩემმა, რომ ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა. არ ვეტყვი, — გავიფიქრე. — ინერვიულებს. ზღვას კი მართლაც აღარ გავეკარები.

დათოძია ტიროდა, არაფერი აღარ აინტერესებდა ამქვეყნად. თემო მხარზე ხელს უთათუნებდა, აწყნარებდა... მეც სამძიმრის ნიშნად ხელი მოვხვიე... სხვა ვერაფრით ვანუგეშე...



ორი დღე არაფრის თავი არ მქონდა. თავიდან არ ამომდიოდა ის საშინელი კადრები. მესამე დღეს ყველანი ავტობუსში ჩავსხედით და კაიროსკენ გავემგზავრეთ. შვიდ საათზე მეტი დასჭირდა კაირომდე ჩასვლას.

ინამ დაიძინა. მთელი გზა ეძინათ ჩვენებსაც. მე ავტობუსის ფანჯრიდან დაუმთავრებელ უდაბნოს გავცქეროდი, რომელსაც ხანდახან ფერადი რეკლამები გამოაცოცხლებდნენ ხოლმე. გვერდითა სავარძელზე ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა, ქართულად გამომელაპარაკა:

— ტურისტულად ხართ ეგვიპტეში?

— ჰო... თან, კლიპსაც ვიღებთ. მუსიკოსები ვართ.

— რა სტილში უკრავთ?

— როკს ვუკრავთ ძირითადად. ინგლისურენოვან სიმღერებს ვმღერით.

— საინტერესოა... ეტყობა, ევროპისკენ გაქვთ გეზი აღებული...



— ჰო, აბა, ეგვიპტეში ვის რაში ჭირდება ჩვენი მუსიკა?  
— მე შაკო მქვია, თქვენ? — გამეცნო თანამოსაუბრე.  
— ნიკა, ნიკა მქვია.  
— მე აქ ვმუშაობდი საელჩოში და კარგად ვიცნობ აქაურ  
ნესებს... საოცარი ხალხია...

— მაინც რაში გამოიხატება მათი საოცრება? — დავინ-  
ტერესდი მე.

— ხასიათი აქვთ საინტერესო და უცნაური... მაგალითად,  
ციხეში პატიმრისგან ქრთამს იღებენ და სახლში აცხოვრებენ...  
თითქმის ყველა ქრთამს იღებს... ერთი ამბავი უნდა გიამბოთ:

საელჩოში დარეკეს — ორი ქართველია დაპატიმრებული  
და მოზრძანდითო, მივედი საპატიმროში, მოვიწახულე ეს  
ორი კაცი.

— რა დაუშავებიათ? მოიპარეს, ალბათ, რამე — ვინინას-  
ნარმეტყველე დანაშაულის სახეობა.

— ცოტა უფრო ორიგინალური ხალხი აღმოჩნდა: დაუმზა-  
დებიათ ყალბი პლასტიკური ბარათები, უფრო სწორად,  
ხაკერულად გადმოქაჩეს ბანკიდან ვილაც მაჰმუდის ფული  
თავიანთ ბარათზე და ოქროულობას ყიდულობდნენ. ერთ  
მაღაზიაში დადიოდნენ ყოველთვის. არაბი გამყიდველი ბარ-  
ათს გაატარებდა, ხელს მოანერინებდა და ნივთებს აძლევდა,  
ესენი კი ამ ნივთებს მოპირდაპირე მხარეს მდებარე მაღაზ-  
იაში აბარებდნენ იაფად. ასე გაგრძელდა მთელი წელი. და-  
ლიან ბევრი ფული გადმოქაჩეს ამ ოპერაციით. ერთი წლის  
შემდეგ მყიდველი დაეჭვდა, საიდან მოაქვთ ამდენი ოქროო,  
და დაუდარაჯდა. ესენი კი როგორც ყოველთვის, ერთსა და  
იმავეს აკეთებდნენ და ახლაც ასე მოიქცნენ: იყიდეს ოქროუ-  
ლობა წინა მაღაზიაში და გადმოიტანეს მოპირდაპირე მხ-  
არეს გასაყიდად. ეს მყიდველი გადავიდა თავის კოლეგასთან  
და გამოჰკითხა, თუ როგორ ყიდულობდნენ ამ ნივთებს და,  
როცა გაიგო, რომ პლასტიკური ბარათით იხდიდნენ, პოლი-  
ციას გამოუძახა. პოლიციამ გაატარა ბარათი და ნახეს, რომ  
ის მაჰმუდის ფულს ინახავდა, ხოლო გარედან მაჩაიძის გვარი



ენერა ლათინური ასოებით. ერთხელაც რომ არ წაუკითხავს ეს გვარი, ისე აძლევდა ამ ოქროულობას გამყიდველი! ქართველებს ვკითხე, მთელი წელი ერთ მაღაზიაში რატომ დადიოდით-მეთქი და პასუხი, იცით, როგორი იყო?

მხრები ავიჩეჩე.

გვეზარებოდა სხვაგან წასვლაო! გესმით? სხვადასხვა მაღაზიაში რომ ჩაებარებინათ ეს ოქროულობა, ვერასოდეს ვერავინ ვერაფერს მიხვდებოდა.

— ის გამყიდველიც სულელი იყო და ესენიც? — ძალიან გამახალისა ამ ამბავმა.

— ესენი ხო ზარმაცები იყვნენ... მერე მოხდა, რაც მოხდა: პროკურორი ჩაიზე დავპატიჟე და ასე მითხრა: 200 ათასზე მეტი აქვთ მოპარული, შვიდი ათასი მომცენ და თავის ფულიანად გავუშვებ სახლშიო. როგორია?!

გამეცინა, ზღაპარს ჰგავდა ეს ყველაფერი:

— ათას ერთი ღამის ზღაპარია! დაუჯერებელი!

— ერთხელაც — გააგრძელა შაკომ, — მივაკითხე ამათ საპრობილეში და... არც ერთი არ დამხვდა! როცა მოვიკითხე, პოლიციელმა მითხრა, ჩვენს უფროსს 5 დოლარს უხდიან დღეში და მასთან ცხოვრობენ, აუზიან კერძო სახლშიო! რა უნდა ელაპარაკო ასეთ ხალხს? ორთავე გაუშვეს მალე, შვიდი ათასის საფასურად!

— ის მოპარული ფული შერჩათ? — ძალიან გამიკვირდა ასეთი ფინალი.

— ჰო, იმ მაჰმუდს იმდენი თანხა ედო ბანკში, ვერც კი გაიგო, რომ ძარცვავდნენ... პროკურორმაც არ გაახმიანა ეს ამბავი... აი, ეს არის აღმოსავლეთი!

— ჩვენც ბევრ რამეში ვგავართ ამათ! — ვუთხარი შაკოს.

— თუნდაც სიზარმაცით და უდარდულობით...

— თბილი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია... პალტო აქ არ სჭირდებათ და გათბობა... ერთ მაგალითსაც გიამბობთ, თუ არ შეგანწყინეთ თავი!

— მიაბზეთ, საინტერესო მოსაუბრე ბრძანდებით.

— ეს ამბავი ჩემმა უფროსმა კოლეგამ მიამბო, საბჭოთა საელჩოს ყოფილმა თანამშრომელმა. ასეთი ამბავია: მოსამსახურე არაბს ეს საელჩოს თანამშრომელი ყოველდღიურად 1 დოლარს უხდიდა. ისე კარგად მუშაობდა ეს მსახური, რომ ქართველმა ორ დოლარამდე გაუზარდა ყოველდღიური გასამრჯელო. მადლიერი მსახური წავიდა და... წავიდა! მეორე დღეს სხვა კაცი მოვიდა და სამუშაოს შეუდგა.

— შენ ვინა ხარო? — ჰკითხა გაცეცხულმა სახლის მეპატრონემ.

— მე ახალი მსახური ვარ, იმ კაცმა, თქვენთან რომ მუშაობდა, ერთი დოლარი დამინიშნა ხელფასი და აქ გამომიშვაო.

— ესეც სიზარმაცის სინდრომია, — ისე დავასკვენი მე, თითქოს არასოდეს მეზარმაცოს!

— მერედა, ამ ხალხმა ააშენა ეს პირამიდები? — ასეთ კითხვას არ ველოდი ბატონი შაკოსგან.

— ჰო, მართლაც საოცარია! ისე, ერთი აზრი დამებოდა: ადგილობრივთა ეს ხასიათი რომ არა, აქ ქართველები მმართველები ვერ გახდებოდნენ!

— ნანილობრივ, ალბათ, სიმართლეა... მაგრამ, რაც შეეხება მამლუქებს, მათ დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, ხმლის მოქნევაში შოულობდნენ პატივს და ქონებას! ხმლის მოქნევა კი ქართველებმა კარგად იცოდნენ!

— ნეტავ, რატომ აღარ ბრუნდებოდნენ უკან... სამშობლო არ ენატრებოდათ? — ვიკითხე ალაღად.

— ესენი ძირითადად გაჭირვებული მშობლების შვილები იყვნენ... აზნაურები დღენიადაგ ჩაგრავენ მათ მშობლებს, აქ კი თავიანთი ნიჭის და შესაძლებლობების გამოვლინების ასპარეზი იპოვეს. მინდა გითხრათ, რომ მაჰმადიანებს მემკვიდრეობით გარდამავალი ბატონობის წესი არა აქვთ — როგორც ჩვენში და ევროპაში იყო! მამლუქებმა არა მხოლოდ თავისუფლება მიიღეს, არამედ მმართველებიც გახდნენ, თავისუფლება კი... ყველაზე ძვირფასია ამქვეყნად! „მეც, იქნებ, ფულის შოვნა კი არა, თავისუფლების ძიება მამოძრავებს?“

მაგრამ იქვე, მეორე კითხვა დამებადა: „განა ბევრი ფული თავისუფლების მომტანი არ არის? განა უფულობა პირველ რიგში თავისუფლებას არ ზღუდავს?“. ამასობაში ნილოსს მივუახლოვდით. ხიდიდან საოცარი პანორამა გადაიშალა. ნილოსი, ორად გაყოფილი, ოცჯერ უფრო დიდია, ვიდრე მტკვარი! გემების სიმრავლემ გამაოცა... შაკოს გადავხედე.

— აქ დაიბადა ეგვიპტური ცივილიზაცია, ნილოსის პირას.

— ჰო, მაგრამ... ტელეფონი, ტელევიზორი? კომპიუტერი, მანქანა, თვითმფრინავი ბოლოს და ბოლოს? ეს ხომ ევროპული ცივილიზაციაა?

— გეთანხმები... ეტყობა, სიცივემ — გაიცინა შაკომ, — ბევრი პრობლემის მოგვარება აიძულა ადამიანს: ზრუნვა ჩაცმაზე, გათბობის სისტემაზე, გადაადგილებაზე, კავშირგაბმულობაზე და ამან მოგვიყვანა დღევანდელ ცივილიზაციამდე.

— ესე იგი, ჩვენ თბილივიზაციის შვილები ვართ? ეგვიპტელების მსგავსად!

შაკომ ხმამაღლა გაიცინა:

— რა კარგად ჩაავლე სიტყვა „ცივილიზაციას?!“ სხვათა შორის, ბევრი ფსევდომეცნიერი ასე უდგება საქმეს: ერთ სიტყვას მეორეს მიამსგავსებს და იწყება გაუთავებელი დავაკამათი! მეც მაქვს ჩემი დაკვირვებანი; აი, მაგალითად: ტაყანა, (აქ ყ-სავით ამბობენ „ა“-ს) არაბულად წყენინებას, ზარალის მიყენებას, დამცირებას ნიშნავს... შემოვიდნენ ჩვენში არაბები და ამის შემდეგ დავინწყეთ შენ მოგიტ... ავ დედას, კეთილებს, და ა.შ... ესე იგი, სექსაქტი შეურაცჰყოფასთან, დაზარალებასთან გააიგივა ხალხმა. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ვერსიაა და არ ვაპირებ ამის მტკიცებას და ბრიფინგების გამართვას!

— მიყვარს ასეთი რამეები... — ვუთხარი აღტაცებულმა — მე კიდევ „მოგიხნავ ყანას“-გან წარმოშობილი მეგონა გინება!

— არც ეგ არის გამორიცხული, თუმცა მეცნიერულად სულ სხვა ახსნა აქვს.

— ანუ, არასაინტერესოდ, მოსაწყენად აგებული თეორია იქნება რამე... თქვენი „ტაყანა“ კი ფანტაზიას ავითარებს. იუმორი ყველაფერს იტანს... ასე არ არის?

ამ დროს ყვირილი გაისმა, დავითი ყვიროდა ძილში!

ბიჭები მივარდნენ საშველად, შაკომ მკითხა:

— რა დაემართა?

მე ვუთამბე, რა გადაგვხდა თავს ორი დღის წინ.

— ესე იგი, თქვენ გადაგხდათ ეს საშინელი ამბავი? — შენუხდა შაკო. — საოცარი ის არის, რომ აქ მკვლელი ზვიგენი არ უნდა ყოფილიყო — არასოდეს ყოფილა...

— რა ვიცი, ჩვენს ჯინაზე გაგიჟდა ის ოხერი?

— ადგილობრივებს მიაჩნიათ, რომ ეს კონკურენტებმა მოაწყვეს, რათა ტურისტები დაფრთხნენ და ეგვიპტეში აღარ ჩამოვიდნენ. არადა, მილიონზე მეტი ტურისტია ამჟამად აქ და მათი უმრავლესობა რუსეთიდანაა...

— ეს თუ მართალია, დაგეგმილი მკვლელობა ყოფილა...

— ფულის გულისთვის ხდება მრავალი საშინელება... — ჩემი აზრი გააგრძელა თანამგზავრმა. სიჩუმემ დაისადგურა. ცუდ გუნებაზე დავდექი... ისევ თვალწინ დამიდგა ზვიგენის სისხლიანი პირი და სიკვდილივით უღმობელი, გაშტერებული თვალები...

— ან ეს ზვიგენი რა გასაჩენი იყო?.. — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— სასჯელია რაღაც-რაღაცებისთვის, ალბათ... ეგ არავინ იცის...

— ერთი კი ვიცი: ასეთ ზღვაში არასოდეს ფეხსაც კი არ ჩავყოფ! — მტკიცედ განვაცხადე მე.

— სხვაგან სხვა ხიფათი და განსაცდელია. წინასწარ ვერ განსაზღვრავს ადამიანი თუ რა ხაფანგი აქვს დაგებული. შეიძლება, მაგ ზვიგენზე უარეს გადაეყაროს კაცი.

ამასობაში რომელიღაც სასტუმროს მივადექით. ჩუმად ჩამოვედით, ავტობუსიდან, რადგან არავის არაფრის თავი არ ჰქონდა! მე და ინამ ერთად ავიღეთ ნომერი. შხაპი მივიღე და ხალათით გამოვედი, ნახევრად წამონოლილ ინას მივუახლოვდი. რომელიღაც კლასიკოსი მხატვრის ნახატს ჰგავდა...

— ჯერ დავლიოთ... ისე არ შემიძლია... სულ ის უბედური ქალი მიდგას თვალწინ... უნდა დავთვრე...

ბარი გამოვალე, ვისკი გავხსენი.

— ესე იგი, ცეცხლოვანი წყალი მოგინდა? — გამახსენდა: ასე ეძახდნენ ვისკის ინდიელები.

— ჰო, გამთიშავს... — ინამ ერთი ყლუპით აითვისა ნახევარი ჭიქა. — კიდევ დამისხი...

— საინტერესოა, ეს ცეცხლოვანი წყალი ლოცვებს თუ ასრულებს, — ხმამალა გამოვთქვი ჩემი ფიქრი. ინა, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდა:

— რა ლოცვაზე ლაპარაკობს?

— ღვინოს როცა სვამ და სადღეგრძელოს ამბობ, წყალი, რომელიც მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, დადებითად იმუხტება. წყალი ცოცხალი ორგანიზმია. არ გაგიგია?

— გამიგია კი არა, წყალს ისე ველაპარაკები, როგორც ადამიანს.

— ეს როგორ? — დავინტერესდი. — რას ეუბნები?

— ჯერ ერთი, წყალს წინასწარ ვაყენებ გრაფინით სინათლეზე, რათა შუქით გაკეთილშობილდეს. დაღვეის წინ ვეუბნები „გმადლობ, წყალო, რომ შემერგები“.

— ნახე, რამდენი გცოდნია? — გულწრფელად გამიკვირდა ამ ლამაზი ქალისგან ასეთი რაღაცები. — კიდევ რა იცი?

— ინგლისში წყალს აყენებენ და ისე იბანენ პირს... ამაში უძველესი ცოდნა დევს...

— მაინც რა? ყოველთვის მიკვირდა ამ ხალხისგან ასეთი წეს-ჩვეულება... ეს მათ სიძველეზე უნდა მეტყველებდეს!

— გამავალი წყალი მილებში მოედინება... იქ ბნელა, წყალი შემწვოთებულია და ცუდი ენერგია მოაქვს თან.

„მთელი თბილისი ონკანიდან ვსვამთ წყალს“ გავიფიქრე მე.

— ესე იგი, მირჩევ, წყალი გრაფინით დავდგა და მხოლოდ ამის შემდეგ დავლიო?

— მე ყოველთვის ასე ვშვრები. არ მოგწონს ჩემი კანი? — ასეთი წყლით მდიდრდება, არ მოგწონს?

— მომწონს კი არა, ვგიჟდები... მოდი ჩემთან... ჩემო კლეოპატრა...

ინამ გადაიკისკისა...

— რა იცი, რომ კლეოპატრა ვარ? ოღონდ ამ ვარიანტში თავს არ მოვიკლავ, ჩემს სხეულს შხამიან გველებს არ დავაკბენინებ!

— მე დამაკბენინებ? — გავუცინე საკმაოდ შემთვრალ ქალს.

— კიდევ ერთი დამისხი და... კი, ბატონო!

რალაცნაირი სექსი გამოვიდა: მეცნიერულ-ისტორიული: ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ის მართლა კლეოპატრა იყო, თავიდან მოვლენილი — რეინკარნირებული. მე კი... მე არ ვიცი. იულიუს კეისარი? როდესაც მოვრჩით და მღელვარება დაცხრა, კიდევ დავუსხი, მეც დავისხი ცოტა ვისკი, ყინულის ნატეხი ჩავაგდე და ვითომ სხვათა შორის ვკითხე:

— მივდივართ ლონდონში?

— მე ვფიქრობ, შემძლია მაგ პრობლემის გადაჭრა — ვიზის ამბავს ვგულისხმობ. ადრე გამიკეთებია. ხვალ მივიდეთ საელჩოში და ყველაფერს გავიგებ.

— არა, მე სხვა უფრო მაინტერესებს; შენ თუ ისევ გინდა, რომ წამოგყვე? ხომ არ გადაიფიქრე? — ამას რომ ვეუბნებოდი, შევამჩნიე, როგორ დავიძაბე პასუხის მოლოდინში. მოვიდა, თმაზე გადამისვა ხელი:

— შენ ხომ ჩემი კარგი ბიჭი ხარ? თუ დამიჯერებ, ყველგან წავიყვან.

ეს „დამიჯერებ“ რალაცნაირად მეხამეშა, დედაჩემი გამახსენდა: თუ დამიჯერებ, გიყიდიო, ბავშვობაში მეუბნებოდა სხვადასხვა სიტუაციაში.

— დაგიჯერებ... ესე იგი, ხვალ მივდივართ საელჩოში? მაგრამ პირამიდების გადაღება რომ გვინდა კლიპისთვის?

— ჯერ საელჩოში მივიდეთ, გავიგოთ, რას იტყვიან და მერე წავიდეთ პირამიდებთან. საელჩოში მისვლა ბევრ დროს არ წაიღებს... — ინა უკვე მთვრალი იყო, მძიმედ ლაპარაკობდა. ლაპარაკმა დალალა, კედლისკენ გადაბრუნდა და დაიძინა... „მხატვარი რომ ვიყო, — გავიფიქრე, — ამაზე კარგს ვერაფერს დავხატავდი“ „ყველაზე დიდი მხატვარი ღმერთია!“ „მაგრამ ღმერთის მეორე ქმნილება — დრო, ამ სილა-

მაზეს ნელ-ნელა ფერს და ფორმას დაუკარგავს, დაამახინჯებს და საბოლოოდ გააცამტვერებს! რატომ?“ „აღბათ, იმიტომ, რომ სხვა ინა მოვიდეს „ტურფასა საბალნაროსა“ და ახლა იმან გაახაროს ჩემნაირების თვალი მაშინ, როდესაც მე აღარ ვიქნები! საშინელებაა“ „იქნებ, მართლაც კლეოპატრა იყო? მისმა სულმა ახალი სხეული შეიძინა, ახალი სილამაზე, ახალ დროში, ახალ ვითარებაში მოხვდა და ახლა ამ პირობებში შეფასდება მისი მოღვაწეობა: ცოდვა-მადლი...“ მეც მომეკიდა ვისკი, ისე მომეკიდა, ფიქრის თავიც კი აღარ მქონდა... ბალიშზე დავდე თავი და სიზმართა სამყაროს მივანდე ჩემი არსება, რომელსაც „მეს“ ვეძახით ადამიანები...



დილით ორი ტაქსი ავიყვანეთ და ქალაქის ცენტრისკენ დავიძარით... ინა საელჩოს წარმომადგენელს უნდა შეხვედროდა, რათა ჩემი პასპორტი გადაეცა, თან აეხსნა, რომ მისი პასუხისმგებლობის ქვეშ ვიქნებოდი ინგლისში. ტაჰირის მოედანზე იმდენი ხალხი იყო, წინ ველარ წავედით; მანქანებიდან გადმოვედით და ფეხით გავუყევით გზას. საშინელი ზუზუნისმოვდა მოედნიდან. ვიცოდით, რომ გამოსვლები იყო, მაგრამ ასეთს არ ველოდით... ნაციონალური მუზეუმი — მითხრა ინამ.

— რა არის აქ დაცული? — ვკითხე მე. ზუზუნის მოედანი ველოდით, პასუხი ძლივს გავარჩიე:

— ფარაონების სარკოფაგები, ოქროს ნივთები, ყველაფერი აქ არის... — კიდევ მითხრა რაღაც, მაგრამ თემომ შემაჩერა და ველარ გავიგე.

— ხედავ, რა ხდება აქ? საშიშია, უკან წავიდეთ. როცა სიტუაცია დალაგდება, მერე მოვიდეთ.

— ჩვეულებრივი მიტინგია, ნუ გეშინია, — დავამშვიდე მე. — თბილისში მიტინგის მეტი რა გვინახავს...

მუზეუმთან სპეციალური ტრიბუნა დაემონტაჟებინათ — იქ, აღბათ, ლიდერები იდგნენ. მგზნებარე გამომსვლელებს ხალხი ოვაციებით ხვდებოდა. ბიჭები შეჩერდნენ.



— კოტე, გადაიღე! — ვუთხარი ჩვენს ოპერატორს. — მე და ინა წინ წავალთ, ბიჭები უკან მოგვეყვინ, შენ კი, რაც მოხდება გადაიღე.

— ასეთ კადრებზე ვერც კი ვიოცნებებდი, — ყურში ჩავძახე ინას.

— შენს სიმღერას მოუხდება? — მანაც აუწია ხმას.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. ზუზუნი გაძლიერდა და მსხვრევის თუ მტვრევის ხმა დაერთო თან.

— იქნებ არ გვინდა, — მითხრა ზურამ. — უკან წავიდეთ.

უცებ ტრიბუნაზე გურამ მშვენიერაძე დავინახე. „ამას რაღა უნდა აქ?“ „თითო ქართველი ყველგან და ყოველთვის გაიჩინება“. მობილურზე ბატონი გურამის ნომერი მოვძებნე და ზარი გავუშვი. რა თქმა უნდა, რეაქცია არ ჰქონდა, ტელეფონისთვის არ ცხელოდა. „მერე დავურეკავ. მგონი, იმ კაცს ახლავს — პოეტს, მამლუქებს შთამომავალს... აბა, პოეტი, თანაც მამლუქის სისხლით, ასეთ რამეს როგორ გამოაკლდებოდა!“

— ამათი ლიდერი შევარდნაძის ხნისაა, — მითხრა ინამ. — იმის წასვლას ითხოვენ...

— ჩვენ მალე მივალთ? — ისეთი სიტუაცია შეიქმნა, არსად აღარ მინდოდა წასვლა: მომიტინგენი ფილაქნებს აძრობდნენ და ამტვრევდნენ, შემდეგ კი ამ ნამტვრევებით, ჩვენ საითაც მივდიოდით, იქით გარბოდნენ! „ნეტავ, რა ხდება იქ?“ უცებ ყველა, ვინც წინ გარბოდა, შემოტრიალდა და უკან გამოიქცა!

კოტე შემალლებულზე იდგა, იქიდან გვიღებდა, ამიტომ ყველაფერს კარგად ხედავდა:

— ქვების სროლით მოინევენ ჩვენკენ! უკან გავიქცეთ! — კოტე ჩამოხტა და იქვე, სურსათის მაღაზიას შეაფარა თავი. სანამ აზრზე მოვედით, ქვების წვიმა წამოვიდა! დათო ძიამ ყველას ერთად მოგვხვია ხელი და მიწაზე დაგვყარა! იქვე ვიღაცამ მწარედ იყვირა, სისხლი თქრიალით წამოვიდა მისი თავიდან! „ეს რა ჯოჯოხეთში მოვხვდი!“ ხოხვით მივედით იმ მაღაზიასთან და ღია კარში შევცვივდით თუ შევფრინდით, არ ვიცი, რომელი სიტყვა უფრო მოუხდება ამ მოქმედებას.



„ჩვენებმა“ უკან დახევა შეაჩერეს, რალაც ურიკები ამოაყირავეს და უკან ამოეფარნენ. ათი, ოცი და მეტი ქვა ერთად მოდიოდა მათი მიმართულებით. ინამ პირჯვარი გადაინერა.

— პრეზიდენტის მომხრეები მოინევენ, — ამიხსნა. ეტყობოდა, რომ ყველაფრის კურსში იყო, რაც იქ ხდებოდა. ახლა „ჩვენებს“ მოემატა ხალხი, ახალი ფილები მოგლიჯეს მიწიდან, დაამსხვრიეს და იქეით შეუტიეს მომხდურთ, საკმაოდ წინ წავიდნენ. ურიკებიც, გაათრიეს და „გამაგრდნენ“. იქით, „ფრონტის“ ხაზზე გაჩერებულ სატვირთო მანქანას და რამდენიმე კაცი ამოფარებოდა, როცა ქვების ერთი წყება თავს გადაუფრენდა, წამოხტებოდნენ და თავად დააყრიდნენ ნამსხვრევების გროვას...

ის იყო, გვეგონა, რომ მუბარაქის მომხრეებმა პოზიციები დათმეს — ზვავივით წამოვიდნენ იერიშზე... სატვირთო მანქანა გადააყირავეს, ვინც იქ იდგა, ჩაქოლეს და ზედ გადაუარეს. ჩვენკენ მოინევიდა ადამიანებისგან შემდგარი ჭრელი ზღვა... „აი, ჩემი სიზმარი! ის სიზმარი — ორზღვასშუა რომ ვიდექი და, სად წავსულიყავი, არ ვიცოდი!“ ერთმანეთს შეშინებული მზერა მივაპყარით.

— გავიქცეთ, — თქვა დათო ძიამ. — მარცხნივ გავიქცეთ! — ამის თქმა იყო და გარეთ გავარდა. — მომყევით! — სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, თავში მოხვედრილმა ქვამ ადგილზე დაანარცხა! გავაფრინე! თემო გარეთ გავარდა, მეც მუხლზე ჩოქვით მისკენ წავედი, ფეხში ხელი ჩავავლე და მალაზიისკენ მოვქაჩე. თემოს თავი ეჭირა... დათო ღრიალებდა:

— ამის დედაც... ამათი სულელი დედაა, მოვ...ან!

მალაზიის არაბებმა წყალი დაასხეს თავზე, რალაც ნაჭერი მოიტანეს და ჭრილობა ოსტატურად შეუხვიეს, ისე, როგორც მაჰმადიან მეომრებს ჰქონდათ. ცოტა რომ დამშვიდდა, სიმწრის სიცილით ვუთხარი:

— იბრაჰიმ ბეგ სინჯიკაშვილს ჰგავხარ!

დათო ძიამაც სიმწრით გაიცინა:

— სად ვკვდები, ბიჭო?

ამასობაში „ფრონტის ხაზს“ გავხედე — „ჩვენებს“ ისევ დაუბრუნებიათ პოზიციები, ისევ სატვირთოს უკან დაბანაკებულან. ახლა კი ნამდვილად შეიძლებოდა თავშესაფრის დატოვება.

— ეს დიდხანს არ დამთავრდება, — თქვა ინამ. — უნდა გავიქცეთ!

— ჰო, გავიქცეთ... — ყველანი დავეთანხმეთ.

დათო ძიას თემო შეუდგა მხარში და, რაც შეეძლოთ სწრაფად გავიდნენ მალაზიიდან, ჩვენც მივყევით. იქით მივრბოდით, საიდანაც მოვედით. მთავარი იყო, ამ მოედანს გავცლოდით! ის იყო, სამშვიდობოს უნდა გავსულიყავით, ხუთიოდე კაცი მოულოდნელად ეტაკა ინას. ქალმა კვილი მორთო! სანამ აზრზე მოვედით, ხელებში და ფეხებში სწვდნენ და მანქანაში შეაგდეს, თვითონაც შიგ ჩახტნენ და მანქანა ადგილიდა მოწყდა! გამოვეკიდე, მაგრამ რას დავენეოდი?!

„ეს რა უბედურებაში გავხვები!“ „ეს ვინ დამთარსა ასე!“ „ეს რა დღეში ჩავვარდი!...“ ფიქრებაბურღულს წნევამ ამინია!

— გაიტაცეს, ამათი დედა... — ვიღრიალე მე. ცრემლები წამსკდა, უძღურებით გამონვეული ცრემლები! თავგატეხილი დათო ძია აქეთ მამშვიდებდა:

— კარგი, დამშვიდდი, ვიპოვით... ვიპოვით:

თემომ ხელმკლავი გამომდო, შემანჯღრია.

— წავედით აქედან! პოლიციაში მივიდეთ, ჩქარა!

ბიჭებმა ნაბიჯს აუჩქარეს...

— ვინ არიან ეს ქაჯები! ამათი პირამიდები მოვ...ან! — ვყვიროდი მე.

— ოქროს თევზს მივანვდინოთ ხმა, — მოულოდნელად მითხრა თემომ...

პირველად სიგიჟედ მომეჩვენა ეს სიტყვები, მაგრამ მერე რატომღაც ჭკუაში ჩამიჯდა! „მოიცა, მოიცა“ კომბინაციის აწყობა დაიწყო ჩემმა გონებამ, იმაზე სწრაფად ამუშავდა, ვიდრე ყველაზე ჩქარი კომპიუტერი დედამინაზე!

— მოიცა, მოიცა... გენიოსი ხარ, — ბეჭზე ხელი დავკარი თემოს. მობილური დავაძრე, ნომერი ავკრიფე, მაკას ნომერი:

— მაკა! გესმის ჩემი? ჰო, ნიკა ვარ. რა საქმეც უნდა გქონდეს, ყველაფერი გადადე, სასწრაფოდ მანქანით გავარდი „მარკო პოლოში“ და იქიდან დამირეკე. პრობლემები გვაქვს! გასაგებია? მერე გიამობ! სასწრაფოდ!

— ჯიგარი ხარ! — ვუთხარი თემოს. — ეს რა კარგად მოიფიქრე! ათ წუთში იქ ვიქნებით, მითხრა! ღმერთო, დიდებულო, შენ გვიშველე! — კარგა მანძილით ვიყავით იმ საგიჟეთს მოცილებული, როცა მაკამ დარეკა:

— აქ ვარ. რა ვქნა?

— მიიტანე ყურმილი აკვარიუმთან და რალაცას ვთხოვ ოქროს თევზს... ხმამალლა მოლაპარაკეზე ჩართე...

— გაგიჟდი? — გაიცინა მაკამ. — იქ ხალხი ზის! რა ვუთხრა?

— უთხარი, ნიძლავი წავაგე-თქო. მიდი ჩქარა, არ მოკლან ის საცოდავი!

— კარგი, გასაგებია; მივდივარ... — მალე მაკას ხმა გავიგონე: მაგიდაზე მსხდომთ ეუბნებოდა, უკაცრავად, ჟურნალისტი ვარ რადიოდან და პატარა ზღაპარს ვდგამთ ბავშვებისთვის, ერთი წუთით მიმიშვით აკვარიუმთან...

— მიდი, ნიკა, ილაპარაკე!

— ოქროს თევზო, ინა მაპოვინინე, შენ შემოგეველე, ინა მაპოვინინე და მე ვიცი შენი პატივისცემა...

— რა სისულელეებს ამბობ, ნიკა? რა „პატივისცემა“, რესტორანში უნდა დაპატიჟო?

გამეცინა, უაზროდ გამეცინა... მაკას დიდი მადლობა გადავუხადე.

— ხმა ხომ კარგად ისმოდა? — გადავამოწმე ყოველი შემთხვევისთვის.

— ისე კარგად, რომ იმ ხალხს რადიონამყვანი ეგონე.

— ყოჩაღ, მაკა, ნამდვილი ვაჟკაცი ხარ! — შევაქე მე.

— ქალს რომ ეტყვი, ვაჟკაცი ხარო, შექებაა, არა? — გაიცინა მაკამ.

— ნამდვილი გმირი ხარ! — გამოვასწორე ჩემი შეცდომა.

— გმირი ქალი ხომ გაგიგია?

— მადლობა. ღმერთმა ქნას, მართლა ეშველოს, ვილაცაა. ახლა ფული მითავდება და, თუ გაითიშა...

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კავშირი განწყდა...

— მე სასტუმროში წავალ... იქ ექიმი ეყოლებათ, — დავით-მა ტაქსი აიყვანა.

თემო, კოტე, ზურა, გოჩა და მე მეორე ტაქსიში ჩავეტენეთ.

— საით წავიდეთ? — იკითხა გოჩამ. ყველამ მე შემომხედა. — ნილოსს გაჰყვეს... ნაპირ-ნაპირ... აქაც ხომ არის სანაპირო?

— სანაპიროზე რატომ წაიყვანდნენ ვითომ? — დაქვდა თემო.

— ახლა ყველაფერი ბედის ამბავია, შერლოკ ჰოლმსობა არ გამოგვადგება! ნილოსი წყალია, თევზი — მისი ბინადარი, ამიტომ გადავწყვიტე!

— ჰო, მაგრამ...

— წავედით, გოუ თუ ბიჩ, ფრენდ...

არაბმა ვერაფერი გაიგო, უარის ნიშნად თავი გააქნია...

— წადი, წადი! — გაიცინა თემომ. — ეს თანხმობის ნიშანია ამათი ჟესტიკულაციით, უარი კი — პირიქით, ჩვენ რომ თანხმობის ნიშნად ვაქნევთ თავს — ის არის!

— უკუღმა ყველაფერი... დამწერლობაც მარჯვნიდან მარცხნივ აქვთ... გოუ, მაი ფრენდ, გოუ!..

მანქანა დაიძრა. პირდაპირ მივდიოდით, ირგვლივ ყველაფერს დაძაბული ვათვალიერებდი: მაღაზიების ვიტრინები — ჩალენილი, მარადიორები ნადავლს მიათრევენ, ვის სკამი მიჰქონდა, ვის ტელევიზორი, ვის რალაც ყუთები... უცებ ის მანქანა დავინახე, რომლითაც ინა გაიტაცეს — რომელიღაც კაფესთან იდგა.

— გააჩერე! — ვუყვირე მძღოლს. მძღოლმა ადგილზე გააქვავა მანქანა. — რაიმე „მონტიროვკა“ გაქვს?.. რკინა... რკინა! — თან ხელებს ისე ვიქნევდი — მიხვდა, რისთვის მინდოდა ეს რკინა, მანქანიდან გადმოვიდა, ჩვენც გადმოვხტით, საბარგულიდან ძალაყინი ამოიღო და მომანოდა — მოკლე ძალაყინი.

— ფრთხილად შევიხედოთ, ვნახოთ, რა ხდება... — კარი დამტვრეული იყო, გვერდულად ეკიდა. შევედით და რას ვხე-

დავ: ტანსაცმეშემოხეული ინა ბილიარდის მაგიდაზე! ორ კაცს მისი ხელები უჭირავს, ორს — ფეხები აქეთ-იქიდან, ერთი კი მიმდგარა, შარვალჩახდილი... ინას კვნესა მომესმა. შურდულივით გავქანდი მოძალადისკენ და თავში ვგლიჯე რკინის ჯოხი. მოცელილი იქვე დაეცა. ბიჭები იმ ოთხს მივარდნენ... მოულოდნელობისაგან ხელი ვერ გააქანეს, კიდევ ერთს ვგლიჯე ფერდში, ისიც დავარდა... ინა წამოხტა, ჩემს უკან დადგა... ორიოდე წუთში ხუთივე არაბი მიწაზე იწვა! მივედი იმ თავგატეხილთან, დავხედე — სუნთქავდა. გამიხარდა: მაინც არ მიწოდოდა ჩემი ხელით კაცი მომკვდარიყო! თუნდაც არაკაცი!

— განგებამ დასაჯა ეს სირები! ინა მომინდომეს ამ სირებმა!

...ბიჭებმა ერთი-ორი წიხლი კიდევ მიაყოლეს... არც პოლიცია, არც არავინ გამოჩენილა: სრული განუკითხაობა სუფევდა ირგვლივ. კიდევ კარგი, ხუთნი ვიყავით!

— რა ბედზე მომისწარით! — ატირებულმა ინამ თავი მკერდზე მომადო პატარა ბავშვივით... არადა, ჩემზე უფროსი იყო... მაგრამ მე ამ შემთხვევაში კაცი ვიყავი — მისი მხსნელი და მფარველი. იმ წამს მთელი კაცობრიობის მამრი ზეიმობდა ჩემში — ყველა სუსტის და უძლურის დამცველი!

— ნავიდეთ აქედან, — ტაქსი გვიცდის... ტაქსისტი მორჩილად გველოდებოდა. გაგვიღიმა, ძალაყინი გამომართვა და სისხლი ნაჭრით განმინდა, მერე ჩვარი ქუჩაშივე მიაგდო და ძალაყინი საბარგულში ჩადო. ძლივს ჩავეკვეტეთ მანქანაში... ისედაც ბევრნი ვიყავით და ახლა ინა დაგვემატა, თუმცა ლამაზი ქალი სულაც არ არის ძნელადასატანი ასეთ სიტუაციაში!

— მაგას სხვა სასტუმრო უთხარით, ვინმე არ მოგვაყენოს — გაგვაფრთხილა თემომ. — იქიდან სხვა ტაქსით ნავიდეთ...

— მართალი ხარ! — ინას გადავუთარგმნე თემოს სიტყვები, ინამ რომელიღაც სასტუმროს სახელი დაუსახელა ტაქსისტს...

— გარეუბანშია, — ჩამჩურჩულა ინგლისურად.

„ძალიან კარგი“, გავიფიქრე მე, „ზედმეტი კუდები არ გვჭირდება!“ „არა, ეს თემო მართლა ჭკვიანი ბიჭია, ღმერთმა გამომიგზავნა!“ ასეც გავაკეთეთ, ამ ტაქსისტს მადლობასთან ერთად ოცი დოლარი ვაჩუქეთ (კმაყოფილი თავს განზე იქნევდა). როცა ნავიდა, ორი ტაქსი ავიყვანეთ და თავისუ-

ფლად ჩავსხედით, ინა უკან წამოვანვინეთ... რამდენიმე წუთში სასტუმროში ვიყავით... ინა აბაზანაში შევიდა: „ცხოველები!“ „ცხოველები!“ ამოიძახებდა შიგადაშიგ...

— მე დავითს ვნახავ — თავი გაუტყხეს! — შევეხმიანე ინას და დავითის ნომრისკენ გავემართე. ბიჭები თავს დატრიალებდნენ.

— პატარა ტრავმა აქვს, — გამიცინა თემომ. — მაგრად გადავრჩით, საფეთქელში რომ არ მოხვდა ან თვალში!

— იპოვე შენი პრინცესა? გმირი ხარ, ძმაო! ბიჭებმა ყველაფერი მიაძებეს... — მითხრა დათო ძიამ, რომელიც სავარძელში ნახევრად წამოწოლილიყო, ფეხები ეგვიპტურ, ოქროსფრად მოხატულ მწვანე ტუმბოზე შემოეწყო... თავისი უღვაშით, მართლაც ჰგავდა რომელიღაც მამლუქს.

— რუსტამ რაზას ჰგავხარ! ასეთ პოზაში იპოვა ნაპოლეონმა ბრძოლის ველზე, დაჭრილი. აბა, ერთი წაიმღერე, — დათო ძიამ ხმადაბლა წამოიწყო: „გაფრინდი, შავო მერცხალოოო... გაჰყევ ალაზნის პირსაო...“ ყველანი აყვირით... რალაც ამოუხსნელი სევდა შემომანვა: ენით უთქმელი, წარსულის და აწმყოს გამაერთიანებელი დიდი სევდა, გენეტიკური ხსოვნით კარგად შემონახული და სისხლში ჩამჯდარ-ჩაბუდებული... მომეჩვენა, რომ მამლუქი ვარ და სამშობლოსგან მოშორებული ვიქნევ ხმალს, ვბიჭობ, ქალებს ვეტრფი, ცხოვრებით ვხარობ, გულში კი სევდა დევს, საკუთარ მიწაზე არყოფნის სევდა; სხვისი ცხოვრებით ცხოვრების სევდა, ყველა გამვლელში ქართველს რომ ეძებს იმ თვალების სევდა: ეს საოცარი — ქართული სევდა...

ინა შემოვიდა, დათო ძიას უხმოდ აკოცა და გვერდზე დადგა. მე ხელი მოვხვიე და სიმღერა გააგრძელე.



ნაპოლეონი, ახალგაზრდა კორსიკელი გენერალი, კარავლაზარეთში მაშინ შევიდა, როცა როსტომ რაზმაძე საწოლიდან წამოდგა, სრულიად გამოჯანმრთელებული წასასვლელად მოემზადა...

— გამოჯანმრთელდი, ქართველო? — ხელი მხარზე დაჰკრა ნაპოლეონმა მამლუქს.

— ჰო... თქვენი წყალობით, გენერალო! მადლობელი ვარ თქვენი... ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი...

— მე მოგკალი და მე აღგადგინე! ასე არ არის? ეგვიპტეში ლაშქრობა რომ არ მომენყო, იქნებოდი შენთვის მშვიდად — განსაცდელის გარეშე!

— განსაცდელს ღმერთი გვიგზავნის და იქიდან გამოსვლის საშუალებასაც...

— ოო, შენ ფილოსოფოსი ყოფილხარ. თუმცა იქნები, აბა, რა? ტყუილად არ წამოუყვანიხართ აქეთ... გაჭირვება ადამიანს ან ანადგურებს, ან უფრო ძლიერს და ჭკვიანს ხდის... მოკლედ, ჩემმა ლაზარეთმა გაამართლა: მკვდრეთით აღსდექი... როგორც ლაზარე... სიმღერა ხომ არ დაგავიწყდა? — გაიცინა გენერალმა.

— არა, სიმღერა ისეთი რამეა... გაჭირვებაში უფრო გშველის.

— ჰო, ვიცი... ხომ ვნახე, როგორ მღეროდი დაჭრილი, ბედის ანაბარად მიგდებული. ვინ არის შენი ბატონი?

— თავად ეგვიპტის მმართველია ჩემი ბატონი, ისიც გურჯია. ერთ ბედში ვართ და მე ამიყვანა მსახურად...

— გინდა, პარიზი განახო? ჩემთან წამოდი, რა გინდა ამ ჩამორჩენილებთან... მიმღერებ ხოლმე...

— ორი ბატონის მსახურება ძნელია, გამიჭირდება. არადა, თქვენ სიცოცხლე მაჩუქეთ. წესით, თქვენ გეკუთნით ჩემი სული...

— იმას მე ვათქმევინებ შენზე უარს! თანაც იცოდე — მონა არ მჭირდება! ჩემთან ყველა შეგნებით და თავისუფალი არჩევანის შედეგად მოდის. ასე არ არის, ბიჭებო? — თანმხლებ ოფიცრებს მიმართა კორსიკელმა, არწივს ჰგავდა პროფილში.

— ფრანგულად რომ არ ლაპარაკობდეთ, ქართველი მეგობრობით... — შეჰბედა როსტომმა, რუსტამად წოდებულმა.

— ეს კომპლიმენტი უნდა იყოს! — გაიცინა ნაპოლეონმა. — მაშ, გახდები ერთი ბატონის მსახური?

— სიხარულით, მთელი სულით და გულით ვემსახურები ადამიანს, ვინაც დაჭრილი მტრისთვისაც კი მკურნალობა დააწესა... ეს ღვთაებრივი საქმეა!



— მკაცრი კი ვარ, მაგრამ... სამართლიანობა მიყვარს! შენ როგორ ფიქრობ, ქართველო, თავისუფლება მეტია თუ სამართლიანობა? აი, ჩვენ, ფრანგებს, რევოლუციური ლოზუნგი გვაქვს „თავისუფლება და სამშობლო!“ „ლიბერტე ე პატრი“ მე მინდა „სამართლიანობა“ შევმატო ამ გამოთქმას, შენ რას იტყვი?

— სამშობლო თუ არა გაქვს, თავისუფალი ვერ იქნები... სხვისი დაჩაგვრაც უსამართლობაა, ყველამ თავისი უნდა იკმაროს...

— მაგრამ აი, ესპანეთში — შეანყვეტინა მომავალმა იმპერატორმა, — ინკვიზიცია სრულიად უდანაშაულო ხალხს აწამებს... კლავს, ესპანელი ხალხი კი მათ ვერ ერევა... მე კი მაქვს საშუალება აღვადგინო სამართლიანობა და გავანადგურო ინკვიზიცია... გადავარჩინო ხალხი ტანჯვა-ვაებას! არ გავაკეთო ეს?

— ნება თქვენია, მაგრამ ვშიშობ, როცა მაგ ჰუმანური მიზნით ესპანეთში შეიჭრებით, ძალაუნებურად ამ ქვეყნის დამპყრობი აღმოჩნდებით: თვითონ ხალხმა უნდა ითავოს ეს საქმე...

— ხალხს ვერ დაველოდები! მე საფრანგეთშიც უნდა დავანესო სამართლიანობა! რკინის კოდექსი — აი, რასჭირდება ხალხს! კანონი უნდა იყოს სამართლიანი, ხოლო მისი დამრღვევი მკაცრად უნდა დაისაჯოს. ამიტომ ესპანეთით დავინყებ! ჩაგვრა ყველგან უნდა აღმოიფხვრას, მნიშვნელობა არა აქვს, სად ხოცავენ უმწეო და უდანაშაულო ადამიანებს. ვისაც შეგნება არა აქვს, მას ჩემი ხმალი მოიყვანს აზრზე. ეს არის ჩემი მისია! — ამ სიტყვებზე ოფიცრები მხედრულად გაიჯგიმნენ. — შენ კი კარგი მრჩეველიც ყოფილხარ. წაგიყვან ჩემს სამსახურში, თუ ეს შენი ნებაა და თუ ჩემი იდეების მომხრე ხარ, რა თქმა უნდა...

— ეს დიადი იდეებია. ნეტავ, ჩემს სამშობლოშიც შეაბიჯებდეს შენი ჯარი! — აღმოხდა რუსტამს.

— რა საზიზღრობები ხდება რუსეთში, ირანში; ადამიანი არაფრად ფასობს! მაშ, ქართველო, ვიღვანოთ ყველა ჩაგრული ხალხის გადასარჩენად?



რუსტამს ცრემლები მოერია...

— მე მხოლოდ დიდი სარდალი მეგონეთ... დიდი ადამიანი ყოფილხართ!

— აი, ხედავთ, ბიჭებო, როგორ ამჩნევს გურჯი, რომ სიდიადე ტანის სიმაღლეში არ არის. ვერავინ დაამარცხებს გამჭრიახ და ნათელ აზრს! მოდი, ერთად მოვინახულოთ სხვა დაჭრილები... გურჯო, ჯამაგირზე არაფერი გვითქვამს, რამდენს გიხდის შენი ბატონი?

— არაფერი მინდა, — მიუგო რუსტამმა, — მე თქვენგან დავალებული ვარ!

— აი, რა ვერ გაიგო ზოგიერთმა! იდეის მსახურს ქონება ფეხებზე ჰკიდია! ამით არის ის ძლიერი, იცით, რატომ ვერ მომერევა ბურბონი? — მას ფუფუნების და ტახტის თავისი შვილებისთვის გადაცემის მეტი საზრუნავი არა აქვს, ის იდეური მძორია, მე კი სამართლიანობის ქარიშხალა! მუდამ უკვდავი იდეით ვარ გულანთებული! ეს კაცი, — ხელი რუსტამისკენ გაიშვირა, — ყველაზე დიდი მონაპოვარია იმ საგანძურში, რასაც აქედან წავიღებთ... ყველა დაისჯება, ვინც მხოლოდ მოხვეჭისთვის მოიქნევს ხმალს და გაცვეთს გონებას... ყველა მეცოდება... ყველა უბადრუკი და მონაა — მატერიალური ილუზიის მონა!

გამომეღვიძა... ეს რა სიზმრებს ვხედავ, ღმერთო! სიზმრებია თუ კინოსცენარები, ვერ გამიგია!



ინას მობილურმა „გუდმონინგ, გუდმონინგ“ წამოიწყო.

— ჰაი! — უთხრა ვილაცას.

— ვინ არის? — ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფმა ვკითხე. ...ტუჩებზე თითები მომადო, გაჩუმდიო, მანიშნა.

— ჰო, ცუდი ამბავი დამემართა: ხუთმა არაბმა გამიტაცა, მცემეს და გაუპატიურება დამიპირეს... აქ ერთი ჯგუფი დამიმეგობრდა, ქართველები არიან... იმათ მიშველეს, ერთმა მათგანმა თავში ჩასცხო რკინა იმას, ვინც პირველი იყო... ნუ გამახსენებ... ჭკუაზე არა ვარ... ჰო, წამოსვლა მინდა! გული

მერევა, ისეთი არეულობაა... ჯონ... შეიძლება ეს ბიჭი წამოვიყვანო? პასპორტში ვიზა ვერ ჩავურტყი, სწორედ მაგ საქმეზე მივდიოდი, როცა მომიტაცეს! ქვების წვიმაში ვიარეთ! გარეთ არ გაისვლება, ისეთი ამბებია! არ ვიცი... კი, დაგიმე-სიჯებ მაგის ნომერს... მადლობა. აბა, მალე შეხვედრამდე!

— ჩემი ქმარი იყო! — ჯერ შენი ნომერი მითხარი, უნდა გავუგზავნო SMS-ით.

ნომერი ვუკარნახე. SMS-ი გაგზავნა. ათი წუთი არ იყო გასული, ჯონმა დამირეკა:

— ჰელოუ, მისტერ ნიკი! — მომესალმა დინჯი, სერიოზული მამაკაცის ხმა.

— ჰელოუ! გისმენთ, ვინ ბრძანდებით?

— მე ინას მეუღლე ვარ. დიდად მადლობელი ვარ თქვენი გმირული საქციელისთვის. მინდა, ჩვენთან მოგიწვიოთ...

— დიდი მადლობა. ჩემს ადგილას ყველა ასე იზამდა, ვილაც ნაძირლებმა გაიტაცეს. ღმერთმა გვაპოვნინა, თორემ საშინელება დატრიალდებოდა.

— კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას... როცა ჩამოხვალთ, ვიზას მაშინ ჩაგირტყამენ, აეროპორტში... მე მაქვს ამის შესაძლებლობა...

— კიდევ ერთხელ დიდი მადლობა!.. — ტელეფონი გავთიშე.

— ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი... შენი ქმარი რომ მპატიჟებს მაინცდამაინც... სხვანაირად არ შეიძლებოდა? რა სულ ასე ხდება? სინდისსა და საჭიროებას შორის არის სულ ასარჩევი. ძალიან მინდა წამოსვლა... მაგრამ აქეთ ბიჭებს ვტოვებ, იქით შენი ქმრისა მერიდება... რომ არაფერი მომხდარიყო ჩვენს შორის, კიდევ ჰო... მაგრამ...

— მოიცადე, იმათ რომ გავეუქიმე — ხუთივეს, სხვანაირად შემხედავდი?

— ეგ რა შუაშია? ის ძალადობაა, აქ კი...

— არ მითხრა ახლა, სიყვარულიაო. როგორც ქალი, ისე მოგწონვარ, იმათაც მოვწონე... უბრალოდ, შენთან ჩემი სურვილით ვწვები, იმათთან, — ჩემი სურვილის საწინააღ-

მდეგოდ ხდებოდა ყველაფერი. სექსი — სექსია! იცის ჩემმა ქმარმა, რომ ბევრს მოვწონვარ, ხშირად მეც მომწონს მამაკაცები, ყველას სდიოს? სულ ამაზე იფიქროს? მას მამაშვილურად, უანგაროდ ვუყვარვარ, მე თუ შეგიყვარებ — იმასაც ეყვარები. კეთილშობილი ადამიანია!

— კი, მაგრამ... ასე ხომ არ უნდა ხდებოდეს?

— ჩემზე 25 წლით უფროსია. პირველ რიგში, სულიერი მეგობრები ვართ... ჯერ თოჯინასავით ვუყვარდი, მერე ბავშვივით, ახლა კი, როცა დაექალდი, სულიერი მეგობარი გახდა... შენ ჯერ ამას ვერ გაიგებ... ჯერ...

— თოჯინა ვარ, არა? — გავლიზიანდი მე.

— რალაც ამბავში — ჰო. აბა, ცოლად ხომ არ მომიყვან?

— კარგია, გულახდილად რომ მესაუბრები. სხვათა შორის, ცოლის მოყვანას არც მე ვაპირებ...

— ჰოდა, რა გინდა ამაზე კარგი? სანამ მოგეწონები, იყავი ჩემთან, თუ ერთმანეთი მოგვებზრდა, შენ — შენი გზით, მე — ჩემი გზით!

— ლონდონში როდის მივფრინავთ? — თემა შევცვალე.

— თუ გინდა, ხვალვე გავფრინდეთ...

— კარგი, დღეს პირამიდებზე წავყვეთ ბიჭებს...

— მე არ წამოვალ... დაბეგვილი ვარ... ყველაფერი მტკივა.

— გასაგებია... მე წავალ... ბიჭებს უნდა ველაპარაკო... ოღონდ, ერთი ეს მითხარი, შენს ქმარს შეუძლია — თუ ჩვენი დისკი მოეწონა — ბიჭებიც ჩამომაცვანინოს?

— მთავარია, რომელიმე პროდიუსერს მოეწონოს, სხვა რამ პრობლემა არ იქნება, — ამიხსნა ინამ.

თემოს დავურეკე ნომრიდან:

— საუზმეზე ჩავიდეთ, — ვუთხარი. — სალაპარაკო მაქვს...

ბიჭები უკვე იქ დამხვდნენ, საუზმობდნენ. დათო ძიაც ჩამოსულიყო. მასთან დავჯექი.

— ყავას დალევ? — მკითხა დავითმა — ჰა, მიდიხარ ლონდონში?

— აბა, არ წავიდე? ასეთი შანსის გაშვება შეიძლება? მერე კიდევ როდის მომეცემა ასეთი შესაძლებლობა?

— კლიპს რა ვუყოთ?

კოტეს დავუქნიე ხელი, თემოსაც, აქ მოდით-მეთქი, ვანიშნე.

— გადაიღე, ხომ, გუშინდელი ამბები? — ვკითხე კოტეს.

— აუ, გაგიჟდები, მთელი კინო გამოვა, ისეთი მასალა მაქვს, ზვიგენი, ქვების სროლა, შენ რომ თავში ურტყამ, ინა — სხვადასხვა პოზაში! მაგარი მასალა გვაქვს!

— ახლა მომისმინეთ, მე ლონდონში უნდა წავიდე — ინას ქმარი მეპატიჟება. თქვენ ეს კლიპი დაამონტაჟეთ, ფულს მე დაგიმატებ, — კოტეს მივმართე. მერე ეს კლიპი „ფეისბუკზე“ დადეთ და ინა შემპირდა, პროდიუსერებს ვაჩვენებო. მერე თქვენც წაგიყვანთ...

— კი, მაგრამ... სად მიდიხარ ამ უცხო ქალთან ერთად? — ვერ მოითმინა ზურამ.

— რაც ეს ამბავი მოხდა... გუშინდელ ამბავს ვგულისხმობ, მისი ქმარი დაინტერესებულია ჩემი გაცნობით. პირადად მიმინვია ლონდონში... ასე რომ... პირამიდებზე წავიდეთ დღეს... კიდე რალაცები გადავილოთ და ხვალ წავალ... — შევაჯამე საუბარი.

— ჩვენც წავიდეთ, აქ, რაღა გვინდა, — ამოიოხრა დათო ძიამ. — ჩემი ქალი ზვიგენმა იმსხვერპლა, თავი გავიტყხე, ქალს აუპატიურებდნენ... რა ამბებია ჩვენს თავს?

— კარგი, წავიდეთ, სანამ განათებაა, — თქვა კოტემ.

მაღე ჩვენი ტაქსები იმ ველს მიაღვინე, სადაც პირამიდები 40-საუკუნეა დგანან, ან ორმოცდაერთი — ზუსტად არ ვიცი. მართლაც შთამბეჭდავია ეს ნაგებობები: ყველაზე დიდი ხე-ოფსის პირამიდა ყოფილა! ალბათ, ყველაზე შეძლებული იყო! პირამიდებთან სანამ მიხვალ, — სფინქსის უზარმაზარი ქანდაკება დგას, სფინქსს ცხვირი ჩამომტვრეული აქვს. ქანდაკებასთან რუსი ტურისტები ირეოდნენ.

— დრომ, წვიმებმა და ქარებმა ჩამოშალეს მისი სახე, — ამბობდა გიდი.

— სისულელეა! — ვუთხარი ბიჭებს. — ეს ნაპოლეონის ზარბაზანმა გააკეთა.

— შენ რა იცი? — მკითხა თემომ — სადმე ენერა?

— გაგონილი მაქვს... ნაპოლეონმა თავისი „ავტოგრაფი“ დატოვა.

— სალდაფონი მაინც სალდაფონია. — თქვა ზურამ. — აბა, ხელოვანი კაცი ამას გააკეთებდა?..

— საინტერესოა, რატომ არ აღადგენენ ამ დაზიანებულ ადგილებს? — მკითხა კოტემ.

— ისტორიას არ აღამაზებენ... ზარბაზანი მოხვდა და იმიტომ... დროს და ქარს რომ დაეზიანებინა — გზადაგზა შეაკეთებდნენ, ალბათ... ამ შემთხვევაში სფინქსი და ნაპოლეონი ერთად არიან...

— ჰეროსტრატესავით მოქცეულა, — დაასკვნა თემომ. — იმან ხომ ტაძარი იმიტომ დანვა, თავისი სახელი რომ უკვდავეყო.

— საზიზღრობაა, მაგრამ მიუღწევია მიზნისთვის, — გაიცინა დრამერმა.

— ჰო, აქ ვლასპარაკობთ, 21-ე საუკუნეში, მასზე...

— მაინც ჯობია, მუსიკით გავითქვათ სახელი...

შაკო დავინახე, მცირე ჯგუფს რალაცას უხსნიდა.

— შაკო გახსოვთ? ჩვენთან ერთად რომ იმგზავრა? — ვკითხე ბიჭებს, მაგრამ ვერ გაიხსენეს იმიტომ, რომ გზაში ყველას ეძინა.

კოტემ აქლემებისაკენ გამახედა:

— აი, ამაზე შეჯგეჟი და გადაგიღებ, ეს იქნება სინქრონის ნაწილი, ანუ პირის მოძრაობა აქ უნდა დაამთხვიო. ბედუინის თავსაბურიც გაიკეთე! მაგარი ეგზოტიკა იქნება!

— მუსიკას რა ვუყოთ? — დავფიქრდი მე.

— ბიჭებმა რიტმი დაუკრან და შენ იმღერე! მერე მოვაჯენ — მონტაჟის დროს.

— ესე იგი, ტამტამი გვჭირდება! — კოტეს აზრი მომეწონა. — გამოსავალი ყოველთვის უნდა მონახო კაცმა!

ბედუინები სუვენირებსაც ჰყიდდნენ... სათამაშო აქლემების, პირამიდების, სფინქსების გვერდით სხვადასხვა ზომის ტამტამებიც ეწყო. სამი ცალი ვიყიდეთ და აქლემიც და-

ვიქირავეთ. ბედუინმა ორ დოლარად თავსაბური მომახვია და აქლემზე შემსვა!

ბიჭები სიცილით დაიხოცნენ. კოტემ მეორე აქლემი დაიქირავა და ამხედრებულმა დაიწყო გადაღება. ბიჭები ტამტამებს აბრაგუნებდნენ, ხოლო კოტე ჩემს აქლემს წრეს ურტყამდა, უწყვეტი მოძრაობის კადრებს იღებდა. „ნიჭიერია“, — გავიფიქრე მე.

შაკო მოგვიახლოვდა. ხელი დამიქნია, მეც ღიმილით მივესალმე, სხვისთვის შეუმჩნევლად... რამდენიმე დუბლი გადავიღეთ, ამასობაში ცნობისმოყვარეთა მთელი გუნდი შემოგვეხვია... მეორე სიმღერა დავინყეთ — მხიარული. აქლემიდან ჩამოვხტი და ცეკვა გავაჩაღეთ... უცხოელები იყვნენ — დასავლეთევროპელები, უკომპლექსოდ გადმოეშვნენ მუსიკის და ქორეოგრაფიის მორევში... „რა თავისუფლები არიან, არავითარი სპეციალური მონვევა და ხვენწა-მუდარა არ სჭირდებათ... ეს თავისუფლება სულ სხვა პენს მატებს ამ არცთუ ისე გამორჩეული სილამაზის ქალებს და კაცებს...“

— მიდი, ნიკა, შეუბერე! — მეძახდნენ ბიჭები და უფრო მაგრად ურტყამდნენ პატარა დოლებს, ჩვენში დიპლიპიტოს რომ ეძახდნენ.

შაკოც შემოხტა წრეში, ქერა, სათვალეებიან ქალბატონს გამოეცეკვა... იმანაც სასწრაფოდ აულო ალლო ამ სიტუაციას და ხელები ისე აამოძრავა — სუხიშვილების მოცეკვავე გეგონებოდათ! დიდი ტაშით და ოვაციებით დავასრულეთ ცეკვა-თამაში.

— კარგია? — ვკითხე კოტეს.

— გენიალურია! — კოტემ ცერა თითის აწევით გამოხატა თავისი შეხედულება.

— საიდან ხართ? — დაინტერესდა ქერა ქალბატონი, აი ის, სუხიშვილების მოცეკვავესავით რომ ირჯებოდა.

— აი ფრომ ჯორჯია... — რა თქმა უნდა, მას ამერიკიდან ვეგონეთ, შაკომ სწრაფად განუმარტა, რომელი ჯორჯიიდან ვიყავით...

- სტალინ, შევარდნაძე... სააკაშვილი...
- ო, კეი! აი ნოუ, აი ნოუ! — იძახდა აქოშინებული „კორესპონდენტი“.
- ესენი იცის, არა? აბა, ვინმე ხელოვანის გვარი უხსენე თუ ეცოდინება!
- რუსთაველი! რუსთაველი! — დამიჯერა შაკომ.
- აი დონთ ნოუ! — მხრები აიჩეჩა ევროპელმა ქალბატონმა.
- ამაშია საქმე! — დავასკვენი მე. — პოლიტიკოსები იცის მხოლოდ... ასე იყო და ასე იქნება ყოველდღის... სამწუხაროდ!
- საქმე იცი, რაშია? — საუბარში ჩაგვერია თემო. — საინფორმაციო საშუალებები სულ პოლიტიკაზე ლაპარაკობენ... მაგრამ არსებობს ელიტარული წრე — განსაკუთრებით ევროპაში — ვინც გეტყვის, თუ ვინ არის რუსთაველი და ეს ცოტა არაა... მაგალითად, შენ იცი, ვინ არის ფრანსუა ვიიონი?
- არა... — გულწრფელად ვაღიარე.
- არადა, მაგარი ვინმე იყო! პოეტი, რომელმაც თავისი ერთადერთი პოემა ციხეში დანერა — ჩამოხრჩობის წინა ღამით.
- საინტერესოა, წავიკითხავ... წიგნი გაქვს?
- ჰო! მაგრამ სარკოზი იცი, გაგიგია და გინახავს ტელევიზიით, ხომ ასეა? მიხვდი, რისი თქმა მინდა?
- მივხვდი! — მთავარია რეკლამა!
- ჰოდა, ეს კლიპი, დამიჯერეთ, მაგარი რეკლამა იქნება თქვენთვის, გვითხრა კოტემ.
- არ იქნება და... შენი აჯობებს, — გაუცინა გოჩამ.
- იცი, კოტე... კლიპში უნდა იგრძნობოდეს წამის მშვენიერება, — წავიფილოსოფოსე მე.
- კარგი რა, მოსტაკოვიჩ, გეყო! — გამაშაყირა ზურამ. — ნუ ეიზენშტეინობ!
- შენ კი ნუ შტერობ, — ვინყინე ზურასგან. — სასაცილო არაფერი მითქვამს...
- შაკო იღიმოდა:
- მაგარი ხალხი ხართ მუსიკოსები!
- მუსიკოსები და გენიოსები... ვაბშემც, ოსები, არა?

— იცი, საიდან მოდიან ოსები? — უცებ მკითხა შაკომ, მერე პასუხს არ დაელოდა, ისე მოაყოლა — ირანიდან! ისევე, როგორც გერმანელები... ხალხთა დიდი გადასახლების დროს გოთები წამოვიდნენ დღევანდელი ირანის ტერიტორიიდან და ევროპაში შემოვიდნენ. გოთები ორ ნაწილად იყოფიან: ვესტ და ოსტგოთებად — ოსტგოთების შთამომავლები სხვებთან ერთად, ოსებიც არიან...

— საინტერესოა, მაგრამ... ნუ დაგვაოსე! — გავიცინე მე... — შენ ის მითხარი, პირამიდებს რა ფუნქცია ჰქონდათ, მართლა საფლავის ქვებია მხოლოდ?

— ოოო, ეს მართლაც კარგი შეკითხვაა, — წამით ჩაფიქრდა ახალგაზრდა დიპლომატი. — ათასი თეორია არსებობს ამის შესახებ... ზოგი ფიქრობს, რომ ეს უცხოპლანეტელთა შემოქმედებაა... ზოგაც მიაჩნია, რომ პირამიდა სხეულს ინახავს კარგად...

— ეს როგორ? — იკითხა თემომ.

— პირამიდას სამკურნალო თვისებებს მიანერენ... თუ ავადმყოფი შიგნით შეაღწევს, გამოჯანმრთელდება... ამბობენ, ნარკოტიკზე დამოკიდებულებასაც ჰკურნავსო...

— კი, მაგრამ... მიცვალებულ ფარაონებს რაში სჭირდებოდათ ამოდენა ნაგებობები? — იკითხა თემომ.

— სხეულს ინახავდაო, ამბობენ... ანუ მუმიას. სხვათა შორის, არის ასეთი სამედიცინო თუ ექიმბაშური მეთოდი — პირამიდიტო მკურნალობა!

— მასონური ამბებია, — ვთქვი მე, თან თემა შევცვალე:

— ეს სფინქსი უცხოპლანეტელია?

— ვითომ რატომ? — გაიკვირვა შაკომ.

— რა ვიცი: ლომის ტანი, თათები, ადამიანის სახე... შეიძლება ასეთები მოფრინდნენ აქ...

— ამაზე არ მიფიქრია! თუმცა, გამორიცხული არაფერია... მეტიც — საინტერესო ჰიპოთეზაა... ჩვენც, ქართველებსაც ხომ გვყავს ფასკუნჯი, ფრინველისა და ლომის ნაჯვარი არსება? იქნებ, ისიც უცხოპლანეტელია?



— მაგრა ნუ გააფრენთ, რა, — თქვა გოჩამ. — მე მგონი, თქვენ ხართ უცხოპლანეტელები. წამო, საქმეს მივხედოთ!..

ყველამ გადაიხარხარა! ასე იცინან ჩვენში — ყველა დიდი ნააზრევის სიცილ-ხარხარში ჩაძირვა!

უცებრალაცამ უკან მომახედა: პირამიდის ქიმიდან მომწვანო შუქი ირეკლებოდა, სხივი პირდაპირ თვალებში „მირტყამდა“. რალაც ძალამ იქით წამიყვანა... მივუახლოვდი საძირკვლის უმძიმეს ლოდებს და ხელით შევეხე ოთხი ათასი წლის წინათ მონების მიერ ტანჯვა-ვაებით დაწყობილ ქვებს...

ქვებისგან ყრუ გმინვა მოდიოდა... თემო ამომიდგა გვერდით.

— გესმის? — ვუთხარი აცახცახებულმა...

— ქარის ხმაა... წავიდეთ. ცუდად ხომ არა ხარ?

— რამე შემატყვევ?

— ჰო... უცებ ფერი შეგეცვალა... რა გინდოდა აქ?

— არ ვიცი... რალაც ძალამ მომიყვანა... რალაც გავიგე, მგონი... მაგრამ არ ვიცი, რა...

— კარგი... კარგი... გადაიღალე. ამდენი ემოცია... ძნელია! წავედით! წავედით აქედან...

ბიჭები შემომეხვივნენ.

— რა დაგემართა? ცუდად ხარ? — მესმოდა აქეთ-იქიდან...

— მე მგონი, „პახმელიაზე“ ვარ... გული ამიჩქარდა...

— ჰოდა, წამო, ცოტა ჩავარტყათ, მეც ვკვდები. — წამოიძახა გოჩამ.

— ასე იცის ზედმეტმა განათლებამ! — გაიცინა ზურამ — ხომ იცით, რა თქვა ზესტაფონელმა?

— რა თქვა? — იკითხა შაკომ.

— რაო, და ბეჭებში მოხრილ კაცს უთხრა: რავა ნასწავლი კაცის სირივით მოკაკუულხარო! წამო, ცოტა დავლიოთ თუ არა... მივეწვევით ამ ფარაონებს...

ამ სიტყვებზე მეც გამეცინა!

— ღვინის ჭიქების პირთან მიდებით არ აშენდება პირამიდები!

— შენ გალექსე? მშვენიერია! იცი, ქარმა შეიძლება დაშიფრული ინფორმაცია გადმოგცეს, — მოულოდნელად მითხრა შაკომ.

— რას გულისხმობ?

— ქარის ხმა, შეიძლება, შორიდან მოტანილ ამბებს შეიცავდეს — დაშიფრულ ტექსტებს!..

— სისულელეა... — არც ისე დამაჯერებლად შევეკამათე ამ საინტერესო აზრის ავტორს.

— „ქარი მღერის...“ „ქარი მიმღერის ნანას...“ „სუფსარქისის ქარო“ — წამიმღერა ეს სიტყვები.

— სუფსარქისი სომეხი იყო, არა?

— ჰო...

— სუფსარქისის ძმას, იცი, რა ერქვა?

— არა!

— ქარაშოტი! ქარ-აშოტი! — დაფუმარცვლე.

შაკომ გადაიხარხარა...

— რა გინდა შენ ლონდონში? ნადი, ლინგვისტიკას მიხედე!

— მუსიკაც ლინგვისტიკაა, ღმერთის ენა... ერთმა ინდუსმა მუსიკოსმა და ფილოსოფოსმა თქვა ეს.

— კარგი ნათქვამია... მით უმეტეს, ეს თუ ასეა — ქარის ხმაც რაღაცის მთქმელია... წყლის ჩუხჩუხიც, ჩიტის ჭიკჭიკიც...

— შენ ყოფილხარ ვაჟა-ფშაველას მინდია!

— ეს ლექსი მომწონს ვაჟასი... „რამ შექმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა...“

— კარგი, რა... ჩვენ წავედით! — ბიჭები შეტრიალდნენ და წავიდნენ, თემომ არ მიმატოვა, თვალებით მანიშნა — გელოდებიო... მეც დავემორჩილე მის თხოვნას და შაკოსთან ერთად „ღვინისძიება“ დავინწყეთ...

მხოლოდ ლუდი იყიდებოდა აქ. პირდაპირ მოვიყუდეთ და სულმოუთქმელად დავცალეთ პირველი ბოთლები.

— „სასისკი“ გაასწორებდა... — თქვა ზურამ.

— და სისკი — დაამატა გოჩამ.

— თანაც... რასიისკი... — გავიცინე მე.

— მაინც მაგრები არიან, არა, სლავი ქალები? — ისე მითხრა თემომ, მივხვდი, ინას გულისხმობდა უთუოდ.

— ძალიან მაგარი... იცი, კლემოპატრა ყოფილა წინა ცხოვრებაში...

— ინაზე ამბობ? გეყო, რა, ეგეთები. ცოტა დასერიოზულდი... მაგარი ქალია, არა?

— ჰო, მაგარია... — დავუჯერე და დავსერიოზულდი მე. — ისეთი კარგია, მეშინია, ვინმემ არ გამთვალოს და ყველაფერი არ ჩაიშალოს, — გავუმხილე ჩემი შიში მეგობარს.

— ნუ გეშინია, ჩვენ არ გაგთვალავთ; ისე, ცოტა კი მშურს შენი, კეთილი შურით. — გამიღიმა თემომ.

— თუ ყველაფერი კარგად იქნა, შენც არ დაგივინყებ!

გადახდის დრო რომ მოვიდა, ფარდულის მაცივარზე გამოკრულ ციფრებს მივაქციე ყურადღება: ყველა მათგანი რალაც სხვანაირად ეწერა!

— რა არის ეს? ციფრების წერა არ იციან? — ვკითხე შაკოს.

— ეს ციფრები არაბებმა შემოიღეს და მსოფლიოში განავრცეს. აქ ის პირველყოფილი სახითაა შემორჩენილი...

— რალაც კი მახსოვს სკოლიდან: რომაული, არაბული ციფრები, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია.

— არაბებმა — წამოიწყო შაკომ ყველას გასაგონად, — ევროპაში გაავრცელეს ისეთი დისციპლინები, როგორებიცაა ალ გებრა, იგივე მათემატიკა, ალ ქიმია, იგივე ქიმია — მისი პირველყოფილი სახით — აი მთელი ევროპა ფილოსოფიურ ქვას რომ ეძებდა და აღქიმიკოსობდა... აღკოპოლიც კი, რომელსაც ახლა ჩვენ ამ ლუდის საშუალებით ვიღებთ, ამათი სიტყვაა ალ კოპოლი!

— რალა მაინცდამაინც არაბული ციფრები გავრცელდა მსოფლიოში? — ჰკითხა თემომ.

— მოსახერხებელი აღმოჩნდა რომაულთან შედარებით!

— კალამი ამოიღო და ქალაქის ხელსაწმენდზე რომაული რიცხვების გამოყვანა დაიწყო:

— აი მაგალითად:  $XXV + XXXIV =$  ანუ ოცდახუთს მივუმატოთ ოცდათოთხმეტი, ასე იწერება: ხოლო პასუხი ორმოცდაცხრამეტი, ასე:  $XIX$  რა თქმა უნდა, ასეთი ჯოხების წერა გაცილებით რთულია, ვიდრე არაბულით:  $25+34=59$  ასე არ არის?

— რა მაგარი ხალხი ყოფილა!

— ჩვენ გვეგონა, მარტო ქვების სროლა იცოდნენ...

— ჰო, მართლა! — დასერიოზულდა შაკო. — საქართველოს ხელისუფლება მოგვიწოდებს, დავტოვოთ ეგვიპტე და სამშობლოში დავბრუნდეთ!

— როდის არის რეისი? — დაინტერესდნენ ბიჭები.

— ხვალ საღამოს. ასე რომ... ერთად ვიმგზავრებთ! ის კაცი სად არის, ავტობუსში რომ ყვიროდა? — გაახსენდა შაკოს დათო ძია.

— თავი აქვს გატეხილი: ქვების წვიმაში მოყვევით, ხომ გაგიგია, აქლემები ჩხუბობდნენ და კოზაკი გაიჭყელიტაო!

— კიდევ კარგად გადარჩენილა! ექიმს ხომ ანახეთ?

თავი დავუქნიეთ.

— მოკლედ, ეგვიპტეში ჩვენს მისიას მოვრჩით, რუსტამ რაზასი არ იყოს, წავედით პარიზში! ანუ, მე — ლონდონში, თქვენ კი თბილისში! — ფული ამოვიღე და ფარდულის უღვაშა პატრონს მაგიდაზე დავუდე.

— ასე მიდიხარ ლონდონში? — შაკომ ჩაცმულობაზე მიმანიშნა.

— არა! იქნებ, აქვე ახლოს რაიმე თბილი ვიყიდო — ქურთუკი, მაგალითად!

— ტყავი აქ იაფია! წავიდეთ, გაჩვენებთ „იაფხანას!“

ბიჭები გამოცოცხლდნენ:

— შოპინგი გავაკეთოთ? კარგიაზრია! თბილისში ზმანებით ჩავალთ! — იცინოდა თემო.

მაღაზიები დაეკეტათ, მაგრამ სადღაც „ჩავყვინთეთ“ (სწორედ ასე გვითხრა შაკომ — „აქ ჩავყვინთოთ“) და ტანსაცმელების ზღვაში ამოვყავით თავი. ჩვენებური ბაზრობის მსგავსს, მაგრამ უფრო ვიწრო და ჩამოხუნძლული ნაჭრებით

დაბნელებულ ბაზარში „ამოვყვინთეთ“. ტყავის სუნი ჭარბობდა სხვა „სურნელებს“.

ვათვალეირებთ უამრავ ქურთუკს, შარვალს, ვსაუბრობთ, ვიცინით, ვევაჭრებით. რალაცა სულ ხელს გვიშლის — ვერ ვხვდებით, რა... უცებ მოლას ლოცვა შეწყდა, შეისვენა ცოტა ხნით...

— აუ, აგაშენა ღმერთმა! — თქვა თემომ. — გაგვიყდი კაცი! ახლა მივხვდი, რა მანუხებდა!

მართლაც, თითქოს რალაც დაძაბულობა მოგვეხსნა. ერთი შარვალი გადმოვალებინე — „ლევის სტრაუს“, 501 — ტრადიციული მოდელი.

— რალა დროს ეგ არი! — მითხრა გოჩამ, — აგერ, დაძენდილები აიღე, მოდაშია!

— ეს ყოველთვის მოდაშია! — არ დაეთანხმა შაკო. — მითუმეტეს, რომ როკერები ხართ! მაგ კაცის ისტორია თუ იცი?

შემეკითხა ჩვენი მეგზური თუ გზათმკვლევი.

— ვისზე მეკითხები?

— ლივას სტრაურზე — ამ ჯინსის დამპატენტებელზე.

— არა... რალაც კი გამიგია, თითქოს ოქროსმადიებლებს შეუკერა ბრეზენტის ნაჭრისგან გამძლე შარვლები.

— თვითონ არაფერი შეუკერავს... გერმანელი ებრაელი იყო და ძმებთან ერთად ბედის საძებნელად ამერიკაში წავიდა. იქ სანფრანცისკო მოძებნა, რადგან ოქრო უნდოდა ეპოვნა...

— მერე? იპოვა? — დაინტერესდა ზურა.

— ოქრო ვერა, მაგრამ... აი, ამ ჯინსის მკერავი დააფინანსა, რომელსაც დაპატენტების ფული არ ჰქონდა და ამ კაცს მიმართა, როგორც პატიოსან ბიზნესმენს, რომელიც ნაჭრებით ვაჭრობდა...

— კი, მაგრამ სხვა არ კერავდა შარვლებს? — საკმაოდ სწორი შეკითხვა დასვა თემომ.

— საქმეც მაგაშია. შარვალი კი არა, მკერავი ჯეიკის მიერ გამოგონებული, რკინის დამჭერები დააპატენტა, აი, ეს მოქლონები, „ზაკლიოპკა“, ხედავთ? აი, ეს არის გენიალური გამოგონება! ამ სპილენძის რგოლებს უჭირავს შარვლის ნაკერები, რათა არ გაირღვეს!

— უყურე შენ! — ალაღად გავიკვირვე მე. — ესე იგი... ეს ლევისი თუ ლაივისი, სამშობლო რომ მიატოვა, იმის მერე გახდა კაცი! გაიგეთ ახლა, რატომ მივდივარ ხვალ ლონდონში? — ნიშნის მოგებით გადავხედე კოლეგებს... კოტე არ ჩერდებოდა — რაღაცებს იღებდა.

— მე მგონი, ეს კაცი კინოს იღებს და ჩვენ გვიმალავს, — თემა შევცვალე.

— რა იყო, ბიჭო, „ავატარს“ იღებ?

— ვისაც მოსწონს „ავატარი“, ალბათ, ცოტა ავად არის!

— მე მგონი, მაგ „ავატარის“ შექმნაშიც ურევია ქართველის ხელი! — თქვა შაკომ.

— ჰო, კომპიუტერზე უმუშავია ჩვენს თანატოლს, გვარი არ მახსოვს, წარმოგიდგენიათ? — „გაგვანათლა“ კოტემ.

— ჰოდა, ჩემო ძმაო ნიკა, დროზე იყიდე ეს ქურთუქი და შარვალი და მოუსვი ლონდონში. ეგება, შენც გეშველოს და ჩვენც... — ხელი წამომარტყა თემომ.

— ანუ მეც ოქროს მაძიებელი ვარ, არა?

— ასე გამოდის! მუსიკა რა, ოქრო არ არის? — წაიფილოსოფოსა გოჩამ.

— რა თქმა უნდა! — უკვე საღამოვდებოდა, ვიყიდე ეს ჯინსი, შავი თბილი ქურთუქი, ქუდი, მაისურები, ყველაფერი — 100 დოლარად!

— მართლა „იაფხანა“ ყოფილა — ვუთხარი შაკოს.

— სამაგიეროდ, ხვალ მიდიხარ „საძვირეთში“, აბა, იქ უნდა ნახო ფასები, მოფსმა ხუთი დოლარი ღირს!

— ეგ მართალია, მაგრამ... შემოსავალიც მეტია და, რაც მთავარია, ასპარეზი!

— „ასპარეზი“ ჩვენთანაა, ლონდონში „ათასპარეზია!“

— ყოჩაღ... მომწონს, აი, გადმოგედო ჩემგან... ყოჩაღ, ჩემო თემო! ეგეთ რაღაცებზე იმუშავე და ნინ წახვალ — ჩვენთან სხვა მაინც არავის არაფერი მოწონს, ილადავე და იყავი! — გადავხვხვიე ნიჭიერ და გულითად მეგობარს.

— ისე, ინგლისში თუ მოხვევ ეგეთ რაღაცებს, იქაც ფასობს, — დამარიგა შაკომ.

ტაქსი ავიყვანეთ და სიარულით და ემოციებით დაღლილები, არაქათგამოცლილები დავბრუნდით სასტუმროში. შაკო თავისი გზით წავიდა... შაკო — განათლებული და წესიერი ახალგაზრდა... ღმერთმა ხელი მოუმართოს!...

ინა ინვა. ძალიან საცოდავად გამოიყურებოდა: ჩალურჯებული ადგილები კიდევ უფრო გამუქებოდა.

— ვინერვიულე, ვიფიქრე, რალაც შეგემთხვათ, — მძიმედ თქვა.

— შენ როგორ ხარ? შეძლებ ხვალ მგზავრობას?

— ხვალ უკეთ უნდა ვიყო...

— კი, მაგრამ... ბილეთები? ჩემი პასპორტი? ყველაფერს ვასწრებთ? — ეჭვი შემეპარა ხმაში.

— ჩვენ სპეცრეისით მივფრინავთ. პატარა აეროპორტია ქალაქგარეთ, იქიდან მივფრინავთ... არაფერი არ არის საჭირო... ახლა დავიძინოთ... ხვალემ იფიქროს ხვალისა... — ჩაილულულა ინამ და გადატრიალდა...

„ხვალემ იფიქროს, კარგია! ამას რა ენაღვლება. პრობლემები შეიძლება მე შემექმნას. რომ არ შემიშვან ინგლისში, უკან როგორ დავბრუნდე? ბიჭებიც აღარ დამხვდებიან — თბილისში იქნებიან უკვე!“

მაინც გადავწყვიტე — ოპტიმისტურად შემეხედა მომავლისათვის: „შანსი მეძლევა და... შეიძლება ეს ის თეთრი რაშია, რომელსაც უნდა შეახტე, თორემ ჩაგიქროლებს და წავა...“

შხაპის მიღების შემდეგ მეც დავწეიქი.



ვერსალის სასახლის საძინებელ ნაწილში, ბურბონების ერთიმეორეს მიყოლებული საძინებლების გვერდით, ნაპოლეონის საძინებლის კარის შიდა მხარეს, რუსტამ რაზა ნამონოლილიყო. ნაპოლეონი ისვენებდა.

კედლები ომის ამსახველი სცენებით იყო მოხატული. ცხენები, ხმლები, ხიშტები, ზარბაზნები, ეგვიპტელი, ფრანგი,

ავსტრიელი, გერმანელი ჯარისკაცების ზედახორა, ოთხ-ივე პანოს შუაში კი ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა, არნივისებური ცხვირით და ლომის გამოხედვით იყო ნაპოლეონ ბონაპარტი. რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ნაპოლეონე დი ბუონაპარტი. ბავშვობიდანვე ოცნებობდა ფრანგებისგან კორსიკის განთავისუფლებაზე, ახლა კი — მათი იმპერატორი გახდა! სე ლა ვი! რუსტამს თავისი პატარა სამშობლო გაახსენდა — საიდანაც მოიტაცეს და მამლუქად აქციეს... ჩუმი ღიღინი წამოიწყო... ფიქრობდა თბილისზე, დედაზე... პატარა მეგობრებზე... მისდა უნებლიეთ ხმას მოუმატა...

ნაპოლეონის საწოლი იმდენად მაღალი იყო, რომ იატაკზე წამოწოლილი რუსტამი მას ვერ ხედავდა, ხმა კი წამოვიდა საწოლის მხრიდან, დაბალი, ვაჟკაცური ხმა — ნაპოლეონი რუსტამს ბანს აძლევდა.

არაერთხელ მომხდარა ეს, მაგრამ ახლა რუსტამს მოეჩვენა, რომ მის ფიქრებს, იმპერატორის ფიქრებშიც შეუერთდა თავის ჩაგრულ, პატარა სამშობლოზე...

— რუსტამ! — სიმღერა შეწყვიტა ბუონაპარტიმ.

რუსტამი წამოხტა:

— გისმენ, იმპერატორო!

— იცი, ახლა რა გავიფიქრე?

— არა, არ ვიცი... — იცრუა რუსტამმა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ კორსიკაზე ფიქრობდა იმპერატორი...

— ყველა საქმეში პირველი ვარ, ფარიკაობაში, ცხენოსნობაში, ბალისტიკაში... შენი იმპერატორი ვარ. ხომ ასეა?

— იმპერატორი კი არა, ღმერთი ხარ!

— მითუმეტეს! არადა, სიმღერა სხვაა, სიმღერაში პირველს შენ ამბობდი და მე ბანი გითხარი, ბანი, ანუ, ერთი შეხედვით, მეორეხარისხოვანი ხმა! მელოდია ხომ შენ მიგყავდა? მიუხედავად ამისა, ბედნიერების ჟრუანტელი მივლიდა... სიმღერის დროს მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ხმას მღერი, მთავარია, ჰარმონია არ დაარღვიო! რას უნდა მამცნობდეს ეს ამბავი?

რუსტამი დუმდა. რუსტამს ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.



— საზოგადოებაც ასეთ ჰარმონიაში უნდა მოექცეს... სულერთია, მეფე ხარ, ჯარისკაცი თუ მქსოველი — ბედნიერად უნდა გრძნობდე თავს, ამქვეყანაზე რომ გაჩნდი! შეხედე ამ ჯარისკაცს, ჩემს უკან რომ დგას, რა აღფრთოვანებული შემომყურებს! იცი, რატომ?

— არ ვიცი, ალბათ, უყვარხართ... როგორც ყველას!

— შეიძლება... მაგრამ მე სხვა პასუხს მივაგენი ახლა, ამ ნუთას... სიმღერის დროს! — რუსტამს თვალში ინტერესი ჩადგა.

— მე მქსოველები, მანუფაქტურის და ღვინის მწარმოებლები ომში არ მიმყავს... ეს თვალნათებული ყმანვილი კი მეომარია, მე და ის ისეთივე სავსე გრძნობას განვიცდით, როგორც აი, თუნდაც ის — თოფი რომ აქვს მომარჯვებული, ამ დროს ის მე ბანს მაძლევს და, თუკი ის წინ გამიძღვება, მე მივყვები მას, როგორც კი ვიგრძნობ, რომ კარგ პირველს ამბობს! ახლა მე ვეტყვი მას ბანს, ასე, რომ სულაც არ ვინაღვლებ, რომ პირველს აღარ ვამბობ! აი, ეს არის ჩემი ახსნა ამ უდიდესი საიდუმლოსი, რომელიც ღმერთმა შექმნა!

უცებ ამოდენა სულის ტანმორჩილი კაცი ლოგინიდან მისთვის გამზადებულ ტუმბოზე ჩამოხტა, შემდეგ იატაკზე დადგა, კარი გამოაღო და რუსტამს მეზობელ სანოლზე მიუთითა:

— ამ უნიჭოებს ფრანგი მეომრები ომში არ ნაჰყვებიან! არ ნაჰყვებიან იმიტომ, რომ ესენი იმ პირველს ვერ ეტყვიან, რომელსაც ბედნიერი თვალებით მიაშველებენ მეორე და მესამე ხმას, რომელსაც მთელი გუნდი და სიმფონიური ორკესტრი აჰყვება!

— საოცარია! — აღმოხდა პირდაღებულ რუსტამს... — მეორე რომ გამოჩნდეს?

— ვინ მეორე? — მოიღუშა იმპერატორი, ძალიან ჰგავდა იმ ქართველს, უცებ რომ იცის ხასიათის შეცვლა.

— აი, თავისკენ რომ წაიყვანს მეორე და მესამე ხმებს... მრევლს რომ გაგიყოფს!

— აა... — გაიცინა პერანგისამარა ომის ღმერთმა. — მოვსპობ!

## ახმაგელონის მათხახი

— პასუხი ძალიან მარტივი იყო, ნაპოლეონმა ტუმბოს დააბიჯა და ლოგინზე შეხტა... რუსტამი ისევ ძალღვივით კართან წამოწვა.

— აი, მაგალითად, შენ... ხომ ბედნიერი ხარ? — მოულოდნელად ჰკითხა იმპერატორმა...

— კი...

— ეს არის, მთავარი!

მამაჩემი გაჩნდა საიდანღაც:

— ეს ლოგინი დაეპატარავებინათ, ის ჯობდა, ალბათ... ამ ტუმბოს მუზეუმში დატოვების მაგივრად...

— არაა... — ვუთხარი მე. — მაშინ ეს ლოგინი ბურბონთა საწოლებზე პატარა გახდებოდა... ეს კი გაცილებით ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მნახველებზე...

— სხვათა შორის, ამ კაცსაც უნდოდა ლონდონის აღება, შენი არ იყოს...

— ჩვენ ხმალს არ ვიქნევთ... — ვიმართლე თავი.

— ეგეც მართალია. თქვენ — შენ და შენი მეგობრები მტრად არ მიდიხართ, კონკურენტებად — კი! სე ლა ვი! — მითხრა მამაჩემი. უცებ ინა შემოფრინდა, სამხედრო ფორმა ეცვა, პირდაპირ ნაპოლეონს შეუძვრა ლოგინში... იმასაც მეტი რა უნდოდა, არც უკითხავს ვინა ხარო, ისე დაიწყო თავისი საქმე... საწოლი აჭრიალდა!

— ყველა ამისთვის ომობს! — გამიცინა მამამ. — შენც მაგიტომ უჩხაკუნებ გიტარას...

— ეს ქალი უკვე ჩემია! — ვთქვი ამაყად და ლოგინისკენ გავიწიე...

...ინამ გამომალვიდა... კინალამ ვკითხე, ნაპოლეონი სად არის-მეთქი, მერე გონს მოვეგე და ღიმილით ვუთხარი:

— ლამის შენი თავი წამართვეს... სიზმარში!

— გესიზმრები კიდევ? — რალაც სამხედრო პერანგი და მოკლე ქვედატანი ეცვა.

— რა იყო, ომში მივდივართ? — ხუმრობა დავაპირე.

— არა, სამხედრო ნაწილს მივყვებით. აჰა, ეს ჩაიცვი! „რაო? ბიჭოს, მგონი ომში მივდივარ ემანდ სიზმარი არ ამიხდეს!“

— ჩაიცვი, ჩაიცვი, აბა, უფიზოდ როგორ შეხვალ ინგლისში? ეს ნაპოლეონმაც ვერ მოახერხა!

თემოს ნომერს მივადექი, იქნებ, დავემშვიდებინე.

— ბიჭო, რალაც უცნაური ქალი ჩანს, — ნამოვიწყე საუბარი.

— რაში გამოიხატება? — თემო ტანს იმშრალედა.

— რალაც სამხედრო ქვედატანი აცვია, თან მეუბნება სამხედრო რეისით მივფრინავთო...

— რა ვიცი, რა ვიცი... არ გეშინია? — თვალეში გამომცდელად ჩამხედა მეგობარმა.

— თან ეს ნაპოლეონი მესიზმრება სულ... — ძალით გავიციინე.

— პირველ ნაწილს თუ განვიხილავთ მისი ბიოგრაფიისა, მთლად ცუდი არ უნდა იყოს... მთავარია, ვატერლოო არ დაგემართოს იქ...

— მაგისი მეშინია ზუსტად. რა ვქნა, არ წავიდე?

— დავუშვათ, არ მოგეწონა... გამოფრინდები უკან და ეგაა.

— ეს უფიზობა ძალიან მაფიქრებს... იქ შემიშვებენ, როგორც ჩანს, მაგრამ... უცებ უკან რომ მომინდეს გამოფრენა, რა ვქნა?

— ეგ საკითხები ინასთან უნდა დაადგინო! აბა, მე რა ვიცი, ინგლისში საერთოდ არ ვარ ნამყოფი! იცი, რა? ოქროს თევზს დაურეკე! როგორც მაშინ, ინას რომ ვეძებდით!

ეს რჩევა ჭკუაში დამიჯდა:

— გენიალურია! მაკას დავურეკავ და ვთხოვ, „მარკო პოლოში“ მივიდეს. — გულზე მომეშვა: „მართლაც, მე ხომ მთლად უპატრონო არა ვარ? მე ხომ ოქროს თევზი მყავს?“

ნომერი ავკრიფე:

— მაკა, — მოკითხვის შემდეგ ვუთხარი — თუ ჩემი გოგო ხარ, კიდევ მიდი, რა, ოქროს თევზთან... სათხოვარი მაქვს...

— ერთხელ თხოვე და მილიონი — გაიცინა მაკამ. — კარგი, კარგი, ნავალ. მეც ვთხოვ რალაცას შენი ნებართვით...

— რა იყო, გოგო, შენ მერე სთხოვე... ახლა ლონდონში მივფრინავ და ნუ დააბნევ მაგ თევზს, გაიგე?

— კარგი, ნახევარ საათში დარეკე. ზარს გამოვუშვებ და დამირეკე!

თემოს მივუბრუნდი:

— ნახე, რა ჭკვიანია? პირდაპირ მილიონი მოთხოვე, რა ნაწილ-ნაწილ ითხოვ რაღაცებსო.

— ეგ ჩვენ უკვე მოვთხოვეთ: ვარსკვლავები გავხდეთ და ბევრი ფული ვიშოვოთ-მეთქი და სულერთია, რომელი დარგით. დაგავინცდა?

— მართალი ხარ, მაგრამ... მილიონი ფუნტი სტერლინგი ვითომ შეუშლის მაგას ხელს? არა მგონია!

— რა ვიცი... მოთხოვე! სად უნდა იშოვო ეგ მილიონი? კაზინოში?

— ერთხელ რომ შევიდე, რა მოხდება ვითომ?

— ეგვიპტეში კაზინოს დრო არ არის! ესე იგი, ლონდონში უნდა შეხვიდე. დადე ათასი დოლარი და მოიგე მილიონი ფუნტი!

— მართლაც, რა მაგარი იქნება! — ოცნებებში ნავედი მე. — ეგრევე ჩაგიყვანთ და... შევუბეროთ. მდიდრები რომ ვიქნებით, უფრო არ მოგვისმენენ?

— ეგ არ ვიცი, — ჩაფიქრდა თემო. — გამდიდრების გზაზე მყოფი ადამიანი, უფრო კარგად მღერის! ჩემი აზრით, რა თქმა უნდა...

— არ მოენონებათ და აი, დარდი! მიზანი ხომ მიღწეული გვექნება?

— თხოვნა დაუზუსტე: კაზინოში გინდა მოიგო თუ სხვა რამეში გაშოვინინოს ეს ფული! — დასერიოზულდა ჩემი მეგობარი.

— უფრო კარგად ამიხსენი, რას გულისხმობ?

— ხომ შეიძლება, ქუჩაში იპოვო ეგ თანხა, მერე კი პატრონი გამოუჩნდეს ან ნარკოტიკებით იპოვო? განყოფს ეგეთი ფული?

— ამაზე არ მიფიქრია! მართალი ხარ! ისე არ გამოვიდეს, ძველი ანეკდოტი როა: ებრაელმა ოქროს თევზს გმირის ნოდება რომ მოსთხოვა!

— მერე? — დაინტერესდა თემო.

— უცებ ბრძოლის ველზე აღმოჩნდა. ხედავს, ორი ყუმბარა უჭირავს, წინ კი მტრის ტანკია, რომელიც მისკენ მო-

ემართება... ჯერ ერთი ხელყუმბარა ესროლა, მერე მეორე... ტანკი ცოტათი შეყოვნდა, მერე კი ისევ დაიდრა მისკენ! ებრაელი აყვირდა: „შე დამპალო ოქროს თევზო, სიკვდილის მერე მანიჭებ გმირის წოდებას?“.

თემომ გადაიხარხარა:

— ხომ ხედავ, რა რთულია ნატვრის დაზუსტება, ამიტომ უთხარი: კაზინოში მომაგებინე-თქო!

— რომ ვერ გაიგოს სად და როდის? — კიდევ უფრო ღრმად შევიჭერი წამოჭრილ საკითხში.

— უნდა უთხრა: ლონდონში ჩავალ თუ არა, წავალ კაზინოში და მილიონი ფუნტი სტერლინგი მომაგებინე-თქო!

— ო, კეი! იტს ოლ რაით! — ხელი ხელს დავკარიტ. — კარგი, ინას მივხედავ, ისე არ წავალ, რომ არ გამოგემშვიდობოთ!

— გამაგებინე, მაკას რას თხოვ. უფრო სწორად კი, ოქროს თევზს! საუზმე არ გინდა?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

ინას ორი ხელჩანთა ლოგინზე დაეწყო.

— ერთი შენ დაიჭირე, მეორეს მე წამოვიღებ... — მითხრა, როგორც კი დამინახა.

— წამომღების მეტი რაა... ერთ დოლარად აეროპორტამდე მიგვიტანენ...

— იქ, აეროპორტში-მეთქი... ერთი შენ გეჭიროს, მეორეს მე დავიჭერ... გასაგებია?

— კარგი, ქალბატონო... მაგას რა შეთანხმება უნდა: მე ხომ ჯენტლმენი ვარ! როდის გავდივართ?

— ერთ საათში დავიძრათ!

— კარგი, საუზმესაც მოვასწრებთ!

— მე არაფერი მინდა: ჯუსი დავლიე მინი-ბარიდან.

ტელეფონი ანკრიალდა. დავხედე — მაკა იყო.

— კარგი, სასაუზმოდ ჩავალ, ნახევარ საათში ამოვალ...

— ცოტა ადრე ჯობია... ქალაქი არეულია... თადარიგი დავიჭიროთ!

— ცენტრზე უნდა გავიაროთ? — შევშფოთდი მე.

— არა, მაგრამ მაინც... ათასი გიჟია ახლა...

„ოკეის“ დავაჭირე, თან გარეთ გამოვედი.

— ჰო, მაკა, გისმენ! მიხვედი უკვე?

— ჰო, სავსეა ხალხით აქაურობა!

— ბოდიში მოუხადე და რაც შეიძლება ახლოს მიიტანე ყურმილი აკვარიუმთან.

— უკვე ახლოს ვარ! მიდი, ილაპარაკე!

— ოქროს თევზო, რამდენიმე დღეში კაზინოში, მილიონი ფუნტი სტერლინგი მომაგებინე! „ხომ არაფერი გამომრჩა?“

— ინგლისის რომელიმე კაზინოში მომაგებინე მილიონი ფუნტი სტერლინგი, — დავაზუსტე მე.

— უთხარი? მოათავე შენი თხოვნა? — მკითხა მაკამ. — როდის ჩამოდიხარ, ნიკა?

— რა ვიცი, ლონდონში მივფრინავ და იქიდან დაგირეკავ! კაი გოგო ხარ. დღეს არაფერი თხოვო, არ გადატვირთო! — გავიცინე მე.

— ჰო, რაღაც დალლილი კი ჩანს, ხომ იცი? ალბათ, ბევრი ანუხებს! ისე, ერთი სურვილი შეესრულებინა, ის აჯობებდა ყველას.

— მაინც რა?

— საქართველოს აყვავება! ყველას რომ რაღაც საშუალება და ცხოვრების ხალისი მიეცემოდეს!

„ბიჭოს! ეს გოგო ფილოსოფოსი ყოფილა“.

— ჩემო მაკა, მაგას ეგ საცოდავი ვერ მოერევა, ასე რომ, ნაწილ-ნაწილ ვუშველოთ ჩვენს თავს!

„არადა, რა იცი, ეგება კი გაექაჩა?“

კავშირი გავწყვიტე. ისეთი განწყობა დამეუფლა, თითქოს მილიონი ფუნტი სტერლინგი უკვე ჯიბეში მედო!

სასადილოში ჩავედი. ბიჭებს გავესაუბრე. კოტეს ვუთხარი, მასალები იქ გადმომიგზავნე და გეტყვი, რა და როგორ გავაკეთოთ-მეთქი. დათო ძიას დიდი ბოდიში მოვახსენე, ასე რომ ვტოვებდი ჯგუფს, თან დავამშვიდე, ჩემებმა უკვე იციან და თქვენ არაფერ შუაში ხართ-მეთქი.

თემოს კი ვახარე:

— მოდის მილიონი ფუნტი სტერლინგი!  
 — ქართველმა ნატვრაც არ იცისო... ორი გეთქვა, რას კარგავდი?

მხრები ავიჩიჩე, რა ვიცი, რას ვკარგავდი?

— ალბათ, მომერიდა ოქროს თევზთან, სხვებიც ხომ თხოვენ რაღაცებს.

— ძველი ამბავია, ნიაზ დიასამიძე — ამ ნიაზის ბაბუა — და ქართლოს კასრადე რუსთაველზე სეირნობდნენ. ნიაზს უთქვამს: ამ ჭადარზე რამდენი ფოთოლიცაა, იმდენი ფული მომცაო! ქართლოსს უკითხავს: ნახევარს ხომ მომცემდიო? ნიაზს გაუცინია, ჭადრების მეტი რა არის, შენ იმ ჭადართან დადექი და ინატრე, რალა ჩემსას მიყოფო.

— ჰოდა, მიდი იმ თევზთან და შენი მილიონი მოთხოვე! თუ გერქარება, მაკას დაურეკე — არ იქნება ჯერ შორს წარსული!

— ყველაფერი-ყველაფერი, მაგრამ ეგ ნალდად მეექვება!  
 — დასერიოზულდა თემო.

— მე კი მჯერა! რამდენი რამ შეგვისრულა, დაგავინყდა? ურწმუნო თომა ხარ! — ვუსაყვედურე თემოს, რადგან მომეჩვენა, რომ ჩემს ოპტიმიზმს რაღაც დააკლდა მისი სიტყვების შემდეგ.

— მოკლედ, თქვენ საღამოს მიფრინავთ, მე კი ნახევარ საათში დავიძვრები. წამოდით, გამაცილეთ.

ბიჭებს ეს აზრი მოეწონათ.

— თვითმფრინავის ნომერს მაინც ჩავინერთ, — იხუმრა დათო ძიამ.

ინაც ჩამოვიდა. ქურთუკი ჩამომიტანა. ორი ხელჩანთა არაბ მოსამსახურეს მოჰქონდა. ტაქსები გამოვიძახეთ და აეროპორტისკენ დავიძარით, რა თქმა უნდა — არა ცენტრალურისკენ. დაახლოებით ერთ საათში შემოლობილ მინდორს მივაღექით.

— მოვედით, — თქვა ინამ.

ყველანი გადმოვედით. ერთი ჩანთა მე დავიჭირე, მეორე — თემომ. შორიახლო ხაკისფერი, ლაქებიანი თვითმფრინავი შევნიშნეთ.

— ეს არის შენი ბონინგი? — შაყირი დამინყეს ბიჭებმა.

— ეს მეორე მსოფლიო ომის გმირია, მგონი!

— ინა, ეს თვითმფრინავი ნაღდად ჩააღწევს ბრიტანეთამდე? — ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა ვკითხე ჩემს თანამგზავრს და მასპინძელს.

— ერთი გაჩერება გვექნება საფრანგეთში, ნავთს დაიმატებს მხოლოდ... სხვა პრობლემა არ არსებობს... იმედია, კარგი საფრენი ამინდი იქნება...

— თუ არა? ზამთარია მაინც...

— არ ვიჩქარებთ, სად გვეჩქარება? ეს თვითმფრინავი ჩვენთვის ჩამოფრინდა. ასე რომ...

— გაიგეთ? სპეცრეისია! — ხაზგასმით ვთქვი მე.

ბიჭებს გადავეხვიე. ცრემლები მომადგა.

— ლალატში ნუ ჩამითვლით. აი, ნახეთ, როგორ კარგად იქნება ყველაფერი! თემო, დედაჩემს უთხარი, რომ ინა პროდიუსერია!

თემომ, რა თქმა უნდაო, მანიშნა. „პრინციპში, შეიძლება მართლაც გვიპროდიუსეროს“.

— მოკლედ, ნავედით! — თემოს ჩანთა გამოვტაცე და პატარა ტრაპი ავირბინე. თვითმფრინავში გამცილებლებს მივესალმეთ და სალონში შევედით. ინას დამხვდურებმა ტაში დაუკრეს, ეტყობა — მხოლოდ ჩვენ გველოდნენ.

— კარგია, რომ უჩვენოდ არ გაფრინდით! ყველას დიდი მადლობა!

— აბა, დროზე ნავედით! — თქვა სტიუარდესამ.

— კონტროლს არ გავდივართ? — ჩავჩურჩულე ინას.

— არა. ჩვენ აქ არ გვაკონტროლებენ. — სადღაც ბოლოში მოვკალათდით.

თვითმფრინავი კარგა გრუხუნა აღმოჩნდა. ალბათ, იმიტომ, რომ სამხედრო იყო. ნელ-ნელა მოვცილდით დედამიწის იმ ადგილს, სადაც ცივილიზაციის აკვანი დაირწა, შემდეგ ყველაფერი დაპატარავდა და საერთოდ გაქრა... ამ სიმაღლიდან ვერც კი იფიქრებდით, რომ ეს პლანეტა დასახლებული იყო...





უნდა გითხრათ, რომ არც პარიზის და არც ლონდონის აეროპორტი თვალთ არ მინახავს — ჯერ საფრანგეთში რომელიღაც მესამეხარისხოვან აეროდრომზე დავჯექით, მერე — ირლანდიაში, დუბლინთან ახლოს. აქ კი რაღაც შემონმება იყო.

— ერთი ხელჩანთა შენ აიღე, როგორც შევთანხმდით, — მითხრა ინამ.

— ორივეს მე ავიღებ, მოიტა — დავნვდი ხელჩანთას.

— არა, ასეა საჭირო! — მკაცრად მითხრა ქალბატონმა.

რაღაც არ მომეწონა მის კილოში — ძალიან კატეგორიული იყო.

ინა გაესაუბრა ჩემს შესახებ საპასპორტო კონტროლის თანამშრომელს... ის დიდხანს ეკითხებოდა რაღაცას ჩემს მასპინძელს, ბოლოს ბეჭედი ჩაართყა პასპორტში. ამასობაში ჩემი ხელჩანთით დაინტერესდა პოლიციელი ქალი. ინას გავხედე, მან გამიღიმა... რაღაცები მოქექა პოლიციელმა და თეთრი ფხვნილით სავსე პაკეტი ამოიღო! ელდა მეცა! „ნუთუ ჰეროინია?!“

ინამ დამიძახა:

— ნამცხვრის ფხვნილია, ნუ გეშინია!

— ნამცხვრის ფხვნილია, მემ, ნარკოტიკი არ გეგონოთ! — ქალმა მაკრატლით გახვრიტა პაკეტი და ხელის გულზე გადმოიყარა ცოტაოდენი ფხვნილი, შემდეგ დაყნოსა და გემოც გაუსინჯა...

— ჰო, ნარკოტიკი ნამდვილად არ არის! კარგი, მიბრძანდით!

ინა კარებთან მელოდა. როცა მივუახლოვდი, სიცილით მითხრა:

— ნარკობარონი ბრძანდებით? აი, თქვენი პასპორტი! — პასპორტი გადავფურცლე, შიგ ირლანდიის ბეჭედი იყო ჩართყმული. გაკვირვებულმა შევხედე ჩემს მასპინძელს.

— შენი გულისთვის ავირჩიე ეს რეისი! ლონდონში არავინ ჩაგირტყამდა ბეჭედს, ანუ საზღვარს ვერ გადალახავდი!

— ჰოო... ეს ირლანდიის ვიზა რაიმე პრობლემას წარმოადგენს?

— არცთუ მნიშვნელოვანს — თუ პოლიციამ გაგაჩერა, ეტყვი, რომ მეგობართან ცხოვრობ ირლანდიაში, ანუ სტუმრობ... ლონდონში კი ერთი კვირით ხარ — მეტი არაფერი!

— არაფერს მეტყვიან?

— აქ არა ვარ? დამირეკავ და მე ავუხსნი, მერე კი... რალაცას მოვიფიქრებთ!

— ეს რა ფხვნილია? — გაღიზიანებით ვკითხე.

— ხომ ხედავ, რომ საშიში არაფერია... ახლა მატარებლით ნავიდეთ...

ტაქსით მატარებლის სადგურს მივადექით.

ასეთი კომფორტული მატარებლით ჯერ არ მემგზავრა. ხელჩანთები შესასვლელში დავანყეთ და მაღალზურგიან სავარძლებში მოვკალათდით... თავი სიზმარში მეგონა: ფანჯრიდან ვრცელი ველები მოჩანდა, ნახევრად დათოვლილი. ალბათ, თოვლჭყაპი მოდიოდა, სახურავებზე კი თოვლი იდო... უამრავ პატარა მანქანას სადღაც მიეჩქარებოდა. ჩვენს ვაგონში ისე თბილოდა, ლამის ქურთუკი გავიხადე. ინამ მირჩია, გაიხადე, თავს უფრო კომფორტულად იგრძნობო, წინ ხომ რამდენიმესაათიანი გზა გვედო. ის იყო, ქურთუკი ჩამოვკიდე, რომ კონტროლიორმა ბილეთები მოგვთხოვა. ინამ ბილეთები მიანოდა. კონტროლიორ გოგონას ქამარზე რალაც კომპიუტერისნაირი ხელსაწყო ჰქონდა დამაგრებული. ჩვენი ბილეთები იქ „გაატარა“ და უკან დაგვიბრუნა. შემდეგ მეზობელ ახალგაზრდა კაცს მიადგა, რომელიც ყავას სვამდა და გაზეთს კითხულობდა...

მასაც მოსთხოვა ბილეთი, ახალგაზრდამ პლასტიკური ბარათი ამოიღო საფულედან და კონტროლიორს მიანოდა. მან ბარათი ისევ გადაატარა ეკრანს და საუბარი გაუბა იმის შესახებ, რომ ეს ბარათი ირლანდიის შიდა რეისებზე იყო გამოსადეგი და არა ინგლისამდე სამგზავროდ. ახალგაზრდა იძულებული შეიქნა, 200 ფუნტამდე გადაეხადა. „ბიჭოს, რამდენი რამე მაქვს სასწავლი!“ გავიფიქრე შეშფოთებულმა. ინა თითქოს მიმიხვდა:

— ჰო, პირველად გაგიჭირდება, მაგრამ გიჯობს, ყველაფერი იკითხო. ნუ დამალავ, რომ სტუმარი ხარ, და ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნიან. ასეთია ჩვენი საზოგადოება!

— ჩვენთანაც პატივს სცემენ სტუმარს, ნუ გეშინია! რომ ჩამოხვალ თავად დარწმუნდები! „ოჰო, ეს რა პატრიოტული გრძნობები შემომეპარა?“.

გოგონამ გორგოლაჭებზე შემომდგარი ვიტრინა ჩამოატარა: ვისკი, არაყი, შამპანური, ხილი, ნვენები, მინერალური საჭმელები პაკეტებში, რაღა არ იყო იქ!

— ვჭამოთ? მე გპატიჟებ! — ვუთხარი ამაყად.

— დოლარს აქ არავინ აიღებს, ეს ეგვიპტე კი არაა!

— არც ჩვენთან აიღებენ! ჩემს ბავშვობაში, იცოცხლე, დოლარიც გადიოდა, რუსული მანეთიც, კუპონიც, მარკებიც, ახლა კი — მადლობა ღმერთს — მხოლოდ ლარია! ესე იგი, დოლარი ის ფულია, რომელიც ლარამდე გამოდიოდა!

— რუსულად, არა? დო ლარი! ანუ ლარამდე! კარგია! — გაერთო ინა.

— ვისკი დავლიოთ, ფული თუ გაქვს, — შევაპარე მე.

— საკმაოდ მაქვს. მალე მეტი მექნება!

ყველაფერი ავიღეთ: პლასტიკის ჯამებში მოთავსებული სალატები, ხორცი, ფუნთუშეული და ვისკი ყინულით და ტონიკით.

— „ბორჯომს“ მაინც არ ჯობია! — ვთქვი ტონიკის მოსმის შემდეგ.

— ამ საქმისთვის ეს ჯობს! — მიპასუხა თანამეინახემ.

— მოდი, შენ გაგიმარჯოს, ფეხბედნიერი იყოს შენი ვიზიტი ბრიტანეთში! ველქამ!

— სენქ იუ ვერი მაჩ! აი ლავ იუ! — ვუთხარი და ნაზად ვაკოცე. ეს კოცნა მხოლოდ ქალისადმი მიძღვნილი კოცნა აღარ იყო. ეს იყო კოცნა იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც პატივს სცემ. ინამ იგრძნო ეს.

— რა იყო, დედა ვხდები შენთვის?

— არა, არა, — გავიცინე და ტუჩებში ვაკოცე, სწრაფად, რათა სხვას არ შეემჩნია.

— აქ ხანგრძლივი კოცნისთვის არავინ ისჯება, ნუ გრცხვენია — მითხრა ინამ და ფრანგული კოცნა „მომიძღვნა“.

მე მაინც გამირბოდა თვალი გასასვლელისკენ, არ მინდოდა, ვინმეს დავენახე... „ქართული კომპლექსი“ — დავასკვენი კოცნის დროს!.. მერე გაზეთები ავიღე... მსოფლიოს ყურადღება ეგვიპტისკენ იყო მიპყრობილი, 2008-ში კი მთელი მსოფლიო საქართველოს მოვლენებით ცხოვრობდა!

— წავა მუბარაქი? — ვკითხე ინას.

— აუცილებლად! ეგ უკვე გადანყვეტილია!

— იმასაც რომ ჰყავს მომხრეები? არ გახსოვს, რა ქვა-ნვი-მაში მოყვევით?

ინამ ცოტა ხანს იფიქრა, შემდეგ კი გადაჭრით მითხრა:

— აუცილებლად წავა!

სამხედრო ფორმაში გამონყობილი ქალისგან ასეთი პასუხი მეტისმეტად დამაჯერებელი იყო: მის უკან ხომ ბრიტანეთის იმპერია იდგა! ქვეყანა, რომელიც მინიმუმ სამასი წელი მსოფლიო ცენტრი გახლდათ, სადაც დაიბადა უამრავი გამომგონებელი, პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, ჩაისახა და განვითარდა კაპიტალიზმი და დღესაც მონინავე ქვეყნების რიგში დგას!

ვისკიმ თავისი ჰქნა: ჩამეძინა. სიზმარში თბილისში ვიყავი, სახლში. დედა შემოვიდა და მითხრა:

— ბედნიერად გეველოს, შვილო!

მერე თემური, დათო ძია, ოქროს თევზი და ბოლოს ხათუნა დამესიზმრა... თეთრი კაბა ეცვა...

— გელოდები! სადა ხარ ამდენ ხანს? — მითხრა ხათუნამ. რალაც მინდოდა მეპასუხა, მაგრამ ინას ხმამ გამომალვიდა „ლონდონში ვართ, ჩავედით!“ ეს სიტყვები რალაც ჯადოსნურად მოქმედებდა ჩემზე: „ლონდონში ვართ, ლონდონში ვართ!“ მიტრიალებდა თავში... არადა, მაგარი დაუფერებელი რამ არის ასეთი ამბავი. არც თქვენ გჯერათ, რომ ასე შეიძლება მოხდეს, მაგრამ დამერწმუნეთ, არსებობს სასწაული ქვეყანაზე: თუ რამე ძალიან, ძალიან გინდა, აუცილებლად აგიხდება! დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ, რაც გასურთ... როგორც

მე გავაკეთე ეს... აი, გავახილე თვალები და ლონდონში ვარ! ყოველი შემთხვევისთვის თვალები მოვისრისე: კი, ყველაფერი ცხადში ხდებოდა — არ მეძინა. რალა დამაძინებდა ჩემი ოცნების ქალაქში, მე ხომ აქ დიდი საქმეები უნდა მეკეთებინა!

ვაგზლიდან ტაქსის გაჩერებაზე გავედით. აი, ეს ცნობილი ლონდონური ტაქსები, მე-19 საუკუნის ეტლების მსგავსი... პირველ ტაქსიში ჩავსხედით. უკან მხოლოდ ერთი სავარძელია, სამი კაცი დაჯდება, ალბათ, ხოლო ნინა სავარძლების საზურგეებზე კიდევ ორი ჩამოსაწევი დასაჯდომია. ბარგი მოვათავსეთ და ინამ მისამართი უთხრა მძღოლს...

— სახლში მოვწესრიგდეთ და ჯონს შევხვდეთ, სადღაც გვეპატიჟება!

— როდის დაგვეპატიჟა? — გამიკვირდა მე.

— როცა შენ გეძინა. — მიპასუხა მშვიდად. — ისე, კი დავიღალე.

— ჰო, რა ვიცი, ჩასაცმელიც არაფერი მაქვს. სად მივდივართ?

— პაბში, სადაც როკ-ჯგუფები უკრავენ, არ გინდა? იქ გამოპრანჭვა არ დაგეჭირდება, ლუდს დავლევთ.

— კარგი! უარს როგორ გეტყვით! რა დროს ძილია!

— შენი ხნის რომ ვიყო... — ინამ შემათვალაიერა.

— კარგი რა, მშვენიერ ფორმაში ხარ... — „დავამშვიდე“ მე. არადა, მართლაც მაგარ ფორმაში იყო!

გოლსტერ სტრიტზე მივედით. ძველებური, თითქმის ერთნაირი სახლები იდგა, ასე, 4-5-სართულიანები, დიდი არაფერი!

— ეს ცენტრია? — ვიკითხე მე.

— კი, ცენტრია.

— ასფალტს დააკვირდი, „ლატკები“ აქვს დაკერებული. რატომ?

— არ ვიცი. იაფია, ალბათ. ხომ იცი, აქ ლეიბორისტები კარგა ხანს მართავდნენ. როგორც ჩანს, მომავალშიც მოვლენ...

— მე მეგონა, გარეუბანში ვართ-მეთქი... ესე იგი, სად მოვედით?

— ბინა მაქვს შენთვის ალებული, უფრო სწორად, ჯონმა გიქირავა...

— ფანტასტიკაა! ესე იგი, მარტო ვცხოვრობ ლონდონში?

— სიმბოლურად, ჰო... აბა, ერთ სახლში ხომ არ იცხოვრებთ ერთი ქალის ორი მამაკაცი...

რა უნდა მეთქვა. ჩავიყავი ჯიბეებში ხელები და ავუყვებით ყვავილებიანი ქოთნებით დამშვენებულ კიბეს. მთელ ქუჩაზე ერთნაირი ასასვლელებია. ეს ყველაფერი კინოში მინახავს, მაგრამ საკუთარი თვალით დანახული მაინც სულ სხვაა! პირველ სართულზე გასაღები ავიღეთ. ინამ ვიღაც ქალარა ქალს აუხსნა:

— ეს ჩემი ნათესავია, საქართველოდან! წესიერი კაცია, მეც ხშირად მოვალ...

ქალმა ღიმილით უზასუხა. კიბე საშინლად ვიწრო იყო:

— აქ ხმაური არ შეიძლება, სიგარეტის მოწევა არ შეიძლება! — მაფრთხილებდა გზადაგზა.

— მე არ ვენევი... გიტარაზე დაკვრა ხომ შემიძლია?

— მხოლოდ დღის საათებში. ქართველები ღამე არ მოიყვანო, თორემ...

— სად უნდა ვნახო ქართველები? — გამიკვირდა მე.

— თვითონ მოგძებნიან...

ამასობაში ოთახის კარიც გამოალო, კარებს „7“-იანი ეწერა.

— ბედნიერი რიცხვია, — ვთქვი მე.

— ჰო. მოდი აქ, — ინამ ერთადერთი სანოლისკენ წამიყვანა, გულალმა დამცა ლოგინზე... უფრო ზუსტად, ისე დამეძგერა, თავი ვერ შევიკავე და დავეცი, მერე ზემოდან დამანვა... ასე დაიწყო ჩემი ლონდონური სექსი... აბაზანაში შევედი, შხაპი მივიღე. რომ გამოვედი, ინა ლეპტობთან იჯდა...

— ვაუ! ინტერნეტიც მაქვს? — გამიხარდა ძალიან.

— ამის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია თანამედროვე ცხოვრება... არადა, რას ვაკეთებდით თხუთმეტი წლის წინ, აზრზე არა ვარ...

— თხუთმეტი წლის წინ... წარმომიდგენია, რეებს ჩადიოდი... ჩემო კლეოპატრა!

— სრულიად სხვანაირი ვიყავი... სწავლა მიყვარდა და მონესრიგებული ცხოვრება... ახლა უფრო ავუშვი.

— ჯონი შენი პირველი ქმარია?

— არა, რა თქმა უნდა... პირველი ქმარი იქ არის... სამშობლოში...

— მეორე?

— რა იყო, დაკითხვას მიწყობ? ქმრებში არ გამიმართლა... ან მათ არ გაუმართლათ... მე ცოლი არა ვარ... მე ვარ ემანსიპირებული სოციალური არსება, რომელსაც იქით შემიძლია ვინმეს „ქმარი“ ვიყო...

— მაგალითად... ჩემი, არა? — მძიმედ ვთქვი მე.

— შენ ახალგაზრდა ხარ, — შეეცადა, „შეცდომა“ გამოესწორებინა, — საერთოდ ვთქვი.

— ამ ბინაში რამდენი უნდა ვიხადო?

— შვიდასი ფუნტი თვეში. სამი თვისა უკვე გადახდილია!

— აუცილებლად დაგიბრუნებ, — მტკიცედ ვუთხარი მე.

— კარგი. — მშვიდად მიპასუხა მან. — ჩემთან შევიაროთ

— ასე ვერ წამოვალ, მაინც ქალი ვარ... გამოვიცვლი...

— ო, ქეი, წავიდეთ... კიდევ კარგი, თვითმფრინავში და მატარებელში მეძინა... ასეთი დატვირთული დღე ჯერ არ მექონია...

— აქ ბევრი გექნება ასეთი დღე... მძიმეა აქ ცხოვრება... რა თქმა უნდა, სოციალურზე თუ არ გინდა დაჯდე...

უკვე ღამე იყო, როდესაც ინას და ჯონის სახლს მივადექით. ჯონი 60-იოდე წლის ენერგიული მამაკაცი აღმოჩნდა. ყველაფერი ჯინსის ეცვა, ფეხსაცმელების გარდა... „აღბათ ჰიპობდა ახალგაზრდობაში“.

— აა, ეს თქვენ გადამირჩინეთ ინა? ყოჩაღ, რაინდო! ამ „რაინდოს“ ხაზი გაუსვა. — ვაფასებ თქვენნაირ ვაჟკაცებს, ლომგულებს...

ხელი ჩამომართვა. სახელი ვუთხარი. მოეწონა:

— ნიკ! ნიკ! ძველებური სახელია! ძველი საბერძნეთიდან თუ რომიდან უნდა მოდიოდეს...

— დაახლოებით. ჩვენში ხშირია უცხოეთიდან შემოსული სახელები — ძირითადად ბერძნული, ებრაული, ირანული...

— ჰო... ირანული გავლენა მაგ რეგიონში იქნებოდა...

— მშვილდოსნობა გიყვართ? — მოულოდნელად მკითხა.

— ფარიკაობა?

— არა, გიტარაზე დაკვრა და სიმღერა მიყვარს...

— ეგ ყველას უყვარს, მე ჰობს ვგულისხმობ...

— ეს არის ჩემი ჰობიც და პროფესიაც...

— მაშინ ნავიდეთ პაბში... მეც ვუკრავდი ახალგაზრდობაში, — ხელები ისე აათამაშა, თითქოს დრამზე უკრავსო...

— დრამერი იყავით? — გამოვიცანი მე.

— ახლაც ვარ... სული არ იცვლება... უბრალოდ, აღარ შემეფერება. მე ხომ რინგო არა ვარ!

— რინგოს იცნობთ? — მღელვარე ნოტები შემეპარა ხმაში.

— ვიცნობ, რა თქმა უნდა... ჩემზე უფროსია, მაგრამ ყოჩაღად არის!

— მოვისმინე მისი სიმღერა „ლივერპული 8“.

— ჰოო? თავის ცხოვრებას... ბავშვობას უმღერის... ინა, მანქანას შენ მოგანდობ, ჩვენ უნდა დავლიოთ. ლუდი ხომ გიყვარს?

თავი დავუქნიე. ხომ არ დავინწყებდი: „ბევრის დამღევი არა ვარ, ფორმაში მინდა ვიყო და ა.შ. თანაც ასეთ კაცთან! ამ კაცს ეტყობოდა, რომ მისთვის ჩემნაირი ახალგაზრდის გზის გაკაფვა სიძნელეს არ წარმოადგენდა! მაგრამ... თვალელებში ვერ ვუყურებდი გასაგები მიზეზების გამო. არა მგონია, ასეთ რამეებს შევეჩვიო. „რაც შეიძლება მალე უნდა ვიპოვო ჩემი გზა, ამ კაცს რომ აღარ შეეხვდე!“ ასეთი ფიქრებით ჩავედით ავტოსადგომში... ინა საჭეს მიუჯდა. „ეს ქალი დაუღალავი არსებაა!“ რამდენიმე კვარტალი გავიარეთ და „ბიგ ბენს“ მივაღექით, უფრო სწორად, მიმდებარე ქუჩებს. აი, აქ „დულდა“ სიცოცხლე! გოგონები, ბიჭები, ვილაც მოციისფრო ტიპები, პანკები წითელ-ყვითელი თმებით, აშკარა „პუტანები“, მთვრალეები ბოთლებით ხელში, ყვირილი, ხორხოცი, სტვენა... ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო. რაც გამიკვირდა, ის



იყო, რომ ამ (ნესტიან სიცივეში) ქალებს ძალიან ხალვათად ეცვათ, რალაც მოსასხამებს ქვეშ თითქმის შიშველი ფეხები უჩანდათ. მათ შემხედვარეს მე მციოდა... პაბთან შევჩერდით. ინამ „იაგუარი“ ძლივს „ჩატენა“ სადლაც და ხმაურიანი ხალხის ჯგუფს შევერით. ვილაც მელოტი გვიწამეკეკლუცა:

— არ მოგნონვარ? — ენა გამომიყო.

— ახლა არ მცალია, ხვალ დაგირეკავ, — გავუცინე მე...

— ხვალამდე, ძვირფასო! — ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა.

— მოეწონე, — გამიცინა ინამ. — კონკურენტი გამომიჩნდა! — ეს ისე მითხრა, ჯონი ვერაფრით გაიგონებდა. როგორც იქნა, შევალწიეთ კლუბში./ ჯონს ადგილები დაეჯავშნა. ჩვენს ადგილებზე მოვკალათდით.

— ლუდი, არა? — მხიარულად მკითხა ჯონმა.

— ლუდი, რა თქმა უნდა!

— რომელი შევუკვეთოთ?

მე ირლანდიური ლუდის სახელი ვიცოდდი.

— გინეს? — უდარდელად ვუპასუხე.

— ო კეი. შავით დავინყოთ, მერე თეთრზე გადავიდეთ, მერე...

— მერე ნა ჰაუს! — შეანყვეტინა ინამ. — შენთვის ბევრი არ შეიძლება!

— კარგი, ჩემო პატარავ! — თვალი ჩამიკრა ჯონმა. მერე უცებ ასეთი რამ მითხრა:

— რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ იმ გმირობისთვის, რაც გამოიჩინე, ამიტომ, სანამ დავლევ და სიმთვრალეში არ ჩამეთვლება, ეს პლასტიკური ბარათი ჩემგან მიიღე! აი, აქ კოდი წერია! კარგად შეინახე, არ დაკარგო...

— როგორ გეკადრებათ... — უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, არ ვიცოდდი — ამელო თუ არა...

— გამოართვი! ეს შენ დაიმსახურე! — თითქმის მიბრძანა ინამ.

— რა ხალხი ხართ. ფული კი მჭირდება, მაგრამ... ძალიან მერიდება, ის ამბავი ხომ ფულისთვის არ გამიკეთებია? — ძალიან გულწრფელი ვიყავი იმ წუთას.

— ხარჯე, რამდენიც დაგჭირდეს, — დასძინა ჯონმა. — თუ გინდა, დღესაც შენ დაგვპატიჟე! — ბარათი გულის ჯიბეში

ჩამიდო. საუკეთესო გამოსავალი იპოვა ჯონმა! „ნამდვილი რაინდი ყოფილა“, გავიფიქრე მე.

— დიდი მადლობა! ნეტა, ისე მოხდეს — მეც შემეძლოს სამაგიერო პატივი გცეთ!

ჯონმა და ინამ ერთმანეთს გადახედეს, და ისე გაუცინეს, რომ ვიგრძენი, ამის გამკეთებლად ვერ ჩამთვალეს... თუმცა, ვინ იცის, იქნებ, შევცდი კიდეც?..

— ბედმა გამიღიმა! — ვუთხარი ჯონს.

— ბედს შენ გაუღიმე და იმიტომ! — მომიგო მან.

— ეგ როგორ?

— ბედი პატარა ფინიაა, თუ გაუღიმებ, შეგიყვარებს, თუ არადა... გაიქცევა შეშინებული! ეს ინდუსი ფილოსოფოსის ნააზრევია, მაგრამ მე ვეთანხმები...

— თქვენთან ბევრია კრიშნაიტი, არა?

— იცი, რა? ჩვენ ინდოეთში კოლონიზატორები ვიყავით... ბევრი რამ შემოვიდა ჩვენში მათგან... განსაკუთრებით იდეები...

— „ბითლზების“ ინდოეთის ამბები ვიცი... სხვებისაც. ძალიან მოდაშია თქვენთან ეს აზროვნება... არადა, ჩვენც გვაქვს ასეთი რალაცები... რუსებმა კი ბევრი ვერაფერი გადაიღეს ჩვენგან... თამაძობის და სადღეგრძელოების გარდა...

— შენ იცი სადღეგრძელოები? — დაინტერესდა ჯონი.

მე პასუხის ნაცვლად გავიფიქრე, რომ ძნელი იქნებოდა მომავალში ჩემი და ინას ურთიერთობა.

— ეს ისეთი თამადაა, გაგიჟდები! — წამომეშველა ინა.

ამასობაში ლუდი მოგვიტანეს... ერთი სულმოუთქმელად დავცალე, მწყუროდა. ჯონიმ სანახევროდ დაცალა დიდი კათხა. კრევეტები და ომარები მოიტანეს...

— მე ვაჟა-ფშაველა წამიკითხავს, — მოულოდნელად მითხრა ჯონმა.

ეს ჩემთვის ისეთი წარმოუდგენელი იყო, ახლა რომ ეთქვა, მამაშენი ჩემი ძმაკაციაო ან ამის მსგავსი!

ინას გადავხედე.

ინამ თავი დამიქნია:

- უყვარს ეგეთი რაღაცები.
- რამ შექმნა ადამიანად,  
რად არ მოვედი წვიმად — წამიკითხა ინგლისურად თარგ-  
მანი. შოკში ვიყავი.
- მას სწამს, რომ სიცოცხლე ყველგან და ყველაფერშია.  
რომ ხეც სულიერი არსებაა, წვიმაც... შველიც...
- ჩემი ბებია ამბობდა, „შეძახილმა ხე გაახმოო“. იცით, ეს  
რას ნიშნავს? კარგი ენის უნდა იყოს ადამიანი, კარგი რამეე-  
ბი უნდა უთხრა ადამიანს...
- მე შენ მომწონხარ, — მითხრა ჯონმა — აბა, ერთი  
თქვენებური სადღეგრძელო მითხარი!
- ამ დროს როკ-ჯგუფმა სიმღერა დაიწყო, ალარაფერი ისმო-  
და. სამივენი სცენისკენ შევტრიალდით. არაუშავს რა ჯგუფი  
იყო, ჩვენთანაც არიან არანაკლები ჯგუფები! სიმღერა რომ  
დამთავრდა, სადღეგრძელოს თქმა მოვასწარი.
- ჩვენ გვაქვს ასეთი სიტყვა: „მონატრება“ ეს არ არის „აი  
ვონთ იუ, აი ნიდ იუ,“ — ეს არის ისეთი რაღაც, როგორიცაა  
„დვრიმს“ მაგრამ უფრო საკრალური, საიდუმლო! აი, ვილაც  
რომ გინდა შენთან იყოს...
- ლამაზად ჟღერს „მო-ნა-თრ-ება“. მეც ვსვამ ამის სა-  
დღეგრძელოს! — გაიცინა ინამ.
- შეიძლება ადამიანი გვერდზე გყავდეს, და მაინც გქონდეს  
ეს „მონატრება! — ძაან „თბილისური შევიყვანე“ მე.
- ოო, ეს უკვე ეზოთერულია! კიდევ იცი ეგეთი რაღაცები?  
ლუდი უკვე თავში მქონდა ასული. მოვხსენი გუდა და წყ-  
ალზე და სანწყალობლებზე მთელი ლექცია ჩავატარე.
- შენ დოქტორი ყოფილხარ, — მითხრა ჯონიმ.
- არაა... — გავიცინე მე... — მე და მამაჩემი ვავარჯიშებთ  
ხანდახან ტვინს...
- შეგიძლია, რამე ქართული იმღერო?  
დავიბენი.
- აქ ვინ მამღერებს? თანაც მე უფრო ინგლისურენოვან  
სიმღერებს ვმღერი...

— ინგლისურად ყველა მღერის. ქართულად იმღერე რამე...

— უარი არ უთხრა, — ჩამჩურჩულა ინამ. — აი, ის ლამაზი სიმღერა უმღერე... ტუკი... — რუსულად მოუქცია ინამ. უარის თქმა მართლაც სისულელე იქნებოდა, თანაც ამ სიმღერას ყველა უკრავს, უმარტივესია...

— კარგი, — ვუთხარი ჯონს. — თუ ნებას მომცემენ...

ჯონი პაუზის დროს მომღერლებთან მიდის... შემდეგ ბრუნდება:

— ამათი გამოსვლის მერე, დაახლოებით 40 წუთში, გახვალ სცენაზე.

— ორ სიმღერას გიმღერებთ, — თხოვნასავით გამომივიდა.

— რამდენიც გინდა... ოღონდ შენი, თორემ საავტორო უფლებებს დავარღვევთ...

— კარგი, კარგი! — გავუცინე მე. — ვერავინ გაიგებს... შემდეგი სადღეგრძელო მინდა ვთქვა... მოდი, სიყვარულს გაუმარჯოს... „სიყვარულს ფულით ვერ იყიდი“ მღერიან „ბითლზები“, რაც მართალია... მაგრამ ჩვენთან ასეთ რამეს მღერიან:

„სულ არ მოვალ ამქვეყანას,  
შენ რომ არ მეგულებოდე...“

საოცარია, არა? ჯერ არდაბადებული კაცი თავის სიყვარულს ეუბნება — შენ მანდ რომ ხარ, იმიტომ მოვდივარ ამქვეყანასო... ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვკითხულობ ამ სიტყვებს...

— ფანტასტიკურია! — წამოიძახა ჯონმა — ეს იგივე ვედებია!\* ვაჟა-ფშაველა კი გურუა! საერთოდ, ყველაფერი, რაზეც საუბრობ, საოცარია!

— თქვენ ზომაზე მეტს სვამთ, — თქვა უცებ ინამ, რამაც თითქმის გამომაფხიზლა...

— რა იყო ინა, რა დაგემართა? — გაიკვირვა ჯონმა.

მე გუმანით მივხვდი, რომ ინას ჩვენი ასეთი დაახლოება მაინცდამაინც არ მოეწონა: ფიზიკური სიახლოვე სხვაა —

---

\* ვედური ფილოსოფია. კრიშნაიტა სწავლება.

სულიერი გაცილებით დიდი მიზეზია ეჭვიანობისთვის! ამაზე ადრე არ მიფიქრია — იმ წამს დამეზადა ასეთი აზრი. ინას არ ეწყინა, როცა ფული მაჩუქეს, მაგრამ, როცა სხვამ მაღი- არა და ჩემი დაფასება დაიწყო... აქ კი, „დაგვასტოპა!“ ჩემი გამოსვლის დროც მოვიდა, სცენაზე ავედი, მაყურებელს მი- ვესალმე. ავუხსენი, საიდან ვიყავი და ვინ მთხოვა, ჩემს ენაზე მემღერა... ამის შემდეგ წამოვიწყე:

„თუკი გესიზმრები,  
თუკი გელანდები,  
თუკი გენატრება ჩემი ხმა...  
რატომ გამირბიხარ,  
რატომ მემალები,  
რატომ გამითეთრე, კარგო, თმა...“

რომ დავამთავრე, ტაში დაცხეს. ასეთს წამდვილად არ ველოდი! გავთამამდი და ჩემი როკ-ენ-როლი დავიწყე. „აი ვონთ ლივ სიქსტიენ“. ეს ტექსტი უკვე იცით: რომ მე მინდა ვიმღერო „ბითლზთან“, ელვისთან, ვეცეკვო მერილინს და ა.შ. სიმღერა რომ დამთავრდა, ჯონი შემეგება:

— ძალიან მაღლობელი ვარ, რომ ასეთი სიამოვნება მოგვანიჭე...

ინაც გადამეხვია:

— ხომ გითხარი, ჯონს მოეწონები-მეთქი?

— შენ ჩემი მფარველი ანგელოზი ხარ — ვუთხარი აღელვებულმა. რომ არ დაგიმალოთ, ასეთი ბედნიერი ჯერ არ ვყოფილვარ „ესე იგი, ბედნიერება ფულში კი არა, შენს აღიარებაშია“, გავიფიქრე მყისიერ.

— ბედნიერი კაცი ხარ. — გამიცინა ჯონმა. — მოდი, ახლა დავისვენოთ, საცაა გათენდება! ინა დაგვარიგებს სახლებში... თუ გინდა, შენც ჩვენთან წამოდი!

— უხერხულია, — ვთქვი მე.

— წამოდი, წამოდი, — გამიცინა ინამ. — მეშინია, შენი თავი არ წამართვას! — ეს ხუმრობა რალაცნაირად არ მომეწონა...

— არა, სახლში წავალ...

— ჩვენთან წამოდი, — თქვა ჯონმა. — ამ დღით კარს მაინც არავინ გაგიღებს, თან მეზობლებს გაეღვიძებათ. წამოდი!

რალა გაეწყობოდა, დავთანხმდი.

გარეთ ციოდა, მაგრამ მე ვერ ვგრძნობდი. მე სიზმარში ვიყავი, ლამაზ სიზმარში. მათი სახლი კიდევ უფრო ზღაპრული აღმოჩნდა! დაახლოებით ისეთი, როგორსაც ამერიკულ ფილმებში ნახავთ... ლიფტით პირდაპირ საცხოვრებელ სივრცეში ამოვყავი თავი: იქვე ბარი და სასმელთა უამრავი დასახელება. ეს ყველაფერი დაუფერებელი გახლდათ, მაგრამ იმდენი რამ გადამხდა თავს, ამასაც მალე შევეგუე... თუმცა კი, ვერ დავმალავ, აქ გამახსენდა ჩემი დიდი წინაპრის, შოთა რუსთაველის სიტყვები: „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავირა საკვირველია?“ ავდექი და ჯონს ესეც ვუთხარი:

— გენიალურია, — თქვა ჯონმა და ბარბაცით მომიჯნავე ოთახისკენ გასწია.

— დათვრა — ჩუმად მითხრა ინამ, — თავი დაანებე.

ყველა შიში ერთბაშად გამიქრა...

— ინა, მე მიინდა ვალიარო — შენი თავი ღმერთმა გამომიგზავნა!

— კარგი, რა... უბრალოდ, კარგი ბიჭი ხარ...

ეს არ მომეწონა:

— მეტი არაფერი?

— შენ ფიქრობ, რომ ეს ცოტაა? წამოდი, შენს ოთახს გაჩვენებ, გამოიძინე და მერე ვილაპარაკოთ...

— იცი, რა მეგონა?

— ვიცი. ჯონი ცისფერი გეგონა. არადა, გამოუსწორებელი მეოცნებეა, შენ რომ გაგიცნო, თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა... მეტი არაფერი.

— მეტი არაფერი?

— პატარა სულელი ხარ! კიდევ იყო რალაც, მაგრამ...

— მითხარი, ნუ დამიმალავ... — ვისკი დავისხი. ვგრძნობდი, რომ რალაც იყო კიდევ... რალაც, რასაც მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის არ აკეთებენ.

— ორი ან მეტი გარემოებაა... არ მინდა შეგძულდე — მითხრა ინამ. გვერდით ჩამომიჯდა:

— პირველი ის არის, რომ ჩემთვის მომეწონე, ისე — სექსისთვის! შენ არ იფიქრო, რომ ქალისთვის ამას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

ეს არ მენწყინა. რა ვქნათ, ასეა ეს ცხოვრება მონყობილი... მეც ხომ ზუსტად მაგ „საქმისთვის“ დავუახლოვდი?

— მეორე, — გააგრძელა აღსარება. — ის ფხვნილი გადმოგატანინე საზღვარზე. უფრო სწორად, შენ შეგასრულებინე როლი, მე კი გადმოვიტანე!

პირი დავაღე.

— არ შემანყვეტინო! ჯონმა ორი ჰონორარი მოგცა: პირველი — რაც მთავარია! — იმისთვის, რომ გადამარჩინე და, მეორე, ფხვნილის გადმოტანაში რომ შემინყე ხელი.

— ნარკობიზნესში გამხვიე? — სავარძლიდან წამოვიჩინე.

— არა! ალქიმიასთან გვაქვს საქმე. ცალკე შენ რაც ჩამოიტანე და ცალკე მე, არც ერთი ნარკოტიკი არ არის, მაგრამ ერთმანეთში გარკვეული დოზირებით შერევის შემთხვევაში ნარკოტიკად იქცევა! ეს ეგვიპტეში მცხოვრები ალქიმიკოსისგან ვისწავლე... ასე, რომ შენი სინდისი სუფთაა.

— კი მაგრამ... ორივე ხელჩანთა შენ რომ გჭეროდა, რა მოხდებოდა? — ამ შეკითხვით ჩემი საჭიროების ხარისხი მსურდა გამერკვია.

— იეჭვებდნენ... ორივე ფხვნილი შეიძლება ექსპერტიზაზე გაეგზავნათ... მოკლედ, ასე ჯობდა: მთელი ყურადღება მხოლოდ ერთ პაკეტზე გადავიდა...

— შენი რომ ეპოვათ?

— მაშინ ჩემს პაკეტზე გადმოვიდოდა ყურადღება და ცალკე არც ის იყო ნარკოტიკი!

— მოკლედ, მიხმარე და ხელფასიც მომეცი, არა? — სიბრაზე შემეპარა ხმაში.

— ყოველ შემთხვევაში, პატიოსნად ვაღიარე. ახლა შენ, რაც გინდა, ის ჰქენი, ფული გაქვს — თუ გინდა, წადი!

ეს ისეთი გულგრილობით თქვა, ნყოზიდან გამოვედი:

— ესე იგი, გამოსირებული ვარ?

— წავედი დასაძინებლად! ყველგან შენი ოთახია — სადაც გინდა, დაწეი. ხვალ ვილაპარაკოთ... საერთოდ, ყველაფერი ჯონის ბრალია: მე არავითარ ფულს არ მოგცემდი და უფრო მაღლიერიც იქნებოდი! — არც გამოუხედავს, ისე გავიდა გვერდითა დერეფანში.

ვისკი ბოლომდე დავცალე:

„პრინციპში, მე დანაშაული არ ჩამიდენია. მე რაც გადმოვიტანე, ნარკოტიკი არ იყო!“ სინდისის დამშვიდებას ვცდილობდი. ბევრი ფიქრის შემდეგ ასე დავასკვენი:

„მე მუხიკოსი ვარ. ოქროს თევზმა ოცნება ამისრულა, ამიტომ ყველაფერი ისე მიდის, როგორც საჭიროა!“. „მილიონიც იქნება, როგორც ჩანს“...

ამ აზრმა დამამშვიდა. იქვე, სავარძელში ჩამეძინა...



მამაჩემი ჭადრაკს თამაშობს... მარტოა... ჯერ თეთრებით აკეთებს სვლას... მერე მოატრიალებს დაფას და შავების სვლაზე ფიქრობს. მომიბრუნდა და მითხრა:

— ბიჭო, მთავარი ის კი არ არის თუ ვინ იმარჯვებს, მთავარია, ყველანაირად შეეცადო, დამარცხებული არ იყო! შენივე აზრის საწინააღმდეგო მეორე აზრის ჩამოყალიბება უნდა შეძლო...

არასოდეს მიყვარდა ჭადრაკი. არც სვლები ვიცი და არც მაინტერესებდა არასოდეს...

— ჭადრაკია ჩვენი ცხოვრება!.. — მითხრა მამამ. — მთავარი მოწინააღმდეგე კი შენივე თავია! დაამარცხე შენი თავი და ის დამამარცხებელი „მე“ გაგამარჯვებინებს სხვის „მე“-ზე.

— ანუ ყველაფერი თამაშია? — ვკითხე მამას...

არაფერი მიპასუხა, შავი ფიგურებით გააკეთა სვლა, შემდეგ დაფა შეატრიალა და თეთრების საპასუხო სვლაზე დაიწყო ფიქრი. „ამ თამაშში მთავარია, პაიკი გაიყვანო ბოლოში



და დედოფლად აქციო!“ — გავიფიქრე მე.

— მთავარი პროცესია... — ჩემს ფიქრს უპასუხა მამამ.

— შენ ნაპოლეონით ლაპარაკობ და ცდები — მთავარი გამარჯვებაა... — შევედავე მე.

— მთავარი პროცესით ტკობაა... გამარჯვებული არ არსებობს! — მონყენით მითხრა მამამ.

— შენ დაბერდი... — ეს იყო ჩემი პასუხი.

— ესეც მართალია... დაბერებაც მიზანია: მთავარია, ადრე არ გითხრან: „გეიმ ოვერ“, ანუ „თამაში დასრულდა!“

— ესე იგი, შენ ამბობ, რომ ყველაფერი სულ ერთია?

— მაგ სიტყვას დაუკვირდი: ყველაფერი ერთზე რომ დადის, იმ მოვლენას გვამცნობს!

— მე მაინც ჩემს გზას დავადგები, დაგიმტკიცებ, რომ გამარჯვება შესაძლებელია!

— მთავარია, ბედნიერების შეგრძნება გქონდეს და არა ის, გალიარებენ თუ არა ბედნიერად!

უცებ მივხვდი, რომ, ვისაც ვეკამათებოდი, მე ვიყავი: საკუთარ თავს ვეპაექრებოდი!

— მიხვდი? — მკითხა მამამ.

— მიხვდი, — ვუპასუხე მე.



ძალიან ცუდ ფორმაში ვიყავი: დაღლილი, ნამთვრალევი. სარკეში ჩახედვა არ მინდოდა... შხაპი მივიღე. არ დაგიმაღავთ, აბაზანამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე! რალაც მეფური, დიდი და ნათელი სივრცე, თითქმის ჩვენი თბილისური ბინის ტოლი! „ეს სად მოხვდი, ნიკა!“ ვუთხარი ჩემს თავს! „შემდეგი სვლაც რომ არ ჰქონდეს ამ თამაშს, ეს უკვე გამარჯვებაა, რადგან მე ოცნების ნაწილი ამიხდა! მაგრამ ამაზე ვერ გავჩერდები!“ ასეთ ფიქრებში ვიყავი, როცა ინამ დამიძახა:

— ნიკა! საუზმე მზად არის!

„ღმერთო, არ შეიძლებოდა, ცხოვრებისეული ლაქების, ჩრდილების გარეშე დამენახა აქაურობა?“ გაორებული გამოვედი აბაზანიდან: არ ვიცოდი, რა მექნა, მოვშორებოდი

ამ ხალხს, თუ მივყოლოდი დინებას?.. ჯონი — ჩემი მასპინძელი — უკვე მაგიდასთან იჯდა. მაგიდა იყო გრძელი, ჯონი კი მაგიდის თავში დაბრძანებულიყო.

— მოდი, რაინდო! — მითხრა ლიმილით.

— მაგიდა არა გვაქვს მთლად რაინდული ფორმის, — გავეხუმრე მასპინძელს.

— გვაქვს, სადაც საჭიროა, იქ! — მომიგო მან.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძალიან კარგად ვიცოდი თუ რატომ მომცა ფული, მაინც ეჭვებში ჩამაგდო ამ სიტყვებმა: „საიდუმლო ორდენის წევრი ხომ არ არის?“.

— მე ძალიან ცუდად ვარ... ფიზიკურად: ნამგზავრი, ნახახუსევი და, საერთოდ, არარეალურ გარემოში ვარ,. პირდაპირ მითხარით: რა გინდათ ჩემგან? — ინას არ მოეწონა ეს ჩემი „გამოსვლა“:

— შეგიძლია, ნახვიდე. ჩვენ შენგან არაფერი გვინდა!

— რამ გაგამწარა ასე? გთხოვ, საუზმე მიირთვი, — დამიყვავა ჯონმა (ეს „ყვავი“ რა შუაშია ამ სიტყვაში — აზრზე არა ვარ!).

ჩემი მობილური „ამღერდა...“ ეს ყველაზე კარგი გამოსავალი გამოდგა ჩემთვის იმ უხერხულ სიტუაციაში.

— გისმენთ...

— გამარჯობა — მითხრა ანგელოზის ხმამ ქართულად.

— გამარჯობა... რომელი ხარ?

— ხათუნა ვარ... გახსოვარ?

სუნთქვა შემიკავდა... მღელვარებისგან კინალამ გულიც გამიჩერდა.

— როგორ არა... სადა ხარ? — ესლა მოვახერხე.

— ლონდონში ვარ... მე მგონი, შენც აქ უნდა იყო... აქა ხარ?

— ჰო... აქ ვარ...

— შენი ნახვა მინდა...

ამ დიალოგს, რომელიც ქართულად მიმდინარეობდა, ჯონი ინტერესით უსმენდა. არ ვიცი, ის აინტერესებდა, ვინ მირეკავდა, თუ ის, როგორ ჟღერდა ჩვენი ენა. შესაძლებელია, ორივე ერთად!

— მეგობარია... — ჩუმად ვუთხარი ჯონს.

— მოიყვანე... — მითხრა და სიცილით დასძინა: — თქვენ ხომ ასე იცით, ქართველებმა?

— ხათუ, მისამართი მითხარი, სად ხარ?

— ჩელსიში ვარ... ახლა 11 საათია... ორზე გელოდები იაპონურ რესტორანში... ტაქსისტს ეტყვი — ჩელსი, იაპონური რესტორანი. ეს ყველამ იცის!

— ძალიან მომენატრე, — ვუთხარი ჩემი ოცნების ქალიშვილს. — მოვფრინავ!

ჯონი ყველაფერს მიხვდა:

— გიყვარს?

— ჰო... უნდა ნავიდე...

— გელოდები... ამ ნომერზე დარეკე, — ჯონმა სავიზიტო ბარათი გადმომცა. — არ დამეკარგო. — თითქმის მუდარით მითხრა მასპინძელმა. ინას ხმა არ გაუღია, საერთოდ გავიდა სასადილო ოთახიდან.

ქუჩაში გამოვედი. საზიზლარი წვიმა მოდიოდა, არც ქოლგა მქონდა, არც ლაბადა... რამდენიმე წუთი გზისპირას ვიდექი, როგორც იქნა, ტაქსიმ გამიჩერა.

— ჩელსი! — ვუთხარი თბილისურად.

— დაბრძანდით, — მითხრა მძღოლმა.

— რამდენ ხანში მივალთ იმ უბანში?

— ერთ საათში...

— თუ შეიძლება, ფულის გადასახურდავებელ აპარატთან მიმიყვანე ჯერ...

— ქემ მემინ? — ჩამეძია ტაქსისტი.

— იეს, ქემ მემინ... — ეს სიტყვა, „ქემი“ რალაცნაირად, ჩვენებურად ჟღერდა!

რამდენიმე წამში ბანკომატთან შემიჩერა მანქანა.

— აქ არის! — მიმანიშნა აპარატზე...

ვერ აგინერთ, როგორი მღელვარებით შევუშვი პლასტიკქარდი აპარატში. პირველ რიგში ნაშთის ლილაკს მივაჭირე თითი:

ოცი ათასი ფუნტი სტერლინგი იდო ჩემს ბარათზე! რომც მოვინდომო, მაინც ვერ გადმოვცემ იმ განცდას, რომელიც მაშინ დამეუფლა...

კაცად ვიგრძენი თავი!

ხუთასი ფუნტი ჯიბეში ჩავიდე და ტაქსში ჩავჯექი...

— წავედით, — არხეინად ვუთხარი მძღოლს.

საკმაოდ ნელა მივიწვედით მანქანების ზღვაში.

— სულ ესეთი საცობებია? — სხვათა შორის ვიკითხე.

— ჰო, მთელი მსოფლიო აქ არის ჩამოსული, — ღიმილით მითხრა მან.

— იმიტომ, რომ აქ კარგია!

— ჰო, კარგია, ალბათ... მაგრამ სულ წვიმს და თოვს.

— წვიმა დიდი პრობლემა არ არის... გაცილებით მეტი პრობლემა აქეთ ადამიანებს, — თვალელებში ჩავხედე ამ უცხო ადამიანს.

— აქ მათ პრობლემებს ახალი ემატება... ინგლისი ინგლისს აღარა ჰგავს...

ვერაფერი ვუთხარი ან რა უნდა მეთქვა: მეც ხომ ჩემი პრობლემების მოსაგვარებლად ჩამოვედი აქ!

— გახედე ამ ეკლესიას! — მარცხნივ მიმახედა, — თავს ნახევარმთვარე რომ ადგას...

მართლაც, საოცარი სანახავი იყო ქრისტიანულ ტაძარზე ჯვრის ნაცვლად ნახევარმთვარე!

— რა ხდება?

— გაიყიდა ეკლესია! ვისაც ფული ჰქონდა — იმისი გახდა!

ყოველთვის მინდოდა, ფული მქონოდა, მაგრამ, რამდენიც გინდა მქონდეს, იმას როგორ გავზედავ, ღმერთის საქმეებში ფულით ჩავერიო! მე მხოლოდ სიკეთისთვის გავიღებ ფულს, მხოლოდ სიკეთისთვის და, თუ მინდა, რომ მეჩეთი მქონდეს, ლონდონში ეკლესიას კი არ ვიყიდი, ახალს ავაშენებ! მაგრამ... ერთი რამ ძალიან მანუხებს: მე მგონი, მყიდველსაც და გამყიდველსაც ღმერთი დავინწყნიათ!

აი, რა არის უბედურება! ფული გაუხდიათ ღმერთად! უცებ თავი შემეზიზნა ჩემი ოციათას ფუნტიანი ბარათით, ინათი,

ჯონით და ყველაფრით ერთად აღებული. არ დამიჯერებთ და ოქროს თევზიც შემძულდა!!!

როგორც იქნა, მივადექით იაპონურ რესტორანს. ორი საათი გავიდა, სანამ აქ მოვიდოდი.

ხათუნა, ჩემი ოცნების გოგონა, რესტორნის შესასვლელში მელოდა.

არაფერი მითქვამს, თმაზე ვაკოცე... ისე ჩამეხვია, გეგონებოდათ, ასი წელი გვაკავშირებდა ერთმანეთს...

ეს წამი მთელ ჩემს ოცდაოთხ წელს იტევდა, მე „დავიჭირე“ ის და შევიგრძენი ეს განუმეორებელი და მოუხელთებელი წამი...

— მაინც ჩამოხვედი, ხომ, ლონდონში? — ჩურჩულით მითხრა ხათუნამ.

— ჰო... შენ ხომ კარგად ხარ? — არ ვიცოდი, სხვა რა მეთქვა... ზუსტად ისეთივე უხერხულობის განცდა მქონდა ამ გოგოსთან, როგორც მაშინ, წინასაახალწლო დღეებში...

იაპონური რესტორნის დარბაზი სართულით ქვემოთ იყო. კიბე ჩავიარეთ. იაპონელმა გოგონებმა თბილი ღიმილით და კეთილი სურვილებით მიგვიღეს...

— ვინც თბილ სიტყვას არ იშურებს, მას სითბო და სიყვარული არ მოაკლდება — სიტყვა ბუმერანგია! ყველას უკან უბრუნდება.

— ასე მგონია, პირველად არ ხარ დაბადებული, — მითხრა ხათუნამ.

მაგიდას მივუსხედით. ასეთი მაგიდა იაპონურ ვარიანტში ღუმელიც არის, ტაფაც და, რაც არ უნდა გაიკვიროთ, სცენაც! მზარეულმა დიდი არტისტიზმით დაგვიმზადა თევზეული, სალათები... რატომღაც ხახვის შეწვის იაპონური წესი მომეწონა... ხახვი ისე შეწვა, თეატრში გეგონებოდა თავი!

ორი ასგრამიანი მოვითხოვე. ხათუნამ არ დალია, მეორე კი მოტანისთანავე გადავუშვი იქ, სადაც საჭირო იყო...

— ვინა ხარ შენ? — თვალეებში ჩავხედე ხათუნას, ზღვისფერ თვალეებში.

— არ იცი?

- ვიცი, ჩემი ქალღმერთი, ჩემი ოქროს თევზი ხარ!  
ხათუნამ გამომცდელად შემომხედა:  
— გისრულებს არა, ოცნებებს?  
— ვინ, ოქროს თევზი? არ იცი, რომ მისრულებს? ლონ-  
დონშიც ვარ და აი, ბარათიც... ყველაფერი მან ამისრულა.  
— სისულელეა, მე მოვიგონე ეგ ზღაპარი!  
— ზღაპარი ახდა... მაგრამ შენ რა შუაში ხარ?  
არაყმა თავისი „გააკეთა“ — უკვე თავისუფალი არსება  
გავხდი!  
— ნიკა, მომისმინე! ის კაცი ხომ გახსოვს, ჭალარა, სიმპა-  
თიური?  
— ჰო, — მოვინწყინე მე. — რამდენი ვაგინე მაგ კაცს...  
— ხათუნას ასი გრამიც „გავაქრე“ და ოფიციალტს ვანიშნე,  
კიდევ მოეტანა.  
— ეგ კაცი „მარკო პოლოს“ პატრონია. მენფეჯერად ამიყვან-  
ნა, მე კი ოქროს თევზის ზღაპარი მოვიგონე!  
ძალიან არ მომეწონა ეს ყველაფერი! ეს ყველაფერი ჩემს  
რწმენას, ჩემს ცხოვრებას თავდაყირა აყენებდა!  
— მე ყველაფერი ამისრულა, თითქმის ყველაფერი და ეგ  
„მარკო პოლოც“ ხალხით არის გატენილი!  
— ზუსტად ეგ იყო ჩემი მიზანი. ამ სარეკლამო ტრიუკმა  
გაამართლა... ამიტომ ვარ ლონდონში!  
— ეგ რა შუაშია?  
— ახლა აქ გვინდა რესტორნის გახსნა... ოქროს თევზი აქაც  
იმუშავებს, როგორ ფიქრობ, ამ ხალხს ოცნებები არა აქვს?  
კიდევ „დავარტყი“ ასი გრამი და კიდევ მოვითხოვე.  
— ნუ დათვრები! — მთხოვა ხათუნამ.  
— ის მოხუცი ვინ იყო? მესაათეზე გეუბნები.  
— ბაბუაჩემი! ბაბუას ვთხოვე ეს განცხადება გამოეკრა!  
ნითელი თევზის ნაჭერი ყელში გამეჩხირა.  
— ესე იგი, შენ გინდა მითხრა, რომ ოქროს თევზი შენ ხარ?  
— დარწმუნებული ვარ, თვალეები გადმოკარკლული მქონდა,  
როცა ამ სიტყვებს ვამბობდი.

ხათუნამ — ამ ოციოდე წლის გოგონამ! — აულელვებლად მითხრა:

— ოქროს თევზი შენშია!

— შენ რა, არაბებივით ჩემი რწმენის ტაძარი გინდა იყიდო?

— ვერ გავიგე, რას გულისხმობ, მაგრამ ერთი რამ იცოდე... ზოგი გაიყიდება და ზოგი ვერა! რაც არ უნდა ამტკიცო, თუ არ ვარგისხარ, არავის სჭირდება. შენ ვილაცას დასჭირდი და იმიტომ ხარ აქ! თირკმლის გაყიდვა ხომ არ მოგთხოვეს? — რაღაც საშინლად, დამცინავად გამიღიმა ხათუნამ.

— არა, ნარკოტიკი გადმომატანინეს! — მოკლედ მოუუჭერი მე. — მაინც არ მინდა დაგიჯერო, ეგეთი დამთხვევები არ ხდება!

— ყველაფერი მეც არ ვიცი... წამო, სადმე ვიცეკვოთ...

— რა მეცეკვება... ერთ წუთში დამაბერე!

ისე გადაიკისკისა, ყველამ ჩვენკენ გამოიხედა.

— მოდი, ჩემთან წავიდეთ, ბინაში, — შევთავაზე ქალთევზას.

— წავიდეთ...

ფული გადავიხადე. სითბო და ღიმილი არ მოგვაკლეს მასპინძლებმა: ხათუნას პალტოს ჩაცმაში მიეხმარნენ და კარებამდე მიგვაცილეს...

აღარაფერი მინდოდა ერთი რამის გარდა: ამ გოგოს ჩავხუტებოდი, ეს გოგო ჩემი გამხდარიყო!

— ძალიან გინდივარ? — თმაზე ხელი გადამისვა — თავისი თეთრი, თლილი თითები.

— ძალიან! — კისერში ვაკოცე. რატომღაც კისერში მინდოდა; მეკოცნა, არ ვიცი, რატომ.

— წავიდეთ, მინდა ჩემი სისულელე გამოვისყიდო...

— ახლა გავბრაზდები და მაგაზეც უარს გეტყვი! არავითარი გამოსყიდვა და ყიდვა-გაყიდვა! მე შენ მიყვარხარ!

მიმიზიდა და ტუჩებში მაკოცა:

— იცი, რა არის ბედნიერება? როცა ვილაცას ისე უნდისხარ, რომ უშენოდ არ შეუძლია!

— და თან არც ისეთი კვაზიმოდო რომ ვარ, არა?

ეს უკვე ტაქსიში ვუთხარი. აღარ დაგლლით იმ გზის აღწერით, რომელიც გლოსტერის ქუჩამდე გავიარეთ. გა-

რეთ წვიმდა, თოვდა და ჩემს გულში, ზურიკელასი არ იყოს, გაზაფხული იდგა! პირველ სართულზე გასაღები ავიღე და ვიწრო კიბით ჩემს ოთახში ავედი...

ლონდონური ბინის კარადის სარკეში ვხედავდი როდენის გაცოცხლებულ ქანდაკებას...

— ხათუნა, მე ჩემს მიზანს მივალწიე. წავიდე თბილისში...

— რა იყო შენი მიზანი?

— შენ ხარ ჩემი მიზანიც და ოქროს თევზიც... — თან მხურვალედ ვკოცნიდი... ტანსაცმელი კი აქეთ-იქით ცვიოდა!..

— კი მაგრამ... შენი კარიერა? — უკვე გულამოვარდნილმა მკითხა — შესვენებისას.

— ამათი არაფერი მინდა... ამ ხალხს უნდა მოვშორდე... წავიდე თბილისში და საქმით ჩამოვიდე... ვთქვათ, მუსიკალურ ფესტივალზე!

— არ გაინტერესებს, მე რას ვაკეთებ აქ?

— მაინტერესებს...

— მენეჯერობას ვსწავლობ... სამთვიანია...

— სამი თვე აქ ვერ გავჩერდები...

— რატომ?

— არ მინდა ინასთან და ჯონთან კონტაქტი! გინდა, ყველაფერს გაიმბობ?

სავარძელში მოკალათდა სრულიად შიშველი, თან ეწეოდა. ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ ვაშორებდი.

ყველაფერი ვუამბე: ინას გაცნობა, ჯონის და ფხვნილის ამბავიც შეულამაზებლად მოვუყევი.

— შენ კაი ბიჭი ხარ! — მითხრა ჩემი მონოლოგის დასრულების შემდეგ.

— მეც შენ სხვანაირი გოგო მეგონე! — ვუთხარი ალაღად.

— სხვანაირი არ არსებობს. მეც მინდა, გვერდით კარგი და წარმატებული კაცი მყავდეს... ამას ერთად მივალწევთ!

ორმოცი წლის ქალის ჭკუით მესაუბრებოდა ეს ოციოდე წლის ანგელოზი!



— პირდაპირ გეტყვი, მე ვიქნები პირველი მამლუქი, რომელიც სახლში დაბრუნდა! ამ ოცი ათასით კი ჩვენს საქმეს ავანყობთ: კლიპები, დისკები... და ისევ ჩამოვიდეთ!

— რალაც სხვანაირად ლაპარაკობ. თბილისი მოგენატრა?

— ჰო, ბევრ რამეზე შემეცვალა აზრი!

— სამი თვე მალე გაირბენს, ამდენიც აღარ არის დარჩენილი. მეც ჩემი სერთიფიკატი მექნება... იმ ქალს რაც შეეხება

— ველარ გიპოვის... ჩემთან გადმოდის საცხოვრებლად, მობილურის ნომერი გამოცვალე და მორჩა. ხომ ხედავ, რამოდენაა ლონდონი!

— ამ ოცი ათასით მინდოდა ჩასვლა... აქ ეს ბევრი არაფერია, თბილისში კი...

— იქაც მალე დაიხარჯება...

— მე მილიონის მოგების იმედი მქონდა, ოქროს თევზს ვთხოვე... ახლა, როცა ეს იმედი შენ მომიკალი... რალა უნდა ვაკეთოთ აქ? წამოდი, დავექორწინდეთ...

— ესე იგი, ფრთები ჩამოყარე? — გაიცინა ხათუნამ. — მე არ მოგცემ ამის უფლებას... ის თევზი კი მოგიკალი, მაგრამ მე ხომ შენთან ვარ? მე მოგიტან ბედს — ქალს შეუძლია კაცს ბედი მოუტანოს!

— ჰო... — ჩავფიქრდი მე. — ქალს ბევრი რამ შეუძლია!

— მაშ, წავედით ჩემთან. ბარგი გაქვს?

თქვენ წარმოიდგინეთ — მილიონის უფრო მჯეროდა, ვიდრე ბედის ასეთი საჩუქრის.

— ერთი პრობლემა მაქვს... — ვუთხარი ხათუნას — მე ირლანდიაში შემოსვლის უფლება მაქვს მხოლოდ, ეს ძალიან მანუხებს... ჯონის და ინას იმედი მქონდა, რამე რომ მომხდარიყო... ახლა რალა ვქნა?

— მოკლედ, მათთან დასაბრუნებელი ხიდი ჩატეხილი გაქვს, არა?

— არა, მაგრამ... არ დაგიმალავ: ამ ქალთან ვცხოვრობ... ის კაცი კი თვალეში მიყურებს და კარგ რამეებს მიკეთებს. სწორედ ეს არ შემიძლია! არადა, ვაჟა-ფშაველაზე მელაპარაკა და, რა ვიცი, კიდევ რამდენ საინტერესო რამეზე...

— ეგ ბევრ რამეს ცვლის... დაბრუნება რომ გინდა, მაგ პას-პორტით ბილეთს მოგცემენ? ეგ უნდა გავიგოთ, წამო აქედან!

— არავითარი ბარგი არა მაქვს — მხოლოდ პლასტიკური ბარათი!

კიბე ფრთხილად ჩავიარეთ. არ გვინდოდა, ვინმეს გაეგო, რომ მივდივართ... რატომ, არ ვიცი...

ქუჩაში რომ გამოვედი, ამოვისუნთქე: უკვე ველარავინ მიპოვიდა — მობილურს არ ავიღებ, თუკი ინამ ან ჯონმა დამირეკა... ლონდონში უკვე მე და ხათუნა ვართ მარტო.

— ავტობუსით წავიდეთ. ტაქსი ძალიან ძვირი დაგვიჯდება — განაპირა უბანში ვცხოვრობ, — ხათუნა ორსართულიან ავტობუსში ავიდა. მე მეორე სართულიდან მომინდა ქალაქის თვალიერება. ფანჯარასთან ხათუნა დაჯდა, მე გვერდით მი-გუჯექი:

— რამდენი ჩამოსულია, — მივანიშნე ფეხით მოსიარულეებზე.

— ნახევარი მსოფლიო აქეთ მორბის...

— ერთი ეგ მითხარი, რის მენეჯერობას სწავლობ?

ხათუნამ ჩაიცინა:

— შოუბიზნესის პროდიუსერობას...

„ბიჭოს, რა მაგარია“ — გავიფიქრე, მაგრამ ეს კი ვუთხარი:

— სამ თვეში როგორ უნდა ისწავლო პროდიუსერობა?

— ნიკა, ნახევარ ქალაქს დაგაჯერეთ, რომ „მარკო პოლოში“ ოქროს თევზი სურვილებს ასრულებს და კიდევ რა გინდა!?

— ჰო, ესეც მართალია... მაინც არ მჯერა, რომ შენი მოგონილი ტყუილია. აი, მაგალითად, კაზინოში იმ სადამოს ათასი ლარი მოვიგე, დათო ძიამ კი ორმოცდაათი ათასი.

— ეგ დამთხვევა... თევზი არაფერ შუაშია...

— პირველივე სურვილი ის გექონდა, რომ ვინმეს გადაეხადა ჩვენთვის სუფრის დანახარჯი, ჯერ დათო ძია შემოვიდა, ვიფიქრეთ, ეს გადაგვიხდის დანახარჯსო, მაგრამ, ბარმენტან რომ მივიდა, აღმოჩნდა, რომ ვილაც სხვას, ნაცნობს გადაუხდია!

ხათუნამ გადაიკისკისა:

— ნაცნობმა კი არა, მეპატრონემ გადაგვიხადათ. მე რომ ჭალარა კაცთან ერთად შემოვედი იმ დღეს — იმან... სხვათა შორის, მე შენზე ვუთხარი, რომ ნიჭიერი მუსიკოსი ხარ და 31-ში კლუბში ჩამოგიყვანე, რადგან ჯგუფს ეძებდა „მარკო პოლოში“ სამუშაოდ! გაიგე?

შოკში ჩავვარდი!

— კი, მაგრამ რატომ გადაგვიხადა?

— ეს ჩემი პროექტი იყო! გავთვალე, რომ, ვინც ოქროს თევზთან მოვიდოდა, პირველს თუ არა, ერთ-ერთ სურვილად სუფრის გადახდას მოთხოვდა! მეპატრონე ამყვა ამ ექსპერიმენტში და, როგორც იცის, „მარკო პოლოში“ ტევა აღარ არის! ამის შემდეგ მეპატრონემ მიიჩია, რომ საზღვარგარეთ დიპლომი ამელო, თვითონ შემპირდა დაფინანსებას... მე ლონდონი ავირჩიე...

— არ მითხრა ახლა, ვიცოდი, ლონდონში რომ გნახავდიო!

— ეგ არ ვიცოდი, მაგრამ, შენ რომ ლონდონს აფანატებდი, ვიცოდი და გზის გასაკვალად ჩამოვედი!

„ეს ვინ ყოფილა!“?

— მოკლედ, ჯადოქარი შენ ყოფილხარ!

— „ჯადოქალი“ უფრო სწორი იქნებოდა... — თმა ამიჩეჩა ჯადოქალმა.

— რა დაგიჯდა ეს სწავლა? — ფრთხილად ვკითხე, მეშინოდა, დიდი ციფრი არ დაესახელებინა...

— არც ისე ძვირი, თანაც უკვე გადახდილია... მე ხომ მხოლოდ სერთიფიკატი მჭირდება, ამიტომ გარეუბნის მეორეხარისხოვან სასწავლებელში ჩავირიცხე. ხომ იცი, საქართველოში უცხოურ საბუთებს დიდ პატივს სცემენ...

— აბა, შენ რაღა უნდა გასწავლონ? — გავიცინე მე. — ტანსაცმელი უნდა ვიყიდო რაღაც. ხომ იცი, სად რა არის?

— ყველაფერს გაყიდინებ...

— კომპიუტერი გაქვს?

— მაგის გარეშე როგორ ვისწავლი?

ამასობაში „ჩვენს“ უბანს მივუახლოვდით...

საკმაოდ „შეფერთხილი“ და გაცრეცილი სახლის ნახ-  
ევარსარდაფში ჩავედით. ხათუნამ კარი გააღო. ძველებური  
ავეჯი: ერთი სანოლი, მაგიდა და სამეული. სამზარეულო მო-  
ციცქნული, აბაზანა პატარა, მაგრამ სუფთა.

— სტუდენტისთვის ძალიან კარგია, — ღიმილით მითხრა  
ხათუნამ.

— თუ გინდა, უკეთეს უბანში გადავიდეთ. აქედან საკმაოდ  
შორია ცენტრამდე...

— სამაგიეროდ, ჩემი სასწავლებელია ახლო... მოდი, ამაზე ნუ  
ვიკამათებთ, შხაპი მივიღოთ, ცოტა რამე ვჭამოთ და სავაჭრო  
ცენტრში წავიდე — ძალიან იაფი სუპერმარკეტი ვიცი...

— ჰო, შეიძლება, ერთი საათი წავიძინო?

— აი, ჩემი ხალათი, სანამ შენი გექნება.

ტანსაცმელი გავიხადე და იქვე სკამზე გადავკიდე:

— შორტები და მაისური ეგვიპტეში დამრჩა.

— მაგის მეტი რა არის აქ.

— ჯერ შენ შედი, — მითხრა ხათუნამ.

— დაღლილობის მოსახსნელად მხოლოდ, ძალიან მშველის...

— აბა, ექვსნახვრეტიანი აგური რომ არ გჭირდება ტანის  
სახეხად, ვიცი... შენთან არ ვიყავით? — ტელევიზორი ჩართო.

მე შხაპის ქვეშ დავდექი.

„ღმერთო, რა უცებ შეიცვალა ყველაფერი! კარგია, თუ არ  
გავგიჟდები! არა, მეც რა ბავშვივით დავიჯერე ოქროს თევზის  
ზღაპარი! მართლაც მაგარი ნიჭი ჰქონია ხათუნას! არადა, რას  
ვაგინებდი ბიჭებთან? ნუთუ მართლა ოცი წლისაა? არასოდეს  
მიკითხავს მისი ასაკი!“ ასეთი ფიქრებით გამოვედი ხალათში  
გამონცობილი, თან თმას ვიმშრალებდი... ხათუნას ძეხვი, ყველი  
და პური დაელაგებინა მაგიდაზე. ლუდიც ჰქონია...

— ვა, ლუდი? ესე იგი, სვამ ხოლმე მარტოობისას?

— არა, სტუმარი თუ მყავს...

ეს არ მომეწონა, თითქოს მიმიხვდაო:

— გოგონები მოდიან ხანდახან, ჩემი კურსელები. ერთი  
ინდოელია, ერთი არაბი, ერთიც ქართველი — ქუთაისელი.

- არ გადამრიო! ხედავ, შენ? მანამდე არსად სწავლობდი?
- კი, როგორ არა, უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული...
- აბაზანაში შევიდა.

ოთახიდან გავძახე:

- ჩემი ტოლი ყოფილხარ! მე ოცი წლის მეგონე...
- თუ გეგონა, ესე იგი, ასეთს ვგავარ, მთავარია, ორმოცისა არ გეგონო!

„გასაგებია!“ გავიფიქრე „არც ისე პატარა ყოფილა. თანაც, როგორც ამბობენ, გოგოებს ბიჭებზე მეტი ინტუიცია აქვთ!“

— ტვინით კი ჰგავხარ ორმოცი წლისას! — შევაქე იმ ზღაპრის ავტორი, რომელმაც ასეთი გავლენა მოახდინა ჩვენს — ჩემი და ჩემი ბიჭების — ცხოვრებაზე სამ წუთში გამოვიდა, თმა ისე ჰქონდა გაშლილი და ისე უბზინავდა, მართლაც ქალთევზას ჰგავდა!

— წყალზე ვგიჟდები! იცი, რაც უფრო ხშირად გადაივლებ, მით უფრო დიდხანს გექნება ახალგაზრდული კანი!

— ვიცი, წყალია ჩვენი სიცოცხლე! ჩვენ თვითონ წყლისგან ვართ დამზადებული!

— „წ“-ს თუ მოაშორებ... მითუმეტეს! — მოვიდა და ტუჩებში მაკოცა! „არა, ასეთი რამ ცხოვრებაში არ ხდება! მე მაინც ზღაპარში ვარ! ამ ორ თევზს თუ შევადარებთ — „მარკო პოლოსას“ და ხათუნას, — რა თქმა უნდა, მე ეს მირჩევნია!“ კიდევ ერთხელ შევცურეთ სიყვარულის ზღვის მაცდურ და საამო ტალღებში...

— მეძინება, ძალიან დავიღალე, — ეს ვთქვი თუ არა, სადღაც წავედი...



აკვარიუმთან ვდგავარ... მაგიდას კი დათო ძია და თემო უსხედან.

ოქროს თევზს ვესაუბრები:

— ამისრულე ჩემი ოცნება: ლონდონში მინდა წარმატების მიღწევა.

- ხომ აგისრულე? — ქალის ხმით მიპასუხა თევზმა...
- ეს შენ არ გაგიკეთებია, ინამ შეძლო ეს...
- რა მნიშვნელობა აქვს? აბა, აკვარიუმიდან მე ხომ არ გამოგყვებოდი?
- კი, მაგრამ ეს გოგო რატომ მეუბნება, რომ მისი გამოგონილი ხარ?
- მაგ გოგომდე უამრავმა ადამიანმა იცოდა ჩემს შესახებ... მან კი არ გამომიგონა — იცოდა მითი თუ ზღაპარი ჩემს შესახებ... და თქვენ დაგაჯერათ!
- შენ ამბობ, რომ მითი და ზღაპარი რეალურია?
- ვერაფერს მოიგონებთ ისეთს, რაც არ არსებობს.
- ადამიანებს გულისხმობ?
- ჰო... რასაც მოიფიქრებთ, აღმოაჩინთ, წარმოსახავთ — ის უკვე არსებობს! რაც არ არსებობს, იმას თქვენ ვერასოდეს წარმოისახავთ!
- ანუ ჩვენი წარმოსახვა შენი არსებობის აღიარებაა?
- ზუსტად ასეა. და, რაც მთავარია, შენი ყველა სურვილი ერთი მიზნის მისაღწევად იყო ჩაფიქრებული: შენი მილიონიც, ლონდონიც, ინას გადარჩენაც... ყველაფერი ჯამში ერთ მიზანს ისახავდა.
- პოპულარობა?
- პოპულარობაც მაგისტვის გჭირდებოდა. მთავარი შენთვის ხათუნა იყო! ხათუნას მოსანადირებლად ჩამითქვი ყველა ეს სურვილი და აჰა, ხათუნაც შენია!
- ამათ რა ამოძრავებდათ? — ბიძა-ძმისშვილზე მივუთითე.
- თემო თავის ხათუნას იპოვის, ხოლო დავითი იმ ასაკშია, ფულით რომ ცდილობს გოგონების ბადეში გახვევას!
- კი, მაგრამ... მე და ხათუნას ხომ გვჭირდება ფული?
- ახლა უკვე, როცა ერთმანეთი იპოვეთ, ერთად უნდა ეძებოთ გზები წარმატებისკენ, იმისთვის, რომ კარგი შვილები გყავდეთ... ბედნიერები იყოთ!
- ეს არის სულ?
- ჩემგან მეტი რა გინდა? ერთი პატარა არსება ვარ, თქვენ კი ამოდენები ხართ და ერთად, რასაც გინდათ, იმას მოიმო-

ქმედებთ, სადაც გინდათ, წახვალთ. მე უბრალოდ, თქვენი შემწე ვარ!

— გინდა, რომ დაგიჯერო?

— ეს მე არ მჭირდება! ეს შენ გჭირდება! შენ რომ არ გცდონოდა, რომ მე გეხმარები, ვერც ინას გადაარჩენდი, ვერც ლონდონში გაბედავდი წასვლას...

— ანუ ხათუნას და მის ინტუიციას თუ დაუჯერებ, ძალიან კარგი იქნება. კაცებს ეგ გჭირდებათ, მაგრამ, შენი ბედის ვარსკვლავს თუ დაუჯერებ, უფრო მეტს მიაღწევ... საბოლოოდ კი, გახსოვდეს: ღმერთია შენი მფარველი! ის, ვინც მოგავლინა და მფარველი ანგელოზი მოგივლინა... ის გიცავს ახლაც ბოროტებისაგან...

— ანუ, რომ ვილოცე, იმან მიშველა?

— ხომ ხედავ, თევზი ვარ და გელაპარაკები, იმიტომ, რომ შენ მომძებნე და დამელაპარაკე... თუ ღმერთს მოძებნი და დაელაპარაკები, ისიც გაგცემს პასუხს, თავისებურად, თუმცა შენ ამას მხოლოდ ნიშნებით გაიგებ!

— მაგალითად?

— მაგალითად, ხათუნა რომ შენი გახდა! რა, სხვა კარგი ბიჭები არ არიან? დედას დაურეკე და რჩევა ჰკითხე, ის ღმერთის სათქმელს გეტყვის!

ამას ნამდვილად არ ველოდი, თემოს გადავხედე:

— შენც ასე ფიქრობ?

— ყოველ შემთხვევაში — დამაჯერებელია!

— ესე იგი, დაფუჯეროთ?

— რასაც დაიჯერებთ, მხოლოდ ის არსებობს, მხოლოდ ის არსებობს... მხოლოდ ის არსებობს... გამომელვია. ხათუნა ჩაცმული იჯდა სავარძელში.

— რა ტკბილად გეძინა, — მითხრა ღიმილით.

— შენ რომ იცოდე, ოქროს თევზი არსებობს!

— მაინც არ იშლი ხომ შენსას?

— ახლახან ველაპარაკე ძილში... ისეთები მითხრა, ნამდვილად არსებობს!

— შენს წარმოსახვაში! — ნიშნის მოგებით მითხრა ჩემმა ჯადოქალმა.

— მაგაშია სწორედ საქმე! რაც წარმოსახვაში არსებობს და რისიც გჯერა, მხოლოდ ის არსებობსო — აი, ასე მითხრა!

— წამო, ტანსაცმელი ვიყიდოთ! ეგ საქმე გაცილებით რთულია! ტვინის თუ ასტრალური სხეულის მოქმედებით იბადება სიზმარი! სამი ათასი წელია, ამაზე კამათობენ და ჩვენ მაგას ვერ გადავწყვეტთ. წამო, ჩვენს ახალგაზრდულ პრობლემებს მივხედოთ! მაგაზე კი ბებერი პროფესორები იმსჯელებენ!

— ჰო, სიზმარი მაინც სიზმარია, მაგრამ ინტერნეტში ამოვიკითხე, რომელიღაც ძველ ჩინელ ფილოსოფოსს უთქვამს: დამესიზმრა, რომ პეპელა ვიყავი, მაგრამ, იქნებ, პეპელას მესიზმრება, რომ ადამიანი ვარ? წარმოგიდგენია?

— ჰოდა, გამოფხიზლდი ახლა, ერთი კარგი პიჯაკი ვიყიდოთ, ფეხსაცმელი. სულ მაგ ბოტასებით ხომ არ ივლი ამ ზამთარში!

— იცი, რა სიზმრებს ვხედავ? ექიმს რომ მოვუყვე, საგიჟეთში გამიშვებენ, — გავაგრძელე ჩემი თემა.

— მე დაგსიზმრებია? — თვალი თვალში გამიყარა ხათუნამ.

— რამდენჯერაც გინდა! ისტორიული პიროვნებებიც მენვევიან ხოლმე... მესიზმრებიან და რა ვიცი... იქნებ, იმ ჩინელისა არ იყოს, ეს სულ სხვა რამ არის? რაღაცას ხომ არ მეუბნებიან?

— ყველაფერი შესაძლებელია — მომიშორა თავიდან.

„აღბათ, თავი მოვაბეზრე“ გავიფიქრე მე და გაჩუმება ვამჯობინე, არადა, მინდა ვილაცხასთან ამ თემაზე საუბარი!

ტაქსიში ჩავსხედით და სადღაც ახლომახლო ჩამოვედით...

— აქ ბევრად იაფად ვიყიდით ყველაფერს! — საკმაოდ მაღალი შენობისკენ მიმანიშნა ხათუნამ.

— კომპიუტერის რაღაცებს სად ვიყიდი? საუნდქარდი მინდა ავილო, და რაღაც-რაღაცების, ჩანერა და მონტაჟი რომ ვაკეთო!



— აი, ეს უკვე საქმიანი ლაპარაკია! — მომიწონა ჩემმა ასრულებულმა ოცნებამ. — ჯერ ტანსაცმელებში ავიდეთ... მაგ საქმეზე ხვალ წავიდეთ, უკვე მალე დაიკეტებიან და ვერ მივუსწრებთ.

— მამაჩემი რუსეთში დადიოდა, იმიტომ, რომ რუსული იცის, მე და შენ კი ინგლისურის ცოდნის გამო შინაურებივით ვართ აქ!

— ასეა, ენის ცოდნა გზის გაკაფვის საუკეთესო გასაღებია!

მოძრავი კიბით სუპერმარკეტის მეორე სართულზე ავედით — მამაკაცების განყოფილებაში. რა არ იყო აქ! ჯინსები, ქურთუქები, პერანგები, ასეთი თბილისშიც არის, მაგრამ თითქოს სხვა მოდაა აქ, ლონდონში: ნვრილი ჰალსტუხები, მოკლესაყელოიანი პერანგები და მაისურების ცვენა „ბითლზების“ გამოსახულებით...

— ესენი ამათი უდიდეს ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენენ — მითხრა ხათუნამ.

...„ბითლზების“ მოღვაწეობის პირველი წელია. ჟურნალისტი ეკითხება მათ: რამდენ ხანს გასტანს თქვენი პოპულარობა და რას იზამთ ამის მერე? ჯონმა უპასუხა, რომ არ იცის, ერთი წელი გასტანს ეს ბედნიერება თუ ათი წელი გაძლებენ სცენაზე, რინგომ კი უთხრა, მთავარია, ქალთა სალონისთვის ფული დააგროვოს და მეტი არც არაფერი უნდა! ახლა კი — 2011 წელს მე ლონდონის მარკეტში ვუსმენ მათ და ვხედავ უამრავი ვარიანტის მაისურს, რომლებიც ჩამოსულებს სუვენირებად მიაქვთ...

ხათუნამ შემირჩია შავი ფერის ვინრობორტიანი პიჯაკი, თავისი ვინროტოტებიანი შარვლით...

თეთრი პერანგიც ავიღე და ნვრილი შავი ჰალსტუხიც, შავი ფეხსაცმელიც შვეიცანე სარკიან ოთახში... ყველაფერი ზუსტად მომერგო, გამოვედი და ხათუნას დავენახვე:

— პოლ მაკარტნის ჰგავხარ ახალ;გაზრდობაში!

— წამომყევი, პალტოც ავიღოთ...

კარგი ნაჭრის პალტო ავიღე...

— შენ არაფერი გინდა? — ვკითხე ხათუნას...

— შენგან მცირედიც გამიხარდება, — მოკრძალებით მითხრა ჩემმა დედოფალმა.

ქალების განყოფილებაში, მესამე სართულზე ვართ. აქაც არის ნორმალური რაღაცები, მიუხედავად იმისა, რომ ეს არაა ბრენდების მარკეტი... უფრო ადგილობრივი წარმოების ახალგაზრდული რაღაცებია...

კარგი კაბა შევურჩიე — ზღვისფერი, ისიც 60-იანი წლების სტილში იყო. ეტყობა, ახლა აქ ეს არის მოდაში! თუმცა სტელა მაკარტინი სულ სხვა რაღაცებს აჩვენებს პარიზში, მაგრამ პარიზი სხვაა, ლონდონი კი ტრადიციების ქალაქია! ფეხსაცმელიც ვუყიდე, ტყავის ნაზი ხელთათმანებიც. მოკლედ, კინოვარსკვლავს დავამსგავსე... კიდევ რაღაც წვრილმანები, პირადი ჰიგიენის ნივთები ავიღეთ და სალაროსთან მივედი... ფასი უკვე ეტიკეტებიდან ვიცოდით: ეს ყველაფერი ხუთას ფუნტამდე დაჯდა!

— დიდი მადლობა, — მითხრა ხათუნამ...

ამ დროს მობილურმა დამირეკა:

— ინა არ იყოს, — ვუთხარი შიშით.

ნომერს დავხედე — უცნობი ნომერი იყო! „რა ვქნა? ინა თუა, ვეტყვი, რომ მოგვიანებით დავურეკავ, მერე რაღაცას მოვიფიქრებ“ „ოკეის“ მივაჭირე: დედაჩემი იყო.

ასე არასდროს გამხარებია.

— შვილო, რატომ მანერვიულებ. თემომ კი მიაბო ყველაფერი, მაგრამ მე ხომ დედა ვარ. სად ნახვედი ასე მოუმზადებელი, როგორ გაბედე?

— რა ვიცი, დედა, ნუ ინერვიულებ. ბავშვი ხომ აღარ ვარ. ძალიან კარგად ვარ... ფულიც მაქვს, აქ მეგობარიც ვიპოვე...

— ქალია? — მკითხა დედამ.

— ჰო, მიყვარს.

— ინგლისელია?

— არა, დედა, ქართველია, თბილისიდან ვიცნობ. რომ ნახავ, გაგიჟდები, ისე მოგენონება. აქ სწავლობს სამენეჯეროზე და, საერთოდ, ჭკუისკოლოფია.

- ვისი შვილია?
- მაგას რა მნიშვნელობა აქვს? — გავლიზიანდი მე. — ნუ იცით ასე...
- კარგი, კარგი... დამალაპარაკე.  
ხათუნას მივანოდე მობილური.
- გისმენთ, ქალბატონო...
- .....
- ჰო, ერთად ვართ... კი, აქაურობას უკვე ვიცნობ, ნურაფრის შეგეშინდებათ...
- .....
- თუ არაფერი ღირებული არ გამოჩნდა, მალე ჩამოვალთ... ხათუნამ მობილური დამიბრუნა.
- კარგი ხმა აქვს, სანდომიანი... ღმერთმა ჰქნას, ნესიერი იყოს... — მითხრა დედამ.
- კარგი, კარგი. თემოს უთხარი, კომპიუტერს ვაწყობ აქ და მთელი ამბები! მეც დავურეკავ... მამა მომიკითხე... მივხვდი, მამაჩემი გაბრაზებული იყო და არ დამელაპარაკა. ანეკდოტი გამახსენდა. სვანმა ციხეში მამის წერილი მიიღო. გაშალა, ნახა, ქალაღი ცარიელი იყო. „კიდევ არ მელაპარაკება!“, დაასკვნა სვანმა.
- ამ ფუთებით სახლში დავბრუნდით.
- რა ვქნათ? სახლში ვისხდეთ? — ვკითხე ხათუნას.
- ქუთაისელ თანაკურსელს დავურეკავ, თუ გინდა, სადმე წავიდეთ... ეგ დიდი ხანია აქ ცხოვრობს და ჩემზე მეტად ერკვევა ასეთ საკითხებში.
- დაურეკე!
- ხათუნამ ნომერი აკრიფა.
- ნანა, სადა ხართ? ...ვინ და ვინ? ოოო... ძალიან კარგი. მე და ჩემი მეგობარი ბიჭი ვართ.... მოვიდეთ? კარგი!
- შემდეგ მე ამიხსნა სიტუაცია:
- ნანა და ორი ქუთაისელი გოგონა ქართულ რესტორან „მიმინოში“ სხედან... წავიდეთ, არა?
- ლონდონში ქართული რესტორანია? „მიმინო?“ უყურე შენ! წავიდეთ, აბა, რა?

გამოვეწყეთ და გარეთ გამოვედით.

— ავტობუსით წავიდეთ, — მითხრა ხათუნამ...

— რამდენი დრო დაგვჭირდება?

— ორმოცი წუთი — მინიმუმ.

— ტაქსით?

— ცოტა ნაკლები...

— ჯობია, ცენტრში ავილოთ ბინა და ტაქსით ვიაროთ...

— ჯერ სამუშაო იშოვე და მერე გადავიდეთ, თორემ მთელი ფული ტაქსებში წავივა...

— კარგი, — იოლად დავყევი მის ლოგიკას.

— სადმე დაუკრა, იქნებ!

— ღმერთმა ქნას! — ყველანაირად მომწონდა ეს იდეა.

ლამის ლონდონი მაინც უფრო ლამაზია! ჩუმად ვისხედით, ვათვალიერებდი ქალაქს და ვფიქრობდი თბილისზე, ბიჭებზე. „რას შვებიან, ნეტავ, დაიწყეს მონტაჟი? ავიღე და თემოს დავურეკე. ძალიან გაუხარდა!

— დაგლიჯე, ბიჭო! დედაშენი მელაპარაკა. ხათუნა გაჩითე?

— ჰო, ხათუნა ვნახე აქ, ახლა ერთად ვცხოვრობთ.

— ჯიგარი ხარ!

— ინა სად არის?

— ინას გამოვეპარე, რალაცები არ მომეწონა. თბილისში გეტყვი.

— რალაც მეც არ მომწონდა მაგ ქალში, ძაან „ტიომნი“ ვინმე ჩანდა...

— ჰო... ასეც აღმოჩნდა... მოკლედ, მისმა ქმარმა, ინა რომ გადავარჩინეთ, იმის გამო ცოტა ფული მაჩუქა!

— მეტი არაფერი?

— რას გულისხმობ?

— სხვა მიზეზი არ იყო? — რალაცას მიმიხვდა თემო.

— არა, სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო, — ვიცრუე მე. — აქ კლუბებს დავივლი. ერთ კლუბში მამლერეს ორი სიმღერა ორი დღის წინ, იქნებ, იმათ მიმიწვიონ. მოკლედ, თუ რამეა, დაგირეკავთ. აუცილებლად!

— შენი იმედი გვაქვს და ოქროს თევზის! — გაიცინა თემომ.  
 აღარ ვუთხარი, რომ ოქროს თევზის ამბავი ხათუნას გამო-  
 გონებაა, ხასიათი არ გავუფუჭე. დაე, სჯეროდეს!

— ძმაკაცი იყო, — ვუთხარი ხათუნას. — აი, ის, 29-ში  
 კლუბში რომ გაგაცანი, ჩემი ჯგუფის წევრი.

— ჰო, მახსოვს, კაი ბიჭია!

— მოეწონა იმ შენს მეპატრონეს ჩვენი ჯგუფი?

— ძალიან...

— მაშ, რატომღა ნახვედით?

— თავისთან უნდოდა შეხვედროდა ახალ წელს, მეკვლევ  
 თავად იყო. მე კი, ისე მომაქციე ზურგი, იძულებული გავხდი,  
 ნავსულიყავი!

— რა სისულელე მიქნია, — ვინანე უცებ ჩემი საქციელი —  
 იმ ღამით ერთად ვიქნებოდით...

— გენატრებოდი?

— ხომ გითხარი: შენ, ნაპოლეონი, რუსტამ რაზა ხშირად  
 მესიზმრებოდი, უფრო ხშირად კი შენ!

— რა მაგრა აფრენ? — თავში მსუბუქად წამომარტყა  
 ჯადოქალმა.

— ჩემი დასიზმრება კიდე შემიძლია გავიგო, მაგრამ ნაპო-  
 ლეონი და ეგ რუსტამი რა შენი სიზმრის თემაა...

მე დანვრილებით ვუამბე ჩემი თეორია: კორსიკული და ქა-  
 რთული სიმღერის მსგავსების გამო როგორ დაიახლოვა ნა-  
 პოლეონმა რუსტამი...

— ეგ დისერტაციის თემაა, ხომ იცი? — გაიცინა ხათუნამ  
 და შუბლზე მაკოცა.

— ესე იგი, არ ვარ მთლად გიჟი? — ამოვისუნთქე შვებით.

— გიჟი ხარ, აბა, რა ხარ? მოვედით, ჩემო გიჟო! — ხელი  
 ჩამავლო და ჯერ პირველ სართულზე ჩამიყვანა პატარა  
 ბავშვივით, ხოლო შემდეგ ავტობუსიდან... დედაჩემი გამახ-  
 სენდა რატომღაც... „ყველა ქალი დედაა!“ ასე ავხსენი ხათუ-  
 ნას საქციელი. გაჩერებიდან ათი წუთი ფეხით ვიარეთ და მო-  
 სახვევში გამოჩნდა ნარწერა „მიმინო“.

— ბიჭოს, მართლა არ ყოფილა შუა ლონდონში ქართული რესტორანი?

დაბლა ჩავედით — სარდაფის ტერიტორია აუთვისებიათ ქართველებს. პალტოები ჩამოვკიდეთ, სარკეში მოვწესრიგდით და დარბაზში შევედით. ერთი გოგონა გამოემართა ჩვენსკენ...

— ჰაი! — გადაეხვია ხათუნას.

— ეს ნანაა, — გამაცნო გოგონა. — ეს კი ნიკაა, ჩემი მეგობარი...

თავისი მაგიდისკენ გაგვიძღვა. მაგიდას ორნი უსხდნენ, გოგონები.

თავის რალაცებზე ისაუბრეს, მე კედლებზე გამოფენილ ნახატებს ვათვალიერებდი: თანამედროვე ევროპული სტილის ფერწერა საკმაოდ გემოვნებით იყო შერჩეული. „ალბათ, ქართველი მხატვრის ნამუშევრებია“, გავიფიქრე მე.

ცოტა დავლიეთ და „ავჭიკჭიკდი“. ანეკტოდებიც მოვყევი, ბევრი იცინეს. მერე ხათუნამ ფორტეპიანოზე დაკვრა მთხოვა, მეც ავდექი და ჩემი სიმღერები შევასრულე.

დარბაზში მყოფი ოცამდე სტუმარი გარს შემომეხვია.

— ქართული იმღერეთ რამე, — მითხრა ერთმა მამაკაცმა.

— ეს მეპატრონეა, ბატონი ანზორი, — გამაცნო ნანამ.

— სადაური ბრძანდებით? — ვკითხე ამ ბატონს.

— შუახვეველი ვარ! კიდევ იმღერეთ, ძალიან მომწონს!

შექება ხელოვანის ფრთებია, მეც გავშალე ფრთები და ბოლოს „შალახოც“ კი დავუკარი! ერთი ქალბატონი მომიახლოვდა:

— თქვენ შემთხვევით ნიკა ხომ არ გქვიათ?

ხათუნას შევხედე, თვალები გაუფართოვდა გაცხებისგან...

— დიახ, ნიკა ვარ!

— იცით, მე ირმა ვარ. აი ის, თქვენთან რომ ვრეკავდი...

„არა, ეს მეტისმეტად დაუჯერებელია!“.

— დაუჯერებელია! — ვთქვი ხმამაღლა.

— თქვენი სიმღერები მარკს მოვასმენინე და ახლა ხმაზე გიცნოთ. აი, ეს გახლავთ მარკ ევანსი!

ფორტეპიანო მივატოვე და მარკთან საუბარი გავაბი. ძალიან ჰყვარებია ქართული მუსიკა. რამდენიმე ცნობილი მომღერლის გვარიც დამისახელა. სავიზიტო ბარათი გადმომცა.

— ხვალ ათი დღით მივფრინავ და, რომ დავბრუნდები, აუცილებლად დამირეკე! — მითხრა მარკმა.

— აქ როგორ აღმოჩნდით? — გაოცებას ვერ მალავდა ირმა. მე მოკლედ ვუამბე, თუ როგორ მოვხვდი „ამ გაუგებრობაში“.

— ეს უკვე ბედია! — გაიცინა მან. — მარკი გიშოვით სა-მუშაოს!

— დიდად გამახარებთ. მეც თქვენს გვერდით მიგულეთ!

— კიდევ იმღერეთ, — მთხოვა მარკმა.

„ბითლზების“ სიმღერები დავცხე...

— ოო... ეს სერიოზულია, — მომიწონა მარკ ევანსმა. — ლივერპულში არ წახვიდოდი? იქ მეგობარი მყავს!

— რა ვიცი... რომ ჩამოხვალთ, ვილაპარაკოთ...

წარმატებით გაბრუნებული დავუბრუნდი ჩემს მაგიდას.

ხათუნას და გოგონებს ვუამბე ჩვენი საუბრის შინაარსი.

— ხედავ, რა ფეხი მაქვს? — მითხრა ხათუნამ.

„ფეხები მართლა მაგარი გაქვს“, გავიფიქრე, მაგრამ გოგონებთან არ ვუთხარი: თუმცა ისე გამეცინა, მიხვდა, რაც გავიფიქრე. „ძალიან საყვარელი ცოლი მეყოლება“ გავიფიქრე კმაყოფილმა.

მე მგონი, ამ ფიქრსაც მიმიხვდა...

ბატონი ანზორი მოგვიახლოვდა:

— თუ გნებავთ, ჩვენთან იმუშავეთ, ორმოცდაათ ფუნტს მოგცემთ დღეში! ოღონდ ქართულები უნდა იმღეროთ...

გოგონებს გადავხედე და ისე ვუპასუხე:

— ქართულების დაკვრა თბილისშიც ხომ შემეძლო; მე სხვა გეგმები მაქვს!

ხათუნას არ მოეწონა ჩემი ამპარტავნული გამობტომა:

— ბატონო ანზორ, ნიკა ახლა მთვრალია, ხვალ მოვალთ და ვილაპარაკოთ!

— კარგი, ძალიან დამავალბეთ!

— ვა, შენ უკვე ჩემი პროდიუსერი ხარ? — შემიძვრა ეშმაკი.

— ეშმაკი შეგიძვრა, — მითხრა ხათუნამ. — ნავიდეო, დავილაღე. ხვალ ვილაპარაკოთ.

მეც დავილაღე. მორჩილი ბავშვივით წამოვდექი და უკან გავყევი. ფული გადავიხადე და გარეთ გამოვედი.

— ტაქსით ნავიდეო! — დავიჟინე მე.

— იცი, რა აზრი მომივიდა? მანქანა ვიყიდოთ აქ.

— პრავა არ მაქვს — მხრები ავიჩეჩე.

— მე მაქვს, თან არ ვსვამ. მე გატარებ სამსახურში! შენი მძლოლი ვიქნები!

— ჩემი ცოლი — ჩემი მძლოლი — გაფურთმე უცებ. რაც მთავარია, წინამძლოლი! ხვალ მანქანა ვიყიდოთ! ფული რომ აღარ მექნება, დავუკრავ „შალახოს“, აბა, რას ვიზამ?

ხმამალლა გავიციინე, ისე გავიციინე, გამვლელებმა ყურადღება მომაქციეს:

— ესე იგი, აქ რომ არ წამოვსულიყავი, არც — ხათუნა, არც — მანქანა, არც სამსახური? რაშია, ქალბატონო, საქმე?

— საქმე იმაშია, რომ მთვრალი ხარ... წარმატებისგან! იმდენი არ დაგიღევია, რამდენსაც გარეგნულად გამოხატავ, მოკლედ, თავბრუ დაგახვია ლონდონმა!

— ჰოო? არა, ეს მარკ ევანსი საიდან გაიჩითა? ამ ანზორმა შუახევიდან ლონდონში რესტორანი როგორ გახსნა? ესე იგი, ზოგს უმართლებს და ზოგს არა? ესაა სამართლიანობა? — გავბრაზდი უცებ.

— ვინც ბედს უღიმის, ბედი მხოლოდ მას გაუღიმებს... აბა, გამიღიმე სასწრაფოდ — მე ვარ შენი ბედი!

მოჯღუნული სახე უცებ გადავაქციე მოლიმარ პორტრეტად!

— აი, ასე... მხოლოდ ასე გავაგრძელებთ შენი სურვილების შესრულებას!

ტაქსიში ჩავსხედით... მართლაც ლამაზია ლამის ლონდონი!





დილით ხათუნამ მითხრა:

— ინამ დაგირეკა!

— რაო, რა უთხარი?

— სიმართლე! ვუთხარი, რომ ერთად ვართ... სალამოს დაგვპატიჟა...

— მოიცა, მოიცა! — წამოვხტი ლოგინიდან. — მაგ ქალთან შენი შეხვედრა არ გამოვა...

— მესმის... მაგრამ ამას ხომ არ ვეტყვოდი?

ხათუნა მართალი იყო — მტერი ამ ქვეყანაში წამდვილად არ მჭირდებოდა.

„ორცეცხლშუაო“ იტყვიან ხოლმე, მე კი ორქალშუა ვიგრძენი თავი. გადავწყვიტე, ხათუნასთან გამერკვია ზოგიერთი რამ:

— მე ინა გადავარჩინე გაუპატიურებას, ეს ასეა... მე მასთან მქონდა სექსი, — და არ დაგიმალავ, ძალიან სასიამოვნო! — მაგრამ...

— გისმენ... — მძიმედ მითხრა ხათუნამ — გააგრძელე...

— მაგრამ... მან რაღაც ფხვნილი რომ გადმომატანინა... ფული ნარკოტიკში გადამიხადეს... უფრო სწორად კი, მის გადმოზიდვაში...

— კოკაინი იყო? — საკითხს ჩაუღრმავდა ხათუნა.

— არაფერიც არ იყო! შაქარივით რაღაც ტკბილი ფხვნილი, შეიძლება შაქარიც!

— მერე, შენ რა განუხებს?

— ინამ მითხრა, რომ მეორე ჩანთაში სხვა ფხვნილი ედო და ამ ორი ფხვნილის შეერთების შემდეგ... მოკლედ: ნარკოტიკის ნაწილი მე გადმომატანინა!

— რა ჭკვიანი ვინმე ყოფილა...

— კი, მაგრამ... ეს ხომ დანაშაულია? — სიმკაცრე შემეპარა ხმაში.

— რა არის დანაშაული? შაქარი რომ ჩამოიტანე ირლანდიაში?

ვერაფერი ვუპასუხე.

— შენ ხომ არ ჩაგიშვა, ხომ არ გაგწირა? პირიქით, შაქარში ფული მოგცა!

## ახმაგეონის მათხახი

— მართალი ხარ, მაგრამ მან ხომ იცოდა, რომ ნარკობიზნესში მხვევდა?

— მოდი, ასე დავსვით საკითხი: შენ რომ გადაარჩინე, არ შეიძლებოდა ამის გამო ადამიანს პატივი ეცა?

— შეიძლებოდა! — ვალიარე უხალისოდ.

— ყველაფერში ცუდი არ უნდა დაინახო, პირიქით — კარგზე, პოზიტივზე გაამახვილე ყურადღება!

— ესე იგი, სულ არ ეჭვიანობ?

— კი! მაგრამ ჩვენ ემიგრანტები ვართ და ეს ყველაფერს ცვლის! ამიტომ ნუ დავკარგავთ მათ!

— გეთანხმები, მაგრამ ჯერ მანქანა ვიყიდოთ, ჩვენს საქმეებს მივხედოთ და მერე ვნახოთ... მთავარია მტრად არ მიგვიჩნიონ. ბოლოს და ბოლოს, ამ ხალხისაა ეს ქვეყანა — ჯონს ვგულისხმობ!

— ჭიშმარიტი! — გაიცინა.

— მოდი ჩემთან, ჩემო ჯადოქარო! — ამ სიტყვებით ლოგინისკენ წავიყვანე... ისევ მომენატრა მისი მაღალი ფეხების და მკვრივი, ჩამოსხმული სხეულის შეხება. „ნეტავ, ეს თუ მომბეზრდება როდესმე?“ ისეთი კოცნა შემომამგება — სუყველაფერი დამავიწყდა ამქვეყნად: დრო, ადგილი და ისიც, ვინ ვიყავი! ალბათ, ეს უნდა იყოს კაცის ბედნიერება!



ხათუნა დილით სასწავლებელში წავიდა. დათქმულ დროს ქალაქში შევხვდით ერთმანეთს და ავტოსადგომისკენ გავემართეთ. ავტოსადგომი თბილისელ კაცს არ გაუკვირდება. მეც ნაცადი მყიდველის იერით დავიარე საკმაოდ დიდი მოედანი. ფასების ამპლიტუდა ძალიან დიდი იყო: 1000-დან 100000-მდე!

— მოდი, ხუთიათასიანი ვიყიდოთ, — მირჩია ხათუნამ. — აქ რამდენ ხანს გავჩერდებით, არავინ იცის... იაფიანს კი უცებ გავყიდით...

— მართალი ხარ! თანაც... უფულობას ისევ ძველი მანქანით სიარული ჯობია!

— თბილისში კი... — გაიცინა ხათუნამ. — ჩვენები ჯიპებს ყიდულობენ და მერე გაზის ბალონებს უდგამენ, ცოტა ფული რომ დაწვას! ასეთი უცნაურობები გვეჭირს! ის არ მოგწონს? შავი მანქანა, თეთრზე ძვირი რომ არის?

— ჰო, არა? ყველა შავებით დადის! აქ კი ყველაფერი ფერადია: ჩაცმულობა, მანქანები, რეკლამები, პარკები — ეზოთერულად ყოველთვის თეთრს უნდა ამჯობინებდე — სინათლის, სიკეთის ფერია! ბოლოს და ბოლოს, თეთრი და შავი ძალების ბრძოლაა მთელი ცხოვრება!

— მაშინ... თუ ასეა, აი, ეს თეთრი „როვერი“ ვიყიდოთ... 4000 ფუნტი ღირს... — მშვენიერ მანქანასთან შეჩერდა ჩემი დედოფალი.

რა უნდა იყოს კაცისთვის იმაზე მნიშვნელოვანი — საყვარელი ქალი ბავშვივით რაიმეს ხელს რომ დაადებს და შენ უდარდელად იტყვი: „შეგვიხვიეთ!“ ცოტა ხანი ვამოწმეთ ეს ავტომობილი და შევიძინეთ...

— ერთი თვის წინ... თბილისში, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მანქანა მეყოლებოდა, ახლა კი ჩემს ხათუნას ვაჩუქე „როვერი!“ თანაც სად? — ლონდონში! არა, ნაღდად მესიზმრება ეს ყველაფერი!

— ეს მართლაც ძნელი ასახსნელია, თუმცა... ბედი!

— მართლა იცი ტარება? — გამომცდელად შევათვალიერე ჩემი მძღოლი.

— დაჯექი, დაჯექი... — გამოცდილი მძღოლის მანერებით ჩაჯდა და გასაღები გადაატრიალა. მანქანა უკან დახია, მწკრივიდან გამოიყვანა და თავისი ლურჯი, უძირო, მოლიმარი თვალები მომაპყრო:

— დაბრძანდით, სერ! — ინგლისურად მომმართა!

ეს „სერ“ ძალიან მესიამოვნა... „პოლ მაკარტნიც ხომ სერია? რინგოც... შეუძლებელი არაფერია... თანაც მე კარგად ვიწყებ“. როგორც მონადირე ძაღლი შეხტება მანქანაში, ისე შევხტი ჩვენს „როვერში“. ეს უკვე სხვა იყო! მთელ ლონდონს შემოვუარეთ... ქვეყნის ბენზინი დავწვით, მაგრამ არ გვედარდებოდა... კიდევ გავავსე ავზი და რესტორან „მიმინოს“ მივადექით.

როგორც უკვე მოვილაპარაკეთ, ანზორი სამოქმედო გეგმით დაგვხვდა:

— საჭმელი ჩემზე იქნება... და ორმოცდაათი ფუნტი. რასაც გაჩუქებენ შენი იყოს, — მითხრა მასპინძელმა. ეს წინადადება ძალიან მომეწონა:

— ვახშამი ორზე უნდა იყოს!

— ერთზე იმდენს დაგიდებთ, რომ ორივეს გეყოფათ... — ღიმილით გვითხრა ანზორმა.

— მაშ, მოსულა? კონტრაქტი არ მჭირდება? — მიამიტურად ვიკითხე მე.

— მუშაობის ნებართვა არ გექნება, — მხრები აიჩეჩა რესტორნის მეპატრონემ. — სიმლერა „მიმინო“ ხომ იცი?

— ვიცი... ერთ საათში მეცოდინება!

— ჰოდა, ერთ საათში დაიწყე, — მიპასუხა ჩემი პასუხით გაოცებულმა ანზორმა.

მაგიდას მივუსხედით. დარბაზში ჯერ არავინ იყო...

— ჯერ ადრეა, — დამამშვიდა ხათუნამ.

თემოსთან დავრეკე:

— ბიჭო, „მიმინოს“ ლექსი დამიმესიჯე, გაიგე? რაც შეიძლება მალე, სწავლა რომ მოვასწრო!

— ყოჩაღ! — შემაქო ჩემმა თანამეინახემ და ახლად შემოტანილი ხაჭაპურის დაჭრა დაიწყო. რამდენიმე ადამიანი შემოვიდა, არაქართველი. შორიახლო მაგიდა დაიკავეს და შეკვეთა მისცეს ოფიციანტს, თუმცა ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, დანვრილებით აღანერინეს მენიუში აღნიშნული ყოველი კერძი... ოფიციანტიც დიდი მონდომებით და სიზუსტით აღუწერდა ყოველი კერძის შემადგენლობას.

თემომაც დიდხანს არ მალოდინა, ტექსტი მივიღე

„მე რა მამლერებს, უძირო ზეცა

ზამბახისფერი...

თუ მილხინს ვმღერი, თუ ვსევდიანობ, მაინცა ვმღერი!

არასოდეს დავკვირვებოვარ ამ სიმღერას. ჩემზე არ ყოფილა დაწერილი? საერთოდ, ჩვენზე — მომღერლებზე... დავინწყე დაზუთხვა.

— ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, — ავუხსენი ხათუნას. — პირველი სიმღერა ეს უნდა იყოს — საფირმო ნიშანია!

— მართალი ხარ! კარგად დაიზეპირე!

ვიზეპირე, ვიზეპირე და ამასობაში დარბაზი თითქმის გაივსო...

— დაიწყე! — მითხრა ანზორმა. მეც ავდექი და ფორტეპიანოს მივუჯექი. მღელვარებისგან თითები არ მემორჩილებოდა. რამდენიმე აკორდი, „ჩამოვყარე“, კლავიატურაზე „გავიარ-გამოვიარე“, ცოტა რომ დავწყნარდი, სიმღერის პირველი აკორდები ავიღე. შემდეგ ახლახან ნასწავლი ტექტიც დავამღერე. საკმაოდ კარგად გამომივიდა... ტაშიც დაუკრეს. მერე ინგლისური სიმღერებიც მივაყოლე. ერთი საათის შემდეგ ვიღაც ქართველი მომიახლოვდა, ხელში 20-ფუნტიანი ეჭირა:

— „მოკლე კაბა“ არ იცი? — მკითხა შეზარხოშებულმა სტუმარმა.

— არ ვიცი... — ვუპასუხე გაღიზიანებულმა.

— აბა, რა იცი?

— ძმაო, შარზე ხარ? არ ვიცი და, რომც ვიცოდე, არ ვიმღერებ!

— რატომ, ვითომ?

— იმიტომ, რომ სირობაა. მასეთ სირობებს გამოვექეცი იქიდან!

ანზორმა იგრძნო რაღაც და მოგვიახლოვდა. თავისკენ მიმიხმო:

როცა ავუხსენი, რაც მოხდა, დამამშვიდა:

— მთვრალია, მაგრამ... კლიენტია, უნდა მოითმინო!

— სულ არ მინდა მაგათი შეკვეთები! მე თვითონ ვიცი, რაც უნდა ვიმღერო!

— კარგი, კარგი... ხვალ ვილაპარაკოთ... ახლა როგორმე ჩაათავე შენი პროგრამა.

ერთი-ორჯერ კიდევ დააპირა იმ ტიპმა ჩემკენ წამოსვლა, მაგრამ მისიანებმა არ გამოუშვეს.

ჩემი ორმოცდაათი ფუნტი ავიღე და ხათუნასთან ერთად გასასვლელისკენ გავემართე.

— ხვალ გელოდებით, — მითხრა ბატონმა ანზორმა.

— არ მელოდო, აქ მომსვლელი აღარ ვარ!

მანქანაში ჩავსხედით. ხათუნამ ძრავი აამუშავა.

— მაგრად გაგიტყდა? — თვალეში ჩამხედა ხათუნამ.

— არაა ეს ჩემი საქმე, — უფრო ჩემს თავს ვუთხარი.

— მშვენივრად უკრავდი. რა მოხდებოდა, ასეთი ტიპები რომ არ არსებობდნენ?

პაუზის შემდეგ ვუპასუხე:

— მაშინ მე და შენ იქ, თბილისში ვიქნებოდით...

— ჩვენთან, „მარკო პოლოში“, ასეთი რაღაცები არ ხდება.

ხათუნამ მანქანა დაძრა...

— იცი, რაშია საქმე? მე დიდი სცენა მჭირდება! ასე არ შემიძლია, მე სხვა მუსიკა მეძახის... რაც არ შემიძლია — არ შემიძლია! აი, მე, მაგალითად, შეუხედავი ქალის გაჟიშვა არ შემიძლია!

— მართლა? არ გადამრიო! — გაიცინა ხათუნამ.

— ასეა მუსიკაც! თუ არ მომწონს, არ შემიძლია. ასი ფუნტიც რომ მოეცა, მაინც უარს ვეტყვოდი! თანაც — პრინციპის საქმეა!

— ჰო, ღმერთმა არ გაგიჭიროს... — მიძიმედ მითხრა ხათუნამ.

ამ სიტყვებმა გამაღიზიანა:

— ესე იგი, შენ ამბობ, რომ, თუ გამიჭირდა, პანელზე უნდა დავდგე?

— კარგი, ასე ნუ განიცდი... დამშვიდდი! ისე, თუ გინდა იცოდე, მთელი სამყარო ერთი დიდი პანელია. თუ არავის სჭირდება, მშვიერი მოკვდები! ასე არ არის?

ცივი ღიმილით გადმომხედა.

— წინ გაიხედე, არაფერს დაეჯახო!

ტელეფონი აწკრიალდა. დავხედე — ინა რეკავდა!

— უპასუხე, ინაა! მე არა ვარ. უთხარი, უკრავს-თქო.

ხათუნამ მანქანა გვერდით მიაყენა და ინას უპასუხა:  
— გისმენთ!

.....

— ახლა დაკავებულია, უკრავს. რა გადავცე?

.....

— კი, მეგობარია ჩემი... დიახ, ერთად ვცხოვრობთ...

.....

— გმადლობთ, მაგრამ... ჯერ მას უნდა ვკითხო...

.....

— კარგად ბრძანდებოდეთ!

მანქანა ისევ ქუჩას გაუყვა.

— რა მინდაო?

— თუ გინდათ, იმ ბინაში გადადით, სამი თვის მაინც გადახდილიაო!

— მე ამ ხალხთან კონტაქტი აღარ მინდა! არ გიკვირს, რომ აღარ გვეშვებიან?

— რა ვიცი... შენი ამბავი შენ იცი... მართლაც, რა უნდა უნდოდეთ? შენი ნიჭით გაგიჟდნენ ასე? — ხმამაღლა მსჯელობდა ხათუნა. — სხვა რამ რა უნდა უნდოდეთ? უკვე იცის, რომ სხვა ქალი გყავს და მაინც რეკავს... მეც კი ვერ ვხვდები, რა უნდა იყოს! იქნებ, უყვარხარ? — ეს ისე თქვა, როგორც რაიმე დაუჯერებელზე ლაპარაკობენ ხოლმე.

— რა ვიცი, რატომ უნდა ვძულდე, მაგრამ... ეს თუ გახსოვს „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოდგომის ხშირად პირველს სჯობს...“

— დაურეკე! — შემანყვეტინა ლექსის კითხვა ჩემმა მე-საჭემ. — დაურეკე! ძალიან მინდა მაგ ხალხის გაცნობა.

მე არ მინდოდა დარეკვა, — საშინლად არ მინდოდა, მაგრამ უაზროდ დავემორჩილე ხათუნას თხოვნას თუ ბრძანებას და ზარი გავუშვი... ხათუნამ ტელეფონი გამომართვა.

— თქვენ თუ არ გძინავთ, გნახავდით...

.....

— კარგი. სად არის ეგ ლუდის ბარი?

.....

— ნავედით, — მითხრა ხათუნამ და ტელეფონი დამიბრუნა.

— რად გინდოდა ახლა ეგ? — ვუსაყვედურე.

— აბა, შენ „მოკლე კაბის“ სიმღერა არ გინდა და... ამ ხალხ-ის გარეშე რას მიაღწევ?

— რატომაც არა? მარკ ევანსი ხომ ჩამოვა? მე ჩემით უნდა მივალნიო ყველაფერს! — ხმას ავუწიე.

— ინას რომ არ ჩამოეყვანე, მარკ ევანსს შეხვდებოდი?

— არა! მაგრამ მერე რა? ასე თუ გავყევით, შენ რომ იმ ოქროს თევზის ამბავი არ მოგეგონებინა, არც მაგას გამოვყვებოდი — იმის იმედი მქონდა!

— ჩემი იმედი ხომ გაქვს? — გამიცინა ეშმაკურად.

— ჰო, მაქვს, — გამოვუტყდი მე.

— მაშინ მომენდე! როგორც კი რამეს ვიეჭვებ, კულტურულად მოვუტყდებით! ქალის ცნობისმოყვარეობა ხომ იცი?

ცოტა ხანში ლუდის ბარში შევედით. არ მახსოვს, რა ერქვა, ისეთ განწყობაზე ვიყავი, არ დავაკვირდი — ხათუნას მივდევი ბრმად.

ინა შემოგვეგება, მოვიდა და მაკოცა, მერე ხათუნა შეათვალიერა.

— მაგარი გოგო გყოლია! აბა, მე რას გაგახსენდებოდი? ვიხუმრე! — გაუცინა ხათუნას. — მობრძანდით, ჯონი გელოდებათ.

ჯონის ისევ ჯინსები ეცვა. ფეხზე წამოდგა, ხათუნას ხელი ჩამოართვა, მე კი მკითხა:

— სად დაიკარგე? რამე ხომ არ განწყენინეთ?

რალაც ამოვილულლულე, ხომ არ ვეტყოდი, შენს ცოლს ვყიდავ და შენთან როგორ ვიმეგობრო-მეთქი, ხათუნასთან ერთად კი წელში გამართული ვიყავი!

— ეს რა კარგი გოგონა მოგიყვანია, — მითხრა ღიმილით, — ქართველია, ხომ?

— ქართველი ვარ, — უპასუხა ხათუნამ.

დავსხედით. ლუდი შევუკვეთეთ.



— ქართველებზე ბევრი რამ მსმენია კარგი, მაგრამ, ასეთი ლამაზები თუ იყვნენ, არ მეგონა!

— ჰო... ძალიან ლამაზია, — ისე თქვა ინამ, რომ ხათუნასთვის თვალი არ მოუწყვეტია.

— თქვენ გინდათ, მათქვიანოთ? — გავიცინე მე. ამ სიტყვებზე ერთად გაიცინეს...

— რას საქმიანობთ? — ჰკითხა ჯონმა ხათუნას.

ხათუნამ ლამაზი ინგლისურით თავისი სწავლის ამბები უამბო.

— ეს რა არის! — უცებ ვთქვი მე. — ეს რა არის! ამან ისეთი რამ მოიგონა... — და ყველაფერი ვუამბე ოქროს თევზის შესახებ; ინას გადარჩენის ამბავშიც ოქროს თევზის როლი და ა.შ.

— გენიალური იდეაა! — თქვა ჯონმა. — მოდი, ჩვენც გავხსნათ ასეთი ბარი... ალბათ, აქაც დაგვიჯერებენ! გენიალური იდეაა! მე ეს გოგო მომწონს! შეიძლება, ვეცეკვო? მე მომიბრუნდა ჯონი.

„გოიმი“ ხომ არ ვიყავი — თავი დავუქნიე.

საცეკვაოდ გავიდნენ.

— კარგი ქენი, რომ მოხვედი. არ მოგენატრე? — ეს მითხრა და ტუჩები მომაგება... ამ კოცნამ სულ სხვა სიტყბო გამახსენა... გამოცდილი, ვნებიანი, სიბერის მოახლოებით შეშინებული, სექსს მონყურებული ქალის კოცნა იყო.

— სად გარბოდი, შე სულელიო? — მითხრა ინამ. — გყავდეს ორი ქალი, ვინ გიშლის?

ვერაფერი ვუთხარი. თვითონ დაასრულა:

— ეგეც არ დაგიშლის, — ხათუნაზე მიმანიშნა.

— ვითომ რატომ? — გამიკვირდა მე.

— ფსიქოლოგი ვარ! ესაა ჩემი იარაღი!

— შენ არაფერი წამოგცდეს, ეგ გოგო არ დამაკარგინო! — გავაფრთხილე ინა.

— შენ იცი, რას გეტყვი? მაგან გირჩია, ხომ, ჩვენთან შეხვედრა?

— კი. — ვალიარე მე — საიდან იცი?

— ჭკვიანია და იმიტომ. იცის თავის ფასი. სწორი ანალიზი გააკეთა მას შემდეგ, რაც შენ უამბე...

— შენ რა იცი, რა ვუამბე?

— თვალებით ვხვდები. ფხვნილის ამბავიც უამბე და მან ეს, შენგან განსხვავებით, არაფრად ჩააგდო და მოვიდა, შენ კი...

— მართალი ხარ! — დავეთანხმე ჩემდა მოულოდნელად.

ჯონი და ხათუნა დაბრუნდნენ.

— მე შეყვარებული ვარ! — გაიძახოდა ჯონი. — ეს რა გოგო გამაცანი!

— დაიგვიანე, ჯონ! — გაიცინა ინამ. — ეგ ოქროს თევზი უკვე სხვისია!

უხალისოდ, მაგრამ მეც გავიცინე.

— ნუ ჩამაგდებთ უხერხულ მდგომარეობაში, ჩვეულებრივი ქალი ვარ, — თქვა ხათუნამ.

— გენიალური იდეა მაქვს, — წამოიწყო ჯონიმ. — გავაკეთოთ, ფაბი სახელწოდებით „ოქროს თევზი“. მივანეროთ აკვარიუმზე ახსნა-განმარტება და ნიკამ დაუკრას თავისი სიმღერები!

— ფანტასტიკაა! — აღტაცება ვერ დამალა ხათუნამ.

— აბა, ქართველო, — ჩამჩურჩულა ინამ. — არ ჩაშალო ეს პროექტი, დაეთანხმე!

— თანახმა ვარ!

— რა იყო, რატომ ასე მოწყენილად? — გაუკვირდა ხათუნას.

— ეჭვიანობს, — ღიმილით უპასუხა ინამ.

— ვისზე? — გულუბრყვილოდ ვიკითხე მე.

— ოო, ეს ზოგადად მამაკაცური ეჭვია წარმატებული ქალის მიმართ...

ყველანი გაჩუმდნენ. მეც ვერაფერი ვთქვი: მართლაც არ გამიხარდა, რომ ხათუნას როლი ასე გაიზარდა და მე მხოლოდ მუსიკოსის როლი მერგო ამ დიდ პროექტში, არადა, ახლა რომ ვფიქრობ, უნდა გამხარებოდა: განა ხათუნას და ჩემი წარმატება ერთი არ იყო? მე მგონი, უფრო ის მაშინებდა — ჯონისგან რომ მოდიოდა ეს წინადადება!

- გილოცავ წარმატებას! — ნაზად ვაკოცე ხათუნას.
- შენ კი წამოსვლა არ გინდოდა.
- ჩვენ წავალთ, — ვუთხარი მე და წამოვდექი.
- მანქანა გიყიდიათ, — მოულოდნელად მითხრა ჯონიმ.
- ხათუნამ ცეკვისას მიაშპო. ხვალ ეგ ოთხი ათასი უკან დაგებრუნდება! ბარათზე დაგიჯდება!
- რატომ ნუხდებით? — ჩავიბრუტყუნე მე.
- ეს პროექტის დაწყების ავანსი იყოს! ხომ ჩაებმები პროექტში?
- რა თქმა უნდა! — ხელი ხელს დავურტყით. — ხათუნა და შენ — გვითხრა ჯონმა, — ხვალ ჩემს კომპანიონს უნდა შეგახვედროთ! — ინას კიდევ ერთხელ ვაკოცე, ხათუნასაც აკოცა ჯერ ინამ, მერე ჯონიმ და წამოვედით!
- აუ, რა გაასწორა... — წამოიყვირა ხათუნამ როგორც კი მანქანა დაძრა... — ჯიგარი ხარ, — ბექზე ხელი დამარტყა!
- შენ არ ეჭვიანობ? — თვალი თვალში გავუყარე ხათუნას.
- შენ? შენ ეჭვიანობ?
- არაფერი ვუთხარი. მივხვდი: მას ჩემი და ინას ურთიერთობა არ აღელვებდა! ინა მართალი გამოდგა: ესე იგი, უკვე ორი ქალი მყავდა. აქ, ლონდონში!
- იცი, რა იყო დღეს გადამწყვეტი? — ვიკითხე და იქვე პასუხი გავეცი ამ კითხვას — ის რომ, მე „მოკლე კაბა და მოკლე კაბა“ არ ვიმღერე და 20 ფუნტი არ ავიღე! აი, ამიტომ გავგეხსნა ახალი გზა!
- ამაზე არ მიფიქრია. მართალი ხარ! — მითხრა ხათუნამ.
- მერე ვილაც 100 ფუნტს გაჩუქებდა და ჩავრჩებოდი იმ სარდაფში ყოველ ღამე ხაჭაპურის და შეკვეთების მოლოდინში! ახლა კი... ახლა კი... გავაფრენ, ისეთი რამეები ინყება... არა, თქვი და აღიარე, ხომ მაგარი გამოგონებაა ოქროს თევზი?
- გენიოსი ხარ, — ვუთხარი ჩემს ანგელოზს. ამასობაში ბინაში შევედით, ლოგინისკენ მივიზიდე, — გენიოსი ხარ, მაგრამ... მერე — როცა გამდიდრდება — შეიძლება სულ მიმატოვო!
- ხელი მკრა.

— ეგეთ სისულელეებს თავი დაანებე. წადი და დაიძინე!  
დაღლილი ვარ!

— რა იყო? რა ვთქვი ასეთი?

— ძალიან მანყენინე... დაუკვირდი, რა მითხარი და მიხედები!

— კარგი რა, გეხუმრე...

— ძალიან მენყინა! არაფრის თავი აღარა მაქვს, დამაძინე!  
ცივად მოვშორდი.

— კარგი, — ვუთხარი. — წავალ! — კარი გამოვიხურე. არსადაც არ წავსულვარ. ქუჩაში ვიარე გულმოსულმა. „ხედავ ქალბატონს, რა წყენია გახდა?“ „რამდენჯერ მსმენია ასეთ რამეებზე, ნუთუ ხათუნაც ასეთია?“ „ან ის რატომ არ გააპროტესტა, მივდივარ-მეთქი, რომ ვუთხარი“. ასეთ ფიქრებში მთელ კვარტალს სამჯერ დავარტყი წრე და უკან დავბრუნდი. ხათუნას უკვე ეძინა. მე კომპიუტერს მივუჯექი... საინტერესო ამბებში შევედი: „ინგლისში XII საუკუნიდან დაწესებულია სპეციალური პრიზი იმ მამაკაცებისთვის, რომელნიც ქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში არ იჩხუბებენ ცოლთან. ამ დროიდან მოყოლებული, მხოლოდ რვა მამაკაცი დაჯილდოვდა ამ პრიზით“. „საუკუნეზე თითო მამაკაცი მოდის“ — გავიფიქრე. „როგორც ჩანს, მეც ამცდება ეს პრიზი!“ „ფეისბუქში“ შევედი, ხათუნას მივწერე: „გვერდით წევხარ და ძალიან მენატრები“. მერე ძალიან ევროპულად მომეჩვენა ეს სენტიმენტი და დაწერილი წავშალე. კიდევ სადღაც-სადღაც შევედ-გამოვედი და მთქნარებაც ამიტყდა. იქვე, ტახტზე ტანსაცმლიანად ჩამძინებია...



მამაჩემმა ეზოში ველოსიპედი შემოიტანა.

— სიზმარში ველოსიპედი მიყიდეო, მთხოვდი. აჰა, შენ ეს ჩემგან.

სასწაული ის იყო, რომ მეც მესიზმრა — მამას ველოსიპედს ვთხოვდი...

— რომ გავიზრდები, მანქანას გიყიდი, — ვუთხარი გახარებულმა და კისერზე „ჩამოვეკიდე“.

— აბა, შენ იცი!

უცებ სადღაც სხვა მხარეში აღმოვჩნდი:

უფალი ქადაგებდა, ხოლო მოციქულები სულგანაბულები უსმენდნენ:

— მოითხოვეთ და მოგეცემათ!

ერთ არაკს გიამბობთ: ერთ კაცს ღამის სტუმარი ენვია, მაგრამ მასპინძელს პური არ ჰქონდა, გადავიდა მეზობელთან და პური მოსთხოვა. მეზობელმა თავი მოიმიძინარა, იფიქრა — ხმას რომ არ გავცემ, მომეშვებაო. მაგრამ ამ კაცმა, ვისაც სხვა გზა არ ჰქონდა, გააგრძელა პურის მოთხოვნა და იმის ახსნა, რომ სტუმარი ენვია და პური სჭირდებოდა. უსმინა, უსმინა მეზობელმა და მიხვდა, ეს კაცი არ გაჩერდებოდა, ამიტომ გადანყვიტა, პური მიეცა და ამის შემდეგ დაეძინა მშვიდად. ასეც მოიქცა და მეზობელმა აღარ შეაწუხა. მაშ, მოითხოვეთ მთელი გულით და მოგეცემათ...

მამაჩემი გამოჩნდა სადღაციდან და მთელი გულით მთხოვა:

— შვილო, ძალიან გვიჭირს, თუ საშუალება გაქვს, დაგვეხმარე!

მე ცრემლები მომერია, უცებ მამა დაპატარავდა და მე გავხდი დიდი და ჭალარა:

— კარგი, მამა, რადგან გულით მთხოვ, ხვალვე გიყიდი რამეს...

უფალი კი აგრძელებდა სწავლებას:

— ბავშვის უბინობა და ბავშვური გულუბრყვილობა შეინარჩუნეთ მუდამ. გახსოვდეთ — რაც უნდა დიდ ქონებას დაეპატრონოთ, რაც უნდა განდიდდეთ — თქვენ ჩემს ბავშვებად რჩებით. ნუ დათმობთ ბავშვობას, ეს არის ამქვეყნიური სამოთხის ფაზა, როცა გულით გიხარიათ, როცა გულით გწყინთ, როცა უყვარხართ და როცა გიყვართ. ნუ მიიკარებთ ამა ქვეყნის ბინიერებას, დარჩით ბავშვებოვით მიამიტნი!

მე უკვე დიდი ვიყავი, მამაჩემი კი ბავშვად დარჩა... ტირილი დავინწყე... არ ვიცი, რას ვტიროდი, ალბათ, ჩემს დაკარგულ ბავშვობას!



დილით ხათუნასთვის სიტყვა არ მითქვამს, ისე გამოვედი გარეთ. ფეხით ჩავიარე ქუჩა და „ქემ მეშინთან“ მივედი, ოთხი ათასი ფუნტი მოვხსენი და ბანკისკენ გავემართე — მამაჩემს გავუგზავნე ეს ფული. მერე სახლის ნომერი ავკრიფე. დედამ აიღო ყურმილი:

— როგორა ხარ, შვილო? — გახარებული იყო ჩემი ხმის გაგონებით. მეც რალაცნაირად მესიამოვნა მისი სიხარული.

— კარგად. დედა! ყველაფერი ისე კარგად მიდის, მეშინია, ვინმემ არ გამთვალოს!

— სულ ვლოცულობ შენზე!

— მამა დამალაპარაკე.

— ჰო, როგორა ხარ, ბიჭო? — ვითომ არაფერი, ისე მკითხა მამამ.

— გუშინ სიზმარში გნახე, — ვუთხარი საპასუხოდ.

სიჩუმე. არაფერი მითხრა.

— გახსოვს, ველოსიპედი რომ მიყიდე?

— მახსოვს...

— მე რომ შეგპირდი, მანქანას გიყიდი-მეთქი, გახსოვს?

— მახსოვს.

— ჰოდა, ოთხი ათას ფუნტს გიგზავნი, იყიდე მანქანა. კოდი ჩაინერე!

სიჩუმე. დედაჩემი დამელაპარაკა.

— რად გვინდა, შვილო, მანქანა. შენ იყავი ოღონდ კარგად, ჩვენ არაფერი გვიჭირს!

— ნუ მაბრაზებთ ახლა! კოდი ჩაინერეთ! — ცრემლები მომერია, — კოდი ჩაინერეთ! ფული უკვე მანდ არის!

კოდი ვუკარნახე და კავშირი გავწყვიტე. ჯიბეებში ხელეები ჩავიწყე და პატარა ბიჭივით შევხტი რამდენჯერმე! გარეთ ცრიდა, ციოდა, მაგრამ მე, როგორც პატარა ბავშვს, არაფრად მიმაჩნდა ეს...

სახლში დავბრუნდი. ხათუნა წასასვლელად მზად დამხვდა. არაფერი მითქვამს — თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ჯონს

დავურეკე და დათქმული ადგილისკენ გავემართეთ. არც ხათუნა იღებდა ხმას, ისე მიჰყავდა მანქანა. დილის „საცობი“ ამ თოვალში ყველაზე ძნელი მოსანელებელი რამ არის, ამიტომ რადიოს არხებს ვცვლიდი წამდაუნუნებულად. როგორც იქნა, მივალწიეთ ჯონის ოფისამდე.

მხიარული განწყობით დაგვხვდა მე და ხათუნას, თავისი კომპანიონი გაგვაცნო, მაიკლი. მაიკლიც 60-ს მიღწეული მამაკაცი ჩანდა — მწითური. ისე, მწითურებს ასაკი არ ეტყობათ. ვილაცამ მასწავლა — მწითურ კაცს რომ ნახავ, ერთ ადგილას ხელი უნდა მოისვაო, მაგრამ ახლა ამას ხომ ვერ გავაკეთებდი! ავდექი და ამის სანაცვლოდ მაიკლს გულმხრუვალედ ჩამოვართვი ხელი! მაიკლმა გვითხრა, რომ თითქმის ყველაფერი უკვე იცოდა ჯონისგან, თუმცა მაინც აინტერესებდა ოქროს თევზის იდეის გენეზისი. ხათუნამ დაწვრილებით უამბო, თუ როგორ დაინიშნა „მარკო პოლოს“ მენეჯერად, როგორ მოენონა აკვარიუმი და, ვინაიდან ეძებდა სამარკეტინგოდ ორიგინალურ იდეას, გაახსენდა ოქროს თევზის ზღაპარი! შემდეგ ისიც უთხრა, როგორ გაიზარდა კლიენტთა რიცხვი.

— ხედავ, რა ხალხი მოგიყვანე? — გაიცინა ჯონმა. — საქართველოდან, ვაჟა-ფშაველას ქვეყნიდან. იქ ხომ ხეებიც ლაპარაკობენ!

— საინტერესოა, — თქვა მაიკლმა და ყავა მოსვა.

— ძალიან საინტერესოა!

— მისტიკა ძალიან მოქმედებს ადამიანზე. ჩვენ ეს ისტორია უნდა გავაპიაროთ... მანამ კი იდეას — დავაპატენტებთ, ფაბის ან რესტორნის ოქროს თევზთან დაკავშირების იდეას. ამის შემდეგ... იცით, რაშია საქმე? თუ თქვენთან ოქროს თევზმა იმუშავა, აქაც უნდა ავამუშაოთ! ლეგენდების, ჯადოქრების, უძველესი ქვეყნის სასწაული! ოქროს თევზი საქართველოდან!

— ამერიკის ჯორჯია არ ეგონოთ! — ჩავერიე მე.

— შეიძლება, კავკასია მივანეროთ, ეგ არ არის ახლა მთავარი. მთავარია წინასწარი რეკლამა, პრესით და ტელევიზიით, რომ სადღაც თბილისში არსებობს ასეთი თევზი და

მოყევით, რაც მოხდა. მორჩა! ხალხს მეტი არაფერი უნდა! —  
ჯონს გადახედა:

— ამოდენა ლონდონში არავის მოსვლია ასეთი რამ თავში!

— ოქროს თევზი უნდა ჩამოვიყვანოთ? — გაუკვირდა ხათუნას.

— არა, არა! — გაიღიმა მაიკლმა. — თევზის მეტი რა არის აქ!

— მაგრამ ჩვენ არ გვყავდა ასეთი მშვენიერი ქართველები!  
ჯიშინი ხალხია, არა, მაიკლ?

ჯონის ამ სიტყვების შემდეგ რალაც ექსპონატად ვიგრძენი თავი.

— ხათუნა ნამდვილი კინოვარსკვლავია, ეს ბიჭი კი როკვარსკვლავი.

კინალამ ვუთხარი — აი, ეგ მინდა სწორედ, ბატონო ჩემომეთქი, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე.

ხათუნას ძალიან ესიამოვნა კომპლიმენტი, თვალი ჩამიკრა. „მართლაც იღბლიანი ვინმეა!“ გავიფიქრე მასზე. ყავა დავლიეთ და გეგმა დავსახეთ: 1. უნდა დაგვეპატენტებინა პროექტი. 2. გვეპოვნა შესაფერისი ნაგებობა. სულ სხვა ხალხი გამოვედით ჯონის ოფისიდან: სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ ორს ფრთები გამოგვსხმოდა, თუმცა ამას ჩვენს გარდა ვერავინ ამჩნევდა! ხათუნას თვალებზე თოვლის ფიფქები აღნებოდა, მეც ნაზად ვაკოცე! სწორედ ზღვისფერ თვალებში. თითქოს ყველაფრისთვის მადლობას ზეციერს ვუხდით, რომელსაც ხათუნას თვალებში დაებუდებინა იმ წამს... მანქანაში ჩავსხედით.

— მოდი, არ გადავდოთ ეს საქმე, დავინყოთ შესაფერისი სათავსოს ძებნა! — შევთავაზე ჯადოქალს.

— მართალი ხარ! ბენზინი გვაქვს, ფულიც. რაც მთავარია, გვაქვს მიზანი! — თქვა და მანქანა ლონდონის ქუჩებზე მიუშვა... საკმაოდ ბევრი ადგილი ვნახეთ, მაგრამ ზუსტად ისე, როგორც ზღაპრებში ხდება, სახლში წასვლის წინ პატარა ორსართულიანი სახლი შევამჩნიეთ, რომლის წარწერაც იტყობინებოდა: „ქირავდება ან იყიდება!“ ტელეფონის ნომერიც იქვე იყო მითითებული. მეპატრონე ქალი აღმოჩნდა, იქვე იმყოფებოდა და ჩვენთან შეხვედრაზე თანხმობა განგვიცხადა.



სახლი არაჩვეულებრივად ლამაზი იყო. დაბლა — დიდი დარბაზი, მაღლა — საძინებლები.

— აქ ოფისს გავაკეთებთ, დაბლა კი სტუმრებს მივიღებთ, — თქვა ხათუნამ.

— ხვალ კომპანიონებთან ერთად მოვალთ და ფასზე შევთანხმდეთ, — დავასკვნენით საბოლოოდ.

მეპატრონეს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა:

— ყველანაირად ხელს შეგიწყობთ, უბრალოდ — მომეწონეთ!

მერე „მაკდონალდში“ ვისადილეთ, მრავალი არაბი და თურქი ვნახეთ. შავტუხა ბავშვები გემრიელად ილუკმებოდნენ.

— ჩვენ მალე სხვა რესტორანში ვისადილებთ, — სიცილით მითხრა ხათუნამ.

— შენს პირს შაქარი!

— შაქარი მავნებელია! ეგ ძველი გამოთქმაა, უკეთესი მოიფიქრე რამე!

— მაშინ... ჩემი კოცნა! — „გამოვიცანი“ და ნაზად ვაკოცე...

— აი, ეს ჯობია!

დავნაყრდით თუ არა, ფროიდის აღმოჩენილი მექანიზმი ამუშავდა და ნუხანდელი „ჩავარდნის“ გამოსასწორებლად სახლისკენ გავეშურეთ...

●

თემომ დარეკა:

— შემოდი სკაიპში!

— ახლავე! — კომპიუტერს მივუჯექი. ვიდეოთვალი და მიკროფონი კარგად მოვირგე და თემოსთან საუბარი გავაბი:

— ჰაი!

— ჰაი! როგორა ხარ? რა ხდება თქვენსკენ?

— ყველაფერი ნორმაშია! გუშინ მამაჩემს მანქანის ფული გამოვუგზავნე, შენ და დათომ აყიდინეთ რამე ნორმალური.

— ჯიგარი ხარ. გავიყვანთ ბაზრობაზე და, შენ რომ გაგიხარდება, ისეთ მანქანას ავურჩევთ... კლიპი დავამთავრეთ!

— ვაა, აი, ეს არის საქმე! ყოჩაღ, ბიჭებო! აბა, გადმომიგდე! ჰო, მოდის უკვე, რამდენიმე წუთში ვნახავ... აქ საოცრებები ხდება... ოქროს თევზის ამბები მოვუყევით ჩვენს აქაურ მეგობრებს და რესტორანს ვხსნით ამ იდეით... „ოქროს თევზი საქართველოდან“.

— ბიჭო, თქვენ აღარ ხუმრობთ, ხომ იცი... მერე? მერე რას აპირებთ?

— ხათუნა მენეჯერი და „სახე“ იქნება, მე კი — შოუმენი, ჩამოგიყვანთ სამივეს! ჩვენთან დაუკრავთ!

— თანაც კლიპი გვაქვს უკვე! მოკლედ, ეგ თევზი რომ მოკვდეს, დავიღუპებით!

მინდოდა, მეტქვა, ეგ ზღაპარია-მეტქი, მაგრამ ისევ იმ მოსაზრებით გავჩუმდი, როგორც მაშინ, ავტობუსში რომ ვისხედით. გაუშვი, სჯეროდეს!

— თემო, როგორი ამინდებია თქვენთან?

თემომ ცოტა ხნისშემდეგ ასე მიპასუხა:

— ნიკა! აქ რომ იყავი, კომპიუტერში სულ ლონდონი გქონდა და ლაივში ჩართული და მანდ თბილისს ვერ ჩართავ?

— მეშინია, — გამოვუტყდიმე. — მეშინია, უცებ ყველაფერი არ მივატოვო და არ გამოვიქცე... ამიტომ არც მიცდია... ახლა ეს ჩვენთვის, — ყველასთვის, დამლუპველი იქნება. აქ უკვე — ასე მოკლე დროში — გზას ვიკვლევთ, მალე თქვენც ჩამოგიყვანთ... ან მარტო შენ...

— ჰოო... ეგ არ ვიცი, როგორ იქნება... მაგრა გაგვლანძლავენ... ბიჭებს შენი იმედი აქვთ... ცოდოები იქნებიან, თუ მოვტეხავთ...

— კარგი, კარგი... მართალი ხარ! აი, მოვიდა უკვე კლიპი! ვნახავ და დაგიკავშირდები!

კლიპი იყო გადასარევად კარგი. უჩვეულო და ორიგინალური კადრების მთელი კასკადი. ყველაფერი გამახსენდა: ჩვენი ჩასვლა, ის ქალი, ზვიგენმა რომ დაგლიჯა, ინა, პირამიდები... პირამიდებთან რალაც ხმები რომ მომესმა... ალ გებრა, ალ ქიმია, ალ... ყველაფერი, რაც იქ მოხდა. არ ვიცი, სხვას როგორ, მაგრამ მე ძალიან მომეწონა ეს ნამუშევარი! ინა,

უბრალოდ, არაჩვეულებრივი იყო! უცებ მომინდა, ინას ენახა ყველაფერი. მობილურით დავუკავშირდი:

— ინა, კლიპი მზადაა და შენ სუპერვარსკვლავი ხარ!

— გამომიგზავნე მეილით ან სკაიპით, სულერთია!

გავუგზავნე.

ისევ თემოს დავუბრუნდი.

— ბიჭო, ჯერ ნესიერად აკლიმატიზაციაც არ გამივლია და რამდენი რამე მოხდა... არ ფიქრობ ამაზე?

— ხათუნაც რა მაგრად გაიჩითა ლონდონში? — შემახსენა მეგობარმა. — საერთოდ, მომიყევი რა ყველაფერი.

ვუამბე, როგორ დავუკარი „მიმინოში“, მისი გამოგზავნილი ტექსტი როგორ გამომადგა, მერე ის ოცფუნტიანი შეკვეთაც გავიხსენე!

— ესე იგი, მაქაც ფანოლურს ითხოვენ? — გაიცინა თემომ.

— სავსეა პროვინციელი ქართველებით ლონდონი.

— ბედს ეძებს ხალხი, ძმაო, ბედს... თანაც სამუშაოს!

— თბილისშიც მაგიტომ არ ჩამოდიან? მაგრამ ზოგი, ხომ ხედავ, თბილისის გაუვლელად პირდაპირ ლონდონში მოდის!

— ჭკვიანურია! მერე ჩამოვა აქ და იბლატავებს. ქართველებს, ხომ იცი, როგორ გვიყვარს უცხოეთმოვლილები.

— სულ ეგ არ მაკვირვებს? რატომ? — გულწრფელად დავინტერესდი ამით.

— იმიტომ, რომ „არ არიან წინასწარმეტყველნი საკუთარ სამშობლოში“. შენც მაგ ინას და ჯონს მაგიტომ მოსწონხარ...

— და ხათუნა... — ჩავილაპარაკე ჩაფიქრებულმა. — ესე იგი, ერთი სისტემა მუშაობს?

— ჰო, ყველგან და ყველასთვის ერთი სისტემაა: „არ არიან წინასწარმეტყველნი საკუთარ სამშობლოში!“ ამიტომაც გასტროლი ყველა არტისტისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარ ქალაქში გამოსვლა. სტალინი გორში რომ დარჩენილიყო, ერთი ჩვეულებრივი სემინარიადამთავრებული პოეტი იქნებოდა... ნაპოლეონიც...

— მე და შენ ერთნაირად ვფიქრობთ... ჰოდა, მივანვები ამ საქმეს ბოლომდე. სახლში ჯდომით რას მივაღწიე რო?

ამ დროს ინამ დამირეკა:

— ეს გენიალურია! ჯონის ვაჩვენე და შენთან ლაპარაკი უნდა!  
ჯონი ჩაერთო:

— ძალიან კარგია! მუსიკაც, ვიდეოც, ინაც გადასარეგია.  
გამოაგზავნინე ორიგინალი და შევუდგეთ საქმეს!

უცებ რესტორანმა „ოქროს თევზმა“ მეორე პლანზე გადაიწია!

— თემო, გაიგე, რა მითხრა?

— ვინ?

— ჯონი მელაპარაკა ახლა, ინას ქმარი, და ასე მითხრა, გენიალურია და ორიგინალი გამოაგზავნინეო!

— ხვალვე გავიგებ, ვინ მოდის, როდის და მოგანვდი.  
მოკლედ, დავძარით საქმე, არა?

— ჰო, კოტეს ფული ხომ გადაუხადეთ? ჩემი წილი მოვა, იცოდე!

— კარგი, რა... ბიჭი ისედაც კმაყოფილი დარჩა... აქ კლიბი უკვე დაატრიალეს და ინტერვიუც მისცა... ფულიც მივეცი, რა თქმა უნდა...

— კარგი, ჩემზე იყოს პატივისცემა... — ჩავილაპარაკე მე.

— ხათუნა მაგარი გოგოა? — მკითხა მოულოდნელად თემომ.

— ყველას მოსწონს! ცოტა მეშინია, არ წამართვან, —  
ნალვლიანად წარმოვთქვი ეს წინადადება...

— ეე... ეჭვიანობა დაგინყია, ძმაო! აბა, ეგეთები არ იყოს!

— ხომ იცი, ლამაზ ქალს ყოველთვის მეტი პერსპექტივა აქვს...

— რას იზამ, ძმაო, კონკურენციაა... ამიტომ ჭკვიანად და  
ღირსეულად გეჭიროს თავი! აბა, შენ იცი, ნავედი ახლა!

თემო კავშირიდან გავიდა...

მიუხედავად იმისა, რომ ამდენი კარგი ამბავი გადამხდა თავს,  
გულს რაღაც ამოუცნობი, იღუმალი ნალველი შემომანვა...



შემდეგი კვირა ძალზედ დატვირთული გვექონდა: გავა-  
ფორმეთ კონტრაქტი სახლის მეპატრონესთან, დავაპატ-  
ენტეთ ბიზნესგეგმა „ოქროს თევზი“ და მივედით... რინგო  
სთართან! მივედით, მაგრამ... უცებ გეგმები შეეცვალა და

მომავალი კვირისთვის გადაგვიდო შეხვედრა, სამაგიეროდ, მოგვცა ტელეფონის ნომერი და რეკომენდაცია გაგვინია ჯორჯ მარტინთან!

— ეს ვარიანტი ყველაფერს სჯობს, — მითხრა ჯონმა — ამ კაცთან მოხვედრაზე ვერც კი ოცნებობენ!

ორშაბათს მე, ხათუნა, ჯონი და ინა კერძო სტუდიაში ვესტუმრეთ ამ ლეგენდარულ ადამიანს...

მისაღებში საკმაოდ მაღალი, ხმელი, ვერცხლისფერთმიანი ხნიერი მამაკაცი შემოგვეგება...

— მობრძანდით, რინგო მელაპარაკა თქვენზე... მან მოგისმინათ?

— არა, ვერ მოიცალა... ისე მენდო, ძველი მეგობრები ვართ!

— თქვენ რას საქმიანობთ? — ჰკითხა ჯორჯმა ჯონს.

ჩვენს საელჩოში ვარ ეგვიპტეში. თან ბიზნესიც მაქვს — გადაზიდვები, შეთავაზებები... ძველი დრამერი ვარ...

— მოკლედ, თუ მომეწონა, ორიოდე ფუნტის ჩადება შეგიძლიათ, არა?

— გააჩნია, რამდენის, — უპასუხა ინამ.

კლიპი დიდ ეკრანზე ვნახეთ. მე ახლა უფრო მომეწონა — ასეთ ფართო ეკრანზე რომ ვნახე. ჯორჯმა თმებზე ხელი გადაისვა, მე მომმართა:

— შენ დანერე ეს სიმღერა?

— ერთად ბიჭებმა, ძირითადად კი მე.

— არანაირებაა უკეთ გასაკეთებელი, ხმოვანებაც... იდეალურამდე ძალიან შორსაა... აქუნდა ჩაწეროთ. ალბათ, მუსიკოსებიც უკეთესი უნდა ავიყვანოთ... — ჯონიმ მე შემომხედა.

— რას იტყვი?

— იცი, რა? მუსიკოსების შეცვლა მეც მინდა, მაგრამ, ალბათ, შეუძლებელი იქნება — ბიჭებს ეწყინებათ.

ჯორჯმა თავისი ცისფერი თვალები მომაპყრო:

— მე ბესტი ულაპარაკოდ შევცვალე რინგო სთარით. მაგათაც ლანძღავდნენ ლივერპულში, მაგრამ საქმემ ასე მოითხოვა და გამარჯვებულები დარჩნენ!

— ესე იგი... — წამოვიწყე მე — ვილაცის განირვის და გულისტკენის გარეშე... არაფერი გამოდის?

— თითქმის არაფერი, — მიპასუხა რეალობასავით ცივი ხმით. — დანარჩენი მერე ვილაპარაკოთ!

„ნეტავ, არ მოვსულიყავი“.

...პიტ ბესტი სიმპათიური ბიჭი იყო. დედამისს კლუბი ჰქონდა და ლივერპულში. მომავალ „ბითლზებს“ რომ დაუმეგობრდა, რა თქმა უნდა, დედამისმა კლუბი შესთავაზა სარეპეტიციოდ. თვითონ დრამერი იყო, უკრავდნენ, მღეროდნენ, ეს კლუბი კი ყველა მათგანის გახდა! პიტის დედა მზრუნველობას არ აკლებდა ბიჭებს. ყველგან ერთად იყვნენ: ჰამბურგშიც კი. ძალიან პოპულარული იყო პიტი ლივერპულელ ფანებს შორის. „ბითლზმა“ მასთან ერთად დაიწყო აღმასვლა. და აი, ბრაიან ებშტაინმა, საოცრად წესიერმა კაცმა, რომელმაც ოთხეულს პირველი კონტრაქტი გაუფორმა, ლონდონში წაიყვანა ბიჭები — ხმის ჩამწერ სტუდიაში.

ბრაიანს იქ თავისი ნაცნობი რედაქტორი ელოდა, რომელიც როკ და პოპ მუსიკის განყოფილებას კურირებდა. რატომღაც იმ დღეს მას სხვა საქმე გამოუჩნდა და კლასიკური მუსიკის განყოფილების სპეციალისტ ჯორჯ მარტინს სთხოვა, მოესმინა პროვინციიდან ჩამოსული ბიჭებისთვის. ჯორჯიც უხალისოდ დათანხმდა. თუმცა მას საერთოდ არ აინტერესებდა როკ-ჯგუფები, მაინც ყურადღებით მოისმინა მათი სიმღერები და თქვა:

— თუ გნებავთ, რომ ჩაწერებმა ნორმალურად ჩაიაროს, პიტ ბესტი სხვა დრამერით შეცვალეთ. მას არასაკმარისი რიტმის გრძნობა აქვს! და არავითარი არგუმენტი არ მიიღო. მტკიცედ და ურყევად ბრძანა: „სხვა!“.

ბიჭები წავიდნენ და ლონდონში სხვა ჯგუფში მოღვაწე რინგო იპოვეს, რომელიც ადრე ჰამბურგში გაიცნეს. რინგო მათზე გამოცდილი და ასაკითაც ოდნავ უფროსი იყო. მოუსმინა ჯორჯ მარტინმა რინგოს და თქვა: „აი, ეს ჩაწერს ნორმალურად“. ასე მოუწიათ, გაეწირათ ის მეგობარი, რომლის

შემწეობითაც გადადგეს პირველი ნაბიჯები... პიტმა ამ ოცი წლის წინათ მხილებებით და საყვედურებით სავსე წიგნი გამოსცა „მეხუთე „ბითლზებიდან“. აი, ასე! ნუთუ იგივე უნდა გავაკეთო? განა სინდისზე გადაბიჯების გარეშე არ არსებობს წარმატება? მაინცდამაინც მეგობარს უნდა ეტკინოს გული?..

საკმაოდ დადარდიანებული წამოვედი იქიდან.

— ნეტავ, არ მენახა, — ვუთხარი ჯონს.

— არა უშავს, ცხოვრება ბრძოლაა. ჯობს, ამან გითხრას, ვიდრე სხვამ, იმიტომ, რომ იშრომებ და შენსას მაინც მიაღწევ!

— ეგ მართალია! — თქვა ხათუნამ. — მაგრამ ამ ეტაპზე რესტორანს მივხედოთ და ფული რომ გვექნება...

ინა დაეთანხმა:

— ორ ფრონტზე ბრძოლა გაგვიჭირდება, ხათუნა მართალია...

უცებ შევჩერდი:

— კი მაგრამ... თქვენ ხომ ყველაფერი გაქვთ? რაში გჭირდებათ ეს „ოქროს თევზი?“

ერთმანეთს გადახედეს... სიჩუმე ინამ დაარღვია:

— პრინციპში, თქვენ გვინდა დაგეხმაროთ, ჩემს გამოხედვაში უმაღლეს ნაიკითხა აგრესიული ნოტები და აზრი სხვა მიმართულებით განავითარა: — თანაც, რამდენიც არ უნდა გვექონდეს, ჩვენ არ ვჩერდებით! ვეძებთ ახალ-ახალ იდეებს, გაჩერება სიკვდილის ტოლფასია!

— ანუ, — დამცინავად ვთქვი მე. — „ოქროს თევზი“ მდიდრებსაც გჭირდებათ?

— ჰო... — მიპასუხა ჯონმა. — ბოლოს და ბოლოს სიცოცხლეს სხვა აზრიც უნდა ჰქონდეს. ასე არ არის, მეგობარო?

უცებ მოვლბი! რა ძლიერ მოქმედებს ყველა ადამიანზე სიტყვა „მეგობარო“. „მაუგლი“ გამახსენდა, მგელს რომ ეუბნება: „ჩვენ ერთი სისხლის ვართ!“

— ჰო, ჯონ, მაპატიე... ბოლოს და ბოლოს, მადლობის მეტი რა მეტქმის...

ჯონი მოვიდა და მხარზე დამადო ხელი...

„ჩვენ ერთი სისხლის ვართ!“

გარეთ რომ გამოვედით, ინამ ჩამჩურჩულა:

— მომენატრე, ხვალ „ჩვენს“ ბინაში გელი, 5 საათზე.

უარის თქმა მინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი, ჯონთან ერთად უკვე მანქანაში ჯდებოდა! „რატომ უნდა ვლალატობდე ხათუნას? ან ამ კაცს, სიკეთით სავსე ჯონს? ამის გარეშე არ შეიძლება?“.

ხათუნა დაემშვიდობა ლონდონურ წყვილს და მანქანაში ჩაჯდა.

— არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება!

— შენ გესმის, საერთოდ, რა ხდება? — ნავულრინე მე.

— მესმის, მაგრამ ორ საქმეს ერთად აქ, ემიგრაციაში ვერ მოვერევი! ეგეც გაიგე! — ისიც გამოვიდა ჩვეული საუბრის ტონალობიდან.

— გააჩერე მანქანა!

ხათუნამ დაამუხრუჭა.

— ფეხით გავივლი! არავისთან არ მინდა ლაპარაკი!

— ნიკა, დაჯექი! ეს რა საქციელია? მე რა დაგიშავე?

— წავედი, არავის დანახვა არ მინდა. მერე მოვალ!

კიდევ მითხრა რალაც, მაგრამ მე გადაწყვეტილება აღარ შევცვალე, ავდექი და ქუჩის მეორე მხარეს გადავედი, მერე სკვერი გადავჭერი და პარკში შევედი. საზიზლარი თოვლჭყაპი ჩემს განწყობას აღწერდა თითქოს...

„ეს რა ხდება ჩემს თავს?“ ვფიქრობდი გულმოსული, გაბუტული თბილისელი ბიჭი, რომელიც ლამის ლონდონის გამვლელებს საერთოდ არ აინტერესებდათ... „ყველას თავისი თავი გაჭირვებია“ გამახსენდა ბავშვობაში გაგონილი შეგონება. „აჰა! „გაგონებაც“ და „შეგონებაც“ „გონებიდან“ მოდის! ესე იგი, მეც გონებას უნდა მოვუხმო!“

მრავალი ვარიანტის გათვლის შემდეგ არჩევანი მარკზე შევაჩერე. „წავალ ლივერპულში, იქიდან სხვანაირად გადმოვხედავ ჩემს ცხოვრებას, ამ სიტუაციას“. არადა, ხომ შეიძლებოდა ყველაფერი უფრო მარტივად ყოფილიყო! ვთქვათ, ჯონი არ ყოფილიყო ინას ქმარი... ან ფხვნილი არ გადმოგვეტანა საზღვარზე... ან ხათუნა ასე არ მოსწონებოდა ორივეს, ან...



„ან — არაფერიც არ იქნებოდა! შენ რომ გინდა, ისე არ ხდებ-  
 ბა, ტყუილად არავინ არაფერს მოგცემს!“ გამოვუტყედი ჩემს  
 თავს. „ქემ მეშინთან“ მივედი, ბარათი ჩავდე და ანგარიში  
 შევამონმე: შეპირებული 4 ათასი ფუნტი უკვე ჩემს ბარა-  
 თზე იდო! „მაგარი კაცია ჯონი!“ ამაში ეჭვი არც მეპარებო-  
 და, მაგრამ ასეთი სიტყვის კაცობა ნამდვილად გამიკვირდა!  
 „სად მიდიხარ?“ ვკითხე ჩემს თავს „კაპიკებზე უნდა დაუკრა  
 ფაბში? ყველაფერს ტოვებ და მიდიხარ?“ ჩემი სულის ამაყი  
 ნაწილი კი ჩემი ნიჭით გზის გაკაფვას მირჩევდა: „მსმენელის  
 სიყვარული შენით უნდა მოიპოვო, ბედნიერებას მხოლოდ მა-  
 შინ შეიგრძნობ“. შინ დაბრუნება არ მინდოდა, ავდექი და ლა-  
 მის კლუბში ჩავედი. ჩასასვლელში რაღაც ჟურნალში ხელი  
 მომანერინეს. არ მინდოდა, მაგრამ სხვებმაც რომ მოანერეს,  
 მეც გავბედე. ჩავედი დაბლა, ნახევრად განათებულ დარბა-  
 ზში. მაგიდას მივუჯექი და სცენას გავხედე — ორი მშვენიერი  
 შიშველი გოგო ლითონის შვეულის ირგვლივ ცეკვავდა. შემ-  
 ნიშნეს თუ არა, ჩემკენ „მოხობდნენ“ და ისეთი ვნებიანი მოძ-  
 რაობები დაიწყეს, რომელთაც ცეკვის ილეთებთან არავითარი  
 საერთო არ ჰქონდათ... ჯიბე მოვიჩხრიკე, ოცფუნტიანი ამო-  
 მყვა ხელთ, ავიღე და წელზე შემორტყმულ თოკში „გავურჭე“  
 უფრო ლამაზს, თან თვალთ მისი სხეული „შემოვიარე“. ნახ-  
 ევრად გახდილი ოფიციალტი მომიახლოვდა. ვისკი შევუკვეთე,  
 100 გრამი — ყინულით. „აის“ ყინულია! არადა, ქართულად  
 განთიადს, გათენებას, აისს, გაგონებს ეს „ცივი“ სიტყვა. გვერ-  
 დით ვილაცები საკმაოდ ხმამაღლა იცინოდნენ... თვალები შე-  
 საბამის რეჟიმზე „გადავანყვე“ და ქართული სახეები გავარ-  
 ჩიე... მერე სმენა გადავრთე იმ სიხშირეზე, რომელზეც ისინი  
 მაუნყებლობდნენ და ჩვენებური სიტყვებიც მომესმა:

— აუ, რას გავჟიშავდი, ბიჭო, მარცხენას? — ამბობდა  
 ერთი, კეხიანი ცხვირი რომ ჰქონდა.

— მეორეს დეინუნებდი, ხო? — ხითხითებდა მეორე.

— ბაბუა გიცხონდა, სულ ასეთ ქალებში სიარულმა მოკლა!

— მაი არ ვიცი და ახლა გააცოცხლა ბაბუაჩემი და თავისი  
 თვალთ ანახა, სადაა გაჩითული მისი შვილიშვილი? — ოც-

ნებებში წავიდა კეხიანცხვირიანი, რომელსაც ყელზე ბაფთა ეკეთა. ეს ძალიან გამიკვირდა — ზოგადად, ბაფთით ყელ-დამშვენებული ხალხი ასეთი აქცენტით არ საუბრობს! ვერ მოვითმინე და ჩემი ვისკით მათ მივუახლოვდი:

— ქართველები ხართ? — ვკითხე ღიმილმორეულმა.

— კი, ძმაო, ქართველები ვართ, ჩამოჯექი. — მითხრეს თითქმის ერთხმად. ჩამოვჯექი.

— რა გქვია, ძმაო? — მკითხა ბაფთიანმა.

— ნიკა.

— მე დათო ვარ, ეს კახა.

— სასიამოვნოა. აქ რას საქმიანობთ? — დავინტერესდი.

— ბიზნსემენები ვართ... შენ?

— მე მუსიკოსი ვარ! კარიერა მინდა გავიკეთო!

— ოო, ეგ ძნელია... მარა უნდა ეცადო... აბა, ჩვენს გაც-ნობას გაუმარჯოს...

დავლიეთ, ხან მთისა ვთქვით, ხან ბარისა.

— კაზინოში არ წვედიეთ? — უთხრა კახამ დათოს

— აბა რაი? მილიონი არ მევიგოთ? — გაუცინა საკმაოდ შემთვრალმა დათომ.

— ეს მილიარდელია! — ჩამილაპარაკა და კახაზე მიმანი-იშნა დათომ.

— არ გადამრიო! — მათივე სტილში გამომივიდა ნათქვამი.

— არ გჯერა?

— რა უფლება მაქვს, რადგან ამბობ, ალბათ, ასეა! — მეც საკმაოდ შემპარვოდა სიმთვრალე. — მე მილიარდერი არ ვარ, მარა... — ბარათი დავაძრე. — მათხოვარიც არა ვარ, ფული მაქვს!

დათო და კახა მელა აღისას და კატა ბაზილიოს დაემსგავს-ნენ, ბარათის დანახვაზე თვალები სიხარბით აუბრიალდათ.

— მარა... — აქცენტით ვუქცევდი. — მილიარდი არაა ზედ... სამწუხაროდ... მარა პირობას ვდებ — მივიყვან მაგ ცი-ფრამდე... იცით, რატომ?

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე მყავს ოქროს თევზი! რასაც ვეცყვი — მისრულებს!

— ლადაობ, ძმა? — წყენის ნოტებმა გაიჟღერა დათოს ხმაში.

— კაცი არ ვიყო, თუ ვლადაობდე! ოქროს თევზს ვუთხარი, ლონდონში მინდა-მეთქი და აქ ვარ; ხათუნა მინდა-მეთქი და სახლში მელოდება; ფული მინდა-მეთქი და... ვშოულობ ნელ-ნელა!

— მაშინ უთხარი, მოგვაგებინოს მილიონი!

— ვეცყვი, მაგრამ ახლა ძინავს. თბილისში, აკვარიუმში ძინავს... რომელი საათია?

— ლამის თერთმეტი აქაური დროით, თბილისში რვა საათია, რა დროს ძილია! — კახა არ ტყუოდა.

— ძალიან კარგი! ავიდეთ მალლა და დავრეკავ მაკასთან! მაკა მივა თევზთან, თევზს მე ვეცყვი ჩემს სურვილს, დავგრეხ თოქს და ბანარს და ამოვიყვან ჩემს ძმობილ ჭიანჭველას!

— ბიჭო, ვილაცა ხარ, თავი არ გვაცემიო ახლა, გეიგე?

უცებ გამოვფხიზლდი:

— ბოდიში, ბიჭებო. ცოლს გავშორდი და ვნერვიულობ. არ მინდოდა თქვენი წყენა... ნამო, სადმე დავლიოთ, მე გპატიჟებთ!

— შენთან საქმე მაქვს — ხელკავი გამიყარა კახა „მილი-არდელმა“ როცა მალლა ამოვედით.

— ჰო, რა იყო, კახა? — გვერდზე გავედით.

— ხუთასი ფუნტი მასესხე, ბინის ქირა მაქვს გადასახდელი, რაცხა პრობლემები იყო ბანკში და... — მივხვდი, რომ ამ ხალხს სხვანაირად ვერ მოვიშორებდი, ჯიბეში ხელი ჩავიყავი:

— აი, ორასი ფუნტი ჩემგან საჩუქრად. მართლა კი არ მაქვს ფული, მეც სტუმრად ვარ! აბა, კარგად! — მივაძახე ბიჭებს და, სანამ ისინი ჩემს ნაჩუქარ ორას ფუნტს ითვლიდნენ, ტაქსიში ჩავხტი და სახლისკენ გავემართე. კიდევ კარგი, სახელის მეტი არაფერი მითქვამს. პრინციპში იოლად გადავრჩი! მანქანა ხუთასი მეტრითაც არ იყო ლამის კლუბს მოცილებული, რომ აფეთქების ხმა გაისმა! ტაქსისტმა დაამუხრუჭა:

— ეშმაკმა დალაზვროს! — წამოიძახა მან — ტერორისტები!

— ტერორისტები? სად არიან? — ავლელდი მე.

— აი, იქით გაიქცენ!

გავიხედე, საითკენაც ის მიმითითებდა — ორი თავსაბურთიანი კაცი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა...

— ტერორისტებო, თქვენი დედაც... — ყვიროდა ტაქსისტი.

— ვნახოთ, იქ ხომ არავინ მოკვდა... — ვუთხარი ყრუდ. რატომღაც ვიფიქრე, რომ დათო და კახა აფეთქებოდნენ, მაგრამ ადგილზე რომ მივედით, ისინი იქ აღარ დამხვდნენ.

ვარდისფერ თოვლში რამდენიმე დაჭრილი ინვა... შველას ითხოვდნენ. შემზარავი სანახაობა იყო. გასისხლიანებული ადამიანების გაოგნებული თვალები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გაეგოთ, რა მოხდა — რატომ იყვნენ ამ დღეში, დროგამოშვებით ჩემს მზერასაც აწყებოდნენ...

მალე სასწრაფოც მოვიდა... სანიტრები ფუსფუსით შეუდგნენ თავიანთ საქმეს...

— დედა, დედა! — ტიროდა დაჭრილი პატარა...

„მეც შეიძლება ამ საკაცებზე ვყოფილიყავი“ ამ ფიქრზე საშინელი სიცივე ვიგრძენი სხეულში.

— რა არის ეს? რა უნდათ ჩვენგან? — ბუტბუტებდა ქანდაკებასავით გაქვავებული ტაქსისტი. მის თვალებში დიდი შიში ჩამდგარიყო, ისეთი, როგორც ცუნამის ან მიწისძვრის დროს ეწვევა ადამიანს. ასეთ წუთებში მხოლოდ ლოცვაღა გრჩება იმედად...

— უფალო, შეგვიწყალებ! — აღმომხდა ქართულად. ტაქსისტიმა ეჭვით შემომხედა, მე პირჯვარი გადავისახე — ტაქსისტი დამშვიდდა.

— რატომ ხდება ასე?

— არმაგედონის მათრახია! — ვუპასუხე და მანქანაში ჩავჯექი. ცოტა ხანში ისიც საჭეს მიუჯდა, მისამართი ვუთხარი და დავიძარით.

„ისინი როგორ გადარჩნენ?“ „ბედია ყველაფერი“ ადრენალინი მომეძალა, მთელ ორგანიზმში სიცივე ჩამესახლა. ავცახცახდი. „რამ მათქმევინა, ცოლს გავშორდი-მეთქი?“

თითქოს წინათგრძნობა მეუბნებოდა, რომ ხათუნას ვკარგავდი. სახლში რომ შევედი, პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ მაცივარი გამოვალე და ვისკი პირდაპირ ბოთლიდან ვხუხე. მყისიერად დამიარა სითბომ... კიდევ დავლიე. ხათუნა გაკვირვებული მიცქერდა.

— რა დაგემართა? ჭიქაში მაინც დაისხი!

— კინალამ ამაფეთქეს! ტერაქტი მოხდა. მე გადავრჩი!

— სად მოხდა? — ელდანაცემი წამოიჭრა სავარძლიდან.

— ლამის კლუბთან, — დავწრილებით ვუამბე, რაც გადამხდა. — იქ ზვიგენი, აქ ბომბები; არ ვიცი, სად წავიდე... რა გავაკეთო...

ხათუნა ჩაფიქრდა:

— წუთია წუთისოფელი... ვილოცოთ, რომ გადარჩი!

პირფვარი გადავისახე.

— რატომ მაინცდამაინც მე მემართება ასეთი რამეები?

— შენი შეცდომების შედეგია, რაღაცას გაფრთხილებენ.

— მომიგო მშვიდად — თანაც არ გკლავენ! ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ შენი მისია უნდა გაიგო! სანამ არ გაიგებ, სულ ასე იქნება!

— რა უნდა გავიგო, რას ჩმახავ? — გავღიზიანდი ფრიად.

— გინდა, შენი შეცდომების არსში ჩაგახედო? შენ გეგონა, ჯორჯ მარტინი შენზე გაგიჟდებოდა, ის კი არ იცი, ან არ გინდა გაიგო, რომ შენნაირი ბევრი უნახავს! რადგან უამრავი ფგუფია ინგლისში, ამერიკაში, ავსტრალიაში და, საერთოდ, ყველგან!

— კი, მაგრამ ეს ხომ ასეთი უანრია... — თავის მართლება დავინწყე.

— ქართულად უნდა გემლერა! მაგრამ სადა გაქვს ასეთი ჩანაწერები? არ გაქვს! — მომიჭრა მან.

— რაო? რა იცის მაგან ქართული?

— არც იმან იცოდა, რომ გესიზმრება... — მივხვდი, ნაპოლეონს გულისხმობდა! — შენ იცი, რას გეტყვი? სხვის კულტურას არ უნდა ემსახურო, შენსას უნდა უწევდე პროპაგანდას, მაშინ დაგაფასებენ!

ეს უკვე მეტისმეტი იყო!

— შენ რა იცი, შე სულელო, — ავღრიალდი. — კონფუციმ, იცი, ქალებზე რა თქვა?

— რა თქვა? — გამომაჯავრა ხათუნამ.

— ქალს ქათმის ტვინი აქვს და ჭკვიან ქალს ორი ქათმისო, გაიგე?

— შენსავით სულელი ყოფილა, — გაიცინა ჩემმა დედოფალმა.

უცებ მოვეშვი. მეც გამეცინა:

— არადა, ეტყობა, ქალებზე გაბრაზებული იყო!

— ჰო, ვისაც არ უდგება, ყველა გაბრაზებულია!

— ესე იგი... მე არ უნდა ვიყო გაბრაზებული?

— არა, შე უსინდისო, შენ არ უნდა იყო ცხოვრებაზე გაბრაზებული, მაგრამ კაცებს ხომ ქათმის ტვინი გაქვთ, კონფუცის კი ინდაურის!

— ვაა! შენ ნაღდი ფემინისტი ხარ! შენც, მგონი, ინდაურის ტვინი გაქვს!

— ალბათ, ნინა ცხოვრებაში კაცი ვიყავი... — მონყენით თქვა ეს სიტყვები.

— ნეტა, მე ვინ ვიყავი? — ისე ვთქვი, უაზროდ.

— რუსტამ რაზა! — დარწმუნებით მამცნო ეს ამბავი.

— ვინ? შენ ხომ არ გაკლია?! — სიგარეტისკენ წავიღე ხელი, არადა, არ ვენწევი!

— რა ვიცი, საკუთარი დედა არ გესიზმრება და მაგის ამბები კი ზეპირად იცი!

— ვფიქრობ, რალაცას მეუბნება! ალბათ, იმას, რომ ქართველი იყო და ნაპოლეონიც ჩვენი ჯიშისა იყო.

— მერე? დასკვნა გააკეთე? — მოვიდა და თვალებში ჩამხედა, ოკეანე შემომანათა თითქოს.

— ქართულად ვიმღერო?

— ჰო! ჩვენს რესტორანში ქართულად იმღერე!

— შენ ასე გინდა?

— ასე უნდა „ოქროს თევზს“, თუ ლეგენდაა — ლეგენდა იყოს! სიმღერაც ზღაპრულად უცხო უნდა იყოს მაგათთვის! მაშინ დაიჯერებენ ჩვენს ზღაპარს!

ყველაფერში მართალი იყო, მაგრამ ჩემში მცხოვრები ზოგადი მამრი ვერ ეგუებოდა იმას, რომ ეს მდედრი ძალიან ჭკვიანი იყო!

— შენი მისია უნდა შეასრულო, — გააგრძელა ჩემმა სიყვარულმა. — აქ ქართულად იქადაგე და დაგაფასებენ, რადგან „არ არიან წინასწარმეტყველნი საკუთარ სამშობლოში“.

— სიმღერა ქადაგებაა? — პასუხი წინასწარ ვიცოდი, მაგრამ მაინც ვკითხე.

— ჩემზე უკეთ იცი!

— იცი რა? ინამ დამიბარა ხვალ...

— მე რატომ მეუბნები, ნებართვას მთხოვ?

— არა!

— ისე გააკეთე, როგორც საჭიროდ ჩათვლი...

ეს პასუხი მე არ მაკმაყოფილებდა. უცებ იდეა მომივიდა:

— პიტ ბესტი, იცი, ვინ იყო? რინგომდე უკრავდა „ბითლზში!“ ჯორჯ მარტინმა კი გააგდო! აი, ვის ვიპოვი პარტნიორად! და მერე ნახონ!

— არ უნდა იყოს ცუდი აზრი. ყოველ შემთხვევაში, ჯერ რესტორანი უნდა გავაკეთოთ, გავაპიაროთ, ფული ვიშოვოთ და, თუ გინდა, ინგლისის პრინც ჩარლზთან დაუკარი!

— პიტ ბესტის ტელეფონი უნდა გავიგო! ჯონი გამიგებს და ოქროს თევზს მაინც უნდა დაუუკავშირდე! — ვთქვი გადაჭრით.

— ის ხომ მე გამოვიგონე? — გამიღიმა ხათუნამ.

— არ ვიცი! ერთი ის ვიცი, რომ, რაც ვთხოვე, ყველაფერი შემისრულა!

— ეგ მართლაც სასწაულია! დავიჯერო, „მარკოპოლოში“ ვინც შედის, ყველას უსრულდება სურვილი? რა თქმა უნდა, არა...

— მოკლედ, ხვალ მაკას დავურეკავ, მივიდეს აკვარიუმთან და ჩემი პიტ ბესტთან შეხვედრა სთხოვოს!

— ნატვრაც არ იცი! ეგ პიტ ბესტი თვითონაა უიღბლო და შენ რა უნდა გიშველოს? თუ თხოვნაა, თავად სერ პოლ მაკარტნისთან შეხვედრა თხოვე, მაგრამ სისულელეა ეს

ყველაფერი! დამიჯერე, შემთხვევით ათასში ერთს ისედაც უმართლებს და ის კიდევ ოქროს თევზს ან რაღაც სხვას უკავშირებს ამ წარმატებას. შენს შემთხვევაშიც ასე მოხდა! ჩვენს რესტორანშიც ასე მოხდება იმიტომ, რომ ადამიანს უნდა, სასწაული არსებობდეს!



ნაპოლეონი გაცვეთილი სერთუკით მაგიდას უჯდა. სამკუთხა ქუდი იატაკზე ეგდო, რუსტამი წვნიანს უსხამდა.

— ესე იგი, დამთავრდა ყველაფერი? — ჩაილაპარაკა რუსტამმა.

— კიდევ ერთხელ ვცდი! ელბიდან გამოვიპარები! აი, ნახავ! მე ასე ადვილად არ დავმარცხდები!

— მაინც რას ფიქრობ, რატომ გიმტყუნა ფორტუნამ?

ნაპოლეონი ჩაფიქრდა:

— ჯერ ერთი — ჩემს თილისმას, ჟოზეფინას არ უნდა მოვშორებოდი, მერე მეორე: ძალიან ადრეა დამყაყებულ ფეოდალურ ევროპაში ჩემი იდეების გატარება და, რაც მთავარია, ხიშტებით ბრძოლის მოგება შეიძლება, მაგრამ ხიშტებზე დაჯდომა შეუძლებელია! მე სხვანაირად დავბრუნდები!

— როგორ, იმპერატორო?

ნაპოლეონი ოცნებებში წავიდა:

— მე გემიდან მარტო გადმოვალ, თანაც სრულიად უიარალოდ. ჩემთან მოგზავნილ ჯარს მკერდს ვუჩვენებ და ვუბრძანებ — ესროლონ თავიანთ იმპერატორს. ისინი კი ჩემს გვერდში დადგებიან... და ასე, ერთი გასროლის გარეშე შევალ პარიზში. ამას ხალხის ჩემდამი სიყვარული გააკეთებს! იმ ხალხის, რომელსაც სიამაყის განცდა მივეცი. აი ასე, რუსტამ! ამის შემდეგ კიდევ რომ დავმარცხდე, თვითონ ეს ფაქტი გამხდის უკვდავს! ხვალ წამიყვანენ, შენ აქ, პარიზში დარჩი! საქართველოში არ გინდა დაბრუნება?

— არ ვიცი, ვილას ვახსოვარ იქ? თან მე უკვე თქვენი ცხოვრებით ვცხოვრობ, ამიტომ სჯობს, ელბაზე გამოგყვეთ.



— არა, რუსტამ! შენ რომ წაგიყვანო, ლილინში გავატარებ დარჩენილ წუთისოფელს, ამიტომ, შენ რომ გვერდით არ მეყოლები, მარტო ტახტი არ დამიძახებს უკან! ხმა ხმას მოძებნის და გული — გულს! რა იციან ხეპრე ბურბონებმა, რა განცდაა მრავალხმიან სიმღერაში! თუმცა, მხოლოდ ეს არ მამოძრავებს: იმდენად გაფასებ, არ მინდა გაგანვალო! ხოლო, როცა გასროლის გარეშე შემოვალ პარიზში, პირველი შენ შემეგებები, ჩემი უანგარო მსახური და ქვეყნის მფარველი მეგობარი!

— მაღლობა, ჩემო იმპერატორო! დიდი ადამიანი ბრძანდებით, ძალიან დიდი!



ინას დათქმულ დროს შევხვდი.

— კაფეში შევიდეთ! — შევთავაზე მე.

იქვე, კუთხეში მდებარე კაფეში შევედი.

— რას შვები, როგორა ხარ? მომენატრე! — ეს ინამ თქვა.

— ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ! — გამოვუტყდი ქალს.

— ჯორჯ მარტინთან შეხვედრის შემდეგ ცხვირი ჩამოუშვი, არა? გამაგრდი, უკეთესი ვარიანტები გამოიჩნდება.

— ეგეც რომ არ იყოს, ჩვენი დამოკიდებულება... ჯონი... ხათუნა... ყველანი ერთმანეთთან ვართ დაკავშირებული და ამ დროს ჩვენი ასეთი ურთიერთობა მაფიქრებს...

— ჰო... მესმის! ძალიან წესიერი ახალგაზრდა ხარ! სინდისი განუხებს! მოდი, ვისკი დავლიოთ!

— გუშინ, იცი, რა დამემართა? ტერაქტში კინალამ დავიღუპე!

— იქ იყავი? — გულწრფელად შეშფოთდა ინა.

— ჰო, რამდენიმე წამით რომ დამეგვიანა... სად უნდა წახვიდე კაცი, მშვიდად რომ იყო?

— ჰო, აირია მსოფლიო! — ინამ ვისკი მოსვა. — შენთან საქმე მაქვს: ეგვიპტეში უნდა წავიდე!

— ეგვიპტეში რა მინდა? — არ მომეწონა ეს ამბავი.

— ფხვნილს გადმოვიტანთ, თან ვისიყვარულებთ! შორს რომ ვიქნებით, სინდისიც წყნარად გექნება!

ამაზე ცუდ ამბავს ვერ გავიგებდი იმ დღეს და საერთოდაც.

— რას ამბობ? ხომ არ გაგიჟდი? რის ფხვნილი, რა ფხვნილი! გამორიცხულია!

— კარგი, ისე წამომყევი. ფხვნილს მე წამოვიღებ! ისე წამომყევი...

— კუროდ, არა? — განრისხება მეუფლებოდა.

— შენ რა, ამბიციების დემონსტრაციას მიწყობ აქ? — თვალეზი გაუფართოვდა ინას.

— სულ ვფიქრობდი, რა ისეთი კეთილი და სხვანაირი ხალხი გამომიგზავნა ღმერთმა, ზღაპრებშიც რომ არ წამიკითხავს-მეთქი. ახლა კი მივხვდი, საიდან მოდის შენი და ჯონის კეთილშობილება — ნარკობარონები ხართ! მორჩა, მე ამ თამაშიდან გავდივარ...

წამოვდექი.

— ინანებ, — გველივით წაისისინა ინამ.

— ჰო, ალბათ, — უცებ დავეთანხმე. — მაგრამ... ჩემს თავს თვითონ მივხედავ.

— ხათუნას წავიყვან! — უცებ მომიჭრა ქალბატონმა.

— ხათუნას? ხათუნა რატომ უნდა წამოვიდეს? — გაცეცხება ვერ დავფარე.

— იმიტომ, რომ ქალია და ჭკვიანია! ლამაზიც არის ამავდროულად.

— ესე იგი, არ გვეშვები, არა? ხათუნა არ წამოვა!

— ვნახოთ, — მითხრა ნიშნის მოგებით.

გარეთ გამოვედი, ინა კაფეში მივატოვე. ახლა მართლაც უბირად და დაუცველად ვგრძნობდი თავს. „ხათუნას უნდა ველაპარაკო, ამ ქალს უნდა დავასწრო“. მობილურზე ნომერი ავკრიფე:

— სადა ხარ?

— სასწავლებელში, — მითხრა ხათუნამ.

— ინამ დაგირეკა?

— ჰო, ამნუთას მელაპარაკა!

— ეგვიპტეზე გითხრა?

— ჰო!

— შენ ხომ უარი უთხარი? — პასუხის მოლოდინში ლამის გული ამომივარდა!

— არა, რატომ? ნავალ, ამ ხალხის დაკარგვა არ შეიძლება!

— მე რომ დამკარგო ამის გამო?

— ანუ, თუ ნავალ, მიმატოვებ? ამას მეუბნები?

— ჰო, მაგას გეუბნები.

— ნადი! — მშვიდად მითხრა ხათუნამ.

— ასე იოლად გამცვალე? — გამნარებით ჩავძახე ყურმილს.

— ახლა სხვა ცხოვრებაა! შენი ილუზიებში ცურავ, ნაპოლეონზე და სისულელეებზე ფიქრობ! ამ ხალხის დაკარგვა სიკვდილის ტოლფასია, თუ მიხვდები — დამირეკე. კარგად იყავი!

— შენი დედაც... — მობილური მოვისროლე; იქვე, დათოვლილ ბალის სკამზე ჩამოვჯექი. განადგურებული ვიყავი! ვერ წარმომედგინა ამ ანგელოზისგან ასეთ საქციელი! აღარაფერი მესმოდა, ვერავის ვამჩნევდი, ცუდ სიზმარში აღმოვჩნდი თითქოს... უცებ თოვლში ჩაგდებული მობილური ამღერდა „აღბათ ხათუნაა, ბოდიშს მომიხდის“, გავიფიქრე გულუბრყვილოდ. სიხარულით დავნვდი მობილურს.

თემო იყო:

— როგორა ხარ, ნიკა? როგორ მიდის საქმეები?

— ცუდად, — ვუთხარი უხალისოდ.

— რამე ხომ არ შეგემთხვა?

— არაფერი, ხათუნას ვეჩხუბე!

— ცოლ-ქმრის ჩხუბი არავის უკვირს.

— აქ სხვანაირადაა საქმე. მერე გეტყვი!

— მე კი კაი ამბავი მაქვს შენთვის!

კაი ამბავს ნამდვილად არ ველოდი ახლა.

— გახსოვს, ოქროს თევზს შენ რომ როკვარსკლავლაგობა თხოვე, მე კი შესწორება შევიტანე და ასე ვთქვი: „მთავარია, მსოფლიომ გაგვიცნოს და ფული ვიშოვოთ-მეთქი“, გახსოვს?

— ჰო, მახსოვს... — უხალისოდ ვუპასუხე.

— ჰოდა, იცი, რა ქნა ოქროს თევზმა?

— თემო, მომისმინე! ოქროს თევზი ხათუნას მოგონილია. არ გეუბნებოდი, მაგრამ მაგ სისულელეს ნერტილი უნდა დაესვას. ხათუნა მენეჯერად მუშაობდა თურმე მანდ. დათო ძიას მაგივრადაც ფული მაგან გადაიხადა პირველ დღეს... მოკლედ, პონტი ააგორა რესტორანი გააპიარა, გაიგე? აქაც, ლონდონშიც მაგას აპირებს! კომპანიონებიც იშოვა, მაგათი...

— მოიცა, მოიცა... ყველაფერი რომ შეგვისრულდა?

— რა შეგვისრულდა? ჯორჯ მარტინთან ვიყავი — არაფერი გამოვიდა, მოკლედ... მან თქვენი მოშორება მირჩია!

— ნიკა, მომისმინე, ძალიან გთხოვ! მაგარი რამე უნდა გითხრა!

— კარგი, მითხარი! — მოვემზადე რაღაც პატარა სასიამოვნო ამბის გასაგებად.

— მილიონერები ვართ, ძმაო, მილიონერები! — ყვიროდა ჩემი მეგობარი.

— როგორ? საიდან? ლადაობ? — ვლულლულებდი მე.

— ის თუ გახსოვს — პირამიდებთან რაღაც ხმა რომ გაიგონე?

— რა დამავინწყებს... მაგრამ ეგ რა შუაშია?

— გერმანელმა მეცნიერმა დეენემის ანალიზის მეშვეობით დაამტკიცა, რომ ტუტენჰამონის დიდი წინაპრები ქართველები იყვნენ... რომან შოლცია მისი სახელი.

— კაი რა... ეს როგორ? — დაუჯერებელი ამბავი იყო.

— როგორ და... დღევანდელი ეგვიპტის მოსახლეობიდან მხოლოდ ერთი პროცენტს აქვს მისი დნმ-ის. ევროპელების — 60-70 პროცენტს, ხოლო ჩვენ 100 პროცენტით ერთნაირი დეენემი გვაქვს! 7000 წლის წინათ ევროპის გავლით ჩაულწევიათ ეგვიპტეში ქართველებს და გამეფებულან!

— არ გადამრიო! ესე იგი... რაღაც ნიშანს გვაძლევდნენ პირამიდები?

— ჰო!

— მაგრამ... მილიონერობა რა შუაშია ყველაფერ ამასთან?

— რა შუაშია და ოქროს თევზის ისტორია და ის ყველაფერი — რაც თავს გადაგვხდა, განსაკუთრებით შენ, სცენარად ვაქციე და ჰოლივუდში გავაგზავნე! რა თქმა უნდა, შენი გვარიც

მივანერე, როგორც თანაავტორის და, იცი, რა მოხდა? კონტრაქტი მოგვივიდა, ნამდვილი პოლიუდური კონტრაქტი! სასწრაფოდ ჩამოფრინდი! ხელი უნდა მოაწერო კონტრაქტს, ნოტარიულად დავამონმოთ და ამერიკისკენ — ჰერი, ჰერი!

— ჰოო, არ მატყუებ?

— არა, დედას გეფიცები! ერთი პრობლემა გვაქვს: ამერიკის ბილეთების ფულია საშოვნელი. დათოს ვთხოვ, ალბათ.

— არაა საჭირო... ფული მე მაქვს... მაგ სცენარში კიდევ რაღაც-რაღაცებს ჩავუმატებ... რა მზერა. მე-მფისი-რამზესი-რირა ორერა, ხვდები? ესე იგი, არ იტყუები?

— რას ამბობ? გადარევას ვარ სიხარულით! მეცხრე ცაზე ვარ!

— ძალიან კარგი! — დათოვლილი სკამიდან წამოვდექი, შარვალზე აკრული თოვლი ჩამოვიფერთხე და წელში გავსწორდი. მთელი ლონდონის გასაგონი ხმით ჩავძახე ყურმილს:

— შენ შემოგველე, თემო! მოვფრინავ, ძმაო! შენ გამაცოცხლე ახლა, რომ იცოდე!

— აბა, გელოდები, ჩემო სპილბერგო! — გაიცინა თემომ.

— მოვფრინავ, ხვალვე გამოვფრინდები! ჩემებს უთხარი! დათო ძიას. ყველას უთხარი, ყველას, რომ მოვფრინავ! რაც უნდა დაჯდეს.

მოვ-ფრი-ნააავ!!!

თბილისი 2011 წ.